

K^{105-9.04}
3



თ. ჩხვიძე

ქართული
საგონოებები



თბილისი
1962




თუნგიზ ჩხეიძე

ქართვედი უკონომები

K105-204
3

სკეპ-2000
შემოწმებულია



თენგიზ ბარნაბის ძე ჩხეიძის ნაშრომში გაშუქებულია ქართველი აგრონომების ერთი ნაწილის ცხოვრება და მოღვაწეობა. ნაჩვენებია მათი თავდადებული საქმიანობა საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის, რასაც აფერხებდა მეფის ხელისუფლების მძიმე პირობები. აღწერილია ის დიდი შესაძლებლობანი, რომელნიც საბჭოთა წყობილებამ შექმნა სოფლანი, რომელნიც საბჭოთა წყობილებამ შექმნა სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის.

წინასიტყვაობა

წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს გააცნოს მკითხველს ქართველი აგრონომების ერთი ნაწილის დიდი ამაგი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების საქმეში.

მათ ცარიზმის დროს მეტად შიშვე პირობებში უხდებოდათ მუშაობა. ეს იყო დრო, როდესაც საქართველო თითქმის ყველა დარგში კადრების ნაკლებობას განიცდიდა. ამდენად განათლებული სპეციალისტი, აგრონომი იყო ის, ინჟინერი თუ ექიმი, არ იფარგლებოდა მხოლოდ თავისი ვიწრო საქმიანობით და პარალელურად გარკვეულ საზოგადოებრივ-კულტურულ მოღვაწეობასაც ეწეოდა. როგორც ამ ნაშრომიდან დავინახავთ, მრავალი ქართველი აგრონომის მოღვაწეობის შესწავლა სცილდება სოფლის მეურნეობის სპეციალისტის ფარგლებს და საქართველოს ისტორიის მკვლევრის კვლევის საგანიც ხდება.

სოფლის მეურნეობის საკითხებზე მუშაობა 1956 წლიდან დავიწყეთ. ესწავლობთ ფერმერული მეურნეობის ისტორიას, საქართველოს სოფლის მეურნეობაში ტექნიკურ და აგრონომიულ სიახლეთა დანერგვა-შემოღებისა და სასოფლო-სამეურნეო განათლების ისტორიას. მუშაობის დროს, ცხადია, ყურადღებას ვაქცევდით ქართველი აგრონომების მოღვაწეობას.

ქართველი აგრონომების მოღვაწეობის შესწავლასა და მათ ირგვლივ ცნობების შეკრებაში დახმარებას გვიწევდნენ: განსვენებული პროფ. დიმიტრი გედევანიშვილი, პროფ. იულონ ლომოური, განსვენებული დოცენტი გიორგი რცხილაძე, დოცენტი დავით სამადაშვილი, აგრონომი რევაზ გედევანიშვილი და სხვ.

ხანგრძლივი მუშაობის შედეგად ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ბურჟუაზიული განყოფილების ფონდში დაგროვდა ბევრი საინტერესო მასალა და დოკუმენტი. ამ დოკუმენტებზე დაყრდნობით, აგრეთვე არქივებში და პერიოდულ პრესაზე სისტემატური მუშაობით დავწერეთ წინამდებარე ნაშრომი.



აქ ჩვენ შეძლებისდაგვარად ვარკვევთ ქართველი აგრონომების წვლილს საქართველოს სოფლის მეურნეობის ისტორიული განვითარების საქმეში.

ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ამ ნაშრომში ვერ განვიხილეთ ისეთი ცნობილი აგრონომების ცხოვრება და მოღვაწეობა, როგორც იყვნენ: დიმიტრი ჩოლოყაშვილი, სერგო ყაზახაშვილი, ივანე ანდრონიკაშვილი, ისაია ფურცელაძე, ილია ჭანდიერი, მიხეილ ერისთავი, პეტრე მელია, ანდრია ერისთავი, სოლომონ ჩოლოყაშვილი, სოლომონ მაჩაბელი, სიმონ ხუნდაძე, ვასილ ბიბილაშვილი, კონსტანტინე მოდებაძე და მრავალი სხვ. ამ ხარვეზის გამოსწორებას შევეცდებით „ქართველი აგრონომების“ მეორე წიგნში.

წინამდებარე წიგნი პირველი ნაშრომია ქართველი აგრონომების შესახებ. ამიტომ იგი დაზღვეული არ იქნება ნაკლოვანებისაგან. მიუხედავად ამისა, მისი გამოქვეყნება საჭირო და სასარგებლო საქმედ მიგვაჩნია.

ავტორი სიამოვნებით მიიღებს შენიშვნებს შრომაში აღქმულ საკითხებზე.

ავტორი

ილია წინამძღვრიშვილი

მნ წელს იცოცხლა ილია წინამძღვრიშვილმა და აქედან ექვს ათეულ წელზე მეტ ხანს ემსახურა მშობელ ხალხს იმ გასაოცარი თავდადებითა და მგზნებარებით, რის გარეშე არაერთი დიდი საქმე არ კეთდება. მან მთელი თავისი ცოდნა და ქონება მოახმარა სამშობლოს აყვავებას. პირველმა გახსნა საქართველოში სასოფლო-სამეურნეო სკოლა. ინახავდა მას თავის ხარჯზე და წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა ახალგაზრდა კადრების აღზრდას საქართველოს სოფლის მეურნეობისათვის.

სიძნელეებით იყო აღსავსე ი. წინამძღვრიშვილის მიერ ახალგაზრდობიდანვე შეგნებულად არჩეული სამოღვაწეო გზა. მაგრამ ამას იგი არ შეუშინდა. მან კარგად იცოდა, რომ ყოველდღიური მცდელობა და შრომა საჭირო და ეს შრომა უშედეგოდ არ ჩაივლის.

ილია ივანეს ძე წინამძღვრიშვილი დაიბადა 1834 წლის პირველ სექტემბერს დუშეთის მაზრის სოფელ წინამძღვრიანთკარში, ღარიბი აზნაურის ოჯახში. ილიას მშობლებს დიდი სურვილი ჰქონდათ სწავლა-განათლება მიეცათ შვილისათვის. პატარა ილიამაც დიდი ნიჭი და მონდომება გამოამჟღავნა და 1855 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის კლასიკური გიმნაზიის სრული კურსი. მას სურდა სწავლა გაეგრძელებინა პეტერბურგის უნივერსიტეტის საბუნების-მეტყველო ფაკულტეტზე, მაგრამ უსახსრობის გამო ეს ვერ შეასრულა. იგი იძულებული შეიქნა დაკმაყოფილებულიყო აგრონომიული კურსებით.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში რიგი წლების განმავლობაში ილია წინამძღვრიშვილი მსახურობდა ხან მომრიგებელ შუამავლად, ხან მომრიგებელ მოსამართლედ და ბოლოს ნოტარიუსად თბილისში, ამ ხნის მანძილზე ილიას ერთი წუთითაც არ გაუწყვეტია კავშირი თავის მეურნეობასთან, პედაგოგიურ მუშაობასა და მწერლობასთან.

ილია წინამძღვრიშვილი სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა 70-იანი წლების ბოლოს ხორეშან გვერდწითელის ფსევდონიმით. იგი სისტემატურად აქვეყნებდა წერილებს გაზეთ „დროების“ ფურცლებზე. გამოქვეყნებული წერილები, პუბლიცისტური სტატიები და ნარკვევები უმთავრესად საყოფაცხოვრებო, ეთნოგრაფიულ, სოფლის ცხოვრებისა და მეურნეობის საკითხებს ეხებოდა. 1881 წელს „დროებაში“ გამოქვეყნებულ წერილებში იგი ეხება იმ დროისათვის აქტუალურ საკითხებს, როგორცაა: მეფის ბიუროკრატიული და კოლონიური პოლიტიკა, მოხელეთა მექრთამეობა, მოსწავლე ახალგაზრდობის ფუქსავატობა, შვილების აღზრდა, თეატრის დიდი აღმზრდელი მნიშვნელობა მოზარდ მაყურებელზე¹ და სხვ. მომდევნო ხანის წერილებში ილია წინამძღვრიშვილი ეხება თეატრისა და დრამატული საზოგადოების მნიშვნელობას, მათი მუშაობის სუსტ მხარეებს. მოითხოვდა მათი მუშაობის გარდაქმნასა და თეატრისათვის დასაყრდენი ფონდის შექმნის აუცილებლობას. ერთ-ერთ წერილში მან გააშუქა სკოლისა და ოჯახის გავლენა ბავშვის აღზრდა-განვითარებაზე. ამის ნათელსაყოფად მოიყენა ფაქტები თბილისის ქალთა გიმნაზიიდან².

ილია მოურიდებლად ამხელდა მოხელეთა მექრთამეობას, მათ მიერ ჩადენილ სისაძაგლეს. შემდეგ წლებში გამოქვეყნებული წერილები კიდევ უფრო მრავალფეროვანია. მან წამოაყენა წინადადება მ. ზიჩის მიერ „გეფხისტყაოსნისათვის“ დახატული სურათების ერთ კრებულად დაბეჭდვისა ალბომის სახით და მისი გავრცელების შესახებ ქართული თეატრის ფონდის გასამდიდრებლად.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ილიას მიერ გამოცემული სახელმძღვანელოები. 1889 წელს, სასოფლო-სამეურნეო სკოლის დაარსებიდან ექვსი წლის შემდეგ, გამოსცა „ვაზის მოშენება“, რომელიც იმ დროისათვის შესანიშნავ ნაშრომს წარმოადგენდა მევენახეობაში. წიგნი „ვაზის მოშენება“ დაწერილია მდიდარი ფაქტობრივი მასალის შესწავლის საფუძველზე. ავტორს გამოყენებული აქვს მაშინ ცნობილ ავტორთა³ (დუბრიელი, ბაბოსი, ფოქსი, ცაბელი, ვეენბერი, ტარდანი, ბერში, ედუარდ რეგოსი, სულხან-საბა ორბელიანი და სხვ.) ნაშრომები. ეს წიგნი ილიამ წინამძღვრიანთკარის სასოფლო-სამეურნეო სკოლას აუძენა.

¹ გაზეთი „დროება“ 1881, № 168, 180, 210, 222.

² გაზეთი „დროება“, 1881, № 267, 270.

³ გ. თოდუა, ი. ჭავჭავაძეშვილი, საქართველოში უმაღლესი სასოფლო-სამეურნეო განათლების ისტორიისათვის, 1961, გვ. 17.



სურ. 1. ილია წინამძღვრიშვილი

დიდ ყურადღებას იმსახურებს მეორე წიგნი „ზოგადი მიწათ-
მოქმედება“. ამ წიგნმა დიდი სამსახური გაუწია საქართველოს სასოფლო-სამეურნეო სკოლებს.

1909 წლიდან საქართველოში გამოდის ჟურნალი „მოსავალი“. მასში სისტემატურად მონაწილეობდა ილია წინამძღვრიშვილი. მის მიერ აქ გამოქვეყნებული წერილებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია „რა არის ცოდნა“. ამ წერილში იგი წერს: „ვისაც ჩვენი სამშობლო ქვეყნის აღორძინება და მისი მკვიდრთა კეთილდღეობა სურს, მას უნდა სამეურნეო ცოდნა ქონდეს ყველა სამეურნეო დაარგიდან... ცოდნით მდიდარი ადამიანი არავის მონა არ არის, თავისი შრომით ირჩენს თავს, ინახავს ოჯახს, კეთილსინდისიერად იხდის ყველა თავის მოვალეობას წინაშე საზოგადოებისა და სახელმწიფოსი. ცოდნით ბრმასაც-კი ეძლევა საშუალება იცხოვროს თავისი შრომით... დროა გამოვფხიზლდეთ და გავიგოთ, რომ მეურნეობა უმთავრესი ძარღვია ჩვენი ცხოვრებისა.

...მეურნეობა მარტო მიწის აქა-იქ ჩიჩქვნა-კი არა, მთელი მეცნიერული სწავლაა“⁴..

ილია წინამძღვრიშვილი, როგორც პუბლიცისტი, ქართველი ხალხის კეთილდღეობისათვის მებრძოლი, უანგარო ინტელიგენტი. საკმაოდ და ნათლად ჩანს ქართულ პრესაში. ის იყო მე-19 საუკუნის 60-იანი წლების მოწინავე ინტელიგენციის ერთ-ერთი საუკეთესო წევრი. მან თავისი გარკვეული კვალი დაამჩნია საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებას.

იმ ხანებში წინამძღვრიანთკარისა და საგურამოს ახლო სოფლებში ერთი უბრალო სკოლაც კი არ არსებობდა და თვით მცხოვრებნიც გულცივად ეკიდებოდნენ სწავლა-განათლების საქმეს. ილიას ეს მდგომარეობა ძალიან აწუხებდა, ამიტომ გადაწყვიტა საკუთარ მამულში თავისი სახსრებით გაეხსნა სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელი.

თავისი აზრი სასოფლო-სამეურნეო სკოლის გახსნის შესახებ ილია წინამძღვრიშვილმა 1881 წელს გაზეთ „დროების“ საშუალებით გააცნო ქართველ საზოგადოებას. სკოლის წესდების, სასწავლო გეგმისა და პროგრამის შესამუშავებლად ილიამ თავისთან მიიწვია გამოჩენილი ქართველი პედაგოგები და საზოგადო მოღვაწენი: ი. გოგებაშვილი, მ. ბებუთიშვილი, ნ. ცხვედაძე, აგრონომი გვეესკი და სხვ.

დადგენილ იქნა სკოლის პროფილი, სწავლების ხანგრძლიობა

⁴ ჟურნალი „მოსავალი“, 1909, № 3, გვ. 3.

და პროგრამის მოცულობა. მაგრამ სკოლის გახსნას აბრკოლებდა წესდების პირველი მუხლი, რომელიც იაკობ გოგებაშვილის ხელით იყო ჩაწერილი: „სწავლება ყველა საგნისა დაწყვებული პირველი წლიდან მეექვსე წლის დასრულებამდინ უნდა მიმდინარეობდეს ქართულ ენაზე“. მეორე მუხლში აგრეთვე გოგებაშვილის მითითებით ნათქვამი იყო: „რუსული ენის სწავლება სამეურნეო სასწავლებელში დაწყებული უნდა იქნას მესამე წლიდან“.

სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების კრებამ, რომელსაც უნდა დაემტკიცებინა სკოლის წესდება, მოითხოვა ორივე მუხლის შეცვლა, რადგან მოსალოდნელი იყო, რომ ცარიზმის რწმუნებული განათლების დარგში იანოვსკი, რომელიც მეფის ერთგულ მოხელედ ითვლებოდა, გამოვიდოდა წესდების წინააღმდეგ. ამიტომ მოითხოვეს წესდებიდან პირველი მუხლის ამოღება არსებული რევიმის შესაბამისად იმ მოტივით, რომ შეიძლებოდა ამ მუხლს მთელი ამ კარგი განზრახვის განხორციელება ჩაეშალა.

სასწავლო გეგმა და პროგრამა შედგა ნიკო ცხევედაძის უშუალო მონაწილეობით. მოკლე ხანში გამოირკვა, რომ იანოვსკის არ მიუცია თანხმობა აღნიშნული წესდების დამტკიცებაზე. ი. გოგებაშვილმა ამ საკითხზე დაწერა მეცნიერულად და პოლიტიკურად დასაბუთებული ვრცელი მოხსენება. იმ ხანებში მეფის ნაცვალს ცვლიდა დ. ს. სტაროსელსკი. ამ საქმეში ჩაერია ილია ჭავჭავაძეც. ბოლოს სტაროსელსკიმ დაამტკიცა როგორც წესდება, ისე პროგრამა და სასწავლო გეგმა.

სკოლა გაიხსნა 1883 წლის 4 სექტემბერს დიდ საზეიმო ვითარებაში, სკოლის გახსნას ესწრებოდნენ საქართველოს თითქმის ყველა კუთხიდან. პირველი სიტყვა წარმოთქვა სკოლის დამაარსებელმა და მზრუნველმა ილია წინამძღვრიშვილმა, შემდეგ — ილია ჭავჭავაძემ.

ი. წინამძღვრიშვილმა, გახსნა რა ეს ხალხმრავალი საზეიმო მიტინგი, საზოგადოებას მიმართა: „...ბევრ თქვენგანს გააკვირვებს ჩემი გაბედულება, რომ დღეს მე სამეურნეო სკოლას ვხსნი. მართლა, რომ ეს საქმე სამძიმო საქმეა; მაგრამ ეს საქმე მე გამაბედინა ერთის მხრივ იმან, რომ ყოველი მამულიშვილის ვალია შეძლებისამებრ შეეწიოს ღარიბსა და უმეცარს ხალხს და მეორეს მხრივ — აუცილებელმა საჭიროებამ აქაურ ხალხში სასარგებლო და პრაქტიკული ცოდნის გავრცელებისამ. მე დარწმუნებული ვარ, რომ გზაზე ბევრი გაკვირვება მოგველის, მაგრამ ამ გაკვირვების დაძლევა შეუძლიან საქმისადმი სიყვარულს, გულის დადებას და ენერგიას. როგორც სა-

ხალხო სკოლის ისტორია ამტკიცებს. ამ ბრძოლისათვის ერთი რამდენიმე პირის ძალა საქმარისი არ არის, — საჭიროა ხელის შეწყობა და თანაგრძნობა თვითონ საზოგადოებისა. მამ ყველანი, ვინც კი ერთგულად ეკიდება სახალხო განათლების საქმეს, ამოუდგენ გვერდით მეცნიერების დროშას, გაულოთ სასწავლებლის კარი ყოველს ერსა და სარწმუნოებას, წავიდეთ წინ და მოვფინოთ ბნელს ხალხში ნათელი ქეშმარიტებისა.

მოგმართათ რა თქვენ, ჩემს ამხანაგებს, და ახლადგახსნილს სკოლის პირველ მოძღვარებს, უნდა გითხრათ, რომ თქვენ, როგორც მეცნიერების წარმომადგენელთ, შეგზვდებით სასიამოვნო, მაგრამ ძნელი, დანიშნულება. თქვენ პირველად უნდა გააბნოთ საგურამოს ხეობაში თესლი განათლებისა, უნდა ებრძოლოთ ხალხის ცრუ-მორწმუნეობას, უნდა აღუძრათ თანაგრძნობა სახალხო განათლებისადმი და ცხადად აჩვენოთ ის სარგებლობა, რაც გამოცდილებას და მეცნიერებას ადამიანისთვის მოუტანია. თქვენზეა დამოკიდებული სკოლის მოწაფეთა ბედი და თითონ სკოლის მომავალი. ჩვენი სკოლა სამაგალითო იქნება მთელის კავკასიისათვის და თქვენ თქვენი სული უნდა ჩაუდგათ მას. მივანებოთ თავი თავმოყვარეობას და ჩუმად, აუჩქარებლად, ყველანი ვემსახუროთ სულიერს და ნივთიერს ინტერესებს იმ ხალხისას, რომელიც ყოველთვის ჩვენის ზრუნვის საგანი იქნება... ეს ჩვენი პირველი ნაბიჯი იყოს ნიშნად სკოლის ბედნიერი მომავლისა“⁵.

ილია ჭავჭავაძემ სკოლის დამაარსებელი ასე დაახასიათა: „გამოვიდა ჩვენში ერთი გულმტკიცეული კაცი და გვითხრა: გზას მე ვაჩვენებთო, თქვენ ოღონდ ხალხის გამოიჩინეთო. ის კაცი მარტო თავისი თაოსნობით, დაულალავი მეცადინეობით, თავგამოდებით, მხნეობით შეუდგა ამ ძნელ საქმეს და თავისი სასახელოდ და ჩვენდა საბედნიეროდ აქ, ამ სოფელში აკვანი დადგა ცოდნის გასაზრდელად და ძიებები მოიწვია, ის კაცი ილია წინამძღვრიშვილია, ის აკვანი — აი ის პატარა შენობაა, რომელიც ასე ლამაზად უხდება ამ პატარა სოფელს, ძიებები კიდევ მისგან მოწვეულნი ოსტატები არიან... მამ გაუმარჯოს, ხალხო, ამ სკოლას, ამ ცოდნის აკვანს! გაუმარჯოს ილია წინამძღვრიშვილს, ამ აკვნის დამდგმელს!“⁶.

ილია ჭავჭავაძემ თავის ისტორიულ სიტყვაში საზოგადოებას განუმარტა ამ სკოლის უდიდესი მნიშვნელობა.

წინამძღვრიანთკარის სკოლის გახსნამ გაახარა ყველა ქართველი.

⁵ გაზეთი „დროება“, 1883, № 177, გვ. 1.

⁶ იქვე, გვ. 2 — 9.



Երև. 2. Քեմիկոնցիանյանի կողմից Գլխին

ოდესიდან გამოგზავნილ წერილში მეცნიერი პეტრე მელიქიშვილი და ვასილ პეტრიაშვილი აღტაცებას გამოთქვამდნენ.

„ფრიად სასიხარულო ამბავი მოგვიტანა ბ. ი. წინამძღვრიშვილის მიერ გამოგზავნილმა ბარათმა. — წერდნენ ისინი, — ეს ამბავი სანუგეშო და სასარგებლოა ჩვენის ეკონომიურად დაცემულის და დაუძღურებულის სამშობლოსათვის. ის აზრი, რომელიც აღმართული იყო ბატონ წინამძღვრიშვილისაგან, უკვე განხორციელებულა...“

დიდი თანაგრძნობითა და აღტაცებით ვეგებებით ამ პირველ ნაბიჯს ჩვენს ცხოვრებაში. უწმინდეს ვალად ვრაცხთ ჩვენთვის, აღმოუჩინოთ შეძლებისდაგვარი შემწეობა ამ დიდ საქმეს“².

ილია წინამძღვრიშვილმა სკოლას გადასცა: 100-დღიური სახნავსათესი მიწა ტყით, ღვინის სარდაფი 20 ათასი ლიტრის ტყევადობით, საწინახელი, შენობა კლასებისა და მუზეუმისათვის, სახლი მასწავლებელთათვის, შენობა მოსწავლეთა საერთო საცხოვრებლად, ორი სასადილო საშარეულოთი და სარდაფით, აგრეთვე ბინა ზედამხედველ-მასწავლებლებისათვის, პურის საცხობი და სახელოსნოები.

სკოლაში ასწავლიდნენ: საღმთო სჯულს, ქართულ და რუსულ ენებს, არითმეტიკას, გეოგრაფიას, ისტორიას, ვალობასა და ხაზეხატვას; სპეციალურ კლასებში: გეომეტრიას, მიწათმოქმედებას, მევენახეობას, მეღვინეობას, მეზოსტნეობას, მეფუტკრეობასა და მესაქონლეობას.

სკოლაში სწავლება ექვსი წელი გრძელდებოდა. ღარიბი მოსწავლეები არაფერს არ იხდიდნენ. სახელმძღვანელოებით სარგებლობა ყველა მოსწავლისათვის უფასო იყო.

ილიამ ერთი წლის შემდეგ სკოლის შესამოწმებლად იაკობ ვოგებაშვილი მიიწვია. იაკობი თავის შთაბეჭდილებას შემდეგი სიტყვებით გამოხატავს: „სკოლას პირველ წელიწადს იმდენი გაუკეთებია, რომ ოპტიმისტური მოლოდინისათვის გადაუჭარბებია“³. სკოლის ასეთ წარმატებას იაკობი ხსნიდა გულისხმიერი, მუყაითი და გონივრული შრომით, რასაც ეწეოდა თვით სკოლის დამაარსებელი ილია წინამძღვრიშვილი.

ილია მთელი მონდომებით ზრუნავდა სკოლაზე. იგი სისტემატურად ჩადიოდა თბილისიდან წინამძღვრიანთქარში. ყოველ ორ თვეში სკოლაში აწყობდა გამოცდებს, რასაც კარგი შედეგი მოჰქონდა. იგი თავდადებულ მუშაობას ეწეოდა, უანგარო ღვაწლს დებდა ამ სკო-

² ვახუთი „დროება“, 1883, № 185.

³ ვახუთი „დროება“, 1884, № 140, გვ. 3 — 4.

ლას და მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე ერთი წუთითაც არ შეუწუხებია ეს შურისძიება. ილია ჭავჭავაძე 1886 წელს „დროების“ 141-ე ნომერში წერდა: „ბევრი ხანი არ არის, რაც სოფელ წინამძღვრიანთკარში, დუშეთის მაზრაში გაიმართა ქართული სამეურნეო სკოლა... ჰხედავ ამ სკოლის სიკეთეს, გულში გაოცებით ამბობ: დაუძინებელს მხნეობას, საქმის უანგაროდ და გულწრფელად სიყვარულს, ერთობ ზნეობითს ძალ-ღონეს ერთს რაიმე სიკეთეზე დაუინებით და უკან დაუხეველად მიმართულს, სწორედ სასწაული შესძლებია“.

1887 წლის ოქტომბერში ილია ჭავჭავაძის ქვისლის აგრონომ სტაროსელსკის მოწვევით საქართველოში სტუმრად ჩამოვიდა ყირიმში (ქ. იალტაში) არსებული საბაღოსნო-სამეურნეო სკოლის გამგებელი, ცნობილი სუბტროპიკოსი აგრონომი ნიკიტინი (მის პატივსაცემად ქ. იალტის ბოტანიკურ ბაღს მინიჭებული აქვს ნიკიტინის სახელი). ქართველთა შორის სასოფლო-სამეურნეო განათლების დანერგვით დაინტერესებულმა ილია ჭავჭავაძემ კარგად გამოიყენა ნიკიტინის საგურამოში სტუმრობა. ნიკიტინს ილიამ გააცნო წინამძღვრიანთკარის სკოლის საქმიანობა. ნიკიტინი მოხიბლულა ილია ჭავჭავაძით. ილიას თხოვნით ნიკიტინი დათანხმდა იალტის საბაღოსნო სკოლაში მიეღო 15 ახალგაზრდა, რომელნიც წარმატებით დაამთავრებდნენ სასწავლებელს.

ილია წინამძღვრიშვილი სისტემატურად ეცნობოდა რუსეთში არსებულ სამეურნეო სკოლების მუშაობას და, რაც კარგი იყო იქ, ნერგავდა თავის საკუთარ სკოლაში. 1889 წელს ილია იალტაში ჩავიდა ნიკიტინის სამეურნეო სკოლისა და ბაღის გასაცნობად. აქ მაშინ სწავლობდა ილიას ყოფილი მოსწავლე ა. შარაშიძე. ნიკიტინის სკოლაში გულთბილად მიიღო ქართველი საზოგადო მოღვაწე. დირექციამ იგი მიმდინარე პედაგოგიურ თათბირზე მიიწვია. თავისი გამოცდილით ილიამ კარგი შთაბეჭდილება დატოვა თათბირის ყველა მონაწილეზე. ამის შესახებ ა. შარაშიძე წერს: „1889 წლის ენკენისთვე დაუვიწყარი გახდა არა მარტო იმ ქართველთათვის, რომლებიც იმ დროს ნიკიტინის სასწავლებელში სწავლობდნენ, არამედ მთელი ამ სასწავლებლისათვისაც“.

იმ დროს ნიკიტაში სამი-ოთხი ქართველი ვსწავლობდით და ხშირად გეტანჯავდა ის გარემოება, რომ იქაურ მასწავლებლებს არავითარი წარმოდგენა არ ჰქონდათ საქართველოსა და ქართველებზე, რომ ვერც ერთ ისეთ ქართველს ისინი ვერ იცნობდნენ, რომელიც

რითიმე შესანიშნავი და ყურადღების ღირსი ყოფილიყო. 1889 წლის ენკენისთვეში ნიკიტაში მყოფმა ქართველმა შეგირდებმა ერთბაშად ვაგრაძობიერ ჩვენს ამხანაგებს და მთელ იქაურ მასწავლებლებს, რომ ჩვენც შეგვიძლია ვიამაყოთ გამოჩენილი თანამემამულეთ...
ლით...

ამ თვეში მოულოდნელად ესტუმრა ჩვენს სასწავლებელს ძვირფასი ილია წინამძღვრიშვილი. ის რომ ეტლიდან ჩამოხტა სასწავლებლის მაშინდელი დირექტორი და მთელი მასწავლებლები რჩევაზე იყვნენ ერთ ოთახში შეგროვილი. ილიას რომ ეს მოახსენეს, ის თამამად შევიდა რჩევის ოთახში და გაეცნო ყველას. როგორც წინამძღვრიანთკარის სამეურნეო სკოლის პატრონი. იმ დროს ნიკიტის სასწავლებლის დირექტორად იყო ბაზაროვი, საკმაო მომზადებისა და ტაქტის კაცი. ის ძალიან თავაზიანად დაუხვდა ქართველ მოღვაწე-მეურნეს, სთხოვა მიეღო მონაწილეობა იმათ თათბირში და დიდის ყურადღებით მიეღო ყოველივე მისი ნათქვამი. ილიას სიმპატიურმა, მიმზიდველმა მიზგრა-მოხვრამ და გულწრფელმა, ჭკვიანმა და გაბედულმა მსჯელობამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ყველაზე. მისმა მოსვლამ მთელი სასწავლებელი გაიოცოცხლა, ააღპარაკა, ყველა მოხიბლა. ის ესწრებოდა გაკვეთილებზე, ეცნობოდა სასწავლებლის მდგომარეობას, უკვირდებოდა წვრილმან რამეებსაც კი. იმ დროს რუსულ ენას ასწავლიდა ვინმე სოკოლოვი (მა ჩვენში ცნობილი ვექილი დ. ნ. სოკოლოვისა), იმის გაკვეთილსაც დაესწრო და საჩუქრად გადასცა ი. გოგებაშვილის „Русское право“ და მისი სწავლების მეთოდოკა. მასთან აუხსნა და გაეცნო გოგებაშვილის მოღვაწეობა. მეღვინეთ იმ დროს მცოდნე ქიმიკოსი სოლომონი იყო, ილიას წინანდელი ნაცნობი, რომელთანაც დიდი ხნობით ბაასობდა-მსჯელობდა ილია მეღვინეობის შესახებ. ნიკიტაში ილიას მოსვლის მიზეზი უმთავრესად იყო ისა, რომ თუ ეს სასწავლებელი მას მოეწონებოდა, ეგზავნა იქ თავის სკოლაში სწავლადამთავრებული საუკეთესო შეგირდები სწავლის გასაგრძობათ. ახლაც მოიყვანა მან სამი მოსწავლე, რომლებიც მიიღეს მესამე კლასში. ეს დიდად საყურადღებო გარემოება იყო, რადგან სპეც. სავნები ნიკიტაში პირველი კლასიდანვე იწყებოდა და ამ კლასის ზევით შეგირდებს არ იღებდნენ. ეს გარემოება იყო იმის მაჩვენებელი, რომ წინამძღვრიანთკარის სკოლა ჩინებულად ამზადებდა თავის შეგირდებს. ილიას მიერ მოყვანილი სამივე შეგირდი საუკეთესოდ სწავლობდნენ და წარჩინებით დაამთავრეს კურსი. ამის მერე ილიას სკოლიდან ყოველ წელს შედის ნიკიტის სასწავლებელში რამდენი-



Լուս. 2. Բնակեցման համայնքի սպորտային կենտրոնի մեծ սրահում

მე მოსწავლე და დასრულების შემდეგ ავრცელებს სამეურნეო ცოდნას ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეებში.

ნიკიტაში ილიამ რამდენიმე კვირა დაჰყო, სანამ კარგად არ გაეცნო იქაურ სკოლას.

მისმა იქ ყოფნამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მთელ სასწავლებელზე, ხოლო ჩვენ, მაშინდელი იქაური ქართველი შეგირდები, წელში გაგვასწორა, თავის თავის პატივისცემა გავვისამყეცა. მისი გაცნობით ჩვენს თვალში ძალიან გაიზარდა და გაკეთილშობილდა ის საგნებიც, რასაც აქამდის თითქოს უნებურად და უხალისოდ ვსწავლობდით. ილიამ შეგვაყვარა მეურნეობა, შეგვახსნა ფრთები და ერთიანად განაახლა ჩვენი გული და სული, მთელი ჩვენი არსება“⁹.

1889 წელს მოხდა სკოლადამთავრებულთა პირველი გამოშვება, რამაც დიდი სიხარული გამოიწვია ქართველ საზოგადოებაში. სკოლის მიღწევებმა და მის მიერ გამოშვებულმა კადრებმა მთელი ქართველი ხალხი აალაპარაკა. ილია წინამძღვრიშვილი თითოთ საჩვენებელი და სამაგალითო პიროვნება შეიქნა. იაკობ გოგებაშვილი ამბობდა: რომ „ეს სკოლა არის განხორციელებული პრინციპი ჭეშმარიტი განათლებისა, იმისთანა პრინციპი, რომლის გარეშე ერის ყვებზე წამოყენება და მისი წარმატება ყოველად შეუძლებელია. სადაც კი ჭეშმარიტი განათლების ლამპარი დანთებულა, დედაბოძად მას ქონია და აქვს დედა ენა, სწავლება დედა ენაზედ... წინამძღვრიანთკარის სკოლა ადგია მტკიცედ და შეურყევლად ამ დალოცვილსა და ჭეშმარიტ გზას განათლებისას; მართო იგი ასრულებს ძირითად მცნებას პედაგოგიისას, მხოლოდ მას უპყრია ხელში დროშა გონებრივი წმინდა სანთლისა; მართო იგია მოშორებული კვამლსა და ხრჩოლვას, რომელიც მეტნაკლებობით ტრიალებს ყველა სხვა სასწავლებელში და სულს უხუთავს მოზარდ თაობას, ფრთას უკვეცავს გონებას და მისწრაფებას“. ასე აღნიშნა ეს ფაქტი ი. გოგებაშვილმა, რომელმაც მიაღწია იმასაც, რომ სკოლას ბანკიდან მიეღო მუდმივი სუფსილია.

1913 წლის 4 სექტემბერს სკოლას შეუხსრულდა 30 წელი, რაც ქართველმა ხალხმა დიდი ზეიმით აღნიშნა. მოხდა სკოლის მუშაო-

⁹ „სასოფლო გაზეთი“, 1913, № 43, გვ. 3.

ბის ერთგვარი შეჯამება, გამოჩნდა ამ სკოლის და მისი დამაარსებლის დიდი დამსახურება ქართველი ხალხის წინაშე. ზეიმზე ჩამოვიდნენ საქართველოს თითქმის ყველა კუთხიდან. აქ იყვნენ: საზოგადო მოღვაწენი, ინტელიგენცია და დიდძალი გლეხობა. წარმოიქმნა ბევრი თბილი და შინაარსიანი სიტყვა.

სკოლის ყოფილმა მოწაფემ და შემდეგში გამგემ სიმონ ზუნდაძემ მიმართა დამსწრე საზოგადოებას: „ბატონი ილია, ისე როგორც 30 წლის წინათ, დღესაც თავს ევლება ამ სკოლას და დღე და ღამე მის კეთილდღეობაზე ზრუნავს. საკვირველი და გასაოცარია ამ დიდებული კაცის ბუნება! 30 წელიწადი ასეთი მძიმე ტვირთი ატარა და არ დაიღალა, განა ჩვენში მსგავსი რამ ვინმეს გაგიგონიათ! მახსოვს ამ 28 წლის წინათ, სწორედ 4 სექტემბერს, როცა ამ სკოლაში მიმბარეს, ილია თავს ევლებოდა სკოლას, მასწავლებლებსა და ბავშვებს შრომას ასწავლიდა. სიხარულსა და უნარს უნერგავდა ყველას, ვინც გარშემო ეხვია... 30 წლის წინათ აქ მარტო ცარიელი მინდორი იყო და დღეს აქაურობა ქალაქსა ჰგავს მრავალი საჭირო შენობებით და ბაღით შემკული. ყოველივე ეს ერთი კაცის მადლიანი უნარით არის შექმნილი... მაშ გაუმარჯოს ჩვენს დიდ მოამბავს და უანგარო მოღვაწეს ილია წინამძღვრიშვილს, რომელმაც ასე თვალსაჩინო გახადა ეს სკოლა, მადლობა და დიდხანს სიცოცხლე მას“¹⁰.

„სასოფლო გაზეთმა“ წინამძღვრიანთკარის სასწავლებლის იუბილესთან დაკავშირებით დაბეჭდა წერილი „იშვიათი დღესასწაული“. აქ ვკითხულობთ: „იმ დღიდან მოკიდებული ვიდრე დღევანდლამდე, სრული 30 წლის განმავლობაში თავს ევლება ეს სახელოვანი ქართველი თავის შვილს. ის არის მისი სიხარულისა და მწუხარების საგანი, ის არის მისი მუდმივი შრომისა და ფიქრის მიზეზი. იმითა და მხოლოდ მისთვის ცხოვრობს, მასზე იწვის და ზრუნავს აწ უკვე მოხუცი, მაგრამ მოუდრეკელი მოღვაწე ილია ივანეს ძე წინამძღვრიშვილი... ოცდაათი წელიწადი! ეს არც ისე დიდი დროა. ილია ივანეს ძე წინამძღვრიშვილი... თავისი დაუღალავი შრომის ნაყოფს, თავის პირმშოს, წინამძღვრიანთკარის სკოლას ახარჯავს, თითონ იკლებს, იმისათვის არ ზოგავს. და ეს ასე 30 წლის განმავლობაში! აბა გადაავლეთ თვალი ჩვენს პატარა ქვეყანას: განა შეგხვდებათ სადმე მეორე ასეთი ქართველი? ვაი, რომ არა! ძებნა ამაოა! და ვამაყობთ, რომ ეს ერთი მაინც გვყავს...“

¹⁰ ქურხალი „განათლება“, 1913, № 7, გვ. 549.

...ძნელი სათქმელია, ვის ეკუთვნის დღევანდელი დღესასწაული? წინამძღვრიანთკარის სკოლას თუ მის ღირსეულ მამას, მის დაუღალავ ჭირისუფალს ილია ივანეს ძე წინამძღვრიშვილს? მაგრამ შეიძლება განა ვაიყოს განუყოფელი? არა და არა. წინამძღვრიანთკარის სკოლა და ილია წინამძღვრიშვილი ეს ერთი არსებობაა, ორივეს ერთი მაჯა და გული უცემს, ერთი აზრი და განზრახვა ამოქმედებს. ერთის დღესასწაული მეორის სიხარულია. დღევანდელი დღესასწაული—დღესასწაულია 30 წლის უანგარო მოღვაწეობისა, გულწრფელი სიყვარულისა და დაუცხრომელი ენერჯისა. ეს ერთნაირად ითქმის როგორც წინამძღვრიანთკარის სკოლაზე, აგრეთვე მის სულის ჩამდგმელ, იშვიათ ქართველ, ილია ივანეს ძე წინამძღვრიშვილზე“¹¹.

ამ დროისათვის მეღვინეობის შესასწავლად სკოლას გააჩნდა მარანი ოთხი ათასი ვედრო (ვედრო უდრის 12 ლიტრს) ღვინისათვის. პრაქტიკულად მეღვინეობა სკოლაში დაიწყო 1892 წლიდან, რადგან ამ წლამდე სკოლას არ ჰქონდა საკუთარი ვენახი. 1913 წლისათვის კი სკოლის მეურნეობაში ყველაზე კარგად მოვლილი და მოწყობილი ვენახი და ხილის ბაღი იყო. აქ ადგილობრივი ვაზის ჯიშებიდან ჰქონდათ: რქაწითელი, მწვანე და თავკვერი, ევროპულიდან — სემილიონი, კაბერნე-სემილიონი, შავი და თეთრი მუსკატი, რისლინგი, თეთრი და წითელი პინო და სხვ.

სკოლას ჰქონდა აგრეთვე ვაზისა და ხეხილის სანერგეები. ვაზის სანერგეში გაშენებული იყო რიპარია-რუპესტრისა და რუპესტრის-დულო. სკოლა ყოველ წელიწადს ამზადებდა 5—6 ათას ნამყენს. სამი წლის მანძილზე აქედან გლეხობას 18 ათასი ნამყენი გაუტანიათ. სკოლის ხეხილის სანერგეში უმთავრესად იყო კოლექციები კალეილისა, რენეტისა, დუშესი, ალექსანდრიულისა და სხვ.

სკოლას მონაწილეობა მიუღია 1889—1901 წწ. კავკასიის სამეურნეო და სამრეწველო გამოფენებში. გამოფენებზე იგი დააჯილდოეს ვერცხლისა და ოქროს მედლებით ღვინის რაციონალურად დაყენებისა და სამეურნეო ცოდნის ხალხში გავრცელებისათვის.

ინტერესმოკლებული არ იქნება შემდეგი მონაცემების მოყვანა: სკოლამ 1913 წლამდე მიიღო 623 მოსწავლე. აქედან: თავადი 50, აზნაური 121, მოქალაქე 13, გლეხი 400, სულ — 623; ეროვნებით: ქართველი 595, რუსი, 3, სომეხი 23, მაჰმადიანი 2, სულ—623; თბილისიდან 3, გორიდან 12, დუშეთიდან 117, თიანეთიდან 9, სიღ-

¹¹ „სასოფლო გაზეთი“, 1913, № 43, გვ. 2, 3. წერილს ავტორის გვარი არ აქვს მიწერილი.



ՀԱՅԿԵՍՏԱՆԻ
ՀԱՅԿԱԳՐԱԴԱՐԱՆ



կրկ. 4. Բնակավայրում գտնվող կառուցվածք

ნალიდან 1, ქუთაისიდან 3, ოზურგეთიდან 8, სულ 153, დანაქრქენი, ნაწილი, ე. ი. 470 მოსწავლე, ადგილობრივ გლეხთა შვილებს (იქმთაქმე)...

ჩვენ ვესაუბრეთ აგრონომ რევაზ გედევანიშვილს, რომელიც ლექციებს კითხულობდა წინამძღვრიანთკარის სკოლაში. მან გვიამბო: „1912 წლის სექტემბრის ბოლო რიცხვებში ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების დარბაზში მოხსენება გავაკეთე საქართველოში მეცხოველეობის განვითარების და მისი გაუმჯობესების შესახებ. მოხსენებას დაესწრო ილია წინამძღვრიანიშვილიც. მესამე დღეს საზოგადოების თავმჯდომარე დიმიტრი ჩოლოყაშვილმა გამომიძახა და გადმომცა ილიას განცხადება, რომელშიც ჩოლოყაშვილს თხოვდა წინამძღვრიანთკარის სკოლაში ლექციები წამეკითხა მეცხოველეობაზე. ჩოლოყაშვილის ამ წინადადებას სიამოვნებით დავეთანხმე. მანვე მომცა ილიას მისამართი და გამგზავნა მასთან სახლში. ილია ცხოვრობდა მტკვრის მარცხენა მხარეზე. ზარას ხმაზე კარი თვით ილიამ გამიღო და ღიმილით მომმართა: „ჩემ განცხადებაზე მოხვედი?! ბიჭია თუ ქალიო“. გაუხარდა ჩემი თანხმობა და მითხრა:... კვირას წავიდეთ წინამძღვრიანთკარში, მიგიყვან, გავაცნობ მასწავლებლებსა და მოწაფეებს, შეთანხმდები სკოლის გამგესთან — კვირის რომელ დღეს ივლი ლექციების წასაკითხავად და მერე შენ იციო.

კვირა დილით მივედი ილიასთან. ის უკვე მზად იყო. აიღო პალტო და გამოვედით სახლიდან. საუბრით ავედი ავეჯალის ქუჩაზე (ამჟამად საბჭოს ქუჩაზე), ტრამვაის გაჩერებასთან მივატანეთ, მაგრამ ილია შეუჩერებლად განაგრძობდა სიარულს. მეგონა ლაპარაკში გართულმა ვერ შეამჩნია ტრამვაის გაჩერება და შევახსენე. ილია მობრუნდა, შემომხედა, გამიღიმა და მითხრა: „გაწუხებს შაური? აბა, მომეცი აქ, მეც შაურს დავადებ და ოთხ რვეულს ვიყიდო“. ფული გამომართვა, თავისიც დაუმატა და ოთხი რვეული იყადა. ჩაიღო პალტოს ჯიბეში და მითხრა: „ამით ჩემ ოთხ ბიჭს გავახარებო“. უზომოდ გამიკვირდა 78 წლის მოხუცის ასეთი გულისხმიერება. სიხარულისაგან სუნთქვა შემეკრა და კარგა ხანს ხმა ვერ ამოვიღე. მცხეთიდან ეტლით. წავედით. წიწამურის გზას რომ დავადგეით შევეკითხე ცოლ-შვილი თუ გყავს-მეთქი. მან მიპასუხა: „მაგ მხრივ ბედი არ მქონია, ცოლი დიდი ხანია გარდამეცვალა და არც შვილი დამრჩენია, მაგრამ უშვილობას არ ვემდური, ბედნიერი ვარ. შვალეები მრავლად მყავს და როცა სკოლაში მივალთ, მათ ნაწილს იქ ნა-

¹² „მოსავალი“, 1913, № 19 — 20, გვ. 11.

ხაეთო“. როგორც კი დიდრ ილიას მკვლევლობის ადგილს მკვლევარებმა დაიხსნეს, ამოიხსნა და გულდაწყვეტით თქვა: „ესეც შენი დიდი მოამბე ქვეყნის საღარი კაცი და ნაზე, თავისი წესით სიკვდილით არ ვაღიროსეთო. კარგა ხანს იყო ასე გულნატკენი და გაჩუმებული. წინამძღვრიანთკარის გზას რომ დაეადექით, გამოჩნდა ხალხმრავალი კრებული. „აი ზედავ, ეგენი სულ ჩემი შვილებია“, -- მითხრა ილიამ. ისინი სკოლის მოწაფეები იყვნენ, ვაშას ძახილით შემოგვევგებნენ, შემოეხვივნენ ეტლს ირგვლივ და კონსიდენენ ილიას. ილიამ თავის მხრივ მოიკითხა ისინი თავიანთი მასწავლებლებით. ამ სურათის შემზედავს, გული ამიჩუყდა და ცრემლები გადმომცვივდა. ეს ცრემლები უზომო სიხარულის განცდებით იყო გამოწვეული“.

1850 წელს დაარსდა კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოება. ამ საზოგადოების მიზანი იყო სოფლის მეურნეობის რაციონალიზაცია, მეცხოველეობის, მებაღეობის, მევენახეობისა და საერთოდ ტექნიკური კულტურების განვითარება. რათა კავკასიის რუსეთის მრეწველობისათვის ეწარმოებინა საჭირო ნედლეული. საზოგადოება იღებდა ზომებს, რომ ამიერკავკასიაში სასურველ განვითარებას მიეღწია მეცხვარეობას, მეღორეობას, მეცხენეობას, მევენახეობას, ჩაისა და თამბაქოს მეურნეობებს, მეაბრეშუმეობასა და სხვ.¹²

ამ საზოგადოების აქტიური წევრი იყო ილია წინამძღვრიშვილი. იგი სისტემატურად მონაწილეობდა საზოგადოების მიერ გამართულ კრებებში, სადაც იხილავდნენ საქართველოს სოფლის მეურნეობის საჭირობოროტო საკითხებს. ილიას დიდად არ მოსწონდა კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების მუშაობა. მან 1892 წელს კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოების კრებაზე წაიკითხა მოხსენება, სადაც ამბობდა: „საიმპერატორო კავკასიის სამეურნეო საზოგადოება დღითი-დღე იმას უნდა ფიქრობდეს, რომ ჩვენ ქვეყანაში გაავრცელოს ნამდვილი მეურნეობა, მოჰქონოს ხალხში პრაქტიკული (გამოცდილებით შექმნილი) მეურნეობის ცოდნა, უჩვენოს მკვიდრთ ახალი ევროპიული გუთნები, იარაღები, მათი მოხმარება, სიკეთე აბრეშუმის, ფუტკრის და ვაზის მოჭლა-მოშენება; დაურიგოს მეურნეს სხვადასხვაგვარი პურეული და სხვა მცენარე თესლეულობა. დაურიგოს იმათ მდაბიურს ენაზე (რუსულად, ქართულად, სომხურად და თათრულად) შედგენილი სხვადასხვა მეურნეობის საგანზედ ხალხის საკითხავად წიგნაკები... მაგრამ ამ შიშიმე

¹² ვ. კიკვიძე, საქართველოს ისტორია, თბილისი, 1954, გვ. 225.

ტვირთის ასასრულებლად დიდად საქიროა, რომ კავკასიის სამეურ-
ნეო საზოგადოებისა და ხალხთა შორის იყოს მტკიცე შეურყვეველ
კავშირი“¹⁴.

ილია წინამძღვრიშვილი მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე
ცდილობდა ხელი შეეწყო და წელში გაემართა მის მიერ დაარსებუ-
ლი სასწავლებელი. თუკი რამ განდებოდა სასარგებლო მისი სას-
წავლებლისათვის, სახელმძღვანელო იქნებოდა თუ საკითხავი წიგ-
ნი, სურათი, რუკა. გაუმჭობესებული ჭიშის მცენარე, თესვითობა
თუ საქონელი, აუცილებლად გააჩენდა მას საყვარელ სასწავლებელ-
ში. მან აადგმევინა ფეხი სამეურნეო ცოდნის გავრცელებას და თა-
ვის დროზე როგორც ქართლ-კახეთში, ისე იმერეთ-გურია-სამეგრ-
ელოში მოპოვნა თავის სასწავლებელში მომზადებული მეურნეუ-
ბი¹⁵.

ილია წინამძღვრიშვილის მიერ დაარსებულმა სასოფლო-სამე-
ურნეო სკოლამ დიდი სარგებლობა მოუტანა ქართველ ხალხს. მან
ხელი შეუწყო ხალხში სასოფლო-სამეურნეო მიღწევებსა და ცოდ-
ნის გავრცელებას. საყურადღებოა, რომ სკოლაში მოსწავლეთა უმ-
რავლესობა გლეხთა ფენიდან იყო გამოსული.

წინამძღვრიანთკარის სკოლა დაამთავრეს და შემდეგში ცნობილი
აგრონომები გახდნენ ვ. ნახუცრიშვილი, თ. მეგრელიშვილი, ნ. ან-
დრონიკაშვილი, კ. ნაკაშიძე, ა. წულაძე, ს. ხუნდაძე და მრავალი
სხვ. მათ მტკიცედ ჰქონდათ შეგნებული, რომ ცოდნა და შრომა არის
ერთადერთი საშუალება ქვეყნის ბედნიერებისათვის. მრავალი მათ-
განი დღემდე ნაყოფიერად მოღვაწეობს ჩვენი სოციალისტური მე-
ურნეობის ფრონტზე. აი ზოგიერთი მათგანი.

კოტე ქარცივაძე 50 წელია მოღვაწეობს შავი ზღვის
სანაპიროს საქართველოს სუბტროპიკულ რაიონებში. მან პირველმა
შემოიტანა გარეული ლიმონის (ტრიფოლიატი) საძირე; კოტე ქარ-
ცივაძე დღესაც ჩაქვის მეურნეობის აგრონომ-კონსულტანტია. მას
რესპუბლიკის დამსახურებული აგრონომის წოდება მიენიჭა.

ვასილ ბესტავეაშვილი — ცნობილი მიჩუბინელი,
რომელიც დღესაც ნაყოფიერად მოღვაწეობს ქართლის რაიონებში.

ყველასათვის ცნობილი მიხეილ მამულაშვილი. ის
ილიამ წინამძღვრიანთკარის სკოლის დამთავრების შემდეგ ყირიმში

¹⁴ „მეურნე“. „კავკასიის საიმპერატორო საზოგადოების წევრთა კრება“,
1892, № 1, გვ. 8, 9. № 4, გვ. 10.

¹⁵ თურნალი „განათლება“, 1913, № 7, გვ. 600.

გაგზავნა სწავლის გასაგრძელებლად. 89 წლის მოხუცი კვლავ მხნედ მუშაობს.

ლ ა დო რ ა მ ი შ ვ ი ლ ი დღესაც ახალგაზრდული ენერგიით განაგრძობს მუშაობას საკოლმეურნეო ფერმებში.

შავი ზღვის სანაპიროზე საყოველთაოდ ცნობილი ნოვატორ-მეციტრუსეებია აჭარის მკვიდრნი: ა. ზოიძე, მ. ანთაძე, შავი შვილი, დ. ტაკიძე და სხვ.

წინამძღვრიანთკარის სკოლადამთავრებულთა დიდი უმრავლესობა უბრუნდებოდა თავის მეურნეობას და ცდილობდა პრაქტიკულად გამოეყენებინა სკოლაში მიღებული ცოდნა და გამოცდილება. ეს გარემოება ხელს უწყობდა საქართველოს სოფლის მეურნეობის წინსვლას. სოფლის მეურნეობაში ინერგებოდა ახალი სამეურნეო გამოცდილება, იღვივებდა ინტერესი გაუმჯობესებული სასოფლო-სამეურნეო მანქანებისადმი, ადვილი ხდებოდა ამ მანქანების გავრცელება და მათი გამოყენება. სკოლადამთავრებულთა ერთი ნაწილი კი სწავლას აგრძელებდა რუსეთისა და ევროპის სამეურნეო სასწავლებლებში და აგრონომებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო მუშაეთა ეროვნულ მაღალკვალიფიციურ კადრს ქმნიდა.

არსებობის 78 წლის მანძილზე წინამძღვრიანთკარის სკოლამ სამი ათასზე მეტი სპეციალისტი მოამზადა. სხვათა შორის ეს სასოფლო-სამეურნეო სკოლა ჰქონდა დამთავრებული ჩვენს საყვარელ მწერალს მ. ჯავახიშვილს.

წინამძღვრიანთკარის სასოფლო-სამეურნეო სკოლა 1933 წლამდე არსებობდა. ამ სკოლის საფუძველზე აქ შეიქმნა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი. ამჟამად აქ 250-ზე მეტი ახალგაზრდა ეუფლება სოფლის მეურნეობის ისეთ დარგებს, როგორცაა: მევენახეობა, მებოსტნეობა და მეფუტკრეობა.

ილია წინამძღვრიშვილი გარდაიცვალა 1920 წლის 2 სექტემბერს (86 წლის ასაკში) თბილისში. იგი თავისი ანდერძის თანახმად დაკრძალულ იქნა წინამძღვრიანთკარში.

იაკობ მაჩი

იაკობ მარი ეკუთვნის უცხოელ მოღვაწეთა იმ პლევადს, რომლებიც მთელი თავიანთი ცოდნითა და ენერგიით პატიოსნად შრომობდნენ ჩვენი ერის საკეთილდღეოდ, მარჯორი უორდროპის, არტურ ლაისტისა და სხვათა მსგავსად, რომელთაც თავიანთი წვლილი

შეიტანეს ქართული კულტურის განვითარების საქმეში. იაკობ მარი
მაც გარკვეული ამაგი დასდო ჩვენს ქვეყანას და ჩვენს ხალხს. ჩოლო
მისი ვაჟი ნიკო იაკობის ძე მარი ცნობილი მეცნიერი და საზოგადო
მოღვაწე იყო.

იაკობ პატრიკის ძე მარი (მანტალიო) დაიბადა 1793 წელს,
შოტლანდიაში, სოფელ ლუიქეში. იქვე გაატარა ბავშვობა და მიი-
ღო პირველდაწყებითი განათლება. იგი დაუახლოვდა იმ დროს ინ-
გლისში მცხოვრებ მიხეილ სიმონის ძე ვორონცოვს (შემდეგში პე-
ფის ნაცვალს კავკასიაში) და მასთან ერთად დაამთავრა უმაღლესი
სასწავლებელი.

უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ იაკობი იძულებული
გახდა დაეტოვებინა სამშობლო და სხვა ქვეყანაში წასულიყო სა-
მუშაოდ. იმ ხანებში მის გვარს სხვადასხვა მიზეზის გამო ავიწროებ-
დნენ მაშინდელი ინგლისელი ხელისუფალნი. პირველად ესპანეთში
ჩავიდა და კომერციას მოკიდა ხელი. იქვე ცოლად შეირთო ესპანე-
ლი ქალი ფაქუნდა ანტონიო. სულ მალე იაკობ მარი თავისი ცოლ-
შვილით ოდესაში ჩამოვიდა სხვა უცხოელ ვაჭრებთან ერთად. ის
აქ მსახურობდა ინგლისის სავაჭრო სახლში „ატულაში“; „ატულა“
ვაჭრობდა საქართველოშიც და თავისი ბაზები ჰქონდა რედუდკა-
ლესა და თბილისში. იმ დროს კომერსანტებს ხელს უწყობდა მეფის
მთავრობის კანონი. აძლევდა მათ შეღავათებს და ერთი ადგილიდან
მეორეზე გადასვლისა და საქონლის გადატანის საშუალებას. რუ-
სეთში რამდენიმე წლის ცხოვრების შემდეგ იაკობი საქართველო-
ში ჩამოვიდა.

იაკობ მარი თავისი ოჯახით პირველად თბილისს ესტუმრა და
კომერციულ საქმიანობას განაგრძობდა. თბილისელმა ვაჭრებმა მა-
რის წინააღმდეგ ამხედრეს ქალაქის ხელისუფლება და დაუწყეს
შევიწროება. ეს მოხდა მე-19 საუკუნის 20-იან წლებში, როცა და-
სავლეთი საქართველო ჯერ კიდევ არ ემორჩილებოდა მთლიანად მე-
ფის ხელისუფლებას. მაგალითად გურია, მთლიანად თუ არა ნაწილი
მაინც, მამია გურიელის განკარგულებაში იყო. სწორედ ამ პერი-
ოდში მარი გურიელთან მივიდა და თავისი სამსახური შესთავაზა.
მამიამ იგი სიამოვნებით მიიღო, რადგან იმ დროისათვის ჩვენში იშ-
ვიათად მოიპოვებოდა სწავლული აგრონომი და მეურნეობის კარ-
გი მცოდნე. იაკობს მამია გურიელმა ოზურგეთის ბალის მოწყობა
დაავალა. შრომისმოყვარე ინგლისელმა ამ საქმეს გულმოდგინე-
ბით მოკიდა ხელი და ოზურგეთში (გურიელის მიწაზე) ბაღი გააშე-
ნა.



Լճի. Զ. գետնային ճանապարհի վրա

იაკობ მარმა მამია გურიელს სთხოვა მიეცა მისთვის დასამუშავებლად მიწა, სადაც მოაწყობდა სანერგესა და საცდელ ნაჯექებსა. მარი ძლიერ დაუახლოვდა მამია გურიელსა და მის ოჯახს. გურიელი დიდი უფლებებით სარგებლობდა გურიაში. მარს მან ოზურგეთის მაზრაში, ლანჩხუთის ახლოს, მისცა სამოსახლო და დასამუშავებელი ადგილ-მამული 15 ყმა ოჯახით. იაკობ მარმა ყმებზე უარი განაცხადა. ამის შესახებ 1874 წელს გაზეთი „დროება“ წერდა: მარი „საქებად მოიქცა: იმას მთავარმა მამიამ შეძლია რამოდენიმე კომლი კაცი კუთვნილი მამულებით, მაგრამ, როგორც პატოსანმა და სინდისგაწმენდილმა კაცმა, დამწვიდებით უარყო და უპასუხა: „მე სინდისი და მთელი ჰკუა ნებას არ მაძლევს, რომ ჩემისთანა კაცები მე მონებად მყავდესო“¹.

იაკობ მარმა დაიწყო გურიელისაგან ნაბოძები მამულის შესწავლა და საკუთარი მეურნეობის მოწყობა. მისი აზრით, ლანჩხუთის მიდამოები გამოუსადეგარი იქნებოდა ვენახისა და ხეხილის გასაშენებლად. ის ისევ გამოეცხადა გურიელს და გააცნო მას თავისი მოსაზრება. გურიელმა მითითება მისცა თავად ერისთავს გამოეყო ინგლისელისათვის ის ადგილები, რომელსაც მარი აირჩევდა მეურნეობის მოსაწყობად. იაკობმა დატოვა თავისი კარმიდამო ლანჩხუთში და ჩოხატაურის ახლოს, სოფელ დაბლაციხეში (მდინარე სუფსის ნაპირას) დასახლდა. აქ მარმა მოაწყო შესანიშნავი მეურნეობა. მან უცხოეთიდან გამოიწერა ისეთი მცენარეები, რომლებიც მანამდე აქ არ ხარობდა. მან ამავე დროს ხელი მოჰკიდა გურიაში არსებული ჭიშების გაუმჯობესების საქმეს. უკვე რამდენიმე წლის განმავლობაში მან დიდი მუშაობა ჩაატარა: საზღვარგარეთიდან სისტემატურად შემოჰქონდა სოფლის მეურნეობის გაუმჯობესებული მანქანა-იარაღები; აწარმოებდა ცდებს სპეციალურ ნაჯექებზე. პირველი ცდა სპარსეთიდან შემოტანილ ბამბაზე დააყენა. ცდამ კარგი შედეგი გამოიღო: ბამბა მშვენივრად შეეგუა ადგილობრივ პირობებს.

ცდების ჩასატარებლად, თამბაქოს სანერგის მოსაწყობად, მიწის სამუშაოების შესასრულებლად, აგრეთვე ტრანსპორტისა და თესლისათვის, რომელიც სპარსეთიდან შემოჰქონდა, მარმა მთავრობისაგან ისესხა ოთხ ათასი მანეთი. ამის შესახებ ერთ-ერთ საარქივო დოკუმენტიდან ვგებულობთ, რომ მთავრობამ მარს სესხად მისცა 2000 მანეთი. ამ თანხით მას უნდა გაეფართოებინა თავისი მეურნეობა გურიაში, გაეშენებინა იქ თამბაქოს პლანტაციები და სხვა

¹ გაზეთი „დროება“, 1874, № 421.

კულტურები. აღნიშნული თანხა მარს ნაწილ-ნაწილ უნდა გადაეხადა სამი წლის განმავლობაში, ე. ი. 1863 წლიდან 1866 წლამდე. მაგრამ მარი, როგორც სოფლის მეურნეობის თვალსაჩინო მოღვაწე, ამევე დროს მუშაობდა მევენახეობისა და მეღვინეობის გაუმჯობესებისათვის. ამიტომ იაკობ მარს მოუთხოვია, რომ მასზე გაცემული თანხის დაფარვის ვადა მთავრობას სხვა დროისათვის გადაედება. მას უნდოდა ეს თანხა გამოეყენებინა დასავლეთ საქართველოს მევენახეობის გაუმჯობესებისათვის, რადგან გავრცელებული იყო ვაზის ავადმყოფობა და მევენახეობა არასახარბიელო მდგომარეობაში იმყოფებოდა².

იაკობმა ყირიმიდან შემოიტანა და თავის მამულში დათესა ინდიგოს თესლი. მან რამდენიმე ცდა დააყენა ვაზზე, რომელიც ყირიმიდან ჰქონდა გამოწერილი. მას უნდოდა შეექმნა ვაზის მუდმივი სანერგე საფრანგეთის ყაიდაზე. სამი წლის მანძილზე გამოიყენა ვაზის ახალი ჯიშები, რომლებიც კარგად განვითარდა.

1841 წელს მარი თავის მეურნეობაში აყენებდა 400 ვედრო საუკეთესო ხარისხის ღვინოს. „მარს წელიწადში მოჰყავს და ქუთაისში უციდის 2000 — 2500 ფრანკი ღირებულების ღვინოს“³. მას ჰყავდა დიდძალი საქონელი და შინაური ფრინველი.

1841 წელს იაკობი დროებით ტოვებს თავის კარმიდამოს და ოჯახით ქუთაისში გადადის საცხოვრებლად. მაგრამ სოფელ დაბლაციხესთან და თავის მეურნეობასთან მას კავშირი არ გაუწყვეტია. დაბლაციხეში დარჩა მისი ვაჟიშვილი ივანე.

ქუთაისში მარმა თან წაიყვანა რამდენიმე კაცი (კოტრიკაძე, შარაშიძეები, ელენტი და სხვ.), რომლებსაც სოფლის მეურნეობის საქმე შეასწავლა. იაკობ მარის ინიციატივით ქუთაისის ახლოს სოფელ ჭომაში კარგი მეურნეობა მოეწყო. მეურნეობას შემდეგში „ფერმა“ ეწოდა. ფერმაში, ძვირფასი მცენარეების გარდა, მარმა ხელი მოჰკიდა მესაქონლეობას, ჯიშინი საქონლისა და ფრინველის მოვლა-მოშენებას. მისივე ინიციატივით მოეწყო სასოფლო-სამეურნეო სკოლა საცდელი ნაკვეთითა და სანერგეებით.

მართან ჩამოდიოდნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხის მცხოვრებლები სოფლის მეურნეობის შესასწავლად. მარს ხშირად იწვევ-

² ШГИА, Финансовый департамент, 1860, ფონდი № 10, საქმე № 1130, ფურც. 2.

³ რ. დიუბუა, კავკასიაში მოგზაურობა, ტ. III, 1839, გვ. 115 (ფრანგულ ენაზე).

დნენ საკონსულტაციოდ საუფლისწულო მამულებსა და სხვადასხვა მეურნეობაში.

იაკობ მარის ხელმძღვანელობით მოეწყო ქუთაისის ^{საქონლმეურნეობის} ბაღი. მთავარმართებელ ვორონცოვის დაეალებით მარს ოზურგეთში, სოხუმში, ფოთსა და ზუგდიდში ბაღ-ვენახები უნდა გაეშენებინა (რისთვისაც წელიწადში ექვსასი მანეთი ჰქონდა დანიშნული). ამის ნათელსაყოფად ჩვენ აქ მოვიტანთ ერთ დოკუმენტს:

«Признавая полезным, — წერს მთავარმართებელი ი. მარს, — чтобы все сады и питомники в Имеретии и по соседству — находились в главном заведывании одного сведущего и опытного лица, поручаю Вам инспекцию образцовых сельско-хозяйственных заведений и плантаций, как ныне существующих, так и вновь учреждаемых в вышеозначенных местностях.

В надежде, что при исполнении возлагаемого мною на Вас поручения, вы окажете помощь разведению, умножению и улучшению всякого рода растений: садовых, кормовых, древесных, плодовых, огородных, мануфактурных, красильных и проч. свойственных климату и почве земли помянутой полосы, предлагаю Вам следующее: ныне существующий казенный сад в Кутаиси достаточен для первоначальных опытов разведения растений, тем более, что в случае избытка виноградных растений, не могущих вместиться на пространстве, занимаемом под садом, разрешаю Вам таковыя растения развивать соседним владельцам.

Так как для успешного разведения растений первым условием есть обилие в воде, то осмотрите находящийся в Кутаисском саду колодезь и донесите мне какими расходами можно будет привести его в надлежащее устройство.

Пользуясь предложением Вашим при предполагаемой Вами поездке весною в Трапизонд приобрести там растения без всякого денежного Вам вознаграждения на путевыя издержки и покупку сих растений, несколько покорно прошу Вас приобрести несколько сотень оливковых деревьев и розовых лавров (aleandrum) на перевозку же этих растений морем и потом сухим путем до Кутаиса отпущено будет в ведение Ваше примерно 200 р. сереб. ...»⁴.

მთელი ოცი წლის მანძილზე იაკობ მარი გურიისა და იმერეთის მცხოვრებთა გულწრფელი პატივისცემითა და სიყვარულით სარგებლობდა. მისი მეურნეობა სასარგებლო მაგალითი იყო ამ მხარეში,

⁴ ЦГИА Канц. и грузинско-имеретинского-гражданского губернатора, 1846, ფონდი № 16, ფურც. 2.



განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იაკობ მარის მუშაობაში იმ ცდებს, რომლებსაც ის სუბტროპიკული კულტურების განვითარებისა და გავრცელების საქმეში აწარმოებდა ამ კულტურებს იგი იწერდა საზღვარგარეთიდან. იაკობ მარი იყო საქართველოში ჩაის კულტურის გავრცელების პიონერი და ინიციატორი. ამ საქმეში მისი ღვაწლი განუზომელია.

თავადმა ვორონცოვმა მარს მიანდო მამია გურიელის ბაღის მმართველობა. ეს ბაღი თვითონ მარმა დააგირავა და გურიელის სიკვდილის შემდეგ ხაზინას გადაეცა. მარმა ბაღი ევროპისა და აზიის სხვადასხვა კუთხიდან გამოწერილი კულტურების საცდელ ნაკვეთად გადააქცია. მათ შორის იყო როგორც ფორთოხლისა და ლიმონის ხეები, ისე ჩაის ბუჩქები, რომელთა რაოდენობა მაშინ 200-მდე აღწევდა.

ყირიმის კომპანიის დამთავრების შემდეგ ოზურგეთის ბაღში, ხილისა და ლიმონის რამდენიმე ხის გარდა, მხოლოდ 25 ჩაის ბუჩქი აღმოჩნდა. მარის რჩევით ჩაის ბუჩქები მიხეილ ერისთავის მამულში სოფელ გორაში გადაიტანეს. ერისთავის სიცოცხლეში ბუჩქები მშვენივრად იზრდებოდა, თუმცა მისგან დამზადებული ჩაი არ გამოირჩეოდა განსაკუთრებული ღირსებით, რადგან არ ჰქონდათ ცოდნა და გამოცდილება ჩაის დამზადების საქმეში. შემდეგში აღნიშნული ჩაის ბუჩქები მარის მიერ გამოყვანილი ხეხილის ხეებთან ერთად უყურადღებობის გამო დაიღუპა. გადარჩა მხოლოდ რამდენიმე ბუჩქი, რომელთაც თავიანთი სიცოცხლისუნარიანობით დაამტკიცეს აქაური კლიმატის ვარგისიანობა ჩაის ბუჩქის გაშენებისათვის⁵.

აღსანიშნავია, რომ იაკობ მარს მკიდრო კავშირი ჰქონდა გლეხობასთან: ასწავლიდა მათ მიწის კულტურულად დამუშავებას; ზრუნავდა მათი მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის და სწერდა მოხსენებით ბარათებს მაშინდელ ხელისუფალთა მისამართით. ამ მოხსენებებში მარი ასაბუთებდა, რომ გურული გლეხი განაცდის მიწის ნაკლებობას, არ იცის მიწის გამოხიერება და ამიტომ იძულებულია მიატოვოს გამოფიტული მიწა და სამუშაო სხვაგან ეპიოსო. მარი მოითხოვდა, რომ მთავრობას გამოენახა რაიმე ღონისძიება გლეხთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლის გასაღიდებლად. «გურიის მიწების უმეტე-

⁵ „Кавказ“ 25. X. 1879, № 2.

სობა მხოლოდ საშუალო ნაყოფიერებისაა, გარდა შლამიანი გიწებისა მდინარეთა ნაპირებზე, დანარჩენს გაბატება სჭირია. მაგრამ გლეხს თითქმის არა აქვს რა, რომ რითიმე გააპოხიეროს მისი მოვებობა მას თითქმის არაერთი სამიწათმოქმედო ცოდნა და არ იცის, რანაირი საშუალება იხმაროს მიწის გასაბატებლად. ამიტომ სხვა არ დარჩენია რა, რომ მიატოვოს გამოფიტული მიწა. ეს გამოფიტვა კი ჩვეულებრივად სამი წლის თესვის შემდეგ ხდება⁶, წერდა მთავრობას იაკობ მარი.

იაკობმა ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო სკოლაში მიღებინა იმერელ და გურულ გლეხთა შვილები, რომლებიც შემდეგში ცნობილი მეურნენი გახდნენ.

იაკობ პატრიკის ძე მარი საზღვარგარეთიდან მიღებულ სამეურნეო მანქანა-იარაღებს, სუბტროპიკულ და სხვა მცენარეთა თესლეულს აწვდიდა მოსახლეობას, აწყობდა სანერგეებს, გამოყვანილ ჯიშებს აგრცელებდა გლეხობაში. თვითონვე ასწავლიდა და კონსულტაციას უწევდა გლეხობას.

პირველი მეუღლის გარდაცვალების შემდეგ, 1863 წელს, 70 წლის ასაკში მარმა ცოლად შეირთო ალათი შარაშიძე-მალულარი. 1864 წელს იაკობ მარის ოჯახში დაიბადა ნიკო მარი.

იაკობი ყოველთვის ზრუნავდა შვილის მომავალზე. 1870 წელს ოზურგეთში დროებით ჩამოსულ ამიერკავკასიის მეფისნაცვალს მარმა სთხოვა ერთ-ერთ სკოლაში სახელმწიფოს ხარჯზე მიეღოთ მისი შვილი. პირველად უარი უთხრეს, მაგრამ შემდეგ მეფისნაცვლის განკარგულებით ნიკო იაკობის ძე მარი ქუთაისის გიმნაზიაში ჩარიცხეს სახელმწიფოს ხარჯზე.

იაკობ მარი გარდაიცვალა ოზურგეთში (გურიელის ოჯახში) 1874 წელს, სოფელ ციხის მცხოვრებთა დაჟინებითი მოთხოვნით მარი ბუკისციხეს გადაასვენეს და ეკლესიის გალავანში დაკრძალეს.

იაკობ მარი გულწრფელად დაიტირა მოწინავე ქართველმა საზოგადოებამ. გაზეთი „დროება“ წერდა: „მთელს გურიაში მარი ძლიერ პატივცემული იყო და ყველა პატიოსან და სასარგებლო კაცად იცნობდა... ის ცდილობდა, რომ ყოველგვარი ჩვენთვის სასარგებლო სხვა ქვეყნის მცენარე გაეშენებია ჩვენში... საზოგადოდ ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ ეს კაცი“⁷.

⁶ ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი, ქუთაისის გუბერნიის გლეხთა მოწყობის საქმე, ფონდი № 10, ფურც. 23, 1860.

⁷ გაზ. „დროება“, 1874 წელი, № 421.



ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო სკოლა, რომელიც იაკობ მარის მონაწილეობით იქნა დაარსებული და რომელსაც იაკობი წლებმან მანძილზე ხელმძღვანელობდა, შემდეგში გადაქცებულ იქნა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმად, უფრო გვიან კი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტად.

დასაფასებელია ამ უცხოელი, პატიოსანი და მუყაითი კაცის დეაწლი საქართველოს წინაშე, რომელიც მის ნამდვილ სამშობლოდ იქცა.

გიორგი ჩიჩუა

გიორგი კონსტანტინეს ძე ჩიჩუა იყო სოფლის მეურნეობაში სი-ახლის შემტანი, მიწათმოქმედების განვითარებისათვის დაუღალავი მებრძოლი-ენტუზიასტი, პროგრესული საზოგადო მოღვაწე, რომელმაც მე-19 საუკუნის ბოლოს სამართლიანად დაიმსახურა დიდი რუსი მწერლის ნიკოლოზ გაბრიელის ძე ჩერნიშევსკის ყურადღება და პატივისცემა.

გიორგი კონსტანტინეს ძე ჩიჩუა დაიბადა 1838 წელს სენაკის მაზრის ეკის თემის სოფელ უფალკარში (ახლა შრომისკარი). წერა-კითხვა მან ოჯახში შეისწავლა დედის, სალომე ვახტანგის ასულ მიქელაძის, დახმარებით, რომელმაც კარგად იცოდა ქართული და რუსული წერა-კითხვა და იმ დროის პირობაზე განათლებულ ქალად ითვლებოდა. გიორგიმ დაამთავრა მარტვილის (გეგეშკორის) ორკლასიანი სასწავლებელი. აქ იგი გამოცდილი მასწავლებლების ხელმძღვანელობით საფუძვლიანად გაეცნო ქართულ და რუსულ მწერლობას. სასწავლებლის დამთავრების შემდეგ სამსახური დაიწყო ქ. ქუთაისში, სადაც ყურადღება მიიქცია ბეჭითი მეცადინეობით და კარგი ყოფაქცევით.

გიორგი ჩიჩუა პატარაობიდანვე დაინტერესებული იყო დაახლო-ებოდა პროგრესულად მოაზროვნე მოღვაწეებს, პოეტებს, მწერ-ლებს. განსაკუთრებით უყვარდა ილია, აკაკი, ვაჟა, ნიკო ნიკოლაძე და ახლო ურთიერთობა ჰქონდა მათთან.

გ. ჩიჩუა დიდ ყურადღებას აქცევდა სოფლის მეურნეობას, კერძოდ სუბტროპიკული კულტურებისა და შემოსავლიანი დარგების განვითარებას. მან სამეგრელოს რაიონებსა და სოფლებში პირველ-მა გააშენა დაბლარი ვაზის ჭიშები: ცოლიკაური, საფერავი და სხვ. კარგად ჰქონდა მოწყობილი საკუთარი მამული, რომელიც საცდელ

და საჩვენებელ ნაკვეთს წარმოადგენდა სოფლის გლეხობისათვის.

ცნობილია, რომ თვითმპყრობელობის პერიოდში ჩვენს სოფლებში თითქმის სრულიად უვარგისი გზები იყო. ეს გარემოება დიდად აწუხებდა ვიორგი ჩიჩუას. ამიტომ მან თავისი უშუალო ინიციატივითა და ხელმძღვანელობით ეკის თემში (სოფლებში: ეკმა, უშაფათში, ფოცხოში და სხვ.) გაიყვანა ფართო შარა-გზები. მას ამისათვის დიდი წინააღმდეგობებისა და დაბრკოლებების გადალახვა მოუხდა. მოსახლეობამ ჩიჩუას მიერ გაყვანილ გზატკეცილებზე პირველი ეტლების გამოჩენა დიდი ზემოთ აღნიშნა.

აღსანიშნავია გ. ჩიჩუას დიდი დახმარება თავისი კუთხის მოსახლეობისადმი 1905 წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგ, როცა ალიხანოვის დამსჯელმა რაზმებმა გურია-სამეგრელოს სოფლები ცეცხლს მისცეს. ალიხანოვის ერთ-ერთი რაზმი ეკის თემის სოფლებისაკენ გალაშქრებას აპირებდა. ამ ამბავს ქუთაისიდან ჩამოუხსწრო გ. ჩიჩუამ. მან გამოიყენა თავისი დიდი გავლენა, ნაცნობობა და ამ თემის მოსახლეობას თავიდან ააცილა აწიოკება-განადგურება. ამავ დროს ვიორგი ჩიჩუას ოჯახი რევოლუციონერების თავშესაფარს წარმოადგენდა.

ვიორგი ჩიჩუა განსაკუთრებულ ყურადღებასა და სიყვარულს იჩენდა ღარიბ გლეხთა ბავშვებისადმი. მან სოფელ უფალკარში დააარსა პირველი დაწყებითი სკოლა, სადაც გლეხის შვილებს სწავლის საშუალება ჰქონდათ. იგი საკუთარი სახსრებით მატერიალურად ეხმარებოდა ღარიბ მოსწავლეებს. სკოლისათვის იძენდა სახელმძღვანელოებს, სასკოლო ინვენტარსა და სხვა საჭირო ნივთებს.

განსაკუთრებით ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა გ. ჩიჩუა როგორც დასავლეთ საქართველოს საუფლისწულო მამულების ბანკის ხელმძღვანელი. ამ პოსტიდან იგი ეხმარებოდა და ხელს უწყობდა სოფლის მეურნეობის განვითარებას. ფულად დახმარებას უწევდა სასოფლო-სამეურნეო სკოლებს. ასეთი სასარგებლო საქმეებით იყო გართული ვიორგი, როდესაც მეტად არასასიამოვნო ამბავი შეემთხვა, მეფის მოხელე შემოაკვდა და შორეულ ციმბირში გადაასახლეს.

მეფის მოხელეთა თავაშვებული მოქმედების დროს ვიორგი ჩიჩუას ჯეროვან სიმაღლეზე ეპირა სწავლა-განათლების დროში. ის სასტიკად ებრძოდა ჩვენს სკოლებში გამეფებულ ანტიპედაგოგიურ პირობებს. დარწმუნებული იყო, რომ მოზარდი თაობის ნორმალური სწავლა-განათლება შესაძლებელია მშობლიური ენის საშუალებით.



სურ. 6. გიორგი ჩინჯა

ცნობილი ხალხოსნის შიო დავითაშვილის მოგონებაში გიორგი ჩიჩუა დაბასიათებულია, როგორც გულისხმიერი ადამიანი. ჩიჩუა მეტეხის ციხეში ყოფნისას შიო დავითაშვილს ჩუმად უგზავნიდა გაზეთს, საუზმეს, ზოგჯერ — ლუღსა და ლეინოსაც. ასე თუ ისე, მას სურდა ჩემი მძიმე ობოლი ცხოვრება გაეადვილებინაო, — იგონებს შ. დავითაშვილი.

1883 წელს ცარიზმმა ასტრახანში გადაასახლა რუსეთის დიდი მეცნიერი და კრიტიკოსი ნ. გ. ჩერნიშევსკი. ასტრახანში ყოფნის დროს ნ. გ. ჩერნიშევსკი დაუახლოვდა პოლიტიკურ პატიმრებს, მჭიდრო კავშირი ჰქონდა მათთან და შეძლებისდაგვარად კიდევ ეხმარებოდა მათ. აქვე იმყოფებოდა გიორგი ჩიჩუა. იგი დაუშვებოდა ნ. გ. ჩერნიშევსკის. ეს კარგად ჩანს ნ. გ. ჩიჩუას მოგონებებში: „ჩერნიშევსკი მე გავიცანი ასტრახანში. იგი დაინტერესდა ჩემი მეაბრეშუმეობით და ჩემ მიერ მიწოდებული ამბებით კავკასიაზე დაკერძოდ საქართველოზე. ბევრს მეკითხებოდა ხალხის უფლებებზე მდგომარეობაზე. ამ ნიადაგზე მოხდა ჩვენი დაახლოება. მასთან ხშირად დავდიოდი. დაუშვებოდა მის მეუღლესაც, რომელიც მომხიბლავი ხასიათის ქალი იყო: ჩერნიშევსკი საერთოდ მნახველებს და სტუმრებს ძალიან ერიდებოდა. მე კი დაუზარელად მესაუბრებოდა ხოლმე. ამას იმით ვხსნი, რომ მას სამეურნეო საკითხები მეტად აინტერესებდა და ამ საკითხებზე ბევრ საინტერესო ამბებს უყვებოდი... მას ვასაოცარი შრომის უნარი გააჩნდა. ხშირად მთელი დღეები განუწყვეტლივ მუშაობდა“¹.

ნ. გ. ჩერნიშევსკი აგრეთვე დიდ ინტერესს იჩენდა მეაბრეშუმეობისადმი. 1889 წლის 7 მაისს ასტრახანიდან გაგზავნილ ერთ-ერთ წერილში ჩერნიშევსკი მეუღლეს წერდა: „დღეს დილის ათ საათზე ჩემ წასაყვანად შემოივლის თავადი ჩიჩუა. მან უნდა მანეენოს, რა კარგად მიდის მისი მეაბრეშუმეობა. მან მოაწყო იგი სერგეევის ბაღში, სადაც აღმოჩნდა საკმაოდ ბევრი თუთის (სააბრეშუმე) ხე, რომლის ფოთლებითაც იკვებებიან აბრეშუმის ჭიებები. ჩიჩუა იქ ატარებს მთელ თავის დროს—დილიდან საღამომდე“².

1889 წლის 14 მაისს ცოლისადმი მიწერილი წერილიდან ჩვენ ვგებულობთ, რომ ჩერნიშევსკის დაუთვალეიერებია ჩიჩუას პლანტაცია. „ხუთშაბათს — მგონი ამ დღეს — ჩემი წერილი შენდამა შევწყვიტე თავად ჩიჩუას მოსვლის გამო, — წერს ჩერნიშევსკი თავის მეუღლეს. წერილის დამთავრების შემდეგ მე წავედი ჩიჩუას-

¹ ნ. გ. ჩიჩუას მოგონება ინახება მის პირად არქივში (ოქახში).

² Н. Г. Чернышевский, Литературное наследие, т. III, 1930, с. 410.

თან ერთად სერგეევის ბაღში, სადაც იგი აშენებს აბრეშუმის ტი-
ებს. მან მაჩვენა თავისი აბრეშუმის პატარა (მომავალი დიდი) პლან-
ტაცია. დამატარა მთელი ბაღი. იქიდან წამოვედი ფეხით. სრულიად
არ დაველილვარ. დავპირდი შენს მაგივრად, რომ როდესაც შენ ჩა-
შობვალ, ჩვენ ერთად ვნახავთ მას“³.

როგორც ჩერნიშევსკის წერილებიდან და სხვა საბუთებიდანაც
ჩანს, გ. ჩიჩუას 1889 წელს აბრეშუმის პარკი და სხვა ექსპონატები
ჯაუგზავნია სარატოვში მოწყობილ სასოფლო-სამეურნეო გამოფე-
ნაზე. ეს კარგად ჩანს აგრეთვე ხარიზშენოვის შრომაში: „Описание
земской выставки 1889 г. в Саратове“. იგი წერს: „საუკეთესო
პარკი და მეაბრეშუმეობის სხვა ექსპონატები, რომლებიც გამოფე-
ნილი იყო გ. კ. ჩიჩუას მიერ ქ. ასტრახანიდან, წარმოადგენს 1889
წელს წარმოებული მისი ცდების შედეგებს“. გასაგებია, რომ კ. ჩი-
ჩუას მიერ წარდგენილ ექსპონატებს გამოფენაზე განსაკუთრებული
ყურადღება მიუქცევია.

1889 წელს ნ. გ. ჩერნიშევსკის ნება დართეს ასტრახანიდან გა-
დასულიყო თავის სამშობლო ქალაქში სარატოვში. ამის შემდეგ
გ. ჩიჩუა და ჩერნიშევსკი წერილებით უკავშირდებიან ერთმანეთს.
გ. ჩიჩუა ასტრახანიდან გაგზავნილ წერილში ჩერნიშევსკის სთხოვს,
ყურადღება მიაქციოს მის ექსპონატებს სარატოვის გამოფენაზე.

1889 წლის 15 სექტემბერს ნ. გ. ჩერნიშევსკის საპასუხო წერილ-
ში ვკითხულობთ:

„დიდათ პატივცემულო თავადო!

მადლობელი ვარ, რომ თქვენ არ შეყოყმანებულხართ მოგემარ-
თნათ ჩემთვის დავალებით, რომლის შესრულებაც ჩემთვის სიამოფ-
ნება იყო.

თქვენი აბრეშუმის პარკი მიიღეს 10 სექტემბერს, გამოათინეს
13-ს. ეს დაყოვნება აიხსნება გამოფენის განმკარგულებელთა გამო-
უცდებლობით: მათ უნარი არ აქვთ, საჭირო სისწრაფით გაუძღვნენ
თავის საქმეს.

თქვენი აბრეშუმის პარკი გამოფენილია ეგრეთ წოდებულ მთავარ
პავილიონში, სადაც გამოფენილია ათასგვარი სხვადასხვა საგანი,
ხალხისათვის საინტერესო, რომელიც ყოველთვის მრავლად ტრი-
ალებს იქ. თქვენ გარდა, პარკი გამოგზავნა მხოლოდ ერთმა წარ-
მოებელმა ბ. ლეტოშინსკიმ, რომლის პლანტაციაც ცარიცინსა და
სარეპტას შუაა. მეაბრეშუმეობისათვის დიდი ხანი როდია, რაც ხე-

³ Н. Г. Чернышевский. Литературное наследие, т. III, 1930, 33-
411.

ლი მოუყიდნია და ამიტომ ჯერჯერობით დიდი ოდენობისა არა აქვს მიმდინარე ზაფხულში მას დაუმზადებია დაახლოებით 12 ფუთი პარკი. მისი ღირსების შეფასება გამოფენის განმკარგულებლებს არ ძალუძთ, აგრეთვე თქვენი პარკის ექსპერტიზა ამ დღეებში იქნება... ჯილდოს მისაღებად დაშვებულია მხოლოდ აქაური გუბერნიის პროდუქტები. როდესაც ეს ამბავი გავიგე, პირველ წუთს მეფიქრობდი დამეგზო გამოფენის განმკარგულებელი თავისიანებისადმი მიღგომისათვის, სხვა გუბერნიების ექსპონატებისადმი უსამართლობისათვის. მაგრამ ერთი წუთის შემდეგ მივხვდი, რომ სხვანაირად მოქცევა არ შეიძლებოდა: ჯილდოს მისაღებად სხვა გუბერნიების ექსპონატებიც რომ დაეშვათ, მოსკოვისა და დასავლეთ რუსეთის შექარხნეები და მეფაბრიკეები, რომლებიც ბევრად უფრო განვითარებულია, ვიდრე სარატოვისა, აავსებდნენ გამოფენას თავისი მრეწველობის ნაწარმოებებით, სარატოვის მწარმოებელთ კი მოაკლდებოდათ წამახალისებელი ჯილდოები, რომლებიც მხოლოდ სარატოვის გუბერნიის ახალფეხადგმულ მრეწველობას ესაჭიროებოდა.

რასაკვირველია, შეიძლებოდა და, უნდა ითქვას, ასეც უნდა ეფიქრათ, რომ ჯილდოებზე უფრო სერიოზული წამახალისებელი სარატოვის მრეწველობის განვითარებისათვის იქნებოდა განცხადება სხვა გუბერნიების მრეწველობისაგან მისი ჩამორჩენის შესახებ. მაგრამ ლმობიერი იყავით გამოუცდელი ადგილობრივი ვიწრო პატრიოტიზმისადმი... მე არ მინდოდა თქვენთვის მომეწერა, სანამ ჩემი თვალით არ ვნახავდი, რომ თქვენი პარკი გამოფენილია. გუშინწინ ვერ მოვიცალე შემემოწმებინა, რომ განმკარგულებელთა დაპირება შესრულებულია. გუშინ ვნახე თქვენი პარკი გამოფენილი, მაგრამ უკვე გვიანი იყო წერილის ფოსტაში მიტანა. ამიტომაც დავიგვიანე დღემდე შემეტყობინებინა, რომ თქვენ მიმართ გამოფენის განმკარგულებლებმა თავიანთი მოვალეობა შეასრულეს. გთხოვთ, თავადო, არ შეყოყმანდეთ და დამავალთ ხოლმე სხვა თქვენი საქმეებიც, რომლებიც კი შემიძლია შევასრულო. თქვენი ნაცნობობა ერთ-ერთი უამესია ჩემთვის.

გულწრფელად თქვენი პატივისმცემელი ნ. ჩერნიშევსკი⁴.

ექსპერტიზის შემდეგ გ. კ. ჩიჩუას ექსპონატებს მისცეს შეფასება: „პარკი ძალიან კარგი ხარისხისაა და ეკუთვნის აზიურ ჯიშებს, რომლებიც ამიერკავკასიაში მოჰყავთ“.

⁴ Н. Г. Чернышевский, Литературное наследие, т. III, 1930, с. 592.



სურ. 7. გ. ჩინუა თჯახის წვერებთან

გამოფენის კომიტეტის დადგენილებით გიორგი კონსტანტინეს ძე ჩიჩუას ასტრახანში წვრილ მეურნეობათა არსებობის პირობებში მეაბრეშუმეობის წარმატებით გავრცელებისათვის მიაკუთვნეს ბრინჯაოს მედალი.

დიდ ყურადღებას იმსახურებს გიორგი ჩიჩუას მიერ 1889 წელს გამოცემული ნაშრომი „Очерк деятельности Станции шелководства Г. К. Чичуа в Астрахани“. ნაშრომში ვრცლად არის გაშუქებული სადგურის დაარსების ისტორია, რომელმაც დიდი როლი ითამაშა ასტრახანში მეაბრეშუმეობის განვითარების საქმეში. როგორც გ ჩიჩუას მიერ გამოცემული ნაშრომიდან ირკვევა, სადგურისათვის უესლი გ. ჩიჩუას გამოწერილი ჰქონდა სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების თბილისის განყოფილებიდან.

როგორც ვიცით, რევოლუციამდელ რუსეთში სუსტად იყო განვითარებული მეაბრეშუმეობა და, რაც იყო, ისიც უცხოელი კაპიტალისტების ხელში იყო მოქცეული. რუსი პროგრესულად მოაზროვნე ადამიანება ცდილობდნენ თვითონ მოეკიდათ ხელი და გაეუმჯობესებინათ სოფლის მეურნეობის ეს დარგი რუსეთში. მათ რიცხვში უდავოდ თვალსაჩინო ადგილი უჭირავს გიორგი კონსტანტინეს ძე ჩიჩუას, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა ასტრახანის მეაბრეშუმეობის განვითარების საქმეში.

1889 წელს გ. ჩიჩუა სამშობლოში დაბრუნდა. აი რას სწერს მას თავისი მეგობარი ნ. გ. ჩერნიშევსკი: „Не стану особенно поздравлять Вас с возвращением на родину, так как для Вас, где бы Вы ни были — везде родина, везде одинаково помнить. Тем не менее, возвращение Ваше в Саратов все же полагаю, приятно, так как это Ваш родной город, где протекла Ваша молодость. Словом, я очень рад за Вас и желаю Вам всего хорошего в мире. Желаю также всего хорошего уважаемой Вашей супруге“. Сентябрь 1889 г.⁵

სამშობლოში დაბრუნებისთანავე გიორგი ჩიჩუა ჩაება სოფლის მეურნეობის ისეთი უმნიშვნელოვანესი დარგების განვითარების საქმეში, როგორცაა მეაბრეშუმეობა და მეჩაიეობა. ი. ნ. კლინგენის წიგნიდან ირკვევა, რომ გიორგი ჩიჩუას იმ დროს აქტიური მონაწილეობა მიუღია ჩვენში ჩაისა და სუბტროპიკული მეურნეობის საფუძვლის ჩაყრამში.

⁵ ნ. ჩერნიშევსკის წერილი დაკულია ნ. ნიკოლაძის არქივში, ფიქრობენ, რომ ჩერნიშევსკის ეს წერილი იყო მისი უკანასკნელი წერილი, რადგან ჩერნიშევსკი გარდაიცვალა ამავე წლის 17 ოქტომბერს.

ი. ნ. კლინგენი წერს: „ჩემთან მოვიწყვიე... განათლებული მემამულე-მეურნე, მეგრელი თავადი გიორგი ჩიჩუა, რომელიც ჩინებულად იცნობს თავის ქვეყანას და ადგილობრივ ყოფა-ცხოვრებას სამეგრელოში. მან ძვირფასი სამსახური გაგვიწვია იმით, რომ ამიერკავკასიის მეურნეთა შორის ბევრი ნაცნობი პყავს... ჩვენი პატარა ქარავნის ხელმძღვანელის თავად ჩიჩუას შემწეობით ისიც კი მოვახერხე, რომ იტალიური კოლონიების შესასაუკუნოებრივი კულტურის ნაკვალევისათვის მიმეგნო: პარკები, სადაც ჯერ კიდევ შემორჩენილა ძველთაძველი ზეთისხილის ძირკვები და აგოეთვე ძალიან ძველი, მაგრამ უფრო მოგვიანო ხანის კეთილშობილი დაფნის ხეივნები“⁶.

ი. ნ. კლინგენი განსაკუთრებით კმაყოფილი დარჩენილა გიორგი ჩიჩუას დახმარებით.

გიორგი ჩიჩუა ახლო მეგობრის მწერალი ქალის ფუჟუ დგებუაძე-ფულარიას სიტყვით: სიტყვამოსწრებული, თავისი ქვეყნის კეთილდღეობისათვის დაულალავი მშრომელი, უაღრესად გულკეთილი კაცი იყო. მისი თაოსნობით სოფლად ხსნიდნენ სკოლებს, გაჰყავდათ გზატკეცილები. იგი დაუცბრომლად ზრუნავდა პროგრესისათვის, გლეხობის გათვითცნობიერება-განათლებისათვის.

მართლაც, დიდია გიორგი კონსტანტინეს ძე ჩიჩუას ღვაწლი რუსეთისა და საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების საქმეში.

გიორგი ჩიჩუა გარდაიცვალა 1924 წელს, 86 წლის ასაკში.

პეტრე წულუკიძე

ცნობილ აგრონომსა და საზოგადო მოღვაწეს პეტრე გიორგის ძე წულუკიძეს თვალსაჩინო ადგილი უჭირავს სოფლის მეურნეობის იმ მოღვაწეთა შორის, რომლებმაც საკუთარი მეურნეობის რაციონალურად მოწყობით გარკვეული წვლილი შეიტანეს გლეხური მეურნეობის წინსვლისა და განვითარების საქმეში. მან სოფელ კვახტირში მოაწყო სანიმუშო მეურნეობა „ფერმა“, რომლის ძირითად დარგს მეცხოველეობა წარმოადგენდა.

⁶ И. Н. Клинген, Проект организации подтропического хозяйства в Закавказье с чайным хозяйством во главе, Петроград, 1917. стр. 18, 20.

პეტრე გიორგის ძე წულუკიძე დაიბადა 1851 წელს ოზურგეთში (მახარაძე) მომრიგებელი შუამავლის გიორგი სიმონის ძე წულუკიძის ოჯახში. პირველდაწყებითი განათლება მან ოზურგეთში მიიღო. ამ სკოლის დამთავრების შემდეგ იგი სწავლას ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში აგრძელებს. ქუთაისში პ. წულუკიძე ფრანგის ბინაში ცხოვრობდა. ამ ოჯახში მან კარგად შეისწავლა ფრანგული ენა და, როგორც თვითონ იგონებს, აქედან დაიწყო მისი მისწრაფება საფრანგეთში წასულიყო სწავლის გასაგრძელებლად. მიუხედავად ამისა, იგი პეტერბურგს მიემგზავრება.

1871 წ. პ. წულუკიძე დროებით ბრუნდება საქართველოში. აქ იგი შეხვდა ნიკო ნიკოლაძეს და ამ უკანასკნელის წინადადებით იწყებს მუშაობას ე. წ. ივანოვის ბიბლიოთეკის გამგედ. ეს ბიბლიოთეკა იმ დროისათვის შესამჩნევ საზოგადოებრივ როლს ასრულებდა. იგი სინამდვილეში ივანოვს არ ეკუთვნოდა, არამედ მოწინავე ქართველი ინტელიგენციის მიერ იყო შექმნილი და წარმოადგენდა კულტურულ კერას. იქ ჩვენი მოწინავე ახალგაზრდობა და საზოგადო მოღვაწენი იკრიბებოდნენ მთელი რიგი საზოგადოებრივი საკითხების განსახილველად. პროფ. ტ. ხუნდაძის აზრით, ეს ბიბლიოთეკა წარმოადგენდა პოლიტიკურ კლუბს, სადაც ქართველი საზოგადოების აზროვნება ვითარდებოდა.

ბიბლიოთეკის წიგნობრივი ფონდი ძირითადად შედგებოდა შემოწირული წიგნებისაგან და უმთავრესი შემომწირველნი იყვნენ: ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი, ი. გოგებაშვილი, ნ. ცხვედაძე, ი. ჭავჭავაძე და სხვ. ბიბლიოთეკა უმუალოდ ნ. ნიკოლაძის მზრუნველობის ქვეშ იყო და იგი ცდილობდა დაეკმაყოფილებინა ბიბლიოთეკის სხვადასხვა ხარჯი მხოლოდ და მხოლოდ ქველმოქმედების საშუალებით.

ბიბლიოთეკას იმ დროისათვის დიდი პოპულარობა მოუპოვებია. შვეიცარიაში მცხოვრები ქართველებიც კი იყვნენ დაინტერესებულნი მისი ბედ-იღბლით. პ. წულუკიძეს ნ. ნიკოლაზე ასე ახასიათებს: „ბიბლიოთეკის გამგედ (ივანოვის მაგივრად) იქნება ერთი ახალგაზრდა პეტრე წულუკიძე, რომელიც კარგ იმედებს იძლევა. ჩვენთვის ის მშვენიერი მონაპოვარია“.

ამ ბიბლიოთეკაში ინახებოდა იმ დროისათვის აკრძალული ლიტერატურა, როგორც იყო ჩერნიშევსკის «Что Делать», ეურნალი «Современник» და სხვ. სემინარიელები განსაკუთრებით ეწაფებოდნენ ამ ბიბლიოთეკის აკრძალულ ლიტერატურას. პ. წულუკი-



სერ. მ. პეტრე წულუკიძე

ძესა და ნ. ნიკოლაძეს ბიბლიოთეკის შენობაში ჰქონდათ ბენა, რაც ხელს უწყობდა აკრძალული ლიტერატურის გაცემას. ამით აიხსნება, რომ ჟანდარმერიის მიერ მოწყობილმა ბიბლიოთეკის გაჩხრკამ დიდი ვერაფერი აღმოაჩინა.

80-იან წლებში პ. წულუკიძე ქუთაისის ქალაქის ხმოსნად აირჩიეს. ამავე დროს მან შეიძინა სტამბა, რომელიც მოთავსებული იყო არჯვეანიძის სახლში თავადის („Княжеская“) ქუჩაზე. აღსანიშნავია, რომ პეტრე წულუკიძემ თავის სტამბაში დაბეჭდა „ვეფხისტყაოსნის“ მეშვიდე გამოცემა. როგორც თვითონ პ. წულუკიძე გადმოგვცემს, ამ გამოცემისათვის შრიფტი შეკვეთილი და დამზადებული იყო ქ. ვენაში. ამავე სტამბაში იბეჭდებოდა ვაზეთი „დროება“, რომელიც გამოდიოდა იმ დროს ქუთაისში.

1880 წლიდან პ. წულუკიძე მსახურობდა მიხაილოვის სათაველ-ახნაურო საადგილმამულო ბანკში. დაახლოებით 1882 წელს პ. წულუკიძე მიემგზავრება საფრანგეთში უმაღლესი განათლების მისაღებად.

დაახლოებით 1886 წელს პ. წულუკიძე სამშობლოში დაბრუნდა. აქ მან ქუთაისის ახლოს სოფელ კვახჭირში შეიძინა 100 ჰექტარი მიწა. ბორჯომის დიდი მთავრის მამულიდან ჩამოიყვანა ძროხები და ბულა-მწარმოებლები ალგაუსა და შვიცის ჯიშისა. მან ისინი შეაჯვარა ადგილობრივი ჯიშის ძროხებთან, პირველი თაობის მეტისეპის წველადობამ ადგილობრივ ძროხებთან შედარებით საგრძნობლად იმატა. შეჯვარების შედეგად პ. წულუკიძის ფერმაში ჩამოყალიბდა მეტად კარგი ჯიში, რომელიც გამოირჩეოდა თავისი მაღალპროდუქტიულობით.

დასავლეთ საქართველოში პ. წულუკიძემ პირველმა დაიწყო ინტენსიური ტიპის მეცხოველეობის დანერგვა. ფერმაში მზადდებოდა ყველი. რძის გადამუშავების შემდეგ დარჩენილ შრატს პ. წულუკიძე იყენებდა ღორებისათვის. მეურნეობაში მას ჰყავდა უმთავრესად იორკშირის ჯიშის ღორები. იგი ამ ჯიშს აძლევდა უპირატესობას. ფერმა უზრუნველყოფილი იყო გაუმჯობესებული სამეურნეო მანქანა-იარაღებით და იყენებდნენ მოწინავე აგროტექნიკას.

პეტრე წულუკიძე დიდ მნიშვნელობას აძლევდა საქონლისათვის საკვები ბაზის შექმნას. დასავლეთ საქართველოში პირველად პ. წულუკიძემ დაიწყო მრავალწლიანი ბალახების თესვა. მრავალწლიანი ბალახების თესლი მან საფრანგეთიდან შემოიტანა. იგი უპირატესობას იონჯას აძლევდა. როგორც ცნობილია, იგი მეტად მარგებელი

საკვებია საქონლისათვის. ფერმაში იონჯა წელიწადში ოთხჯერ-
ხუთჯერ ითიბებოდა. ასეთმა შედეგმა დააინტერესა სოფლის მოსახ-
ლეობა და მალე იონჯა გლეხობამ თავიანთ მეურნეობაშიც გაავრ-
ცლა.

აღსანიშნავია, რომ პ. წულუკიძემ პირველმა შემოიტანა ჩვენში
რამი პირველ ხანებში რამის ბოჭკოს იყენებდნენ მხოლოდ ვენახის
ასაკრავად, შემდეგში კი უფრო ფართო ხასიათი მიეცა მის მომზა-
რებას. მეურნეობაში მრავლად იყო სხვადასხვა ჯიშის ყვავილეები.
მცენარეები, მათ შორის: ბამბუკი, იაპონური ხურმა და სხვ.

პ. წულუკიძის ფერმამ დიდი როლი ითამაშა დასავლეთ საქარ-
თველოში მესაქონლეობის განვითარებაზე. შეიქმნა „წულუკიძისე-
ული“ ხარები და ძროხები. მე-19 საუკუნის დამლევს ქუთაისში მო-
ეწყო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა, სადაც „წულუკიძისეულმა“
ჯიშმა უმაღლესი ჯილდო დაიმსახურა.

პ. წულუკიძე თითქმის ყოველ წელს მიდიოდა საზღვარგარეთ:
ინგლისში, საფრანგეთსა და გერმანიაში. იგი ცდილობდა სოფლის
მეურნეობის ყოველი სიახლე გადმოეტანა და დაენერგა ჩვენს სი-
ნამდვილეში.

მე-19 საუკუნის ბოლოს ქიათურაში აღმოჩენილ იქნა მარგანე-
ცის საბადოები. ქიათურის მარგანეცი თავისი საუკეთესო ხარისხით
ცნობილი იყო მთელ მსოფლიოში. ამ დროიდან იწყება მარგანეცის
ექსპორტი უცხოეთში. ძირითადად ექსპორტიორები იყვნენ: ინგლი-
სელები (ფორგუნდის კომპანია), სოლედაკი (საფრანგეთი) და ოგა-
ნუზოვები. პეტრე წულუკიძე იყო პირველი ქართველი ექსპორტიო-
რი, რომელსაც მარგანეცი გაჰქონდა უცხოეთში ეიქენის კომპანი-
ისათვის. მაგრამ ეს კომერციული საქმიანობა, რომელიც ქუთაისის
ბანკთან იყო დაკავშირებული, ცუდად დამთავრდა. წულუკიძემ და
ბანკმა დიდი ზარალი ნახეს. შემდეგში, როდესაც მარგანეცის ექსპ-
ლოატაციას ფართო ხასიათი მიეცა, დაარსდა მარგანეცის მრეწველ-
თა ყრილობის საბჭო. ამ საბჭოს ხელმძღვანელობდა ცნობილი სა-
ზოგადო მოღვაწე და ხალხოსანი გ. ზდანოვიჩი. პეტრე წულუკიძე
იყო მისი მეგობარი და საბჭოს წევრი.

მარგანეცის მრეწველთა საბჭომ, რომლის აქტიური წევრიც პ.
წულუკიძე იყო, ბევრი რამ გააკეთა ქიათურაში: ააშენა, მოაწყო და
უზრუნველყო დახელოვნებული კადრებით საავადმყოფო, რომლის
სათავეში იმ ხანად ცნობილი თერაპევტი ს. ჭაფარიძე იყო, ზოლო
ქირურგიული განყოფილების გამგედ მუშაობდა შემდეგში ცნობი-
ლი პროფესორი გ. მუხაძე. ამავე საბჭოს მეშვეობით ქიათურაში

ამენდა აბანოები მუშებისათვის. იქვე იყო მოწყობილი მუშების ტანსაცმლის მექანიზებული გარეცხვა-გაუთოება. იმ დროისათვის ეს იყო დიდი პროგრესული მოვლენა და ერთ-ერთი პირველთაგანი რუსეთის იმპერიაში. საბჭომ დააარსა სტიპენდია საშუალო და უმაღლესი სასწავლებლის ქართველი სტუდენტებისათვის.

გასული საუკუნის 30-იანი წლებიდან პ. წულუკიძე სისტემატურად თანამშრომლობს პერიოდულ პრესაში. იგი ერთგან წერს: „ჩემს მამულში 1887 წლიდან მივხდევ საკვები ბალახის თესვას. მომყავს უმათავრესად იონჯა და ვიცი, რომ მისი გახარება ადვილი არაა და ყველგან არც იხეირებს“¹. აქ ავტორი ვრცლად იხილავს იონჯის გავრცელებას დასავლეთ საქართველოში და მიუთითებს, რომ თესვის გამოწერა შეიძლება როგორც ევროპიდან, ასევე რუსეთიდან.

„მეურნეში“ დაბეჭდილი მისი წერილებიდან აღსანიშნავია „სამეურნეო წერილები“. ამ წერილებში იგი ეხებოდა ჩვენი ხალხის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების საკითხებს. ერთ-ერთ წერილში პ. წულუკიძე წერს: „...იმ დაუფიწყარ დროს, როცა ჩვენი მოზარდი თაობა უფრო გულმხურვალედ და თავგანწირულობით იქნევიდა ცელს ჩვენს დაობლებულ შაბნარში, მაშინ არსებობდა „სამეურნეო გაზეთი“, ამ გაზეთის გამომცემელ პიონერებს ბევრი ტანჯვა აქვს ატანილი წარსულში“.

ერთხელ ამ „სასოფლო გაზეთში“, — განაგრძობს პ. წულუკიძე, — დაიბეჭდა სტატია იმის შესახებ, თუ როგორ უნდა აღიზარდოს ქათამი, როგორ ასაზრდოებენ ამ ფრინველს ევროპაში, რა საჭმელს აძლევენ, რა ზომის ტემპერატურა უნდა ქონდეს სადგომში, კვირცხი როგორ უნდა შევინახოთ, საჭმელში რა უნდა შეუზავოთ, წყალი როგორი უნდა დავალევინოთ, ავადმყოფობის დროს რა წამალი უნდა მივცეთ და სხვა.

რათ, წამლები აფთიაქიდან უნდა ვაძლიოთ ქათმებს მოსარჩენათ, მაშინ როდესაც მეურნე საზოგადოებას თავისთვის არა აქვს თერმომეტრი და თავის სამყოფ ოთახს დღეში ორჯერ არ გაწმენდს. თავის სენის მოსარჩენად წამალი ვერ უშოვნია და ქათმებისათვის უნდა იაროს ექიმთან!.. არა, ეს სასაცილოა, ყველანი ერთხმად ვაკიოდა, ეს ჩვენი დაცინვააო.. დიად, აგრე ჩაიარა ჩვენი საპატიო პიონერების შრომამ, ეს პატივი სცა მათ ჩვენმა საზოგადოებამ. მაგრამ უნუგეშოდ ნუ დავრჩებით, სიმართლე და ნათელი გაჭრის

¹ „Кавказское сельское хозяйство“, 1887, გვ. 3.

ტყე-ველსა და გაველურებულს მდელიოზედ აღმოაცენს -სანუგეშო-
მცენარეებს².

პ. წულუკიძეს განზრახული ჰქონდა სოფელ კვახჭირისა და
ოდლაურის მიჯნაზე აეშენებინა სასოფლო სკოლა. გაიღო კიდევ
გარკვეული თანხა, მაგრამ დაიწყო რუსეთ-იაპონიის ომი და სკო-
ლის აშენება მაშინ ვერ მოხერხდა. ბოლოს კვახჭირელმა მოსახლე-
ობამ სკოლა მაინც გახსნა პ. წულუკიძის სახელში.

1909 — 1917 წლებში პ. წულუკიძე მუშაობდა ქუთაისის სასოფ-
ლო-სამეურნეო სკოლის მზრუნველად. იგი ამ თანამდებობას უსას-
ყიდლოდ ასრულებდა. სკოლის მოსწავლეებს პ. წულუკიძე პრაქტი-
კუმეზსაც უტარებდა.

1912 წლიდან პ. წულუკიძე ქუთაისში რედაქტორობდა და სცემ-
და ჟურნალს „სასოფლო გაზეთს“. ჟურნალის პირველი ნომერი
1912 წლის 25 ნოემბერს გამოვიდა. ჟურნალ „სასოფლო გაზეთის“
დანიშნულება იყო: გაეცრელებინა ჩვენში ყოველგვარი საოჯახო
და სამეურნეო ცოდნა, გამხდარიყო სოფლის მეურნეობაში მომუშა-
ვე პირთა ორგანო, დახმარებოდა სოფლის მეურნეთ დაცემული
მეურნეობის აღდგენაში და ხელი შეეწყო ხალხის კულტურული
და ეკონომიური დონის აღმავლობისათვის.

„სასოფლო გაზეთი“ თავის ფურცლებზე ბეჭდავდა წერალებს
მეურნეობის თითქმის ყველა დარგიდან. ჟურნალში თანამშრომ-
ლობდნენ ცნობილი ქართველი აგრონომები და საზოგადო მოღვა-
წენი: ჯ. ჯორჯიკია, გ. ჩივაძე, ი. გომართელი, ა. წულაძე, ა. შარა-
შიძე, ბ. ჯაფარიძე, ე. ნაკაშიძე, კ. მოდებაძე, რ. გედევანიშვილი,
ი. გორთამაშვილი და სხვები. პ. წულუკიძე ჟურნალში წერალებს
ათავსებდა მესაქონლეობაზე. იგი ჟურნალში თანამშრომლობდა
„ძველი მეგობრის“ ფსევდონიმით³.

პირველ წერილში იგი გამოხატავს გლეხობისადმი დიდ პატივის-
ცემას. იგი წერს, რომ სოფლის მუშის გულის ცემა ეს მისი გულის
ცემაა, რომ გლეხის ჭირ-ვარამი იგივე მისი გაჭირვებაა და სინანულს
გამოთქვამს ცხოვრების უკუღმართობის გამო. იქვე იძლევა რჩევა-
დარიგებას, თუ როგორ უნდა დაამუშაოს გლეხმა მიწა, რომ სასურ-
ველი მოსავალი მიიღოს. იგი წერილში ასახელებს რიგი განვითა-
რებული ქვეყნების მაგალითს და მიუთითებს, თუ როგორ მოჰყავთ
იქ კარგი მოსავალი.

² „მეურნე“, 1895, № 11, გვ. 4.

³ პ. წულუკიძის ფსევდონიმის („ძველი მეგობარი“) დაღვენაში დაგვეხმარა
რ. გედევანიშვილი.

შემდეგ წერილებში პ. წულუკიძე ეხება საქართველოში მესაქონლეობის განვითარების საკითხს და ამ დარგის ღრმა ცოდნას აქვლავნებს. იგი პარალელურად ავლებს ჩვენსა და უცხოეთის მესაქონლეობას შორის. იგი შთააგონებს ქართველ გლეხობას, რომ ჩვენი მხარე ხელსაყრელია მესაქონლეობის განვითარებისათვის. იგი ლაკონური და გასაგები ენით ესაუბრება სოფლის გლეხობას და უხსნის, როგორ უნდა გააუმჯობესოს პირუტყვის ჯიშები და რა საარგებლობის მოტანა შეუძლია მესაქონლეობის განვითარებას.

პ. წულუკიძე დიდ მნიშვნელობას აძლევდა ჩვენში ერობის გაზნას. იგი თვლიდა, რომ ერობა არის სოფლის თვითმმართველობა, სადაც სოფელი თვითონ განაგებს თავის შინაურ საქმეებს. რამდენიმე სოფელი ირჩევს ხმოსნებს, რომელთაგანაც შედგება სამმართველო. ერობის დანიშნულებაა სოფელს გაუყეთოს გზები, მოაწყოს საავადმყოფო და იზრუნოს მოსახლეობის კეთილდღეობაზე.

1921 წელს პეტრე წულუკიძე ქუთაისიდან თბილისში გადადის საცხოვრებლად და მუშაობას იწყებს მიწათმოქმედების კომისიარტის ერთ-ერთ განყოფილებაში.

პეტრე წულუკიძე გარდაიცვალა 1937 წელს, 86 წლის ასაკში. მთელი მისი ხანგრძლივი სიცოცხლის განმავლობაში მას მხოლოდ ხალხის სამსახური ასულდგმულეობდა.

ვახილ რცხილაძე

გამოჩენილ ქართველ მოღვაწეთა შორის ვახილ რცხილაძეს ერთ-ერთი საპატიო ადგილი უჭირავს. იგი აქტიურად მონაწილეობდა ილია ჭავჭავაძის მეთაურობით დაწყებული ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში. ვ. რცხილაძე მოწინავე, პროგრესული იდეების მიმდევარი და სიმართლისა და ჭეშმარიტების დაუღალავი მქადაგებელი იყო. მან გამოსცა მრავალი სახელმძღვანელო, რომლის შემოსავალი ხმარდებოდა ქართულ უნივერსიტეტს. 1909 წელს თავის ხარჯით დააარსა ჟურნალი „მოსავალი“ და წლების განმავლობაში სცემდა მას. თავდადებულმა მამულიშვილმა მთელი ენერგია მშრომელ ხალხს და საყვარელ სამშობლოს მოახმარა.



სურ. 9. ვახტანგ ღვინძვაძე

9

ვასილ ილიას ძე რცხილაძე დაიბადა 1861 წელს სოფელ შაში-
ანში (თელავის მაზრა), გლეხის ოჯახში. დედის სურვილით 11 წლის
ვასილი სასწავლებლად მიიბარეს თუქურშიშის (საცხენისი) სამხედ-
რო სკოლაში. აქ ქართულ ენას არ ასწავლიდნენ და ქართველი ბავ-
შვები აუტანელ მდგომარეობაში იყვნენ. ამიტომ ვ. რცხილაძე ორი
წლის შემდეგ თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტში გადავიდა.
იქ ვასილმა ჩამოაყალიბა ლიტერატურული წრეები ლეგალური მუ-
შაობისათვის. კურსი 19 წლისამ დაამთავრა, შემდეგ აქტიურად ჩა-
ება ხალხოსნურ მოძრაობაში. ვასილი სხვა ამხანაგებთან ერთად ეს-
წრებოდა ფარულ კრებებს ავლაბარში, სადაც საუბრობდნენ პო-
ლიტიკურ საკითხებზე. მათ ჰქონდათ საბეჭდი მანქანა, რომლითაც
ბეჭდავდნენ პროკლამაციებს და ღამით კედლებზე აკრავდნენ.

80-იან წლებში იგი ს. ჭრელაშვილთან ერთად დაუახლოვდა
„ქარგალთა კავშირს“. ამ კავშირის მესვეურის მ. ჩოდრიშვილის დახ-
მარებით მოიწვია ქართველი მუშების გაერთიანებული კრება. ვასი-
ლი მუშებს ესაუბრა საქართველოს წარსულ ისტორიაზე, რუსეთის
თვითმპყრობელობის მძიმე უღელზე, ეროვნულ ჩაგვრასა და სხვა
საჭირბოროტო საკითხებზე. ასეთ კრებებს იგი ხშირად მართავდა
მოწინავე მუშების დახმარებით.

ვ. რცხილაძე მუშების საშუალებით ხალხში ავრცელებდა მე-
ფის საწინააღმდეგო პროკლამაციებს. რცხილაძის ასეთი მოქმედე-
ბა მოხელეებს მხედველობიდან არ გამოპარვიათ და მას დევნა და-
უწყეს. ვ. რცხილაძე ამხანაგების დახმარებით ახერხებს შვეიცა-
რიაში წასვლას.

ჟენევაში ვასილი ცხოვრობდა გრესოს ოჯახში. სადაც რევოლუ-
ციონერები იკრიბებოდნენ და საუბრობდნენ პოლიტიკურ საკი-
თებზე. პირველ ხანებში ვასილი ვერ მონაწილეობდა საუბრებში
ენის უცოდინარობის გამო, მაგრამ ოთხ თვეში საკმაოდ დაეუფლა
მას.

1880 წელს ვასილ რცხილაძე შედის ჟენევის უნივერსიტეტში,
სადაც ორი წელი დაპყო. მიუხედავად იმისა, რომ მეფის მთავრობა
მას აღმაცერად უყურებდა, იგი მაინც თბილისში დაბრუნდა. აქ მან
მეფის მთავრობის დევნის თავიდან ასაცილებლად მასწავლებლობა
დაიწყო (1883 — 1900), ხოლო შემდეგ ინსპექტორად მუშაობდა
სახელოსნო სასწავლებელში.

თბილისის სახელოსნო სასწავლებელში მოღვაწეობის პერიოდში
ვ. რცხილაძემ რუსულიდან თარგმნა და 1897 წელს გამოსცა როს-
კოს ქიმიკი, რაც დიდი მოვლენად ითვლებოდა იმ დროისათვის.



ვ. რცხილაძეს მოსკოვიდან ეხატანე ლამბაზიძე სწერდა: „ნება მომეცით გამოგიმკლავნოთ ჩემი უგულუთადესი და დიდი მადლობა იმ შრომისათვის, რომლის ნაყოფმა (როსკოს ქიმიამ) კარგი რამ შემატა ჩვენს მშობლიურ ლიტერატურას. გამოვიდა თუ არა ხსენებული წიგნი, დიდის სიამოვნებით წაფიკითხე და მინდოდა მაშინათვე მომეწერა წერილი, მაგრამ შემაგვიანდა. ისე ცოტა ემატება ამ უკანასკნელ დროს ჩვენ ნაბეჭდ ლიტერატურას სამეცნიერო ნაშრომები, რომ ყოველი პირი ამ მხრით შემეწენი ლიტერატურისა დიდი მადლობის ღირსი უნდა იყოს ყოველი ქართველის მიერ. მეტად რე უკანასკნელ დროის სამეცნიერო წიგნების გადუბჭირებული ფისი შემდეგ. თქვენი თარგმანი წარმოადგენს თვალგატეხილ მკითხველისათვის დამაამებელ და იმედის მომცემ მასალას. იმედია თქვენი შრომა სამეცნიერო წიგნების თარგმნისადმი მიმართული იბარტყებს და კვლავაც დაგვანახვებს სამშობლო ლიტერატურის სამეცნიერო ნაწილის შესამატს ნაწარმოებს...“

ამასთანავე ერთი სათხოვარი მაქვს თქვენთან. ამ დღეებში ამოვიკითხე „ივერიაში“ დარსკის წინადადება ქართული განყოფილების მოსპობის შესახებ თქვენს სასწავლებელში. მე ჭერჯერობით დარწმუნებული ვარ, რომ გამოუჩნდება იმ კაცის უზნეო განზრახვას ღირსეული მოწინააღმდეგე ქართველი და არ შეასრულებიებდა თავის საწადელს. მაგრამ მაინც, რომ მომავალში არ შეიძლოს თავის განზრახვის შესრულება, ვითომდა სახელმძღვანელოების უქონლობის გამო, უმჯობესი იქნება დროით მოვეხმაროთ საქმეს და განუმტკიცოთ სასწავლებლის სამერმისო სიმედგრისათვის ხელმოსაჭიდი ნიადაგი. გამოვეცეთ ქართულად ყველა საჭირო სახელმძღვანელოები სახელოსნო სასწავ. ქართულ განყოფილებაში სახმარი...“¹

ვ. რცხილაძე სამწერლო ასპარეზზე გამოდის გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან. იგი ქართულ ჟურნალ-გაზეთებში ათავსებდა სხვადასხვა შინაარსის, უმეტესად კი სასოფლო-სამეურნეო ხასიათის, წერილებს. გამოსცა რამდენიმე წიგნი: „ნიადაგი“, „იონჯა“, „საკვები ბალახები“ და სხვ. თარგმნა, შეადგინა და გამოსცა: „ქი-

¹ ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში, ბუტყეაზიული პერიოდის განყოფილება, ვ. რცხილაძის პირადი არქივი, ფურც. № 5-61 (წერილი ქვეყნდება პირველად). 19

მია“ როსკოსი (სასკოლო სახელმძღვანელო), 1897; „კრებული არითმეტიკული ამოცანებისა“, ნაწ. II, 1898; „შვეიცარიის ძირითადი კანონები“, 1906; „ბუნების მოვლენათა აღწერა“, 1905; „მცენარენი და ცხოველნი“, 1913.

ამ გამოცემათა შემოსავალი თბილისის სახალხო უნივერსიტეტის სასარგებლოდ იყო დანიშნული².

ვ. რცხილაძე არჩეული იყო ქართული დრამატული და წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრად.

1905 წელს ვ. რცხილაძის აქტიური მონაწილეობით დაარსდა სახალხო უნივერსიტეტი, რომლის თავმჯდომარედ მუშაობდა დაარსებიდან 1917 წლამდე. ვასილი დღედაღამ უნივერსიტეტში ტრიალებდა. ბევრი ტანჯვა და უსიამოვნება გადახდა მას მეფის მთავრობის მხრივ, როცა გაიგეს, რომ ამ დაწესებულების უფროსი ვასილი იყო (მთავრობა ვ. რცხილაძეს მეტ სახელად წითელს ეძახდა). რამდენიმე ხნის შემდეგ მთავრობამ სახელმწიფო უნივერსიტეტში აკრძალა ქართულ და სომხურ ენებზე ლექციების კითხვა, ხოლო თვით რცხილაძე დააპატიმრეს. განთავისუფლების შემდეგ მას ერთი წუთით არ შეუწყვეტია სასარგებლო საზოგადოებრივი საქმიანობა.

1909 წელს თავისი ხარჯით (1914 წლიდან კი ჟურნალი ქართული სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების ხარჯზე გამოდის) დაარსა სამეურნეო ჟურნალი „მოსავალი“. ჟურნალის გამოცემას ქართველი ხალხი სიხარულით მიეგება და სურდა მისი წარმატება.

ვ. რცხილაძეს სწამდა, რომ ჟურნალი „მოსავალი“ იქნებოდა მეურნეობის ყოველდღიური სიახლის გამომხატველი, ძველის, უფარგისის უყოყმანოდ დამგმობი და ახლის, პროგრესულის მქადაგებელი. ჟურნალ „მოსავლის“ საშუალებით ქართველი გლეხი უნდა გაცნობოდა სოფლის მეურნეობის სიახლეებს, მეურნეობის მანებლებთან ბრძოლის ახალ საშუალებებს, მიწათმოქმედების გაუმჯობესებულ მანქანა-იარაღებსა და სხვ.

ვ. რცხილაძემ თავის კოლეგებთან ერთად შეადგინა ჟურნალ „მოსავლის“ ვრცელი პროგრამა (რა თქმა უნდა, მას ანგარიში უნდა გაეწია იმდროინდელი რეგიმისა და ცენზურისათვის).

ამ პროგრამის მიხედვით ჟურნალში უნდა გაეშუქებინათ შემდეგი საკითხები: 1. სახელმწიფო განკარგულებანი, რომელნიც შეეხებიან მეურნეობასა და სოფლის ყოფა-ცხოვრებას; 2. ხვანათესვა, ხეხილის გაშენება, ბოსტნეულობა, თამბაქოს მოყვანა, მევენახეობა

² ჟურნ. „მოსავალი“, 1909, № 12, გვ. 16.

და მეღვინეობა, ტყეების დაცვა და სარგებლობა; შინაური ფრინველების მოშენება, მეფუტკრეობა და მეაბრეშუმეობა, ხელსაქმეობა, ხელოსნობა, მადნეულობა, ამინდი, მორწყვა, სასუქი, სამეურნეო იარაღების ავ-კარგინაობა, ვაჭრობა საკრედიტო, სავაჭრო, სამრეწველო და მომხმარებელ ამხანაგობათა დაარსების საკითხები; საცდელი მინდვრები, სასწავლო საგარჯიშო ფერმერები; სწავლა-განათლება და სპეციალური ცოდნის შექმნა: 3. ყველაფერი ის, რაც სოფლის ყოფა-ცხოვრებას შეეხება; 4. კორესპონდენციები. სხვადასხვა სასარგებლო ცნობები, ბიბლიოგრაფია, განცხადებანი³.

ვ. რცხილაძე მთელი ენერგიითა და საკუთარი სახსრებით ცდილობდა ამ პროგრამის სრულყოფილად განხორციელებას. იგი ჟურნალის ირგვლივ იკრებდა იმ დროისათვის ცნობილ სპეციალისტებს.

ქუთაისიდან ნ. მკურნალი წერს ჟურნალ „მოსავლის“ რედაქციას: „ბასუხად თქვენის წერილისა, უცხადებ რა გულწრფელ თანაგრძნობას ქართველ მეურნეთა ჯგუფს, სიამოვნებით ვუერთდები რედაქციის თანამშრომლებს.

ამასთან ვთხოვ პატივცემულ რედაქციას, თუ შესაძლებელია. შემატყობინოს დრო „მოსავლის“ პირველ ნომრის გამოსვლისა, რომ დროზედ მივაწოდო სტატიები შემდეგი ნომრებისათვის...“⁴.

მოსკოვიდან კონსტანტინე ბერეკაშვილი ვ. რცხილაძეს წერს: „საფრანგეთიდან დაგბრუნდი და „მოსავლის“ რედაქციიდან მოწოდება დამიხვდა ჟურნალში თანამშრომლობის შესახებ. ჟურნალის გამოცემას და დაფუძნებას აღტაცებით ვიგებები და გამარჯვებას გისურვებთ მთელის გულით. რასაკვირველია შეძლებისდაგვარად შრომას არ დაეიზარებ ჟურნალში“⁵.

„ბატონო ვასილ!

თქვენი ცირკულიარი 6 მარტისა ფოთიდან აქ მომაწოდეს. დიდს და გულწრფელ მადლობას გიძღვნით ხსნოვნისათვის. მეტათ გამახარა თქვენმა დაწყებამ და სრულს გამარჯვებას გისურვებთ. რაც კი შეეხება ჩემს მონაწილეობას, სადა მაქვს მისი მოცალეობა! ჩაეარდი ისეთ გასაქირში ამ წყველ და უბედური 1/2 კაბ. ბაყის გამო, რომ ენა ვერ გამოთქვამს და კალამი ვერ აწერს! ველარაფერზე ვე-

³ ჟურნ. „მოსავალი“, 1909, № 1, გვ. 4.

⁴ ვ. რცხილაძის დასახ. არქივი, ფურც. № $\frac{5-61}{9}$.

⁵ იქვე, ფურც. № $\frac{5-61}{19}$.

ღარ ვფიქრობ სხვაზე, და შრომა ხომ უფიქრელად როგორ მოხერხდება. თუ როდესმე გამოველ ამ განსაცდელიდამ, სხვა საქმე არაა, მაგრამ იმედიც აღარ მაქვს იმისა. ღმერთმა თქვენ საქმეს ხელი მოუშართოს და კეთილი მომავალი მიანიჭოს, მე კი მისთვის არაფერი შემიძლია სანამ ფოთს თავს არ დაეანებებ, ან ფოთი თავს არ დამანებებს. რასაკვირველია, უჩემოდაც წინებულად წავა თქვენი საქმე და გთხოვთ თქვენს გამოცემაზე ხელის მოშორებად ჩამნიშნოთ ორ ეგზემპლარზე. ამ აღრესებით:

1. В С.-Петербург, Ольге Александровне Николаеве, Надежинская, 23.

2. В. г. Поти, Николаю Яковлевичу Николаеве.

მხვედრ ფულს მოგართმევთ როგორც კი გამოცემის ფასს გადაგებ. თუ ნებას მიბოძებთ (იმ მოსახრებით, რომ მხურვალე გულით მსურს თქვენი დაწყების ბედნიერება) მოგახსენებთ, რომ ერთობ ნაკლები ადგილი მიგიციათ თქვენს პროგრამაში გიდრავლიკისათვის, რომელშიაც, ჩემის აზრით მთელი ჩვენი ქვეყნის მომავალი მოთავსებული. მარტო ერთი სიტყვა „მორწყვა“ მოგითავსებიათ „ხელსაქმობას“, „ხელოსნობას“ და სხვა ამგვარების შორის. გარდა იმისა, რომ опошение -ს (არა მორწყვას, поливка -ს) ჩვენი სახსარი ადგილების გასამკვეცება შეიძლება, ყურადღება უნდა მიაქციოთ. Белый, Синий, Зеленый, ყვითელი, რომელშიც გაამდიდრა და გაანათ. ლა ყველა მთიანი ადგილები ევროპაში და ამერიკაში. მისი ზემოქმედება სწორედ სასწაულმოქმედი შეიქნა. შეასწავლეთ ვისმე და დააწერინეთ სტატიები იმ საგანზე, თუ რამდენად შეიძლება ისარგებლოს ჩვენმა წისქვილის პატრონებმა თავიანთი წისქვილების გადაწყობით ისე, როგორც სოფიაში ან დოფინეში გადააკეთეს წისქვილები პაწია ქარხნებად. თუ მოვიცალე, როდესმე (გაისად) იქნება მეც რაიმე დაგიწეროთ ამ საგანზე⁶. —წერს პეტერბურგიდან ნიკო ნიკოლაძე.

ვ. რცხილაძემ შეძლო ყურნალის ირგვლივ შემოეკრიბა ქართველი ინტელიგენციის მოწინავე ნაწილი: მ. ჯანაშვილი, ი. წინამძღვრიშვილი, ე. იოსელიანი, ს. ხუნდაძე, დ. მდივანი, მ. ზაალიშვილი, ა. წულაძე, ს. ჩოლოყაშვილი, ს. ქვარიახი, ნ. ყავრიშვილი, გ. მკურნალი, ს. ქვარიახი, ნ. ყავრიშვილი, გ. მკურნალი, პ. მელიქიშვილი, პ. პეტრიაშვილი და მრავალი სხვ.

⁶ ვ. რცხილაძის დასახ. არქივი, ფ. 5-61/30 (წერილები მკაცრდსმა პირველად).



ՀԱՅԿԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ
ՆԱԽԱՐԱՐԱԿԱՆ ԳՐԱԴԱՐԱՆ



Լուս. 10. Մեջին-սոսցյեկե ցանցու արդևն ետ Բլոնցյե

მიუხედავად ასეთი მრავალრიცხოვანი თანამშრომლებისა, ნალში წერილების უმრავლესობა ვ. რცხილაძის ავტორობით იბეჭდებოდა. უფროსი ვასილი წერილებს აქვეყნებდა გულბაათიშვილის, ახოშვილის, გადმოხვეწილის, ვ. შელის ფსევდონიმებით და, რა თქმა უნდა, თავისი ნამდვილი გვართაც.

1909 წლის 14 მაისს გამოვიდა „მოსავლის“ პირველი ნომერი, რომელიც ასე იწყება: „ჩვენი პატარა და მრავალფერ ბუნებოვანა საქართველო უხსოვარი დროიდან ცნობილია როგორც მეურნეობის ქვეყანა.

ეს მეურნეობა მთავარი ძარღვია ჩვენი ხალხის ცხოვრებისა დღესაც... უხვი, მდიდარი მალღიერი ბუნება ჩვენის ქვეყნისა ხელის შემწყობია მეურნეობის ყოველგვარი დარგისა; თვით ცხელი ქვეყნის მცენარეებიც—ჩაი, ლიმონი, ფორთოხალი—ადვილად ეთვისებიან აქაურ ჰავას, მაგრამ მიუხედავად ამ საარაკო ბუნებრივი სიმდიდრე-ნაყოფიერებისა, მეურნეობა ჩვენში დღესაც განვითარების უდაბლეს საფეხურზე დგას და ფრიად სავალალო სანახავს წარმოადგენს.

მეცნიერებამ-კი მეურნეობის განვითარებაში დევის ნაბიჯი გადასდგა და მრავალი ახალი, ძველთათვის სრულიად უცოდინარი, გზა გამონახა, მრავალი ძველი საშუალება გააუმჯობესა და განავითარა. დაწინაურებულმა ქვეყნებმა კიდევაც ისარგებლეს ამ გამოკვლევებით და მეურნეობის რიგიანი წარმოებით თავისი ეკონომიური ცხოვრება ბევრად გააუმჯობესეს, გააღონიერეს.

ჩვენი სამშობლო ამ მხრივაც ძლიერ ჩამორჩენილია განათლებულ ქვეყნებს, და თუ უმთავრესი არა, ერთი მთავარი მიზეზთაგანი ჩვენი ეკონომიური უძლურებისა ამ გარემოებაში იხატება.

რატომ? განა არ გვეყვანან ისეთი ცოდნა-მომზადებით აღჭურვილნი პირნი, რომელთაც შეუძლიანთ სამეურნეო გზა გაუნათონ ჩვენს ჩამორჩენილ სოფლის მეურნეს? დიალაც გვეყვანან, მაგრამ მათი დაქსაქსულობა, მათი ცალ-ცალკე და კერძო მოქმედება ვერ სწვდება ჩვენი ქვეყნის სივრცეს, ვერ უწევს მის გულსა და ამიტომაც თუ სრულიად უნაყოფოთ არა, მცირე უმნიშვნელო ნაყოფიერებით კმაყოფილდება.

საკიროა, ვფიქრობთ, ამ პირთა შეკავშირება, მათი ცოდნა-გამოცდილების ერთ ლამპარად შეერთება, რომ სინათლე ამ ლამპარისა ძლიერი სხივით შეიჭრას ჩვენი ქვეყნის სიბნელეში და შეანათოს მეურნე გლეხის ოჯახის თვით გულში.

ამ მიზნის მისაღწევად ქართველ მეურნეთა ერთმა ჯგუფმა განიზრახა სამეურნეო ჟურნალის გამოცემა, რომლის დანიშნულებაც იქნება მიაწოდოს ჩვენ ხალხს ადვილ გასაგები, მარტივი ენით დაწერილი საჭირო ცნობები მეურნეობის ყოველი დარგიდან, შემოიკრიბოს თავის გარშემო ცოდნა-გამოცდილებით აღჭურვილი მეურნენი და საერთო ძალით გაუძღვეს სოფლის მცხოვრებთა ეკონომიურ გაუმჯობესების საქმეს⁷.

მართლაც, „მოსავალმა“ მალე მოიპოვა ჩვენი მკითხველი საზოგადოების თანაგრძნობა და ყურადღება.

ჟურნალ „მოსავლის“ საშუალებით ჩვენი გლეხობა ეცნობოდა სოფლის მეურნეობაში დანერგილ სიახლეებს, ვაზისა და სხვა კულტურების მავნებლებთან ბრძოლის ახალ საშუალებებს, ღვინის ევროპულად დაყენების წესებსა და სხვ. ჟურნალს კავშირა ჰქონდა ლონდონის, პარიზის, გერმანიის საუკეთესო ფირმებთან. ჟურნალი ეხმარებოდა ქართველ გლეხობას მიწათმოქმედების გაუმჯობესებელი მანქანა-იარაღების შეძენაში.

ჟურნალს ლონდონში ჰყავდა „მოსავლის“ ლონდონის აგენტურა, რომელსაც კავშირი ჰქონდა ევროპის საუკეთესო ფირმებთან. აგენტურა საქართველოს ამარაგებდა თესლეულით. აგრეთვე „მოსავალს“ პირდაპირი კავშირი ჰქონდა ლონდონის ბაზართან, რათა ხელი შეეწყო ქართული პროდუქციის გასაღებისათვის.

ჟურნალში ვ. რცხილაძე ათავსებდა წერილებს მევენახეობაზე, მეღვინეობაზე, ნიადაგსა და მის შემადგენლობაზე, მესაქონლეობის მნიშვნელობაზე და განვითარების საშუალებებზე, მემინდვრეობაზე, მეფრინველეობაზე, ბუნებრივ და ხელოვნურ სასუქებზე. აგრეთვე თარგმნიდა და ჟურნალში ბეჭდავდა წერილებს: „საჯულისხმო მოხსენება“, „მოკლე დარიგება ამერიკული ბამბის თესვა-მოყვანის შესახებ“, „სანატრელი ქვეყანა“, „დარვინის თეორია“ და სხვა მრავალი.

ჟურნალ „მოსავლის“ შესახებ ცნობილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე გიორგი რცხილაძე ვასილს წერდა: «დიდის კმაყოფილებით გადავიკითხე ე. „მოსავლის“ ყველა ნომრები და ძალიან კმაყოფილი დავრჩი შინაარსით. ჩემის ფიქრით, რაც მეტი პრაქტიკული ხასიათი ექნება „მოსავალს“, მით უკეთესად აასრულებს თავის მიზანს. განსაკუთრებით მომეწონა წერილები ღვინის დაყენე-

⁷ ჟურნალი „მოსავალი“, 1909, № 1, გვ. 3.

ბის შესახებ, როგორც შინაარსის, აგრეთვე ენის მხრივ. ენა სა-
ოდ მოქნილია, თუმცა ზოგან მეტი გამართილება ესაჭიროება.
როგორღაც არ ეტყობა „მოსავალს“, რომ ქართული მეცნიერება
ყურადღებით და სერიოზულად უტკეროდნენ გამოცემას. იქნება ეს
იმის ბრალიც იყოს, რომ ჯერ-ჯერობით „მოსავალი“ ახალგაზრდაა
და უცნობი. მე მგონია, უმთავრესი ყურადღება უნდა მიექცეს იმას,
რომ მკითხველი მეურნე ყოველ საჭიროების დროს მიმართავდეს
რედაქციას დარიგებისათვის, თვით რედაქციაში კი ისეთი მკადნე
პირები იყვნენ, რომ შეუფერებელი დარიგება არავის შეუთვა-
ლონ“⁸.

1910 წლის 22 დეკემბერს თბილისში დაარსდა ქართული სამე-
ურნეო საზოგადოება. 1914 წლიდან ქურნალი „მოსავალი“ ამ სა-
ზოგადოების სახსრებით გამოდიოდა, მის ორგანოდ ითვლებოდა და
ამ საზოგადოების საქმიანობასაც აშუქებდა.

ქართული სამეურნეო საზოგადოების დაარსების დღიდან ვასი-
ლი მუშაობდა ამ საზოგადოების მდივნად.

ქურნალი „მოსავალი“ და ქართული სამეურნეო საზოგადოება
დარაჯად ედგა ყოველ საკითხს, ჩვენი ეკონომიური ცხოვრებით გა-
მოწვეულს, და ცდილობდა მის წესიერად განმარტებასა და გადაწ-
ყვეტას. ქართულმა სამეურნეო საზოგადოებამ დიდად შეუწყო ხე-
ლი განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოს სოფლის მეურნე-
ობის განვითარებას. ქურნალი „მოსავალი“ წერდა: „ორი წელი
არც კია, რაც ქართულმა სამეურნეო საზოგადოებამ დაიწყო მოქმე-
დება. ამ მოქმედებას დღეს უკვე ხედავენ ნათლად როგორც სამ-
მართველო, ისე საზოგადო დაწესებულებანი და კერძო პირნიც და
თანაუგრძნობენ მას. რომ მოქმედება იგი მართლა სასარგებლოა
ხალხისათვის, ამის დასამტკიცებლად შორს არ წავალი: „ქართული
სამეურნეო საზოგადოება, რომელიც გვიპირდება დახმარებას და ამ
დახმარების გამოსაძებნად პირველმა შესდგა ფეხი სოფელში, ვა-
მოვიდა ხალხში, რათა ადგილობრივ გაეცნოს ამ ხალხის მდგომარე-
ობას, საკუთარის თვალითა და ყურით ნახოს და გაიგონოს სოფლის
დუხპირი... ორი წლის განმავლობაში ამ საზოგადოებამ ქართლს
დაუარსა აგრონომიული სადგური, მიიწვია რაიონის აგრონომი, მე-
ბაღეობის ინსტრუქტორი, ხეხილის გამსხვლედი, დახარჯა დიდ-
ძალი ფული; კახეთსაც მისცა აგრეთვე აგრონომიული სადგური, სა-

⁸ ვ. რ. ცხილაძის დასახ. არქივი, ფ. 5-61.
15

რაიონო აგრონომი, იყიდა ორ ადგილას კახეთში 32 დესტრინა საეცნახე მიწა, გამართა სანერგეები ამერიკული დედა ვაზებისა და ნამყენებისა, აპირებს საცდელ ენახების გაშენებას და სხვა სამეურნეო სამუშაოების გეგმის შემუშავებას და ამ გეგმით მოქმედების გაძლიერებას“⁹.

1907 წლიდან 1913 წლამდე ვასილ რტვილაძე საქველმოქმედო საზოგადოებაში მუშაობდა მდივნად. აქედან იგი დიდ დახმარებას უწევდა ჩვენი საზოგადოების გამოჩენილ ადამიანებს. ეს კარგად ჩანს ვალერიან გუნიას ვ. რტვილაძისადმი 1907 წლის მიწერილ წერილში. აქ ვალერიანი წერს:

„ძვირფასო და ყოველად კეთილთ ძმავ ვასილ!

რა საჭიროა მოგიყვე ჩემს სამწუხარო ამბავს. ექვსი თვეა, რაც ლოცნად ჩავეარდი. ამასთანავე არავითარი სახხარი არათუ წამლობა-მკურნალობისათვის, არამედ დღიური ლუქმა პურისათვის, ჩემი სარჩო მხოლოდ თეატრი და მისი სამსახურია-

ყოველად უშნო და უპირო გამგეობა ქართული დრამატ. საზოგადოებისა შემწეობის გაწევას კი არა, ჩემი შრომისათვის ხედრი შარშანდელ სეზონში სამსახურისათვის კუთვნილ ფულსაც კი არ იძლევა. ძველს გამგეობას თეატრისათვის ფულს სულ არ იძლევს, დიხაც საფუძვლიანი მიზეზით. ახალი კი ჭერ არ არის არჩეული, რომ მისთვის მიმემართა, ვითარცა კანონიერი ჭირისუფლისათვის. ასეა თუ ისე, მე ავად ვარ. უჩემოდ კი, სამწუხაროდ, ვერც თეატრის საქმე მიდის ჩვეულებრივის დონით. მსახიობნი აქეთ-იქეთ დაიქსაქსენ. თუ დამდეგი სეზონისათვის ვერ მოვკეთდი, ეეკვობ, რომ თეატრის საქმეც მოწესრიგდეს. სამწუხაროა ყველა ეს, მაგრამ ასე კია.

უბლა გთხოვთ და გემუდარებით: თქვენმა საქველმოქმედო საზოგადოებამ, რომლის ღირსეული ხაზინადარი შენ ბრძანდები, დროებით შემწეობა აღმომიჩინოთ ოცის თუმნის დავალებით და სესხად. ამ ფულს მე ნაწილ-ნაწილ გადავიხდი ოთხი თვის განმავლობაში. გიძეორებ, უჩემოდ როგორც უვირისთაოდ ქორწილი, თეატრი არ ივარგებს და ამ მხრივ არავითარი შიში არ მოელის თქვენს საზოგადოებას ფულის დაკარგვაზე, მით უფრო განზრახულ ახალ ქართულ დრამატ საზოგ. გამგეობაში უთუოდ საშა ჯაბადარიც იქნება წევრად, და თუ ჩემს სინდისს, ვინიცობაა, ლიბრი გადაეკრა, ჯაბადარი მაინც შესძლებს ჩემის ჯამაგირიდან ფულის დაქვრას...

⁹ ვერნ. „მოსავალი“, 1913, № 13, 18, გვ. 29.

მე აგერ ორი თვე სრულდება, რაც ოპერაცია გამიკეთეს და ეს-
ლა ექიმი სობოლევსკის სახლში ვწევარ (ელისაბედის ქუჩა № 37)
და იქ მწამლობენ. ამ თვის დამლევს უნდა გაეუსწორდეს მან ვაეს-
წიო ჯერ ბორჯომში და მერე პატარა ცემში ვახტანგ დამბაშიძესთან,
რათა სრულებით ჩანსალ ღონეზე მოვიდე. ყველაფრისათვის საქი-
როა ფული, რომელიც მე არ მაქვს და რომელსაც თქვენს საზოგა-
დოებას ვთხოვ სესხად.

ახლა შენ იცი, ნუ შეხედავ ჩემს თხოვნას ოფიციალურად ან ინ-
დიფერენტულად... მოიგონევი ჩემი მიკროსკოპიული წვლილი ქარ-
თული თეატრისა და მისი მწერლობისათვის გაღებული ან ეგებ შე-
გებრალო როგორც ადამიანი ან როგორც პატარა მუშაკი.

თუ მოგვეთდი, ხომ კიდევ შევძლებ ჩემებურად, ვირივით მუშა-
ობას ქართული ხელოვნების სასარგებლოდ.

შენ, როგორც ჩვენი ქვეყნის მოკეთე-მოამაგეს, უნდა გეამბო-
დეს თუნდაც ჩემისთანა პაწია მუშაკის ყოფნა ეროვნულ მოღვაწეთა
რაზმში, რომლის ერთი ღირსეული ბელადი სხვათა შორის შენცა
ხარ.

მეტი რა მოგწერო, ესლა შენ იცი და შენმა კეთილმა გულმა და
ფხიზელმა გონებამ!¹⁰

ცნობილ ქართველოლოგს მარჯორი უორდროპს იმ დროს ქართ-
ველ ხალხში დიდი სიყვარული და პატივისცემა ჰქონდა მოხვეჭილი.
საქართველოში მან ბევრი გულწრფელი მეგობარი გაიჩინა და მა-
წერ-მოწერა ჰქონდა მათთან გამართული. ვ. რცხილაძეც ხელს უწყ-
ობდა მ. უორდროპს საქართველოს ცხოვრების შესწავლაში და
ქართულ ჟურნალ-გაზეთებს უგზავნიდა მას.

მ. უორდროპის საპასუხო წერილში ვკითხულობთ: „დიდად პა-
ტივცემულო ბატონო რცხილაძე, დიდი სიამოვნებით მივიღე თქვე-
ნი წერილი და ნაჩუქარი ჟურნალ-გაზეთები, მადლობას მოგახსენ-
ებთ. თქვენი თხზულებანი საყურადღებო შემატება იქნება ჩვენი
ქართული წიგნთა კრებულისა. ჩვენი სურვილია ყველა ქართული
წიგნის შეკრება, რაც შეიძლება შემდეგში მივართვათ ერთ ინგლი-
სელ მუზეუმს, ასე რომ ვისაც სურს ქართული ენის შესწავლა ად-
ვილად შეიძენს საჭირო მასალებს. ერთი საათის წინად, რომ მივი-
ღე თქვენი წერილი გამოგვზავნე მეორეთ იმ წიგნების სია, რომე-
ლიც მინდოდა და იმეღია მალე მივიღო. უკვე მომსვლია რამდენიმე
სიმღერები.

¹⁰ „საბჭოთა ხელოვნება“, 1961, № 1, გვ. 71.



Գլխաւոր քաղաքացիական հրահանգի կայանը

ბოდიშს ვიხდი, რომ ავადმყოფობის გამო ამდენ ხანს ოქვენა
კეთილი წერილი უპასუხოდ დარჩა, რასაც სწერთ საქართველოზე.
ფრიად მაწუხებს, თქვენი მშვენიერი სამშობლო სულით და გულით
მიყვარს და ვვედრებ მის ბედნიერებას. კიდევ ერთხელ გმადლობთ.
თქვენი ღრმად პატივისმცემელი — მარჯორი უორდროპი¹¹!

ვ. რცხილაძე ჩვენში კოოპერატივეზისა და ამხანაგობების ჩამო-
ყალიბებას დიდ უპირატესობას ანიჭებდა. იგი წერდა: „კოოპერაცია
გზაა დღეს წარმატებისა მეტი ძალ-ღონის მოსაპოვებლად. ამ გზას
ადგა ყოველი შეგნებული, რათა ღონიერმა უფრო მეტი ძლევამოსი-
ლება შეიძინოს და უღონომ, დაჩაგრულმა არსებობისათვის ბრძო-
ლაში თავი გადაირჩინოს...“

ვისაც სწორად აქვს წარმოდგენილი ჩვენი ქვეყნის აწინდელი
მდგომარეობა, ის ადვილად დაგვეთანხმება, რომ მხოლოდ ერთი-
ერთმანეთთან შეკავშირება ამიერკავკასიის მწარმოებლებისა, კოო-
პერაციების დაწესება მათ შორის დაიხსნის ჩვენ მშრომელ ხალხს
უკიდურესი სისაწყლისაგან და საბოლოო განადგურებისაგან.

...ცხადია... შეკავშირება ესაჭიროება არა მარტო ცხერისა და
ქროსის პატრონებს, არამედ სამეურნეო ცალკე დახმარების ყველა
წარმომადგენლებს და იმედიცაა, რომ ახლო მომავალში ყველა დარ-
გის მეურნეობათა შორის გამოჩნდებიან ისეთი პარნი. რომელნიც
აგრეთვე ღრმა რწმენით გამსჭვალულნი შეუერთდებიან ერთმანეთს
და შექმნიან მოთხოვნილებას და კვალად სხვადასხვა კოოპერაცი-
ებს... ხოლო ჩვენ კი დღეს მივმართავეთ ყველა იმათ, ვინც ჩვენთან
ერთად არის ამ საქმეში დაინტერესებული და ვითხოვთ გამოგვი-
წოდონ საამხანაგო ხელი, შემოგვიერთდნენ, რომ ყველამ ერთად
შეერთებული ძალ-ღონით თითოეული ჩვენთაგანის მდგომარეობა
გააუმჯობესოთ“¹².

1912 წელს, ვ. რცხილაძემ წაიკითხა მოხსენება მეზამბეთა კრე-
ბაზე. ამ მოხსენებიდან ირკვევა, რომ იგი წასული ყოფილა აშაგი-
ლიაგიაში (აზერბაიჯანის სსრ) ამერიკული ტრაქტორის სანახავად.
მასთან ერთად ყოფილა ორი ახალგაზრდა ქართველი აგრონომი მოს-
კოვის სამეურნეო ინსტიტუტის კურსდამთავრებული და მექანაიკო-
სი. ტრაქტორის სანახავად ვასილი კვლავაც წასულა. მას თან ზღე-
ბია 19 კაცი, რომელთაგან 5 დღიმელი გლეხი ყოფილა. მესამედ მას
თან წაუყვანია: თავადაზნაურთა წინამძღოლი, სასოფლო-სამეურ-

¹¹ „მნათობი“, 1945, № 10, გვ. 103.

¹² ვერნ. „მოსავალი“, 1910, № 10, გვ. 4.

ნეო საზოგადოებათა თავმჯდომარენი. აგრონომები და რამდენიმე მეურნე. მანქანას დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია მნახველებზე და შეუძენიათ კიდევ. ამავე პერიოდში საქართველოში გამოჩნდა პირველი სატრაქტორო გუთანა. ამ საყურადღებო მოვლენას პოპულარიზაცია ვ. რცხილაძემ გაუწია, ამით მან სოფლის მეურნეობის დაინტერესებულ პირებს გააცნო სახანაი აგრეგატის ვარგისიანობა მიწის მოსახენლად და სხვა სამუშაოთა შესასრულებლად.

ვ. რცხილაძე რამდენიმე წელიწადს სათავედაზნაურო სკოლის საბჭოს წევრადაც მუშაობდა. ამავე დროს ვაჟთა პირველ გიმნაზიაში ქართულ ენაზე ასწავლიდა ფიზიკას.

1914 წელს ვ. რცხილაძე არჩეულ იქნა მევენახეთა და მეღვინეობის კომიტეტის წევრად, 1918 წელს კი შინა მრეწველობის საზოგადოების თავმჯდომარედ.

ვ. რცხილაძის ინიციატივითა და უშუალო. მონაწილეობით კახეთში რამდენიმე ადგილას დაარსდა აგრონომიული პუნქტი, რომელთაც თვალსაჩინო წვლილი შეიტანეს კახეთის სოფლის მეურნეობის განვითარებაში. საგარეგოში დააარსა სკოლა-ქარხანა, რომელმაც ხელი შეუწყო საფეიქრო ცოდნის გავრცელებას გარე კახეთსა და ქიზიყში.

1917 წელს მან დააარსა თხილთ სავაქრო ამხანაგობა „ქართლი“. ამავე წელს მისი ინიციატივით შედგა ამიერკავკასიის მეღვინეთა და მევენახეთა ყრილობა. იგი არჩეულ იქნა ყრილობის თავმჯდომარედ და ახლად დაარსებულ მეღვინეთა და მევენახეთა ბიუროს თავმჯდომარედ.

ვ. რცხილაძეს სურდა უფრო მეტად დაახლოებოდა ხალხს, საზოგადოების ძირითად ფენას—მშრომელ გლეხობას და მისი გონებრივი და მატერიალური განვითარებისათვის ხელი შეეწყო. მას გულწრფელად და უანგაროდ სურდა დახმარებოდა სოფელს. აქვია გლეხობის კულტურული დონე, გაეუმჯობესებინა მათი ეკონომიური ცხოვრების პირობები. ამ მიზნით იგი აღმოსავლეთ საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში მეურნეობის საკითხებზე ატარებდა ლექცია-საუბრებს. ამავე დროს ქართული სამეურნეო საზოგადოების წევრთა დახმარებით გლეხობას პრაქტიკულადაც უჩვენებდა ხოლმე: კარაქის კეთებას, თაფლის გამოღებას, მანქანა-იარაღების გამოცდას, მყნობასა და სხვა მრავალს. ამის შესახებ ქართული სამეურნეო საზოგადოების ანგარიშში ვკითხულობთ: „თავ. ს. ჩერქეზიშვილი. ბატონო ვასილ ილიას ძევ! ნება მიბოძეთ მე ჩემის მხრივ

და ყველა იმათ მხრივაც, ვინც აქ არიან შეკრებილნი, იმედი მაქვს/
ესენიც მოემხრობიან ამ ჩემს სიტყვას — მოგახსენოთ ჩვენი უღრმა
მესი, გულითადი მადლობა თქვენ, როგორც ქართული სპეციალური
საზოგადოების წარმომადგენელს, და ვთხოვთ ხშირად მობრძანდეთ
ბოლმე ისე, როგორც ეხლა და გამართოთ ასეთი თათბირი, რადგან
ესეც, რაც უკვე გავიგონეთ, დიდათ სასარგებლოა ხალხისათვის¹³”.

საგარეჯოში თავი მოუყრია 600-ზე მეტ გლეხს. მათ რიცხვში
ყოფილან მარტყოფელები, გიორგიწმინდელები და სხვები. გლეხო-
ბისათვის უჩვენებიათ მერძეობაში ხმარებული ახალი მანქანა-იარა-
ღები, სებარაატორის საშუალებით რძიდან ნაღების გამოხდა. უხსნიდ-
ნენ, თუ რა უპირატესობა აქვს სებარაატორით გამოხდას და სხვ. ვა-
სილი განუმარტავდა გლეხობას, თუ რამდენად სასარგებლოა შესა-
ქონლეთა შეკავშირება და შეერთებული ძალით რძე-კარაქის მომზა-
დება და გასაღება, ძროხების დანიური წესით კვების უპირატესობა
და სხვ. უხსნიდა მათ სხვადასხვა სასარგებლო შედეგს, რომლებიც
მოჰყვებოდა მერძევეთა ამხანაგობის საქმიანობას.

ვ. რცხილაძის მიზანი იყო კახეთში დაეარსებინა სასოფლო-სა-
მეურნეო სკოლები. მას ღრმად სწამდა, რომ ჩვენი გლეხკაცობა მხო-
ლოდ მაშინ ეღირსებოდა ბედნიერ ცხოვრებას, როცა ცოდნით აღი-
ჭურვებოდა და მიწას სწორად დაამუშავებდა.

მრავალფეროვანია ვასილ ილიას ძე რცხილაძის მოღვაწეობა,
რომელიც ძალმომრეობის მძიმე წლებში ქედს არ იხრიდა არაე-
თარი საფრთხის წინაშე და მსხვერპლად ეწირებოდა სამშობლოს
თავისუფლებისა და ბედნიერების წმინდა საქმეს. იგი მთელი არსე-
ბით დაკავშირებული იყო ხალხთან, ბრწყინვალედ იცოდა მისი მრავალსაუკუნოვანი წარსული და დარწმუნებული იყო მის კარგ მომავალში.

ვასილ რცხილაძე გარდაიცვალა 1920 წელს. იგი დაკრძალულია
დიდუბის პანთეონში.

ვასილ ილიას ძე რცხილაძის არქივში, რომელიც საქართველოს
სახელმწიფო მუზეუმს გადასცა მისმა ოჯახმა, დაცულია ბევრი სა-
ყურადღებო დოკუმენტი და წერილი. ჩვენ მიზანშეწონილად მივიჩ-
ნიეთ მონოგრაფიისათვის დაგვეერთო ზოგიერთი მათგანი, რომლებიც
მრავალ საინტერესო საკითხს შეიცავს.

¹³ ჟურნ. „მოსავალი“, 1913, № 13, 18, გვ. 40.

თქვენო მაღალკეთილშობილებავ ვასილ ილიჩ რცხილაძე, ბევრს გაწუხებთ და ვხედავთ, რომ მრავალ მოწყალე ბრძანდებით ჩვენი შაშიანის საზოგადოებისთვის: და კიდევაცა გვაქვს იმედი, რომ შემწეობა მოგვცეთ. ვენახებას წამლობის შესახებ წერილი გამოგვზავნეთ თქვენთანა და არ ვიცით მიიღეთ თუ არა.

ტყის შესახებ თელავში გახლდით მარტის 12-ში და ლესნიჩმა გვიბრძანა, რომ თქვენი საჩივარი აქ მომივიდა ბეკისაგანაო. მე განვიხილე და ისევ დავაბრუნე ბეკთანაო ამა მდგომარე მარტის 2-შიაო № 124. ვთხოვთ უმორჩილესათა, რომ მიბრძანდეთ და ჩვენ მაგივრათა სთხოვოთ, რომ მალე გამოგზავნონ რანაირადაც იქნება. თქვენთვის მოუხსენებიათ, რომ ასოცდახუთი საყენი შეშისათვის საკმაოა ათი დესეტინა ტყეო, მობრძანდნენ და ინახულონ დესეტინაში რა დგება: დესეტინაში დგება, თუ ძალიან კვი ტყე იქნება ხშირი, ოთხი საყენი შეშა და ჰვიგო და ექვსი საყენი ეკალი და ფინხი წნელი...

ვთხოვთ გავვიგოთ და იქნება მალე გამოგზავნონ. რანაირათაც იქნება საქმე რომ გამოგვიცხადებენ, ჩვენც სხვანაირად ვეცდებით.

ვთხოვთ თქვენი მორჩილი მსახური შაშიანის მამასახლისი გიორგი ხეჩენაშვილი.

1898-სა წელსა მარტის 14-სა დღესა 14.

1905 წ. 7 სექტემბერი

[აქ წერილი დაზიანებულია და არ იკითხება].

II.

Ты может быть до-сих-пор не слыхала о том несчастии, которое произошло в Тифлисе 29 августа, когда мы приехали в Шашинани. На обратном пути в Телави же рассказали мне об этом, а подробности я узнал по приезде в Тифлисс. Дело вот в чем:

29 августа вечером в городской управе (думской зал) собралась тысячная толпа для обсуждения вопроса об армяно-татарской резне в Баку и других городах и селах. Никто не разрешал этого собрания. Собравшиеся сами отворили двери, зажгли свет и... [აქ წერილი არ იკითხება].

¹⁴ ს. ჯანაშაას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ბერძენ-ზიული პერიოდის განყოფილების დოკუმენტების ფონდი, ფურც. $\frac{5-61}{21}$.

...которые были где гласные сидят, а затем когда стала выходить публика с хоров, заперли двери и стали оставшихся стрелять. Испуганный народ разбежался по разным углам в городском доме: кто в ломбард, кто в подвал, кто во дворе. Выйти на улицу, ни Гановскую, ни Вельяминовскую не мог, т. к. их встречали казаки, которые шашками и кинжалами рубили как только могли и стреляли. Особенно пострадали собравшиеся в ломбарде от казакских пуль. Убито свыше 100 человек, а ранено свыше 200 человек. Все это безобразие было окончено к 9 часам вечера, а затем всю ночь занимались собиранием и перевозкой трупов на фургонах. На другой, на третий день находили трупы завалившиеся в подвалах дома. 17 или 27 трупов найдено в Ортачалах, их выбросила Кура; это вероятно, брошенные с фургонов, когда их везли в Михайловскую больницу, чтобы число убитых и доставленных в больницу, очевидно уменьшить для целей официальной отчетности. Среди жертв мало интеллигентных, но они все же есть: три, говорят, студента, женщина врач, недавно вышедшая (всего два месяца) замуж—еврейка и т. д. Знакомых нет среди них. Социал-демократы обвиняют Вермишева, выпустили против него прокламацию, где пишут «Долой Вермишева», как виновника. Вермишев уже подал в отставку и, кажется уже выехал из Тифлиса, чтобы нежить беды. Общественная молва тоже обвиняет Вермишева за то, что он не сделал всего того, что мог сделать, чтобы этого несчастья не случилось.

Гласные, почти все, тоже подают в отставку. Что будет дальше посмотрим. Скитаюсь из одного ресторана в другой. Был два раза у Нины Берелевой. Она слаба. Но скоро окрапнет.

Приехала Вейсман, сделала мне визит в конторе с мужем и матерью мужа. Страшно подурнела. Я к ним не ходил и ни где не встречал. Весь пыл мой пропал увидев как она испортилась. Как вы? Целую всех.

Твой Васо [ვასო ან ვაჟაძის]

Квартиру пока не искал и денег хозяйке не платил¹⁵.

¹⁵ ვაჟაძის თარიღი № 5-61
26

დიდად პატივცემულო ბ. რედაქტორო!

1909 წელი 7 მარტი

მე დიდის სიამოვნებით მივიღებ თანამშრომლობას, მაგრამ ისიც უნდა გაცნობოთ, რომ მე ქართული ენა კარგათ არ ვიცი ჩემდა სამარცხვინოთ. მე დავწერე ქართულად „საერთო მიწის შემუშავება“ („Общее земледелие“). თუ შეიძლება ამისი დაბეჭდვა დამატებაში, მე შევასწორებ, გავაფართოებ და წვრილ-წვრილათ, ნაწილ-ნაწილ გამოგიგზავნით. შემდეგ ქართულადვე მაქვს დაწერილი „ზოოლოგია“, რომელიც გადაეცემა ა. ვ. მდივანს, და აი ერთ წელიწადია არაფერი არ ვიცი იმის შესახებ. თუ რასაკვირველია, მე შევძლებ მუშაობას ამ გაზაფხულზევე გამოგიგზავნით, თუ არა და ზაფხულში ხომ ავასრულებ ჩემს დაპირებას.

თქვენი პატივისცემელი აგრონომი მ. ზ ა ა ლ ი შ ვ ი ლ ი¹⁶.

IV.

ბატონო ვასილ ილიას ძვე!

11 მარტი 1909 წ.

ჟურნალ „მოსავლის“ რედაქციამ პატივი მცა მიმიწვია თავის თანამშრომლად. ეს 23 წელიწადია რაც გადმოხიზნული ვარ აქ უცხო ქვეყანაში, სადაც ვიმყოფები სააქციზო სამსახურში. თქვენ კარგათ წარმოიდგენთ, რომ თითქმის მეოთხედი საუკუნის შრომა სააქციზო დაწესებულებაში, რომელსაც არავითარი კავშირი არა აქვს მეურნეობასთან, საყოფს ხავსს მოახვევდა ჩემ ცოდნას და გამოცდილებას. დიდი ხნის ყოფნა უცხო ქვეყანაში კეთილს არ დააყრიდა ჩემ ცოდნასაც სამშობლო ენისას.

ეს დამაბრკოლებელი მიზეზები ნებას არ მაძლევენ თამამათ შემოგითვისალოთ თანხმობა თანამშრომლობისა. მაგრამ თუ თქვენ დაინახავთ, რომ მე გამოსადეგი ვიქნები რედაქციისათვის, დიდი სიამ-

¹⁶ იქვე, ფურც. № $\frac{5-61}{11}$.

მოგნებით ვაცხადებ თანხმობას და ჩამრიცხონ თანამშრომელთა შორის.

ყოვლად თქვენი პატივისმცემელი პლატონ გვერდისმწერელი

V.

В редакцию журнала «Мосавали»
Петровские Разумовские, 1909, августа 29

Сожалею, что так поздно приходится мне свидетельствовать редакции глубокую признательность за высылку нескольких номеров журнала «Мосавали» и вместе с тем препроводить на суд редакции прилагаемую заметку «Площади полевых культур в Тифлисс¹⁷ и Кутаисск. губ.». Может быть, ту же заметку послали бы и в журнал «Кавказ. Хозяйство», если С. П. Эиранов не будет иметь ничего против этого.

Не владея грузинским языком, я лишен возможности лично читать «Мосавали». Дочь моя умеющая немножко читать по грузински (выучилась самоучкой) переводит для меня заглавия статей. Но я постараюсь, чтобы номера, присылаемые мне, не лежали даром: среди слушателей и слушательниц моих как в коммерческом институте, так и в сельскохозяйствен. инст. и в университете им. Шанявского имеются грузины (берущие у меня нередко и темы из местной жизни), и среди них я постараюсь распространить журнал «Мосавали».

С глубоким почтением Алексей Фортунатов, профессор Московск. С.-Х. института¹⁸.

VI.

6 октября
23 сентября 1909 г.

Мой дорогой Васо!

Спасибо тебе родной мой, за вещи, за „მოსავალი“ и за отчет нашею общества Народных университетов. Один эк-

¹⁷ იქვე, ფურც № $\frac{5-61}{5}$.

¹⁸ იქვე, ფურც № $\frac{5-61}{1}$.

земляк последнего, с переводом о числе лекции на разных языках и о выборе в члены общества Mr Teiohono я переслал ему. Он очень польщен, очень благодарен. Я надеюсь через него заинтересовать и других и месяца через три высылать рублей 300, а может быть и все 500 руб. Но об этом пока никому не говори.

Ты пишешь о тяжелых условиях жизни, о расстроенных делах «Кахетин» и проч.

Знаю дорогой, тяжело вам всем живется. Мое сердце обливается кровью, когда я подумаю о нищете и разорении нашей родины, о страданиях каждого из вас. Я долго молчал об этом. Но дней десять тому назад я послал в „*ფრანგული*“ статью, вернее сказать — крик отчаяния. Не знаю напечатывают ли.

Да, тяжело и голодно живется всем вам. Я знаю. Но я знаю и то, что твоя преданность просвещению народа, не сломят ни люди, ни голод и народному университету ты не дашь погибнуть.

Да в этом я уверен. Мы об этом часто говорим с женой, которая шлет вместе со мной горячий привет тебе и семейству твоему... и еще твоему Чодришвили.

У меня к тебе просьба, ты знаешь что Miss Wardrop — сестра английского консула в Бухаресте — большой знаток грузинского языка и нашей литературы. Они следят за нашей литературой и выписывают все наши периодические издания и новые книги. Они посылают деньги „*წიგნის კომისია*...“ обществу. Но они всегда очень небрежно ей высылают, а последний раз ей ни книг, ни ответа не послали.

Сходи в комитет, скажи им от меня, что это стыдно. А ты сам напиши по грузински хорощим почерком письмо — Miss Wardrop. Адресуй так: Miss Wardrop Consulat de sa Mjeste Britanigue Bouchurest Румыния. Ты меня этим очень обяжешь.

твой Варлам [Черкезишвили].

Мне крайне необходимо моя брошюрка изданная в Тифлисе. Очень много экземпляров в киоске у твоего друга на другом углу вашего каравансарая.

Возьми у него штук пять и вышли мне.

Очень этим обяжешь¹⁹.

¹⁹ იქვე, იქვე. № $\frac{5-61}{26}$.

თქვენო ბრწყინვალეობა

Miss Marjora!

ჩემი მეგობარი ვარლამ ჩერქეზიშვილი მთხოვს ლონდონიდან, რომ მე თქვენ წერილი მოგწეროთ და სხვათა შორის გაცნობოთ: რატომ თქვენ მიერ გამოგზავნილ ფულში აქამდე არც წიგნები მოვლით და არც რაიმე პასუხი.

თქვენი პირისპირ გაცნობით მე არ მრგებია სიხარული. ხოლო შორიდან კი გიცნობთ და სიამოვნებით ვასრულებ ჩემი მეგობრის თხოვნას.

ვისაც ბედისგან დაჩაგრულ ჩემი სამშობლოსადმი ცოტათი მაინც უძგერს გული, მას თუგინდ არამცნობს, თავმოდრეკით ვუწევ სამსახურს და ვესაუბრები.

ბაირონი, უკედავი პოეტი, მით არის ზედმეტად პატივსაცემი, რომ პატარა დაჩაგრულ საბერძნეთისადმი უძგერდა გული. ესეა მულამ: დიადი გული კიდით-კიდემდე ხედავს დაჩაგრულს და ესაჩილება... არ ვიცი იქნება გესიამოვნებოდათ, რომ ჩვენი ქვეყნის აწინდელი მდგომარეობაზე რამე მომეწერა. არც დაგზარდებოდით, რომ თქვენთვის სასიამოვნო გასაგონი რამ ყოფილიყოს. ისევ ისეთი უუფლებობა, როგორც თქვენს აქ ყოფნაში გახლდათ და ბევრით მაშინდელზე მეტი სიღატაკე და ყოველის მხრით უსახსრობა, აი ჩვენი ეხლანდელი ყოფა-ცხოვრება.

როგორც ამიხსნეს, წერა-კითხვის საზოგადოებას თქვენი წერილი, სადაც მოყვანილი იყო, ალბად, სია იმ წიგნებისა, რომელიც გსურდათ, რომ გამოეგზავნათ, დაუყარავთ და აქამდე ვერ ბედავდნენ ამ ამბის თქვენთან გამომქლავებას და ხელმეორედ შემოკითხვას. იმედი მაქვს ესლა მოიწერებიათ.

რაკი ვისურვიათ ქართული წიგნების სისტემატურად მიღება, გაგიკადნიერდებით და უღრმესი პატივისცემით მოგართმევთ ჩემს საკუთარ ნაშრომს. თუმცა იმედი არ მაქვს, მაგრამ მაინც იქნება თქვენს წიგნთა კრებულს საყურადღებო თქვენთვის რამ შევმატო.

გიგზავნით სამს გამოცემას: ერთს ჩემს თარგმანს და ორს თხზულებას და სამეურნეო ეურნალ „მოსავალს“ ყველა ნომრებს, რაც აქობამდე დაბეჭდილა.

ვ. რ. ცხილაძე²³
10/12 909 წელს.



სიცოცხლეს გამოესალმება ხოლმე ის, ვინც იყო და აღარ ატყუებია. შენ იმათში არ ურევიახარ. რა გამოვასალმებს შენ ჩვენგან, როდესაც შენი „დედა-ენა“ შენს სახელთან შეკავშირებული პირველი აუცილებელი სალამია ქართველ მოზარდთათვის და იმდენი შორს გაისმის სალამი იგი, რაც უფრო მეტი ხანი გადის.

სანამ ცოცხალ არს ქვეყანაზე ქართველი დედა თან დაყოლილი მასთან იარსებებს ქართული ენაც და შენ კი ს ი მ ე ო ლ ო ხარ ამ ორივეს ერთად შეერთებისა. შენ ხარ ცოცხალი დედა ენა (ხაზგასმა ყველგან ვ. რცხილაძისაა.—თ. ჩ.).

სიცოცხლე მოუსპობელს ძეგლიც ცოცხალი გაქვს აგებული არაჩვეულებრივი.

შენობა იგი რიცხვით მრავალი და არა ერთ ალაგას უძრავად მდგარი, ყველა ქართველის გულმკერდშია ჩამალული და ერთად შეერთებულს სიდიადე აქვს თვალუწვდენელი, დაუძლეველი.

ეს ძეგლი არის ქართული ადამიანის გული რუსთველით თავმოწონებული, გული, რომელიც ამყობს ილია ქაჭკაჭაძით და მეტყველობს შენგნით, ვინაიდან ხელი შენი შეეხო ამ გულის ენას და ენა მეტყველობს.

სულიერს ჩვენსა სამყაროს შენის განდგომით აკლდება უპირველესი დედაბოძი. იყოს ნება შენი. ცრემლთა დენამა დააღბოს სამშობლო მიწა, რომ შენს ნაშრომში აღმოცენდეს სიმკვიდრე ჩვენი.

მუხლსა მოვიდრეკთ შენს წინაშე ჩვენ როგორც ძენი, რამეთუ შენ ხარ ს ა ე რ თ ო მ ა მ ა მოზარდი ჩვენი თაობისა და მთელი ერისა²¹.

IX.

ძმაო ვასო, გაზეთებში არ არის რა შენის თავმჯდომარეობით მომქმედ შევენახეობის საბჭოს შესახებ და ნამდვილად, უეჭველად, საბჭო თავის მოვალეობის აღსრულებასაც შეუდგა და ნოქმედების გეგმაც გამოიმუშავა. ეჭვი არ არის აგრეთვე, რომ მეღვინეობის და შევენახეობის კომიტეტების პერსონალი დასჭირდება საბჭოს თავისი განზრახვების განხორციელების საქმეში. ამიტომ საჭიროდ

²¹ ვ. რცხილაძის სიტყვა, წარმოთქმულია იაკობ გოგებაშვილის დაკრძალვის დღეს 1912 წელს, იქვე, ფურც. $\frac{5-61}{23}$.

მიმანია გითხრა შემდეგი: გეცოდინება უთუოდ, რომ ნაცვლად იქაური კომიტეტის თავმჯდომარეთ არჩეული ვარ მე და ამხანაგნი ი, ქუთათელაძე. ვფიქრობ, ჩვენს დამტკიცებას არა დაახლოვდება რა და მოვა თუ არა ცნობა, იმ წუთში შევეუდგები საქმეს. პირველად მოვიწვევ კომიტეტის პერსონალს და მოქმედების გეგმას გამოვიმუშავებთ. საქირო იქნება ამ დროს შენგან მქონდეს ცნობა იმის შესახებ, თუ რა გზით შეუძლია აქაურ პერსონალს საბჭოს განზრახვებს დაეხმაროს. თუ შენთვის საძნელო არ იქნება, რაც-კი გამოარკვია საბჭომ, დროით მომაწოდე. გარდა ამისა, საჭიროთ არ მიგაჩნიათ მანდაურებს, რომ კომიტეტების პრეზიდენტის განახლების შემდეგ საერთო მოლაპარაკება გავმართოთ ჩვენი მოქმედების გეგმის შესახებ? თუ დროს იშოვნი როგორმე და ერთი ორი დღით გვინახავ სხვადასხვა კითხვებზე მოსალაპარაკებლად, კარგი იქნება.

შენი ძმა პეტრე ყ ი თ ი ა ნ ი

თუ დასჭირდა ჩვენი დამტკიცების დაჩქარებას შენი დახმარებანი დაიზარებ საცა ჭერარს სიტყვის თქმას.

პ. ყ ი თ ი ა ნ ი
3/5 1947 წ.

X.

დიდათ პატივცემულო ბ-ნო ვასო

კომიტეტის დებეშაზე გვიან ვიბასუხეთ, რადგან იმ დღეებში მე თელავში ვიყავი. არ დაგიმაღავეთ, თელავის მაზრაში მაძლევნ შესაფერ ადგილს ჩემს დარგში, ჯამაგირი 1500 მან. იქნება და ბინაც თელავში მექნება. სწორედ ამის გულისათვის ვიყავი გაწვეული თელავში. ეს სამსახური საშუალებას მაძლევს თელავის მაზრას თანდათანობით ნამყენი ვაზის გასაღვიებელი სათბურები მოვფინო და სამუდამოთ მოვსპოთ ჩვეულებრივი წესით ვაზის მყნობა. ერთი სიტყვით, თელავის ერობას გადაწყვეტილი აქვს აგრონომებთან ერთად მოიწვიოს ერთი სპეციალისტი მაზრის მებაღეობის, მევენახეობის და მეღვინეობის ხელმძღვანელი და სწორეთ ასეთ ადგილზე არის წაყენებული ჩემი კანდიდატურა. დარწმუნებული იყავით, რომ მე ინსტრუქტორათ არ წავალ, რაც უნდა საუკეთესო პუნქტი მომ-

ცნ. ეს საკითხი, მაზრის ხელმძღვანელის მოწვევა, გადაწყდება ამ ერთ თვეში და თუ შესძლეს ესეთი სპეციალისტის მოწვევა უსაფრთხოდ მიმიწვევენ მე და უარსაც ვერ ვიტყვი. უთანხმოება შეიძლება გამოიწვიოს ჯამაგირის შემცირებამ, მაშინ უარს ვიტყვი ესეთ ადგილზე. რაც შეეხება ჩუმლაყის სანერგეში ხელმეორედ დაბრუნებას, უნდა მოგახსენოთ შემდეგი.

1) მე რაც უნდა კარგი ადგილას მოვეწყო, ჩუმლაყის სანერგე მაინც განუშორებელი იქნება ჩემი გონებიდან, რადგან ყოველივე იქაური ვაზის ბუჩქი ჩემ პირმო შვილს მაგონებს, მიუხედავად ამისა, მე მაინც ამჟამად, თელავიდან პასუხის მიღებამდე, გადამჭრელი პასუხის მოცემა არ შემიძლია.

2) ადვილი შესაძლოა თელავის ერობამ ესეთი ხელმძღვანელის მიწვევა ვერ შეძლოს, ან ჯამაგირზე ვერ შევეთანხმდეთ, იმ შემთხვევაში ვიკისრებ ჩუმლაყის სანერგის გამგეობას, მხოლოდ ცხოვრებით კი იქ ვერ ვიცხოვრებ. სანერგეში მე მყოფება გამოცდილი მუშა, რომელიც შეასრულებს ჩემს ყოველივე განკარგულებას. მე ვივლი ველისციხიდან.

3) ვიმსახურებ იმ შემთხვევაში, თუ სანერგეში საშუალება მექნება ფართო მოქმედების, მთაერობიდან და ერობების ცენტრიდან განსაკუთრებული ყურადღება მექნება მიქცეული, წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ ჩემი მოქმედება ფრთა შეკვეცილი იქნება, ჩემი იქ სამსახური არ ღირს და არც ვიკისრებ ესეთ თანამდებობას.

4) მართლა, თუ კომიტეტი აფასებს ჩემს შრომას სანერგეში, უნდათ ჩემი ხელმეორედ მიწვევა, მაშინ იმედია ცოტას მაინც დამიცდის თელავიდან პასუხის მიღებამდე, მით უმეტეს, რომ წელს, მე ვიქნები თუ სხვა, რიხტერის წესით ნამყენის გაღვივება მაინც არ ხერხდება, რადგან მიწა საიმგვართ არ არის დამუშავებული.

დასასრულს დიდ მადლობას ვწირავ კომიტეტს ჩემდამი ესეთი ყურადღების მოქცევისათვის.

თქვენი პატივისცემელი კოტე ნაკაშიძე

19 $\frac{16}{111}$ 19 წ.

ს. ველისციხე

მეცხრამეტე საუკუნის დამლევს დასავლეთ საქართველოში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ცნობილი აგრონომი, სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის თავდადებული მებრძოლი იოსებ ალექსანდრეს ძე გუნცაძე. იოსებ გუნცაძემ დიდი წვლილი შეიტანა საქართველოს მეურნეობის ისეთი მნიშვნელოვანი დარგების განვითარებაში, როგორცაა მევენახეობა და მეღვინეობა. 1887 წელს ი. გუნცაძემ ჩვენში აღმოაჩინა ვაზის ავადმყოფობა მილდიუ და პირველმა დაიწყო ამ დაავადების წამლობა ბორდოსის ხსნარით. მან პირველმა შემოიტანა საქართველოში ვაზის ამერიკულ მწარეზე მყნობის წესი. შეიმუშავა ფილოქსერის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტური მეთოდები და ფართოდ დანერგა იგი ჩვენს მევენახეობაში. მან ერთ-ერთმა პირველთაგანმა გამოიყენა მიწათმოქმედების გაუმჯობესებელი ევროპული მანქანა-იარაღები და ხელი შეუწყო მათ გავრცელებას ქართველ გლეხობას შორის. მანვე დააარსა საზოგადო მალაზია „კოოპერატივი“, სადაც ადგილობრივი გლეხობა ხელსაყრელ ფასებში იძენდა სურსათ-სანოვაგეს. მისი თაოსნობით ჩაეყარა საფუძველი საკრედიტო ამხანაგობას ზესტაფონში, რომელსაც თვითონ განაგებდა. ამხანაგობა, რომელშიც ძირითადად გლეხობის წარმომადგენლები შედიოდნენ, გლეხობას ამარაგებდა სოფლის მეურნეობის მანქანა-იარაღებით და ვაზის შესაწამლი ნიეთიერებებით.

იოსებ ალექსანდრეს ძე გუნცაძე დაიბადა 1863 წელს სოფელ კვალითში, მემამულის ოჯახში. წერა-კითხვის შესწავლის შემდეგ მშობლებმა იგი ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში მიაბარეს. მან წარმატებით დაამთავრა გიმნაზია და 1883 წელს გაემგზავრა საფრანგეთში. აქ იგი შევიდა მონპელიეს აგრონომიულ ინსტიტუტში.

პარიზში ყოფნის დროს იოსებ გუნცაძე დაუმეგობრდა გამოჩენილ სოციალისტ ლავროვს. ლავროვის საშუალებით იოსები გაეცნო იმდროინდელ სოციალისტურ თეორიებსა და მოძრაობებს. ლავროვმა დიდი გავლენა მოახდინა ქართველ სტუდენტზე და გაუღვიძა მას სოციალური უთანასწორობისადმი ბრძოლის წყურვილი.

პარიზში ცხოვრებას იოსებ გუნცაძე ასე იგონებს: „1883 წელს ჩავედი პარიზში, სადაც დამხვდნენ: ისიდორე წეროძე, ალექსან-



Նոր. 12. Խոսքը գրելու է

დრე დიდია, დათიკო წულუყიძე, გიორგი ვეზირიშვილი, დავით რიჭაშვილი, პეტრე მირიანაშვილი და სხვები. ისიდორე წეროძე მოქცეული იყო რუსეთიდან, სადაც მეფის მთავრობა სდევნიდა ვოლუციონერ სტუდენტებს. იგი უკანასკნელ კურსზე იყო მედიკურ ფაკულტეტზე, ითვლებოდა საუკეთესო სტუდენტად, მიუხედავად იმისა, რომ ავადმყოფობდა, მან ყველა გამოცდა კარგად ჩააბარა და ბოლო გამოცდის დროს მძიმე ავად გახდა და გარდაიცვალა. პარიზშივე გარდაიცვალა ალექსანდრე დიდია, რომელიც სამედიცინო ფაკულტეტზე სწავლობდა. სხვა დანარჩენი ქართველი სტუდენტები სწავლობდნენ სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში. პარიზში გვექონდა დაარსებული წრე, სადაც ხშირად ვიკრიბებოდით და ვმსჯელობდით საქართველოს შესახებ, მის აწმყოსა და მომავალზე. დავაარსეთ სალარო, რომელსაც „კიდობანი“ ვუწოდეთ. აქ თვითვეულ ჩვენგანს შეგვექონდა ჩვენი წვლილი ყოველი ფულის მიღებაზე. „კიდობანის“ მიზანი იყო დახმარებოდა იმ ქართველ სტუდენტებს, რომლებიც ხელმოკლედ ცხოვრობდნენ. „კიდობანი“ ჩაბარებული ჰქონდა დავით კარიჭაშვილს. როდესაც კურსდამთავრებული სტუდენტები ტოვებდნენ საფრანგეთს და მიდიოდნენ საქართველოში, „კიდობანი“ გადადიოდა ახლად ჩამოსულ სტუდენტების ხელში. რა ბედი ეწვია ბოლოს კიდობანს დანამდვილებით არ ვიცი. „კიდობანის“ ყველა დოკუმენტი გადაცემული უნდა ჰქონდეს მუზეუმს პარიზში, რის შესახებაც დაწვრილებით იცის პეტრე მირიანაშვილმა.

პარიზში ცხოვრების დროს ჩემს გვერდში ცხოვრობდა ერთი მანდილოსანი, რომელიც პარიზის ყურნალ-გაზეთებში თანამშრომლობდა. ეს ყურნალისტი ქალი თავის თავს უწოდებდა მაჟამ კანდიანი კოლონას. ჩვენ ყველანი დარწმუნებული ვიყავით, რომ ის თავის ნამდვილ ვინაობას ფარავდა. ის არ იყო პარიზელი. აქ ის ჩამოსული იყო ავსტრიიდან. კარგად იცოდა რუსული, ფრანგული, გერმანული და ინგლისური.

მაჟამ კანდიანი კოლონა მე გავაცანი ყველა ჩემს ამხანაგ ქართველ სტუდენტებს, რომლებიც ხშირად იკრიბებოდნენ ჩემთან. იგი ძალიან დაინტერესდა ჩვენი ცხოვრებით, ჩვენი ჩვეულებებით, რასაც დაწვრილებით ისიზნავდა. ჩვენს ნაამბობს საქართველოს შესახებ ბეჭდავდა პარიზის ყურნალ-გაზეთებში.

ამ ქალმა სხვათა შორის გადათარგმნა ფრანგულად და დაბეჭდა ილია ჭავჭავაძის „განდეგილი“. თარგმანში მას ეხმარებოდნენ: დავით კარიჭაშვილი და პეტრე მირიანაშვილი. მხოლოდ მან შეცვალა

განდევნილში ერთი ადგილი, რომელსაც ის ვერაფრით ვერ შეუძრავდა. ეს ის ადგილია, სადაც ბერი გატაცებულია მწყემსი ქალის სილამაზით, რომელსაც კერიასთან ძინავს, იხრება საყოცნელად, ამ დროს ელანდება სხვადასხვა წმინდანები და ისიც გონებადაკარგული შორდება მას. ფრანგულ თარგმანში კი ბერი კოცნის ქალს. როდესაც ვკითხეთ, თუ რატომ გააკეთა მან ასე, მან გვიპასუხა: ფრანგის გონება ვერ შეუძრივდება ამ ადგილს თუ ასე არ შეეცვალო.

ერთხელ, როდესაც ეუბამობდით მას, თუ როგორ გვექცეოდნენ ცარიზმის მოხელეები, თუ როგორ იჩაგრებოდა ქართველი ხალხი მეფის რუსეთის ხელში — ჩვენ ყველას დაგვებადა აზრი, რომ ყოველივე ეს აგვეწერა და დაგვებებდა ლონდონის ვაზეთ „ტაიმსში“, როგორც დებეშა, ვითომ საქართველოდან მიღებული. ამ საქმის მოწყობა მაღამ კანდიანი კოლონამ ითავა. ის იცნობდა „ტაიმსის“ უმთავრეს წარმომადგენელს პარიზში, მოელაპარაკა მას და დაიწერა დებეშაძე. დებეშაში აღწერილი იყო, თუ როგორ ავიწროვებდნენ ჩვენს ქვეყანას ალექსანდრე მესამის მოხელეები, როგორ დევნიდნენ ჩვენ ენას სკოლაში... დებეშა გადაბეჭდეს სხვა ინგლისურ და ფრანგულმა ვაზეთებმაძე. დებეშამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, როგორც საზღვარგარეთ, ისე რუსეთში. რუსეთის მთელი ქანდარმერია ფეხზე დადგა. ეძებდნენ, თუ საიდან გაეპარათ ასეთი დებეშა“¹.

1885 წლიდან იოსებ გუნცაძე პარიზიდან მონპელიეში გადადის. იმ დროს იქ ჩავიდა მწერალი ეგნატე ნინოშვილი, რომელიც ძალიან ხელმოკლედ ცხოვრობდა. იოსებმა ქართველ მწერალს დიდი ეკონომიური დახმარება გაუწია: „ბევრი მქონდა თუ ცოტა ჩემ ლუქმას ვიყოფდით და ისე ვცხოვრობდით ერთად“, — იგონებს გუნცაძე.

1887 წელს იოსებ გუნცაძემ დაამთავრა მომპელიეს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი და საქართველოში დაბრუნდა. ეს ის დრო იყო, როცა უმაღლესი სასოფლო-სამეურნეო განათლება ჩვენში იშვიათად ჰქონდა ვინმეს მიღებული. მეცნიერული ცოდნით შეიარაღებული იოსებ გუნცაძე დაბრუნდა თავის სოფელ კვალითში და ხელი მოჰკიდა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას.

¹ ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, ბუტყეაზიელი პერიოდის განყოფილება, ი. გუნცაძის პირადი არქივი.

ამ დროს საქართველოში მძვინვარებდა ვაზის დაავადება, მილდიუ, ოიდიუმი, ფილოქსერა და სხვ. იოსებ გუნცაძემ ჩამოსკლისთანავე 1887 წელს აღმოაჩინა მანამდე დასავლეთ საქართველოში უცნობი ავადმყოფობა მილდიუ, რომელსაც სოფლის გლეხობა ჭირს უწოდებდა. მან ვაზეთ „ივერიის“ საშუალებით ამცნო ქართველ საზოგადოებას: „დღემდის ჩვენს ვენახებს მხოლოდ ერთი ნაცარი აოხრებდა და თუნდა ზოგიერთები სწამლობდნენ, მაგრამ ზოგნი მიხეც ხეთის განგებას მიაწერენ ამ ავადმყოფობას და მის წინააღმდეგ წამლობა ღეთის წინააღმდეგობათ მიაჩნდათ. საქირო საქმედ მიმაჩნია უამბო ზოგი რამ ჩვენს მევენახეებს და ყველას, ვინც მევენახეობას ავალ-ყურს ადევნებს, ვაზის იმ ავადმყოფობაზე, რომელიც, როგორც მითხრეს, მხოლოდ ეს ორი წელიწადია, რაც აფუქებს შორაპნის მაზრის თითქმის ყველა ვენახებს. მე მხოლოდ ეს ორი დღეა რაც აქ ვიმყოფები და დავათვალიერე, როგორც ჩემი საკუთარი ვენახები ისე სხვებისა სოფელ კვალიოში. ყველა ეს ვენახები გაუფუჭებია იმ ავადმყოფობას, რომელსაც ჰქვია სახელად Mildew (peron osphora vitida).

საფრანგეთში ეს ავადმყოფობა პირველად ვ. პლანშონმა აღმოაჩინა 1878 წელს და ამერიკაში კი ცნობილი იყო 1834 წლიდან... (წერილში დაწვრილებით არის აღწერილი ამ ავადმყოფობის ნიშნები. — თ. ჩ.).

დღეს მხოლოდ ამ მოკლე შენიშვნას ვუძღვნი საზოგადოებას. შემდეგისათვის კი უფრო ვრცლად გამოვაცხადებ ამ ავადმყოფობას და კიდევაც დავასახელებთ იმ საშუალებას, რომელიც უნდა ეიხმართ ავადმყოფობის მოსასპობლად².

ჯერ კიდევ 1890 წელს იოსებ გუნცაძემ ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო განყოფილებაში გააკეთა მოხსენება, სადაც ამბობდა: «... Борьба с криптогамическими болезнями для нас собственно не составляет большого затруднения. Я беру смелость сказать, что oidium и mildiou побеждены и у нас, что болезни эти нас уже больше не могут пугать. Я еще в 1888 году производил лечение виноградников от мильдиу бордоскою жидкостью, и результат лечения как в позапрошлом, так и в прошлом году оказались весьма удовлетворительными, что надеюсь подтвердят некоторые из присутствующих

² ვაზეთი „ივერიის“, 1887, № 293, გვ. 2 — 3.

членов отдела Кавказского общества сельского хозяйства и о чем еще в позапрошлом году доложил г. Геевский»³.

გეევსკიმ კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების ერთ სხდომაზე განაცხადა: «... Достойно внимания, что почин в этом деле уже сделан. Садовладелец Шорапанского уезда Иосиф Александрович Гунцадзе, питомец известного агрономического училища в Монпелье, во Франции, в 1888 году производил предохранительное лечение своего виноградника в сел. Квалити от милдью. Лечение состояло в опрыскивании виноградных лоз бордоскою жидкостью, которая состоит из медного купороса и извести. Лечение производилось с помощью пульверизатора Вигуру... Опрыскивание производилось в конце мая, 10-го июля и в половине августа, причем израсходовано на две десятины 3 пуда медного купороса, обошедшегося с доставкой из Тифлиса по 10-ти руб. пуд. Результаты лечения оказались в поле удовлетворительными при осмотре виноградника 25-го сентября, он был покрыт свежою и обильною зеленью, а лозы украшались массою кистей, тогда как в соседнем винограднике пожелтевшие и побуревшие листья уже опали, а гроздей было, и те испорченные или посохшие»⁴.

იოსებ გუნცაძის მუშაობამ დიდი გამოხმაურება პოვა ვაზის მავნებლებთან ბრძოლის ახალი საშუალებებით დაინტერესებულ გლეხობაში. ისინი ხშირად მიდიოდნენ იოსებთან რჩევა-დარიგებისათვის ვაზის წამლობისა და სხვა სამეურნეო საკითხებზე. ხშირად იოსებ გუნცაძე თვითონ მიდიოდა გლეხებთან, ამოწმებდა ვენახებს და ასწავლიდა მათ როგორ შეეზავებინათ და ესმარათ წამალი; ასწავლიდა აგრეთვე ახალი სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების ხმარებას.

იოსებ ალექსანდრეს ძე გუნცაძე საქართველოში პირველი ამტკიცებდა ფილოქტერისაგან ჩვენი მევენახეობის ხსნა მხოლოდ ანტიკური ვაზის გამოყენებით შეიძლებაო. ამას ამტკიცებდა იოსები იმ დიდ თათბირზედაც, რომელიც 1891 წელს გაიმართა თბილისში. თათბირზე მოწვეული იყვნენ საფრანგეთის გამოჩენილი პროფესორი მარიონა, აკადემიკოსი კოვალევსკი, პროფესორი პ. მელიქიშვილი და ადგილობრივი აგრონომები.

³ ი. გუნცაძის დასახ. პირადი არქივი.

⁴ Труды Кавказского общества сельского хозяйства, 1888, № 561—562.

მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდისათვის ძნელი იყო გამოკე-
ნილ პროფესორთან კამათი, მან მაინც დაამტკიცა, რომ ამერიკელ
ვაზის საშუალებით შეიძლებოდა ჩვენი მევენახეობის აღდგენა და
რომ ამერიკულ მწარეზე დამყნილი ვაზი საქართველოში კარგად
იხეირებდა, რაც საესებით გამართლდა შემდეგში. პროფესორი მა-
რიონი ქართულ საზოგადოებას ურჩევდა ამერიკული ვაზი საერ-
თოდ უვარგისია, საქართველოში მევენახეობაზე ხელი აიღეთ და
მის მაგიერ გვირილა გააშენეთო. ამერიკულ ვაზზე მყნობას უარ-
ყოფდნენ დასავლეთ ევროპისა და სხვა გამოჩენილი სპეციალისტე-
ბი. მათ ფილოქსერასთან ბრძოლის საშუალებად მიაჩნდათ რადიკალ-
ური წესი, რომელიც პირველად შვეიცარიაში გამოიყენეს 1875
წელს (რადიკალური წესის თანახმად ფილოქსერით დაავადებულ
ვაზს თხრიდნენ და კიგოიანად წვავდნენ, ნავენახარ ადგილში კი უშ-
ვებდნენ შხამებს ფილოქსერის მოსასპობად). ესენი იყვნენ პროფე-
სორები: ბალზანი, მაქსიმ კორნე, ბ. კუანონი, გასტინი და მარიონი,
დოქტორი ფასიო (ენევა), დიუფური (ლოზანა), და რელე ნეშე-
ტელში; დოქტორი ხორვატი (უნგრეთი), დოქტორები მორიცი და
ჰაუსი (ბერლინი).

პროფესორი კელერი (ციურიხი) ამბობდა: „კვალად კატეგორი-
ულად ვაცხადებ, რომ მე ჩვენ (რადიკალურ) მეთოდს ყველა ლო-
ნისძიებათა შორის, რომლებსაც ეხლა ხმარობენ ფილოქსერას მო-
სასპობად, ყველა—იმათზე საუკეთესოდ ვსთვლი და არ ვისურვებ,
რომ ეს მეთოდი უარპყონ და მის ნაცვლად წამლობა რამ შემოიღონ.
რომელიც სარგებლობაზედ ზარალს მეტს მოგვიტანს“⁵.
დოებაში. გაზეთი „მეურნე“ ამ მოხსენების გამო წერდა: „14 იან-
ევს, ვ. სტაროსელსკისა და სხვებს) მიაჩნდათ, რომ ჩვენი ვენახების
ხსნა მხოლოდ რადიკალური წესით შეიძლებოდა. ეს, ცხადია, და-
სავლეთ საქართველოს მთელი ვენახების აკაფვასა და განადგურებას
ნიშნავდა.

1802 წელს ვ. სტაროსელსკიმ ფილოქსერასთან ბრძოლის თაო-
ბაზე მოხსენება წაიკითხა კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგა-
დოებაში. გაზეთი „მეურნე“ ამ მოხსენების გამო წერდა: „14 იან-
ვარს შესდგა სამეურნეო საზოგადოების მორიგი წევრთა კრება...
სტაროსელსკიმ წაიკითხა მოხსენება ფილოქსერასთან ბრძოლის შე-
სახებ... არ გვესმის რისთვის იყო დაწერილი იგი მოხსენება. იგი არ

⁵ გაზეთი „მეურნე“, 1890, № 15, გვ. 6.



სურ. 13. იოსებ გუნტაძე და მისი მეუღლე თ. ნაცვლიშვილი

იყო მეცნიერული რამ გამოკვლევა და წარმოგვიდგენდა მხოლოდ კომპილაციას სხვადასხვა მეცნიერთა და გამოცდილ მევენახეთა აზრებისას, რაც ახალ ამბავს არ შეადგენდა მათთვის, ვისთვის მომზადებული იყო იგი მოხსენება და ვისთვისაც საკურადღებოა ის საგანი, რომელიც მოხსენების საგანსაც შეადგენდა. მას არ ჰქონდა აგრეთვე რაიმე პრაქტიკული მნიშვნელობა, მსურველი მაინც ვერ შეიტყობდა რიგიანად, რითი და როგორ შეიძლება ფილოქსერის წამლობა. რამდენიმე საბუთიანი შენიშვნების შემდეგ, რომლებიც მომხსენებელს მისცეს ბ. ანდრონიკაშვილმა, ფროლოვმა, ტარატი-ნოვმა და სხვა, საზოგადოებამ მიანდო საზოგადოების რჩევას შეადგინოს და წარმოგვიდგინოს მოხსენება, თუ როგორ და რით შეუძლიან საზოგადოებას დაეხმაროს ჩვენ მევენახეთ ფილოქსერასთან ბრძოლის საქმეში“⁵.

წინააღმდეგ გავრცელებული აზრისა, იოსებ გუნცაძემ ჯერ კიდევ 1890 წელს ქუთაისის სამეურნეო განყოფილებაში გამოთქვა თავისი აზრით რადიკალური წესისა და ამერიკული ვაზის თაობაზე. გაზეთ „მეურნეში“ წინასწარ იყო გამოცხადებული, რომ აღნიშნულ საკითხზე მოხსენებას⁷ წაიკითხავდა ი. გუნცაძე. აქ იგი ამბობდა: «Таким образом, еще раз мы видим, что вопрос о возобновлении виноградников американскими лозами есть один из существенных вопросов, за которого нужно взяться не теряя ни одной минуты, тем более, что в Шорапанском уезде филлоксера настолько распространена, что уничтожить его какими-либо средствами уже невозможно... Правда, что разведение американских лоз требует особенного ухода. Необходимо исследовать на каких почвах какие сорта американских лоз могут приняться. За тем всякого рода прививки, выбор их и уход за ними требуют знания. Кроме того не все сорта наших лоз могут одинаково привиться на одном и том же сорте американских, одни сорта наших лоз могут легче привиться на одном сорте американских, другие на другом.

Желательно, чтобы питомники находились в руках лиц, могущих снабжать наших сельских виноградарей не только лозами, но и сведениями относительно разведения американ-

⁵ გაზეთი „მეურნე“ 1892, № 1 — 4, გვ. 29 — 30.

⁷ გაზეთი „მეურნე“ 1890, № 4, გვ. 4, 5.

ских лоз, ухода за ними, прививки и т. д. В самих питомниках должен быть и привитие лоз, чтобы возможно было жelaющих снабжать готовыми лозами.

Я думаю, что правительство, которое делает большие затраты в Бесарабии и в Сухумском округе для уничтожения зараженных виноградников и которое предполагает в будущем потратить не малую сумму для борьбы с филлоксерой, не пожалеет денег и для питомников американских лоз...

Мне кажется, что из всего сказанного ясно на сколько достоин внимания вопрос возобновления виноградников американскими лозами. Я надеюсь, что Кутаисский отдел Кавказского общества сельского хозяйства не оставит без внимания этот вопрос и будет ходатайствовать об основании питомников в названных уездах, чтобы дать возможность нашим садовладельцам ближе и лучше ознакомиться с американскими лозами»⁸.

მიუხედავად იმისა, რომ იოსებ გუნცაძე საფრანგეთისა და სხვა ქვეყნების მაგალითზე ასაბუთებდა ამერიკული ვაზის უპირატესობას, როგორც ფილოქსერასთან ბრძოლის ყველაზე საუკეთესო საშუალებას, რუსი აგრონომები მაინც რადიკალურ წესს აძლევდნენ უპირატესობას. ამის შესახებ გაზეთი „მეურნე“ წერდა: „საკვირველია ის ჭიუტობა, რომლითაც რუსეთის აგრონომები ეწინააღმდეგებოდნენ კულტურულ წესებს ფილოქსერისაგან ვენახების დაცვის საქმეში. თითქმის მთელი ევროპა, სახელდობრ საფრანგეთში, იტალიაში და უნგრეთში, სადაც საუკეთესო ვენახებია და სადაც უფრო მეტი ბრძოლა გაუწიეს ამ მწერს—ყველგან დიდი ხანია თავი დაანებეს ამ რადიკალი წესით წამლობას და ამერიკის ვაზზედ ადგილობრივი ვაზების მყნობით ცდილობდნენ თავიანთი ვენახების დაცვას. ჩვენი პატივცემული აგრონომები კი კულტურული წესების წინააღმდეგი იყვნენ და რადიკალი წესი ირჩიეს... მათი მოსაზრებანი და საბუთებიც იმდენად სუსტი და შეუწყნარებელი გამოდგნენ, რომ მისი რადიკალი წესით მოსპობა ნიშნავს მთელი ქუთაისის გუბერნიის ვენახების გადაკაფვა-გადაწვას... ჩვენი აგრონომების უსაფუძვლო და გაუგებარი ჭიუტობის წყალობით, არც ამერიკის ვაზები გვაქვს დამზადებული და არც სხვა რამე საშუალება“⁹.

ამ დროისათვის იოსებ გუნცაძეს კარგი ამერიკული ვაზის სანერგე ჰქონდა მოწყობილი, რასაც თავის მოხსენებაში ადასტურებს აგრონომი გევესკი. იგი წერს: «Один из землевладельцев Шор-

⁸ ი. გუნცაძის დასახელებული პირადი არქივი.

⁹ გაზეთი „მეურნე“, 1889, № 25, გვ. 1, 2.

აპანსკოგო უეზდა, ი. ა. გუნცაძე, დვა გოდა ს პოლნიმ უსუხოჲმ
პრიმენაჲყიჲ ვ სვოიხ ვინოგრადნიკაჲ ლეჩენიე ვინოგრადნიკ
ლოზ ოტ მილდუ, ზაველ უჲე ნებოლშოე ნასაჲენიე ამერიკაი-
სკიხ ლოზ, პრისნავაემოჲ ლუჩშიმი, ნაპრიმერ *Viperia*, კოტორა
უ ნეგო პრეკრასო პრინაჲღი ს რავივაოტსა. გ. გუნცაძე პრედ-
პოლაგაეტ რასჲირიჲთ სვოი რასსადნიკ ამერიკანსკიხ ლოზა¹⁰.

იოსებ გუნცაძე წერს: „როდესაც ვლადიმერ სტაროსელსკიმ ნა-
ხა ჩემს სანერგეში ამერიკული ვაზი, მხოლოდ ამის შემდეგ მიჰყო
მან ხელი ამერიკული ვაზის გაშენებას ჩვენში. პირველი ამერიკული
ვაზი მან ჩემგან გააშენა საქარის სანერგეში. ჩემგან ისწავლა ვაზის
მყნობა და მისი მოვლა“¹¹. გუნცაძის ეს სიტყვები სიმართლეს არაა
მოკლებული. ამის ნათელსაყოფად საქმარისია გავიხსენოთ: ფილოქ-
სერა იმერეთში აღმოჩენილ იქნა სოფელ ალისუბანში. ჩიკვაძის
მამულში. 1889 წელს აგრონომ გევესკის მიერ (სოხუმში ვედენს-
კის ბაღში — 1881 წ., თბილისში ზუბალაშვილის ბაღში — 1883 წ.).
ამ დროისათვის საზღვარგარეთიდან ვაზისა და რაიმე მცენარის
შემოტანა აკრძალული (აკრძალა 1873 წელს) იყო მთავრობის მა-
ერ და მხოლოდ 1893 წელს დართეს ნება. საქარის საცდელი
სადგური დაარსდა 1892 წელს. ცხადია, ამ დრომდე ვ. სტა-
როსელსკი ამერიკულ მწარე ვაზს ვერ შემოიტანდა; მით უმე-
ტეს, რომ პირველ ხანებში იგი უარყოფდა ამერიკულ მწა-
რეზე მყნობას და ფილოქსერასთან ბრძოლის საშუალებად რადიკა-
ლურ წესს ამჯობინებდა. ი. გუნცაძეს კი 1888 წელს უკვე მოწყობი-
ლი ჰქონდა ამერიკული ვაზის სადგე, რაც აღნიშნული აქვს აგრო-
ნომ გევესკის.

1905 წელს რევოლუციის დროს იოსებ გუნცაძე რევოლუციო-
ნერთა მხარეზე იყო. იგი აქტიურ მონაწილეობას იღებდა მეფის ზე-
ლისუფლებების წინააღმდეგ ბრძოლაში. მენშევიკური მთავრობა სა-
სახურში არ ღებულობდა ცნობილ ბოლშევიკს პაპულია ორჯონიკი-
ძეს. მაშინდელი ერობის აქტიურმა წევრმა იოსებ გუნცაძემ თავის
თავზე აიღო პასუხისმგებლობა და აიძულა მენშევიკური მთავ-
რობა სამსახური მიეცათ ორჯონიკიძისათვის.

¹⁰ Труды императорского Кавказского общества сельского хозяй-
ства, 1890, № 1—2, გვ. 166.

¹¹ ი. გუნცაძის დასახ. პირადი არქივი.

იოსებ გუნცაძე ხელს უწყობდა და მთარეელობდა რევოლუციონერებს, რომელთა დაპატიმრებასაც პოლიცია ღამობდა. ამის გამო მაშინდელმა მაზრის უფროსმა მანსეტოვმა დააპატიმრა გუნცაძე. მაგრამ გავლენიანი პირებისა და თვით მთავარმართებლის დახმარებით იგი გაათავისუფლეს.

1906 — 1907 წლებში საქართველოს სოფლის მოსახლეობა უადრესად ცუდ ეკონომიურ პირობებში იმყოფებოდა. იოსებ გუნცაძემ შორაპნის მაზრაში დააარსა საზოგადო მალაზია, საიდანაც სოფლის გლეხობას შეღავათიან ფასებში გამოჰქონდა სურსათ-სანოვაგე. მალაზიის მართვა-გამგეობაში მონაწილეობდნენ გლეხთა წარმომადგენლები.

1908 წელს იოსებ გუნცაძემ ზესტაფონში დააარსა საკრედიტო ამხანაგობა. 1923 წლამდე ამხანაგობას თვითონ ვანაგებდა. ამ საზოგადოების მიზანი იყო ხელი შეეწყო მევენახეობისა და მეღვინეობის განვითარებისათვის და გაეთავისუფლებია სოფლის მწარმოებელი გლეხობა ვაჭრისა და ყოველგვარი შუამავლისაგან. ამ მიზნით საზოგადოება წევრებისაგან ღებულობდა ღვინის მასალას, ამზადებდა იმერულ და ევროპული ტიპის ღვინოებს: აძველებდა, ამუშავებდა რაციონალური სასარდაფო წესით და გაჰქონდა ბაზარზე როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთ. საზოგადოებას ჰქონდა ურთიერთდახმარების ფონდი. უბედურების, სეტყვისა და მოუსაველანობის შემთხვევაში ფონდი დახმარებას უწყევდა საზოგადოების წევრებსა და მუშა-მოსამსახურეებს.

საკრედიტო ამხანაგობიდან გლეხები საოგებლობდნენ იაფი კრედიტითა და იაფი საქონლით: სიმინდით, შაბიამნით, გოგირდითა და გაუმჯობესებული მანქანა-იარაღებით, რომლებიც რუსეთიდან და ევროპიდან შემოჰქონდა ამხანაგობას.

იმ დროისათვის შაბიამანი და სხვა ნივთიერებანი უმთავრესად დიდ ვაჭრებს შემოჰქონდათ. ვაჭრები, ცხადია, ცდილობდნენ საქონელი რაც შეიძლება იაფად ეყიდათ უცხოეთში და ძვირად გაეყიდათ ჩვენში. შაბიამნის ფასი ძალიან ცვალებადი იყო. ვაჭრები უცდიდნენ უცხოეთში ფასების დაცემას, რის გამოც ჩვენი მეურნეები თავის დროზე ვერ იძენდნენ შაბიამანს. თავის მხრივ დიდი ვაჭრები შაბიამანს წვრილწვრილ ვაჭრებზე ყიდდნენ. ეს კიდევ უფრო ზრდიდა შაბიამნის ფასს. ამასთან დაკავშირებით იოსებმა წაიკითხა მოხსენება კავკასიის მეურნეთა პირველ კრებაზე 1907 წელს თბილისში. „2 წლის წინათ, — ამბობდა იოსებ გუნცაძე, — მაზრაში ვაზზე მე აღმოვაჩინე მილდიუ. მახსოვს, რომ ვაზები ისე

გაფუჭებული იყვნენ ხოლმე ამ ავადმყოფობით, რომ ზანდახან მთელს ვენახში ერთი საღი მტევანი არ მოიპოვებოდა. ეს უბედურება თავიდან ავიცილეთ, როდესაც ვაზს შაბიამნით დაუწყებდნენ მოხა. შაბიამნით აქიმობა ყველგან გავრცელდა და თუ ბევრი ვენახი კიდევ უწყველად რჩება, ეს მხოლოდ შაბიამნის სიძვირით აიხსნება. მართებლობამ ეს საქონელი გაანთავისუფლა შემოსატანი ბაჟისაგან, რომელიც უდრის 1 მან. და 50 კაპ. მაგრამ საქმე კარგად არ იყო მოწყობილი. მართველობას ქონდა მიზნად შაბიამნის გაიაფება და პირიქით მოხდა. საკმარისია გავითვალისწინოთ ამ 20 წლის განმავლობაში შაბიამნის შემოტანა-განაწილება, რომ ამას დაავრწმუნდეთ.

მევენახენი ყოველ წლივ ფუთზე 2 — 3 მანეთს იხდიან ზედმეტს, ზანდახან მეტსაც. ამით აიხსნება, რომ მარტო შორაპნის მახრა, რომელსაც წლიურად 20 000 ფუთი შაბიამანი სჭირდება, ყოველ წლივ 40 000 — 60 000 მანეთამდე ზედმეტს იხდის. ესე იგი მას ამ უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში 1 200 000 მანეთი გადაუხდია ზედმეტი.

ეს იმის გამო მოხდა, რომ უბაჟოდ შაბიამნის შემოტანა ჩვენში რამდენიმე კაპიტალისტმა ჩაივდო ხელში და ისინი ფასებს თავიანთ სურვილისამებრ ადებენ ამ საქონელს. ეს ფასები მით უფრო მატულობენ, რომ ისინი შაბიამანს პატარა ვაჭრებზე ყიდიან.

ხშირად ვაჭრები შაბიამნის გაყიდვას იწყებენ 4 მანეთად; როდესაც კი იგი სამკურნალოდ ძლიერ საჭიროა, ფასი 8 მანეთამდე აყვავთ. ისეთი შემთხვევებიც ყოფილა, რომ ვაჭრები დილაზე შაბიამანს პყიდდნენ 5 მანეთად, საღამოზე კი 6 მან. 50 კაპიკს თხოულობდნენ. თავს კი იმით იმართლებდნენ საზღვარგარეთ ფასებმა აიწიენო. ნამდვილად კი შაბიამნის ფასი დამოკიდებულია სპილენძის ღირებულებაზე და მისი აწევ-დაწევა გამოიხატება კაპიკებში და არა მანეთებში.

ამ მდგომარეობიდან თავის ხსნა მხოლოდ იმით შეგვიძლია, რომ შაბიამნის შემომტანი ფირმები ვალდებული გავხადოთ ეს საქონელი მხოლოდ მევენახეთ, სამეურნეო საზოგადოებათ და ამხანაგობათ მიჰყიდონ და არა სხვა პირო. ან არადა ჩამოერთვას ამ ფირმებს უფლება შაბიამნის უბაჟოდ შემოტანისა და იგი ზემო აღნიშნულ დაწესებულებათ გადაეცეს“¹².

¹² ი. გუნცაძის დასახ პირადი არქივი.

პირველი მსოფლიო ომის წლებში ძალიან გაძნელდა შაბიამნა-სა და სხვა ნივთიერებების შემოტანა. ამიტომ იყო, რომ იოსებ გუნცაძე 1915 წლის 22 სექტემბერს მეფის ნაცვლის მოადგილეს ორლოვს წერდა: «Не лишним считаю доложить Вашему сиятельству, что единственным подспорьем экономической жизни населения Шорапанского уезда является виноградарство и виноделне и неимение лечебных материалоу своевременно грозит полной гибелью нашим виноградникам. Виноградники же наши уже распускаются, время лечения наступает и население, начинает волноваться, боясь остаться без лечебных средств.

Не трудно представить, что может произойти когда население, переживающее голодный год и тем не менее внесшее задаток для своевременного получения лечебных материалов, потеряет всякую надежду на его получение.

Вышеизложенное вынуждает меня обратиться с покорнейшей просьбой к Вашему сиятельству.. выдать на первое лечение... 5.000 пудов купороса Квирильскому кредитному т-ву для распределения между учреждениями кредитных кооперативов Шорапанского уезда»¹³.

დიდი სიძნელეების მიუხედავად იოსებ გუნცაძე მაინც ახერხებს შაბიამნისა და სხვა ნივთიერებების შემოტანას. განსაკუთრებით აღსანიშნავია იოსებ გუნცაძის დამსახურება საზღვარგარეთიდან სოფლის მეურნეობის ახალი მანქანა-იარაღების შემოტანის საქმეში.

იოსებ გუნცაძეს, როგორც შორაპნის მაზრის საკრედიტო ამა-ნაგობის ხელმძღვანელს, კავშირი ჰქონდა ევროპის ფირმებთან, რომლებიც შორაპნის მაზრას ამარაგებდნენ სოფლის მეურნეობის მანქანა-იარაღებით. დავით ღამბაშიძის მიერ იოსებ გუნცაძისადმი 1914 წელს ლონდონიდან მიწერილ ბარათში ვკითხულობთ: „სანიმუშო აპარატების საქმე, როგორც მწერთ, უკვე მოგიწყვიათ. ეხლა გამოგზავნილი აპარატების ნიმუშები და სურათები უკვე მანდ გაქვთ და იმას გამოიყენებთ. რაიცა შეეხება საბერველებს, ნიმუშები უკვე ყველა ნომრებისა გაქვთ და შეგიძლიათ დარწმუნდეთ, თუ რომელი უფრო გამოსადეგი იქნება თქვენთვის, მხოლოდ ვინაიდან თქვენ შეკვეთაში ნომერი ნაჩვენები არ იყო, მე სულ ერთნაირი გამოგიგზავნეთ, რომელიც ძლიერ გამოსადეგია...

თქვენი გადაგზავნილი 2600 მანეთი შაბიამნის უკვე მივიღეთ და კრედიტში ჩავიწერეთ.

¹³ ი. გუნცაძის დასახ. პირადი არქივი.



რაცა შეეხება მაგრატლებს და დანებს, ვერ დაგეთანხმები. რადგან ჩვენში თუ შეეჩვიე რამეს ძნელია გადაიფევა, თორემ რა შედარებაა. კუნდეს მაგრატლები გერმანიაში არის გაკეთებული და ჩემი გამოგზავნილი კი ინგლისის ნახელავია და ეს ზომ საყოველთაოდ ცნობილია, რომ ინგლისის ფოლადს ვერც ერთი ვერ შეედრება...

რაც შეეხება აპარატების ფასებს ვერც ამაში დაგეთანხმებით. რადგან ნამდვილი ვერმორელის აპარატებს ვერაფერ ვერ გაყიდის 11 მან. 25 კაპ. ნაკლებ და ამაზე იაფად შეუძლიათ მარტო იმიტაცია შემოგაძლიონ. ყოველ შემთხვევაში ჩემი გამოგზავნილი აპარატების ღირსებაში დარწმუნდებით როდესაც იხმართ.

შაბიამანში მე არაფერს ვიზარალებ და თუ ვაჭრებმა ვითბრესო, რომ ვერ აასრულებსო, მათ სიტყუეშიდაც მალე დარწმუნდებით. თქვენ იწერებთ: „შათუშში კინალამ შემქამეს ძველმა გამომწერებმა, ექვსი თვის კრედიტით მაძლიეს შაბიამანი. ამდენ ხანს ამას არ შევბოდნენ შაბიამნის ვაჭრობა სულ-ნაღდზე იყო.“

ეს ფაქტი ანვარად ამტკიცებს. თუ რა დიდი სარგებლობა მოუტანა საქართველოს ჩვენმა დაწყებულმა საქმემ. რადგან აიძულა ჩვენებური წურბელები ფასები დაეკლოთ. მაგრამ ვინ არის ამის დამფასებელი“¹⁴.

იოსებ ალექსანდრეს ძე გუნცაძის არქივში დაცულია ბევრი მნიშვნელოვანი და საინტერესო ხელნაწერი დოკუმენტი, რომელიც ნათელ წარმოდგენას გვაძლევს მე-19 საუკუნის მიწურულისა და მე-20 საუკუნის დასაწყისის იმერეთის ეკონომიური ყოფის დასახასიათებლად. მის ბიბლიოთეკაში დაცული სპეციალური წიგნება და ყურნალ-გაზეთები მოწმობენ, რომ ის გამუდმებით ადევნებდა თვალყურს სოფლის მეურნეობის მდგომარეობას დასავლეთ ევროპაში. მნიშვნელოვანია აგრეთვე წერილები ფრანგულ ენაზე, რომლებიც საფრანგეთიდან მიუღია იოსებ გუნცაძეს. ამ წერილებიდან ირკვევა, რომ ი. გუნცაძეს მკიდრო ურთიერთობა ჰქონდა სოფლის მეურნეობის გამოჩენილ ფრანგ სპეციალისტებთან. მათგან გებულობდა ყოველ საიხლეს სოფლის მეურნეობაში; მათი საშუალებით შემოჰქონდათ ჩვენში სოფლის მეურნეობის ახალი იარაღები, ვაზის სამკურნალო ნივთიერებები და სხვ. ამ წერილებიდან ჩანს, რა დიდი

¹⁴ ი. გუნცაძის დასახ. პირადი არქივი.



შრომა გაუწევია იოსებ გუნცაძეს დასავლეთ საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარებისა და მიწათმოქმედების გაუმჯობესებელი მანქანა-იარაღების შემოტანისა და გავრცელების საქმეში.

საფრანგეთიდან დაბრუნებისთანავე იოსებ გუნცაძემ თანამშრომლობა დაიწყო ქართულ პეიოიოდულ პრესაში. იგი შრომასა და გარჯას ურჩევდა ქართველ თავადაზნაურობას, კიცხავდა კიდეც მათ სიზარმაცისა და ინერტულობისათვის. ერთ-ერთ წერილში გუნცაძე წერს: „ჩვენში, თუ ზაფხულია ჩრდილში კოტრიალობს ჩვენი მემამულე და თუ ზამთარია ჩიბუხით პირში ბუხარს უზის და სიამოვნების ნიშნად ამთქნარებს“¹⁵.

იოსებ გუნცაძის წერილების დიდი ნაწილი შეეხება სოფლის მეურნეობის მტკიცეულ საკითხებს. თავის წერილებში იგი ქართველ გლეხს აცნობდა მიწათმოქმედების ისტორიას, მიწის დამუშავების იმდროინდელ მეთოდებს საფრანგეთსა, იტალიასა, გერმანიასა და ინგლისში. იგი დაწვრილებით არკვევს ვაზის დაევადებებს და მათი წარმოშობის მიზეზებს. მიუთითებს მათ წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებებზე. დაწვრილებით აცნობს გლეხობას ღვინის დაყენების ახალ წესებს.

იოსებ გუნცაძემ თარგმნა რამდენიმე შრომა ფრანგულიდან. იმ დროისათვის ეს შრომები მეტად მნიშვნელოვანი და საჭირო იყო ჩვენი სოფლის მეურნეთათვის.

როგორც დავინახეთ, იოსებ ალექსანდრეს ძე გუნცაძეს დასავლეთ საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარებისა და გაუმჯობესების საქმეში საკმაოდ დიდი ღვაწლი მიუძღვის. მაგრამ, სამწუხაროდ, ყველაფერს, ნებით თუ უნებლიეთ, მხოლოდ ვლადიმერ სტაროსელსკის აწერდნენ: დღემდე გავრცელებულია აზრი, თითქოს დასავლეთ საქართველოს სოფლის მეურნეობის ყველა დარგის სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი მხოლოდ ვ. სტაროსელსკი იყო. ცხადია, ჩვენ მიზნად არ გვაქვს და არც შეიძლება გვექონდეს ვლადიმერ სტაროსელსკის მიერ გაწეული შრომის გაუფასურება, მაგრამ არც სიმართლის დამახინჯებაა საჭირო.

იოსებ გუნცაძის არქივში დაცული დოკუმენტები გვაფიქრებინებს, რომ უნდა გადაისინჯოს და შემოწმდეს საქართველოს სოფლის მეურნეობის ისტორიაში დღემდე მიღებული ზოგიერთი დებულება და მოსაზრება.

¹⁵ გაზეთი „მეურნე“, 1888, № 6, გვ. 7, 8

საქართველოში კოლმეურნეობების შექმნის პირველი დღიდანვე იოსებ გუნცაძე შევიდა სოფელ კვალითის კოლმეურნეობაში და გარდაცვალებამდე ემსახურებოდა მას როგორც აგრონომი.

იოსებ გუნცაძე მთელი თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე უანგაროდ ემსახურებოდა თავის მშობელ ხალხს. მისი ერთადერთი სურვილი იყო ენახა თავისი ხალხი ბედნიერი, განათლებული, ეკონომიურად ძლიერი. თანამედროვეთა გადმოცემით იგი იყო უარესად კეთილი და სპეტაკი ადამიანი, დიდი პატრიოტი და შესანიშნავი მოქალაქე.

იოსებ ალექსანდრეს ძე გუნცაძე გარდაიცვალა 1934 წელს. დაკრძალულია სოფელ კვალითში.

ნაშრომს თან ვურთავთ ი. გუნცაძის არქივში დაცულ რამდენიმე საინტერესო დოკუმენტს.

I.

5(17) აპრილი 1988

პარიზი

ძვირფასო იოსებ

დარწმუნებული ვარ ჩემის წერილის მიუღებლობა გაკვირვებს, მაგრამ ამის მიზეზი საბაგელი Vigouroux-ის შენი ფული 12 მარტს მივიღე (წამხდარის გზების გამო დაგვიანებული იყო). ფულის მიღებისთანავე Institut Ogronomique-ში პროფესორს მიემართე რჩევით და მან მითხრა, რომ უცხოელი რომ არ ყოფილიყავი „მეურნეობის საზოგადოების“ საშუალებით შეძლებდი მაშინის შეძენას 10% დაკლებით. და ამის გამო მიჩნია პირდაპირ ნიმში მიწერეო; ნიმში მიწვერე და ვეკითხებოდი, თუ შეუძლიათ პულვერიზატორის მანდ გამოგზავნა; ამაზე მიპასუხეს, რომ კავკასიაში არ შეგვიძლიაო, რადგანაც უცხოეთთან დამოკიდებულობა არა გვაქვსო და თუ მოიწერებით, გამოგზავნიეთ.

ამ წერილის მიღების შემდეგ საფრანგეთში დავიწყე ძებნა; ძლივს ორი იმისთანა საზოგადოება ვიპოვე, რომლებსაც პირდაპირი დამოკიდებულება აქვთ უცხოეთთან; იქ მითხრეს, რომ წესიერი იმისთანა ნივთში, რომლის სიმძიმე 100 კილოგრამზე ნაკლებიაო. 100 კილოს ფასს ვახდევინებთო; სწორედ გითხრა არ დავიჯერე; აქეთ-იქით ვიკითხე და დამარწმუნეს.



25 მარტს **vigorous**-ს ფული გავეუგზავნე და პულვერიზატორი დავიბარე; 4 დღის შემდეგ მწერდნენ, რომ მაშინის გამოგზავნა ცოტა დაგვიანდებო: ცოტა კი არა, ისე დააგვიანეს, რომ წერილის მიწერა დაწყობდა და პულვერიზატორი ძლივსძლივობით 16 ამ თვეს მივიღე.

პულვერიზატორი ჩავდე და კიდევაც ჩავებარე. ხარჯს მანდ გადაიხდი, რომელიც, როგორც მოთხრეს, 20 ფრანკზე მეტი არ იქნებო.

აი რა ჯამი დაიხარჯა

| | |
|----------------|--------|
| პულვერიზატორი | 45 ფრ. |
| გაგზავნა | 85 " |
| ფაქტორს | 50 " |
| წერილები | 85 " |
| ჩადება და სხვა | 2—15 |
| | <hr/> |
| | 285—15 |

30 მანეთი 60 ფრ. 60 ს. დახურდავდა (მაშინ კურსი 202 იყო. ეხლა 205-ია). მაშასადამე შენის ფულიდგან დარჩა 11 ფრ. 25 ს. ეს ფული და წინად დარჩენილი 7 ფრ. 30 ს., როგორც შენ იწერებოდდი, კასაში შევიტანე.

დიკსონერის და ჟურნალის საქმე დიდიას ბრალია — იმის წერილიდგან ჩანდა, რომ დიკსონერი აქ უნდა მეყიდა და თუ დიკსონერს ვიყიდდი, ჟურნალის მთელის წლით ყიდვა დარჩენილის ფულით შეუძლებელი-და იყო. ამიტომ ისე მოვიქეცი, როგორც უკვე იცი.

დიკსონერის მაგ ნუმერს მე ავიღებ. ფასს აქ შევიტან კასაში ან მანდ ვაღმოვიგზავნი.

აქ არაჩვეულებრივი არაფერია იმიტომ, რომ ძლიერ დავცოტადით. დგებუაძე ეხლა მონპელიეშია.

„მეურნე“ მოგვდის: ჭერჭერობით არაუშავს რა და შემდეგში ღმერთმა უწყის.

პავლემ მოგიკითხა. მანდაურებს მოკითხვა გადაეცი. თუ იცი წულუკიძე რას აკეთებს.

სვეტორი გაუტკვეველია!

P.S. ამ წერილის დაწერის შემდეგ ისე მოხდა საქმე, რომ მანდ წამოსვლა გადავწყვიტე და ამ წერილთან ერთად სახლში ვგზავნი წერილს და გზის ფულს ვთხოვ. თუ შენ ან ვინმეს სხვას რისამე ყიდვა უნდა, მოიწერეთ.

Многоуважаемый Гунцадзе!

Вот уже прошло три месяца, как мы виделись в последний раз. Осталось всего два месяца до срока представления моего отчета в Академии и я уже справился с необходимым; осталось еще кое-что, которого я могу обойтись. В скором времени думаю приступить к «переложению на бумагу» всего того, что как много у меня собралось в скомканном виде. Если Вы будете так добры и пришлете мне еще кое-какие сведения... по Вашему имению и других частям, будут служить только иллюстрацией общих положений, в виде которых будет написан мой отчет.

Вот что мне хотелось бы очень узнать:

1. Сколько было земли (в кцевах) у каждого из ваших бывших крепостных при (след. и до) освобождения в 69 г...

Все это есть в уставной грамоте. Там же обозначено, что, чего и в каком размере принадлежало до освобождения самому помещику, эти сведения тоже пожалуйста сообщите.

Затем (и это самый трудный для Вас) если можно было узнать в точности (через опрос самих крестьян и вашей матушки).

Какие повинности несли крестьяне до освобождения...

1. Кр. такой то... денежно—х, натурно: вина — у, куриц: овец..., подарков (каких и когда)... в и т. д. каждого кр. отдельно.

Повинности работою: кто, как и сколько, повинности личные (прислуга, рассыльный и т. д.).

2. Кто как и в каком размере.

Так как некот. повинности находились в зависимости от числа рабочих, то нужно будет отметить сколько было рабочих душ в (такой то семье).

Еще относит. выкупившихся. Напишите пожалуйста, какие семьи, когда и при каких условиях выкупились. Выкупили ли они всю свою землю или часть и именно что — (чем подробное, тем лучше, а у матушки Вашей, вероятно, сохраняются бумаги о выкупе).

За сколько выкупили (за какую сумму) на самом деле—и сколько было записано в бумагах? Почему в бумагах официальных отмечают большую сумму...

Затем, будьте добры, сообщите сколько находится земли у Ваших временно обязанных теперь (вероятно те, что было в уставной грамоте за вычетом, отрезки), по угодьям (усадебная садовая, пахотная, пастбищная, лесная) и сколько вы получили в этом году с каждого крестьянина.



- 1) С такого то... кукур... ст. пуд. сем. и ст.
- 2) ... араб соломы; вина..., лобно, тыкв.—и т. д.

Так же со всех вместе сколько? (конечно приблизительные, если нет записей).

Затем еще для характеристики юридической стороны крепостничества мне бы хотелось узнать следующее:

- 1) делились ли Ваши бывшие креп. на разряды по своим правам и если да, то на какие? и как у ваших соседей?
- 2) какую власть имел помещик над личностью крепостного,
- 3) имел ли право помещик продавать участок земли, на кот работал крестьянин (долгое время) или помещик мог только требовать.

Когда работали (1-ое, 2-ое и 3-ее вопр.), как работали (какими опаратами, каким составом, сколько понадобилось рабочих и какую цену).

Какие получены результаты (сколько вина, какой ценности, какого качества). Сравнительно с соседями (цифровые приблизительные данные).

Этим кончу, а то Вы ругнете меня и ни на что не ответите.

Сообщу новости, которые могут заинтересовать Вас.

По отчету Геевского. Каждая десятина виноградника (леченного партией), считая главным образом лекарство, обошлась 60 рублей!

Неправда ли как мало! Между тем на сев. Кавказе и больше лечили и лучше лечили, расходы достигают всего 15-и рублей.

Ваш бывший парижский знакомый граф Лорис-Меликов, говорят написал сюда, чтобы ему высмотрели квартиру в 12 комнат на самых аристократических улицах.

Как говорят, он женится в Питере на миллионерше и будет жить.

Теперь он в Петербурге на съезде естествоиспытателей.

Очень может быть, что судьба забросит меня опять в Вашу Имеретию и может по той же части. Занимаюсь временными работами. Осенью же—думаю в учителя, целый год... достаточно.

Мой адрес Т. Куки, Набережная ул., дом Цовьянова, кв. Мичуриной Семену Заварову.

Надеюсь, что ответите если не на все, то по крайней мере на важнейшие вопросы...

25-ое янв. 1890 г.

III.

Милостивый Государь, Иосиф Александрович

Департамент Земледелия известил меня, что в конце текущего февраля месяца имеет происходить при Министерстве Земледелия и Государственных Имуществ особое Совещание для обсуждения очередных вопросов по борьбе с филлоксерою и что к участию в этом Совещании признано необходимым привлечь, кроме специалистов и чинов филлоксерных учреждений, также садовладельцев и представителей сельскохозяйственных обществ и подлежащих земств. Сообщая об этом, Департамент просит меня известить его не признавалось ли бы полезным, по имению Кавказского филлоксерного Комитета, пригласить к участию в Совещании кого-либо из известных ему садовладельцев, причем прибытие в С.-Петербург таких лиц должно было бы состояться на их собственный счет и о согласи на их вызов Г. Министра. Департамент не замедлил бы своевременно дать мне знать по телеграфу. Вследствие сего и согласно постановлению филлоксерного комитета, имею честь покорнейше просить Вас, Милостивый Государь почтить меня уведомлением, не признаете ли Вы возможным принять участие в предстоящем в С.-Петербурге Совещании, в каком случае о дальнейших распоряжениях Министра я не замедлю известить Вас дополнительно.

[წაბრის ხელმოწერა]
1895.

IV.

Господину Управляющему Владикавказской железной дороги

По распоряжению г. Начальника Военных сообщений, мне даны два наряда г. Начальникам Эксплоатации Владикавказской ж. д., один № 653 на право погрузки двух вагонов кукурузы на станцию Грозный, № 654 тоже на два вагона кукурузы со станции Элахотово. Кукуруза предназначена для голодающего населения Кутаисской губернии и покупается на средства кооперативного учреждения, а именно Квирильским Кредитным товариществом, председателем правления коего я состою. Обратившись к начальнику станции Элахотово 30-ого мая с. г. я заявил свое право на наряд

№ 654. Начальник станции, узнав от меня, что кукуруза еще мною не куплена, посоветовал мне купить ее у грузин, которые занимаются закупкой этого продукта на той станции. Осмотрев товар на станции, который нагружался им для отправки в Ново-Сенаки Кутаисской губ. он был настолько испорчен, что я отказался от покупки такого товара, захватив с собой образчик. Потребовав вагоны от Начальника Станции, он мне сказал: сначала—свезите кукурузу сюда на склад, а затем просите вагоны, иначе, если вы сейчас, не имея кукурузы, потребуите вагоны, я с вас возьму залог и если вы не нагрузите вагонов сейчас по подаче их, то лишитесь вагона и потеряете залог; размер залога начальник не указывал. Я все выполнил согласно указанию Начальника станции: закупил кукурузу, по нотариусной доверенности, поручил сдать ее от моего имени Владикавказскому мешанину Федору Егоровичу Галкину и когда вся кукуруза была свезена на станцию 3-го мая, то начальник станции отказался принять ее под тем предлогом, что я не имею амбара или склада приписанного к железной дороге.

Никакие просьбы со стороны моего поверенного не помогли.

Не возражая против того, что такой порядок, вероятно, в обычное время является законным, я тем не менее не могу допустить, чтобы в такое исключительное время и с целью доставления кукурузного зерна голодающим, нельзя было бы отступить от этого порядка или по крайней мере не выдавать нарядов на такие станции во всяком случае благодаря того, что Начальник станции не только не предупредил меня об этом, но даже советовал закупить товар у незнакомых мне грузин, кредитное товарищество понесло громадные убытки, а голодающие остаются до сих пор без хлеба.

Во избежании всяких недоразумении, прошу сделать надлежащее, погрузка вагонов была разрешена по обоим моим нарядам предъявителю груза и разрешить нагрузку вагонов вместо Элахотова и Грозный на станцию Муртово и в этом смысле изменить наряды. Срок нарядам истекает 14-го сего Июня.

Председатель Правления Квирильского Кредитного Товарищества Иосиф Александрович Гунцадзе¹⁶.

¹⁶ წერილს დაწერის თარიღი არ აწერია. იგი დაწერილი უნდა იყოს 1915 წელს.

მიხეილ ზაალიშვილი ეკუთვნის საზოგადო მოღვაწეთა იმ პლეადას, რომლებიც შავბედითს დროში, პირქუშ და სუსხიან სინამკვილეში ეწეოდნენ საქართველოს ეკონომიური სიძლიერისა და კულტურისათვის ბრძოლის მძიმე ჭაპანს. არც ერთი ქართული საზოგადო, საქვეყნო საქმე არ იყო იმ დროს, რომელშიც მიხეილ ზაალიშვილს მხურვალე მონაწილეობა და ნაყოფიერი შრომა არ მიუძღოდა. მის მუდმივ საზრუნავ საქმეს შეადგენდა ქართული გაზეთი, ჟურნალი, ეროვნული დაწესებულებანი, სოფელი, ქალაქი და მშრომელი გლეხი. იგი წერდა ქართულ სახელმძღვანელოებს, იკვლევდა ჩვენს წარსულ და თანამედროვე ყოფა-ცხოვრებას; სიტყვითა და კალმით უზიარებდა თანამოძმეებს თავის დაკვირვებას ყველას და ყოველთვის ეხმარებოდა რჩევა-დარიგებით, მტკიცედ არაჩად ედგა ყოველ სასარგებლო საქმიანობასა და აზრს.

მიხეილ ყარაბაღის ძე ზაალიშვილი დაიბადა 1865 წლის 10 სექტემბერს (ძველი სტილით) სოფელ იგოითში (კასპის რაიონი). მისი ოჯახი აზნაურთა წოდებას ეკუთვნოდა. მიხეილის მამა მამულს თვითონვე ამუშავებდა და სოფელში იცნობდნენ როგორც პატიოსანსა და მშრომელ ადამიანს.

მიხეილის დედა მარინე ჯავახიშვილი სოფელ ძეგრაიდან იყო. ქართულ ლიტერატურასა და ხელნაწერებზე აღზრდილი ქალი სოფლის მოსახლეობას წამლობდა „ყარაბაღისის“ მიხედვით და დიდი პატივისცემით სარგებლობდა ხალხში.

პირველდაწყებითი სწავლა მიხეილმა ოჯახში მიიღო. 10 წლის მიხეილი თბილისში ჩამოიყვანეს და უშვილო მამიდას ნატალია დავითის ასულ კარგარეთელს მიაბარეს. მამიდის მზრუნველობის შედეგად 1887 წელს ოქროს მედლით დაამთავრა თბილისში ალექსანდრეს სახელობის სამასწავლებლო ანუ, როგორც მაშინ ეწახდნენ, საოსტატო ინსტიტუტი და საქალაქო სასწავლებლის მასწავლებლის წოდება მიენიჭა.

1888 წელს მიხეილ ზაალიშვილი მიემგზავრება პოლონეთში. აქ იგი შედის ნოვო-ალექსანდრიის სოფლის მეურნეობისა და მეტყეობის ინსტიტუტში, რომელიც 1891 წელს დაამთავრა.

აგრონომიული ცოდნით აღჭურვილი მიხეილი კიდევ უფრო მწვავედ გრძნობს თავისი ქვეყნის ეკონომიურ ჩამორჩენილობას. ამის გამო იგი გაზეთ „მეურნეში“ წერდა: „ჩვენი სამშობლო ისე-



სერ. 14. მიხეილ ზაალიშვილი

თი ქვეყანაა, სადა ყველა კულტურული ძვირფასი მცენარე აღ-
ლად მოვა, მაგრამ ჩვენ, ჩვენი უსწავლევლობის გამო, მარტო
როგან მცენარეებს მივჩერებივართ....

მერწმუნოს „ქართლელი მეურნე“, რომ, თუ ჩვენში სხვადასხვა
კულტურული მცენარეების მოყვანას არ შემოვიღებთ და არ შევეც-
ვლით ხასიათს ჩვენი მეურნეობისას, — ჩვენ ქართველი მეურნენი,
მთლად ქართველობა, შორს ვერ წავალთ. გონივრულად რომ შეიე-
ვალოს ეხლანდელი მეურნეობის მიმართულება და ხასიათი, ამისათ-
ვის გონიერი და კარგი ნასწავლი სპეციალისტები აგრონომები
არიან საჭირო, მაგრამ ამისთანანი, სამწუხაროდ, ნაკლებად გვქვა-
ნან...“¹

მიხეილ ზაალიშვილი სამწერლო ასპარეზზე გამოდის ჯერ კიდევ
ნოვო-ალექსანდრიაში სწავლის დროს. იგი სისტემატურად თანამშ-
რომლობდა ჟურნალ „მეურნეში“. ამავე პერიოდში გამოსცა მან
ორი სახელმძღვანელო „საზოგადო ზოოტეხნია ანუ საქონლის მოე-
ლა-მოშენება“. (1890 წ.) და საზოგადო მიწათმოქმედება“ (1891 წ.).

მიხეილ ზაალიშვილი სამშობლოში დაბრუნების შემდეგაც ვა-
ნაგრძობს თანამშრომლობას ჟურნალ „მეურნეში“, რომელსაც რე-
დაქტორობდა ვასილ სულხანიშვილი. ამავე დროს იგი აქტიური
წევრია „ქართული წიგნების ბეჭდვის ამხანაგობისა“², რომელმაც
გარკვეული როლი ითამაშა ჩვენს ცხოვრებაში. მიხეილი რამდენიმე
წელს იყო წინამძღვრიანთკარის სკოლის ზედამხედველი³. შემდეგ
იგი მუშაობს ჩრდილო კავკასიაში, სტავროპოლის ოთხკლასიანი სა-
ქალაქო სასწავლებლის მასწავლებლად. აქ მან დასწერა შრომა იქ
მოსახლე სექტანტებზე: „Менониты и их колонии на Кавказе“.

მიხეილ ზაალიშვილს არ აკმაყოფილებს მიღწეული, იგი მუდამ
ახლის ძიებაშია. მისთვის არ არსებობს სიძნელეები და აუღებელი
ციხე-სიმაგრეები. მისთვის უცხოა ქედმოხრილობა და წუწუნი. ამას
იგი კარგად ამბობს ერთ-ერთ წერილში, რომელიც ჟურნალ „მეურ-
ნეში“ დაიბეჭდა. იგი წერს: „საითაც მიიხედავ, ყველგან უჩივიან ამ
ჩვენს უბედურ საუკუნეს, სწორედ „მოდალ“ შემოვიდა ჩივილი; ჩი-
ვილი გვესმის იქიდანაც-კი, საიდანაც სრულებით არ მოველოდით.
აგრეთვე, ჩვენი მეურნენიც ეკონომიურს მდგომარეობას და უაზრო-

¹ ჟურნ. „მეურნე“, 1891, № 7, გვ. 3.

² გაზეთი „ივერია“, 1892, № 89.

³ გაზეთი „ივერია“, 1892, №228.

ბას უჩივიან, მაგრამ-კი, ჩემის ფიქრით, უმეტეს შემთხვევაში, უკეთესი იქნებოდა, რომ თავიანთ თავზედ ჩივილათ, რადგანაც კაცი ის არის, ვინც ბრძოლის ველზედ—ცხოვრებაში, იმის უკანასკნელი სულის ამოსუნთქვამდე და არა ის, ვინც ცხოვრების ამოშვებული უჩივის ბედს. ეს უკანასკნელი მოქმედება ძლიერ ადვილია, და აი ამითი აიხსნება, რომ ყველა ჩივილს მიმართავს ხოლმე, როდესაც პირდაპირ საქმეა საქირი. აი, თუ გინდ „ქართლელი მეურნე“ ავილოთ. იგი თავის თავზედ ჩივილის მავიერ ჩვენ ეკონომიურ მდგომარეობას და უაზრობას უჩივის და ამ ჩივილს თან დასძენს: „სპეციალისტების მოწვევით და სსკვადასგა კულტურული წესებით და გაუმჯობესებით არ შეიძლება ჩვენი მეურნეობის და სასოფლო მრეწველობის განვითარება“. აბა რაღა თქმა უნდა, რომ ეს აზრი, თავიდან ბოლომდე არამც თუ უსაფუძვლოა, არამედ ქვიშაზე აშენებულ ხუხულად მიგვანჩნია, რომლისათვისაც საკმარისია მარტო უბრალო ნიავის მოძრაობა, რომ იგი გასწორდეს დედამიწასთან⁴.

მხოლოდ შრომა, სამშობლოს აყვავება და ეკონომიურად გაძლიერება შეადგენდა მიხეილ ზაალიშვილის მიზანს. იგი დღე-ღამეში 5 საათს თუ გაიმეტებდა დასვენებისათვის; გვიან წიგნობდა და ადრე დგებოდა. სხვისი დახმარება, სხვისი შემწეობის აღმოჩენა იმის სულის მოთხოვნილებას შეადგენდა. იგი არაეცხვის დაიშურებდა არც ზნეობრივსა და არც ნივთიერ დახმარებას. ამიტომ იგი ყველასათვის საყვარელი, პატივსაცემი და სასურველი ადამიანი იყო.

მიხეილ ზაალიშვილი სწავლის გასაგრძელებლად მიემგზავრება მოსკოვში და შედის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, რომელიც 1897 წელს დაამთავრა პირველი თანჯივის აგრონომის წოდებით.

სტუდენტობის პერიოდში მიხეილი ჩვეული ენერჯითა და მონდომებით თანამშრომლობდა ჟურნალ „მეურნეში“. ერთ წერილში იგი მოსკოვიდან ჟურნალ „მოსავლის“ რედაქციას სწერდა: „მე, როგორც მოსკოვის სტუდენტი, ჩემს თავს ვალდებულად ვხდი პასუხა მოგკეთ იმ კითხვებზე, რომელსაც ბ. სალარიძე აძლევს თქვენს რედაქციას „მეურნის“ მე-21 ნომერში.

მოსკოვის სტუდენტებს ძლიერ კარგად ესმისთ, რომ შეგროვება და მეცნიერულად გარჩევა ჩვენი ფლორისა ადვილი არ არის და ამისათვის ერთი და ორი წელიწადი საკმარისად არ მიაჩნიათ. მათ სურთ, რომ ამ არაადვილ საქმეში მონაწილეობა მიიღოს მიუღმა ჩვენმა ქართველმა სტუდენტებამ. და არა მარტო მოსკოვისამ. მათ

⁴ ჟურნალი „მეურნე“, 1891, № 7, გვ. 1 — 2.

გადაწყვიტეს მიმართონ ყველა უნივერსიტეტის სტუდენტობას⁵ ამას ასრულებაში მოიყვანენ, როგორც მე ნამდვილად ვიცი, მე მოდგომაზე. ჩვენ გვჯერა, რომ არც ერთი ნამდვილი ქართველი სტუდენტი არ დაგვზარდება და უეჭველად მოგვეშველება ამ საქმეში“⁶.

სტუდენტობის პერიოდშივე მიხვილ ზაალიშვილი მუშაობს ქართულ ტერმინოლოგიაზე, რომელიც გამოაქვეყნა ჟურნალ „მეურნეში“. წერილები: „ქართული ტერმინების შესახებ“ და „რუსულ-ქართული ლექსიკონი“ დაიბეჭდა 1896 წელს. ამ წერილებიდან ჩანს, რომ მიხვილი სერიოზულად მუშაობდა ქართულ ტერმინოლოგიაზე.

1896 წელს მიხვილმა მოსკოვში სცადა აბრეშუმის ჭიის გამოკვება ძირშავას ანუ სკორზონერის ფოთლებით, რამაც კარგი შედეგი გამოიღო. „თბილისის სააბრეშუმო სადგურმა, — წერს იგი, — გამოაცხადა, რომ სკორზონერით აბრეშუმის ჭიის კვება სასურველი არ არისო. მე ეს მიკვირს, და ვთხოვ სადგურს განაცხადოს, თუ რა მიზეზით სკორზონერს სთვლის არასასურველ საკვებათ? შარშან მოსკოვის ინსტიტუტში პროფ. ტიხომიროვმა ათი მისხალი გამოკვება სკორზონერით. მე წრეულ გავიმეორე ტიხომიროვის ცდა და გასაკვირველს ვიყავი იმ ჭიებისაგან, რომელიც მე მივიღე. თითო ჭია 9 — 10 სანტიმეტრი სიგრძე იყო, მშვენიერათ გააკეთეს პარკები და ეხლა პარკებიდანაც გამოვიდნენ პეპლები, რადგანაც მე მსურს ცელულიალური აბრეშუმის ჭიის თესლი მივიღო“⁶.

1897 წელს მიხვილ ზაალიშვილმა გამოსცა კიდევ ერთი აგრონომიული სახელმძღვანელო — მეფუტკრეობა. ამ სახელმძღვანელოს გამოცემა იმ დროისათვის დიდ მოვლენას წარმოადგენდა. მას დღესაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა.

საკმარისია თვალი გადავავლოთ მიხვილ ზაალიშვილის მიერ გამოქვეყნებულ წერილებს და ჩვენთვის ნათელი გახდება, თუ რა ღრმა ცოდნით იყო აღჭურვილი იგი. ეს კარგად ჩანს მის ბიბლიოგრაფიულ წერილში, რომელიც მან მიუძღვნა ვ. რუხილაძის მიერ პროფ. როსკოს „ქიმიის“ ქართულად თარგმნას. „გონივრულ ფეხზედ მხოლოდ მაშინ დადგა სამეურნეო სწავლა, — წერს იგი, — როცა ქიმია ამ სწავლის დედაბოძად შეიქმნა. უქიმიოდ სამეურნეო სწავლის შეგნება შეუძლებელია, მხოლოდ ქიმიის საშუალებით მოეფინა ნათელი ბევრ ისეთ გარემოებას, რომლის წინ ხმა ვაკმენ-

⁵ ჟურნალი „მეურნე“, 1896, № 27.

⁶ იქვე.

დილი და გულ-ხელდაკრეფილი უნდა ემდგარიყავით. ვისაც-კი ცოტად ანუ ბევრად ჰქონია საქმე სამეურნეო საგნებთან, იმას უემქველად ეცოდინება, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ქიმიას მეურნეობაში. ვისაც-კი სამეურნეო საქმის გონივრულად შესწავლა სურს, იგი კარგს იზამს, თუ ქიმიიდან დაიწყებს ამ შესწავლას⁷. შემდეგ მ. ზაალიშვილი თანამიმდევრულად ღრმად ანალიზებს აღნიშნულ სახელმძღვანელოს, აკეთებს ბევრ საფუძვლიან შენიშვნას. რომლის ერთი ნაწილი მიმართულია პროფ. როსკოს მიმართაც.

მიხეილი იყო კავკასიის სტიპენდიანტი და 6 წელი უნდა ემსახურა ოლქის ფარგლებში. მოსკოვში სწავლის დამთავრების შემდეგ იგი სასწავლო ოლქმა 1897 წელს დანიშნა ერევნის საოსტატო სემინარიის დამრიგებლად. აქ იგი ასწავლიდა ბუნებისმეტყველებასა და გეოგრაფიას, ერევნის ქალთა გიმნაზიაში კი ბუნებისმეტყველებასა და ფიზიკას. ერევანში მუშაობის დროს იგი დიდ აგრონომიულ დახმარებას უწევდა სომხეთის სოფლებს. სემინარიის ტერიტორიაზე გააშენა ხილის ბაღი და იყო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების ერევნის განყოფილების მდივანი.

1902 წლიდან 1918 წლამდე მიხეილ ზაალიშვილი მოღვაწეობს ქალაქ გორში საოსტატო სემინარიის დამრიგებლად. აქ იგი ასწავლიდა ბუნებისმეტყველებასა და სოფლის მეურნეობას. ასწავლიდა აგრეთვე გორის ქალთა პროგიმნაზიაში. 1907 წლიდან იგი ინიშნება გორის ვაჟთა პროგიმნაზიის ინსპექტორად. ეს სასწავლებელი შექმნა მიხეილ ზაალიშვილმა. იგი მისივე ინიციატივითა და თავდადებული მეცადინეობის წყალობით 1912 წლიდან გიმნაზიად გადაკეთდა.

1917 წელს მიხეილმა ორჯერ გამოსცა თავისი ბუნებისმეტყველების პირველი ნაწილი „არა-ორგანული ბუნება, ჰაერი, წყალი და დედამიწა“. 1918 წელს კი გამოსცა ბუნებისმეტყველების მეორე ნაწილი — „ბოტანიკა“, მესამე ნაწილი — „ადამიანის ანატომია და ფიზიოლოგია“ და მეოთხე ნაწილი — „ზოოლოგია“.

აი, როგორ შეფასებას აძლევს პროფესორი ა. ნათიშვილი ზაალიშვილის მიერ გამოცემულ ადამიანის ანატომიას და ფიზიოლოგიას: «Ваш труд, წერს იგი,—это первая серьезная попытка изложить на грузинском языке основы анатомии и физиологии для детей. Это стремление заслуживает сочувствия, поощрения и благодарности к автору.

⁷ ეურნალი „მეურნე“, 1892, № 22, 83. I.

Отсутствие терминологии удесетеряет выполнение этой благодарной задачи и только огромная энергия, любовь к делу, к молодежи, бесценный педагогический навык позволили Вам пройти сквозь сциллу и харибду с честью и полным успехом.

Труд сам по себе не велик по объему и, мне кажется, что Вы имеете в настоящее время полное нравственное право расширить его и пополнить сообразно выросшим потребностям возродившейся грузинской школы...

Я позволю себе только предложить Вам значительно увеличить число рисунков для будущего издания, т. к. хорошая и полная иллюстрация текста физиологической анатомии, это—почти половина дела, особенно для того возраста, для которого предназначена Ваша книга.

По простоте и ясности изложений в связи с правильными и точными научными определениями фактического материала Ваша книга представляет классический труд, достойный всеобщего распространения, а особенно среди сельского населения и в сельских школах, где о человеке крепко еще держатся самых нелепых и превратных представлений»⁸.

1919 წელს მიხეილმა კიდევ გამოსცა ორი სახელმძღვანელო „ართომეტრია“ და „პირველდაწყებითი გეოგრაფია“. ამ სახელმძღვანელოების გამოცემით მიხეილმა დიდი სამსახური გაუწია თავის ხალხს, ქართველ ერს.

„მიხეილ ზაალიშვილი ახლო მეგობარი იყო ქართველი გლეხის. ზმირად ნახავდით მას გლეხებთან მოსაუბრეს. მამაჩემს, მოხუც გლეხს ის ყოველთვის ღებულობდა და ესაუბრებოდა იმერეთის სოფლის მეურნეობის მდგომარეობის შესახებ.

მისმა უფროს სიკვდილმა ჩვენ ყველანი დაგვალონა: როდესაც მისი სიკვდილის შესახებ მე უამბე მამაჩემს, მოხუცმა ცრემლები ვეღარ შეიკავა“⁹. — იგონებს პროფესორი ი. შველიძე.

მიხეილი მუდამ ზრუნავდა მოწაფეებზე. იგი მოულოდნელად ესტუმრებოდა ხოლმე იმ მოსწავლეებს, რომლებიც ჩამოსული იყვნენ რაიონებიდან და ამხანაგებს ჩამორჩებოდნენ სწავლაში. ის პირადად სწავლობდა ასეთ მოსწავლეთა ოჯახურ პირობებს, აინტერესებდა, ხომ არ ჰქონდა მათ რაიმე სერიოზული ხელშეშლელი

⁸ ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მეზემის ბერძენული პერიოდის განყოფილებას დოკუმენტების ფონდი.

⁹ იქვე.

პირობები და, თუ ასეთს აღმოაჩენდა, დაუყოვნებლივ ეხმარებოდა მათ ეკონომიურად.

მიხეილ ყარამანის ძე ზაალიშვილი საქვეყნო საქმეს ემსახურებოდა უჩინრად, უხმაუროდ, უანგაროდ. ხალხის საკეთილდღეო საქმიანობა მას მიაჩნდა პირად მოთხოვნილებად და მოვალეობად სამშობლოს წინაშე¹⁰.

მიხეილ ზაალიშვილი გარდაიცვალა 1920 წლის 10 სექტემბერს. იგი დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

ნიკოლოზ ყავრიშვილი

ნიკოლოზ ყავრიშვილი იყო პირველი ქართველი სწავლული აგრონომი-ზოოტექნიკოსი, რომელმაც საქართველოში დანერგა ინტესიური ტიპის მეცხოველეობა. იგი თავისი მეურნეობიდან საქართველოს რაიონებს აწვდიდა საჯიშე საქონელს. ნ. ყავრიშვილმა პირველმა დაიწყო ჩვენში შვეიცარული (სიმენტალის) ყველის დამზადება და საუცხოო კარაქის კეთება. იგი მუდამ მზად იყო ქართველი გლეხის დასაცავად და საშველად.

ნიკოლოზ იოსების ძე ყავრიშვილი დაიბადა 1865 წლის 18 მაისს, თბილისის მაზრაში, სოფელ მოხისში, საშუალო შეძლების აზნაურის ოჯახში. მისი მამა იოსებ ბესარიონის ძე ყავრიშვილი მეტად გამჭრიახი და მშრომელი ადამიანი იყო. ამ მხრივ ის განსაკუთრებით გამოირჩეოდა მისი წოდების მეზობელთა შორის.

იოსები თავიანად უძღვებოდა მრავალრიცხოვან ოჯახს. ათი შვილის გარდა, მასთან ცხოვრობდნენ მისი სამი დისწული. ი. ყავრიშვილის საქმიანობა არ სცილდებოდა სოფლის მეურნეობას. მოხისის მამულის გარდა, მას ოთხი დესეტინა ბალ-ვენახი და ექვსი დესეტინა სახნავი მიწა ჰქონდა სოფელ მეტეხში. განსაკუთრებული ხალისით ეწეოდა ის ვენახის დამუშავებას. ვენახშივე აშენებულ მარანთან გადმოდებოდა მშვენიერი წყარო, რომელსაც მეტეხელები ახლაც ყავრიანთ წყაროს ეძახიან.

ოჯახში, რომელშიც იზრდებოდა მომავალი აგრონომი, დანერგილი იყო შრომისადმი სიყვარული და მკაცრი დისციპლინა. ამ მხრივ იოსების ოჯახის წევრები არაფრით არ გამოირჩეოდნენ მშრომელი

¹⁰ მ. ბერძენიშვილი, სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები, 1950, გვ. 257.

გლებობისაგან. ამ ოჯახის ყველა წევრს სიცოცხლის მთელ მანძილზე შერჩა განსაკუთრებული შრომის უნარიანობა და სიყვარული სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისადმი. მუყაითი შრომის შედეგად ოჯახი ისე მოღონიერდა, რომ იოსებ ყავრიშვილმა ქ. თბილისში ერთი დიდი, კაპიტალური სახლიც კი ააშენა. ამ სახლის მშენებლობა დამთავრდა 1878 წელს. ამან საშუალება მისცა ყავრიშვილს გადმოეყვანა ოჯახი თბილისში შვილებისათვის საჭირო განათლების მისაცემად.

მიუხედავად იმისა, რომ ი. ყავრიშვილს არ ჰქონდა მიღებული საჭირო განათლება, მხოლოდ ქართული წერა-კითხვა იცოდა. მან შეუქმნა თავის შვილებს (როგორც ვაჟებს, ისე ქალებს) ყველა ბირობა საშუალო და უმაღლესი განათლების მისაღებად. უდავოა, რომ ასეთ ინიციატივას გასული საუკუნის სამოციან წლებში ქართველი თავად-აზნაურობის მცირე ნაწილი იჩენდა.

ნიკოლოზ ყავრიშვილი იოსების მეშვიდე შვილი იყო. იგი 1878 წელს ჩაირიცხეს თბილისის რეალურ სასწავლებელში, რომელიც 1885 წელს დაამთავრა.

საშუალო განათლების მიღების შემდეგ ნ. ყავრიშვილი ორი წლის განმავლობაში ცხოვრობდა სოფელში მშობლებთან, ესმარებოდა მათ სამეურნეო საქმიანობაში. ამავე დროს წარმატებით სწავლობდა ფრანგულ ენას. 1887 წელს მამა ნიკოლოზს აგზავნის საზღვარგარეთ უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გასაგრძელებლად. იგი ჩაირიცხა პარიზთან ახლო მდებარე გრინიონის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, რომელიც 1891 წელს დაასრულა აგრონომ-ზოოტექნიკოსის სპეციალობით.

როგორც ნ. ყავრიშვილის მოგონებიდან ირკვევა, იგი დიდად აფასებდა გრინიონის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლებს. განსაკუთრებით პატივისცემით იგონებს ზოოტექნიკის კათედრის გამგეს პროფესორ სანსონს, რომელსაც იშვიათი ერუდიცია და გადმოცემის მშვენიერი უნარიც ჰქონია. ასეთივე აზრის ყოფილა იგი პროფესორ ლეკუტოზე, რომელიც ინსტიტუტში სოფლის მეურნეობის ეკონომიკას ასწავლიდა.

ნ. ყავრიშვილის აზრით, გრინიონის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი და მის სისტემაში არსებული საცდელი მინდვრები, ბაღები, ვენახები და მეცხოველეობის საცდელ-სასწავლო ფერმები, ღრმა თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას აძლევდნენ მოსწავლეებს.

ნ. ყავრიშვილი არ კმაყოფილდება იმ ცოდნით, რაც მას გრინიონის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელმა მისცა, და სამი წლის მან-



სურ. 15. ნიკოლოზ ყავერისვილი

ძილზე ეცნობა ევროპის ქვეყნების სანიმუშო მეურნეობებს. მან ერთი წელი დაჰყო ბელგიასა და გერმანიაში, ხოლო ორ წელიწადს საწარმოო პრაქტიკას გადიოდა შვეიცარიის საუკეთესო მეცხოველეებთან იმ მიზნით, რომ მათი გამოცდილება გადმოეტანა საქართველოს მაღალმთიან რაიონებში, უპირველეს ყოვლისა თავის საკუთარ მეურნეობაში.

შვეიცარიაში ყოფნის დროს ნ. ყავრიშვილმა ზედმრწევენით შეისწავლა შვიცური და სიმენტალის ჯიშის რქოსანი საქონლის მოშენება, კვების ტექნიკა და ალპური მეძროხეობის დამახასიათებელი თავისებურებანი. განსაკუთრებით მდიდარი პრაქტიკული ცოდნა და გამოცდილება მიიღო ნ. ყავრიშვილმა ცნობილ შვიცურ და სიმენტალის ჯიშის სანაშენო მეურნეობაში. იგი დაახლოებით წელწინახევარს მუშაობდა ცნობილ შვეიცარიელ ზოოტექნიკოსებთან, ბიურგი-გრეტენერთან და რიუტისთან, შვიცურ და სიმენტალის ჯიშის საქონლის ფერმებში.

შვეიცარიაში სხვა მსრივადაც გაამდიდრა ნ. ყავრიშვილის ინტელექტუალური ჰორიზონტი. მეცხრამეტე საუკუნის მიწურულში ამ ქვეყნის ქალაქები (ეენევა, ლოზანა და ციურიხი) მსოფლიო სოციალისტური მოძრაობის ცენტრებს წარმოადგენდნენ. აქ თავს იყრიდნენ მსოფლიოს გამოჩენილი სოციალისტები, ხშირად იმართებოდა დისკუსიები, რომლებზედაც ყველას შეეძლო დასწრება. ნ. ყავრიშვილს ბევრჯერ მოუსმენია ისეთი დიდი მასშტაბის თეორეტიკოსებისათვის, როგორც აგუსტ ბებელი, ჟან ჟორესი და გიორგი პლუხანოვი იყვნენ. პლუხანოვთან მას მიწერ-მოწერაჲც კი ჰქონია. ამ დამიანებმა დიდი გავლენა მოახდინეს ნ. ყავრიშვილის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ მრწამსზე. ნ. ყავრიშვილი არასოდეს არ ყოფილა აქტიური პოლიტიკური მოღვაწე, მაგრამ თანაუგრძნობდა სოციალდემოკრატებს. ნიკოს ოჯახში ბევრ მესამე დასელს უცხოვრია და შეუფარებია თავი.

1894 წელს ნიკოლოზ ყავრიშვილი დაბრუნდა სამშობლოში და სათავეში ჩაუდგა მამისაგან დატოვებულ მეურნეობას. მისი ძმები სოფლად არ ცხოვრობდნენ და საგვარეულო მეურნეობის მართვა მართო მას უხდებოდა.

სოფელ მოხისში, სადაც ყავრიშვილების მამული იყო, თექვსმეტი გლეხის ოჯახი სახლობდა, გლეხობა ისევე, როგორც მემამულეები, ეწეოდა ხვნა-თესვას, მიუხედავად იმისა, რომ მემინდვრეობა არ იძლეოდა საკმარის შემოსავალს. საკუთარ მეურნეობაში მოყვა-

ნილი ჰუბი და ქერი გაცილებით უფრო ძვირი ჯდებოდა, ვიდრე ბაზარზე წაყიდი. გარდა ამისა, მთავორიანი რელიეფის პირობებში მიწის სისტემატური ხენა იწვევდა ნიადაგის ჩამორეცხვას, ერთობა ულ მოვლენათა ინტენსიურ განვითარებას. გაცილებით უკეთესი ბუნებრივი პირობები იყო აქ მეცხოველეობის განვითარებისათვის. ამიტომ ნიკოლოზ ყავრიშვილმა ხელი აიღო ხენა-თესვაზე და გლეხობას უფასოდ გადასცა საჭირო ფართობი (საძოვარი და სათიბები) მეცხოველეობის განვითარებისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ გლეხები უფასოდ სარგებლობდნენ სათიბ-საძოვრებით, პირველ ხანებში მაინც დიდ უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ: უკირდათ ხენა-თესვაზე, მამაპაპურ საქმიანობაზე ხელის აღება. წარსულში, როდესაც საქართველო განიცდიდა სისტემატურ აობრებას გარეშემო მტრებისაგან და საკუთარი ფეოდალებისაგან, ხენა-თესვა აუცილებელი იყო საქართველოს მთავორიანი ნაწილის მოსახლეობისათვის. მეცხრამეტე საუკუნის ბოლოსა და მეოცე საუკუნის დასაწყისში სულ სხვა მდგომარეობა შეიქმნა, შეიცვალა ბაზრის კონიუნქტურა: რუსეთიდან შემოზიდული ხორბლეული ორჯერ უფრო იაფი იყო, ვიდრე საკუთარ მეურნეობაში წვა-დაგვით მოყვანილი.

ნ. ყავრიშვილმა სრულიად სხვა მიმართულება მისცა მეურნეობას. მან შეეცაარიდან გამოიწერა სანაშენო ოთხი ბულა-მწარმოებელი და დაიწყო მათი შეჭვარება ადგილობრივი ჯიშის ძროხებთან, რის შედეგად პირველი თაობის მეტისების წველადობამ ადგილობრივ ძროხებთან შედარებით ერთი-ორჯერ იმატა. მეტიზაციის შემდეგი წარმოებით ნ. ყავრიშვილის მეურნეობაში ჩამოყალიბდა მეტად ვარგი ექსტერიერისა და მაღალი პროდუქტიულობის ორი ჯიშის (სიმენტალისა და შვიცის) ჯოგი. საშუალო წველადობა ერთ ძროხაზე 1910—1917 წლებში დაახლოებით 200—219 ფუტს, ე. ი. 3200 — 3360 ლიტრს, შეადგენდა. ნ. ყავრიშვილს მეურნეობაში არ ჰყავდა ბუზხალტერი ან მონაგარიშე და წველადობის, რძის გადამუშავების, ფურაჟის შემოსავალ-გასავლის მთელ აღრიცხვას თვითონ აწარმოებდა.

ნ. ყავრიშვილის მეურნეობამ ხელი შეუწყო ამ მხარეში მესაქონლეობის განვითარებას, გლეხთა ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებას. ახლანდელი წალკისა და თეთრი წყაროს რაიონებში ადგილობრივი ჯიშის ძროხების ჯიშთან ბულა-მწარმოებლებთან მეტიზაცია ნ. ყავრიშვილის თაოსნობით დაიწყო. იგი ამ რაიონების

სოფლის მეურნეობებს სისტემატურად აწვდიდა საჯიშე ბუღეტს.
ნ. ყავრიშვილი იყო პირველი ქართველი აგრონომ-ზოოტექნიკოსი, რომელმაც დაიწყო ინტენსიური ტიპის მეცხოველეობის დანერგვა. მან პირველმა დაიწყო შვეიცარიული — სიმენტალის ყველის დამზადება და საუცხოო ხარისხის კარაქის კეთება, როგორც არაყანიდან, ისე ტკბილი (ჯერ დაუმკვებელი) ნაღებიდან. პასტერიზაციის შემდეგ ამზადებდა ეგრეთ წოდებულ პარიზულ კარაქსაც, რძის გადამუშავების შემდეგ დარჩენილ შრატსა და დოს ნ. ყავრიშვილი იყენებდა ღორებისათვის. მეურნეობაში მას ჰყავდა უმთავრესად იორკშირის ჯიშის ღორები. იგი ამ ჯიშს აძლევდა უპირატესობას, რადგან ამ ჯიშის ღორები უფრო მოძრავებია და იოლად შოულობენ საკვებს როგორც ტყეში, ისე მინდვრად.

მოხისში პირველად ნ. ყავრიშვილმა დაიწყო საკვებისათვის მრავალწლიანი ბალახების თესვა. 1897 წელს მას უკვე ჰქონდა დათესილი დაახლოებით 100 ჰექტარი წითელი და შვედური სამუხრები ტიმოთელასა და სათითურას შერევით. მრავალწლიანი ბალახების თესლი ნ. ყავრიშვილს გამოწერილი ჰქონდა შვეიცარიიდან და აღმოსავლეთ პრუსიიდან.

ნ. ყავრიშვილი განსაკუთრებით იცავდა და უვლიდა ტყეს, რომელსაც მის მეურნეობაში 100 დესეტინაზე მეტი ფართობი ეკავა. ტყეში უმთავრესად წიფელი და მუხა იზრდებოდა. მოსახლეობისათვის ნებადართული იყო გამხმარი ხეებისა და ტოტების მოჭრა.

გარდა ამ ტყისა, ნ. ყავრიშვილმა 1894 წელს დაიწყო აღმოსავლური მუხის თესვა. ამ მერქნიანი ჯიშის ახალგაზრდა ტყე მას გაშენებული ჰქონდა დაახლოებით 80 დესეტინაზე. ტყის გასაშენებლად ნ. ყავრიშვილი უმთავრესად გამოჰყოფდა ხოლმე დაქანებულ ფერდობებსა და ხევის ნაწილებს, ე. ი. ისეთ ფართობს, რომლის ნიადაგს ჩამორეცხვისაგან დაცვა სჭირდებოდა.

მეცხოველეობის ეს სანიმუშო მეურნეობა ნ. ყავრიშვილმა შექმნა გასული საუკუნის ბოლოს. 1917 წლისათვის ამ მეურნეობაში 265 სული შვიცური და სიმენტალის ჯიშის მეწველი ძროხა იყო. აღნიშნული მეურნეობა ხელში ჩაუვარდა მენშევიკურ მთავრობას. მენშევიკებმა ვერ შეძლეს ამ მეურნეობის მოვლა-ბატრონობა ერთხელ მეურნეობა ავაზაკებმაც დაარბიეს. საგულისხმოა, რომ ყველა ბოროტმოქმედს, რომლებმაც უშუალო მონაწილეობა მიიღო ამ მეურნეობის დარბევაში, ბოლო მოეღო საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. ისინი რეპრესირებულ იქნენ როგორც გამოუსწორებელი ქურდები და მძარცველები.

არ შეიძლება არ შეეჩერდეთ ნ. ყავრიშვილის საზოგადოებრივ მოღვაწეობაზე. უბირველეს ყოვლისა საჭიროა აღინიშნოს, რომ მან დაიწყო თავისი მუშაობა რაიონის ტერიტორიაზე მცხოვრები ქართველობის მნიშვნელოვანი ნაწილი შეეიწროებას ვანიცდიდა მეფის ხელისუფლებისაგან. განსაკუთრებით მძიმე პირობებში იყო სოფელ თონეთის მოსახლეობა, რომელიც ერთ-ერთი დიდი დასახლებული პუნქტია მანგლისის მახლობლად.

ნ. ყავრიშვილი სისტემატურად გამოდიოდა ჩაგრული ქართველი გლეხების დასაცავად, უწერდა მათ განცხადებებს, ურჩევდა პატრიოტულად განწყობილ ქართველ ადვოკატებს დახმარებოდნენ ჩაგრულ ხალხს. ამ მხრივ მოგონების ღირსია ადვოკატი იოსებ (ოსიკო) ბარათაშვილი, რომელსაც ნ. ყავრიშვილის თხოვნით არაერთხელ უფასოდ დაუცავს ქართველი გლეხები. ოსიკო ბარათაშვილი გამოირჩეოდა მოქალაქეობრივი გამბედაობითა და თავისი ერის უანგარო სიყვარულით. საკმარისია აღინიშნოს თუნდაც ის ფაქტი, რომ მკაცრი რეაქციის პირობებში ოსიკო ბარათაშვილმა იკისრა არსენა ჯორჯიაშვილის დაცვა. მანვე რამდენჯერმე მიიღო მონაწილეობა, როგორც დამცველმა, სოფელ თონეთის და დვალთის წითელ-რაზმელების ვასამართლებაში.

ქართველი მოსახლეობის დაცვა ნ. ყავრიშვილს კინაღამ ძვირად დაუჯდა. შავრაზმელმა მოხელეებმა 1907 წელს გამოიტანა საერთო განაჩენი, რომელშიც ბრალს სდებდა ნ. ყავრიშვილს ქართველი გლეხობის ამხედრებაში მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ და მოითხოვდა მის გადასახლებას ციმბირში. ამას თან დაერთო ის ფაქტიც, რომ ნოე ჟორდანიასა და სხვა მესამე დასელების დაპატიმრებისა და მათი ბინების გაჩხრეკის დროს უანდარმერიამ აღმოაჩინა მეფის საწინააღმდეგო შინაარსის ნ. ყავრიშვილის წერილები. ნ. ყავრიშვილს დაეხმარა მანრის უფროსი ჯანდიერი, რომელმაც დაცვა ის კავკასიის მეფისნაცვალთან ვორონცოვ-დაშკოვთან. ამის შედეგად ყავრიშვილი დატოვეს საქართველოს ფარგლებში პოლიციის საიდუმლო მეთვალყურეობის ქვეშ.

1910 წელს ნ. ყავრიშვილის ინიციატივით მანგლისში დაარსდა სესხისა და შემნახველი საზოგადოება, რომლის თავმჯდომარედ თვითონ ის აირჩიეს. ამ საზოგადოების ფულადი რესურსები უბირველეს ყოვლისა გლეხობას ხმარდებოდა.

ნ. ყავრიშვილის ოჯახში, როგორც დაბა მანგლისში, ისე მოზაასში, თავს იყრიდნენ ქართული კულტურის დიდი მოამაგენი: პროფესო-

რი ალექსანდრე ხახანაშვილი, პროფესორი ილია ოქრომეცდლოშვილი (სერებრიაკოვი), არჩილ ჭორჭაძე, გიორგი ლასხიშვილი, მისი ოჯახის ხშირი სტუმარი იყო ვაჟა-ფშაველა, რომელიც მოხსთან ახლომდებარე სოფელ თონეთში მასწავლებლობდა. ეს სკოლა გახსნა წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ ნიკოლოზ ყავრიშვილის უფროსი ძმის კონსტანტინე ყავრიშვილის თაოსნობით, რომელიც 1900 წლამდე ამ სკოლის მზრუნველი იყო. შემდეგში სკოლის მზრუნველობა ნ. ყავრიშვილმა იკისრა.

პირველი რევოლუციის დროს, — იგონებს ნ. ყავრიშვილი, — ნასვამმა ვაჟა-ფშაველამ ეკლესიაში ატეხა თოფის სროლა და რამდენიმე ხატი დააზიანა. სამღვდლოებამ და მამასახლისმა ამ საქციელზე მაშინათვე შეადგინეს ოქმი და საქმეს ოფიციალური მსჯელობა მისცეს. გამოფხიზლებული ვაჟა ძალიან შეწუხდა. იგი მიხედა, რომ უსიამოვნება შეხვდებოდა ამის გამო. ვაჟას ნ. ყავრიშვილი დახმარებია: ჩაჰყოლია თბილისში, სადაც ნიკოლოზის ძმა კონსტანტინე ცხოვრობდა. ძმის დახმარებით, რომელიც ახლო იცნობდა მახრის უფროსს ჩოლოყაშვილს, ნიკოლოზმა ეს საქმე მოაგვარა და ვაჟა გაციმბირებას გადაარჩინა.

1918 წლიდან ნ. ყავრიშვილმა ხელი მოჰკიდა ციხისჯვრის სარძეო მეურნეობის აღდგენას. მეურნეობისათვის საჭირო იყო ძროხების შეძენა. იმ ხანად ჯიშიანი (მეტეზებული) რქოსანი საქონლის კერა შერჩენილი იყო მხოლოდ ჭავახეთში, დუხობორებით დასახლებულ სოფლებში. ნ. ყავრიშვილი დუხობორების სექტის ხელმძღვანელებს იცნობდა, რადგან ბევრჯერ მიუცია მათთვის მეურნეობიდან საჯიშე მწარმოებლები.

1919 წლის იანვარში ყავრიშვილმა დუხობორებისაგან 120 ძროხა შეიძინა, ხოლო ორი შვიცის ჯიშის ბულა-მწარმოებელი ბორჯომის რაიონში იყიდა. ამ დროიდან ნ. ყავრიშვილი სათავეში ჩაუდგა ციხისჯვრის მეურნეობას, რომელშიც ათი წელი მუშაობდა დირექტორის თანამდებობაზე. ამ ხნის განმავლობაში მისი თაოსნობით რუსეთის სხვადასხვა მეურნეობიდან, სსხელდობრ ტიმირიაზევის აკადემიის ფერმიდან, ნოსკოვოს საბჭოთა მეურნეობიდან, ჩამოიყვანეს შვიცის ჯიშის დეკეულები, ძროხები და ბულები.

იმყამად ციხისჯვარში ჩამოყალაბდა შვიცის ჯიშის სანაშენო მეურნეობა. იგი წამყვან საჯიშე სანერგედ იქცა საქართველოში.

ნ. ყავრიშვილი განსაკუთრებით ცხოველ მუშაობას ეწევა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ.

1929 წელს დააარსა მეცხოველეობის მეურნეობა თბილისის მახლობლად, ნავთიქალაში. 1932 წელს მისივე თაოსნობით ეწყობა მეცხოველეობის მეურნეობა ყოფილ კაქრეთის რაიონში. მწვანელოვან დორზე. ამ მეურნეობაში ნ. ყაერისშვილი მუშაობდა 1936 წლამდე.

ნიკოლოზ ყაერისშვილი დიდ მნიშვნელობას აძლევდა საბჭოთა მეურნეობაში საკვები ბაზის შექმნას. მან დანერგა მრავალწლიანი ბალახების თესვა და სასილოსე კულტურები.

უკანასკნელად ნიკოლოზ ყაერისშვილი მუშაობდა ზოოტექნიკოსად თბილისში ჭიშიანი ცხოველების დამამზადებელ კანტორაში. ამის შემდეგ ნიკოლოზ ყაერისშვილს აღარ უმსახურია აგარიაში მოპყვა და ჯანმრთელობა საგრძნობლად დაუზიანდა. ამიტომ 73 წლისა პენსიაში გავიდა.

ღვაწლმოსილი აგრონომი ნიკოლოზ იოსების ძე ყაერისშვილი გარდაიცვალა 1959 წლის 11 თებერვალს 93 წლის ასაკში.

იოსებ ლიონიძე

იოსებ დიმიტრის ძე ლიონიძე დაიბადა 1868 წელს თელავის რაიონის სოფ. კონდოლში, ღარიბი თავადის დიმიტრი გაბრიელის ძე ლიონიძის ოჯახში. იოსებ ლიონიძის პაპის მამა გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე სოლომონ ლიონიძეა, რომელიც მე-18 საუკუნის დიდ ქართველ მოღვაწეთა შორის გამოირჩევა თავისი მრავალმხრივი დაშსახურებით. საქართველოს სახელმწიფოს სათავეში მას ეკიორა მსაჯულისა და მდივნის თანამდებობანი. იგი ერთკლე მეორის სამეფო კარის დიპლომატი, გავლენიანი მრჩეველი და ერთგული მოხელე იყო. იგი იბრძოდა საქართველოს გაერთიანებისათვის, მისი ეკონომიური და სამხედრო ძლიერებისათვის. მისი უშუალო მონაწილეობით ძალაში შევიდა რუსეთ-საქართველოს 1783 წლის ცნობილი ტრაქტატი. ბოლო ხანს ს. ლიონიძე მოღვაწეობდა იმერეთში სოლომონ მეფესთან, საიდანაც მეფესთან ერთად ემიგრირებულ იქნა თურქეთში. იქ რუსეთის მეფის ხელისუფლების მიერ მოსყიდულმა მზარეულმა იგი მოწამლა. ს. ლიონიძე დაკრძალულია ტრაპიზონში ქართველთა მონასტერში.

პირველდაწყებითი განათლება იოსებ ლიონიძემ მიიღო საცხენისის სასოფლო-სამეურნეო სკოლაში. იგი აქ ინტერნატში ცხოვრობ-

და. ფიზიკური სისუსტის გამო იოსები არ გაამწესეს სამხედრო-სა-კადეტო კორპუსში, სადაც სწავლობდნენ მისი უფროსი ძმები. შემდეგ იოსები მიიბარეს თბილისის საბაღოსნო სკოლაში. ეს სკოლა მან წარჩინებით დაამთავრა 1889 წელს და იქვე იქნა დატოვებული მთავარ მეზღედ და სპეციალური საგნების მასწავლებლად. სკოლის დირექტორს ცნობილ პედაგოგ ოსტაპოვიჩსა და მასწავლებელ ვანო ჯაფარიძეს მშვენივრად ჰქონდათ დაყენებული სწავლების საქმე. აქ იოსებმა იმუშავა 1896 წლამდე. იოსების აღზრდილებიდან შემდეგში ცნობილი აგრონომები გახდნენ: მიხეილ ალექსანდრეს ძე მამულაშვილი, ბათუმის გამწვანების ტრესტის კონსულტანტი აგრონომი ლევან დავითის ძე გორდენიანი, გიორგი ჩივაძე და ანდრონაკი — ზეთის ხილის სანერგის გამგე ართვინში. იოსებ ლიონიძის უმწიკვლო პედაგოგიურ შრომას, მამობრივ მზრუნველობას ვერასოდეს დაივიწყებს მისი ყოფილი მოსწავლეები.

თბილისის საბაღოსნო სკოლიდან იოსებ ლიონიძე გადავიდა მსხვილი მემამულეების ალექსანდრე ვახტანგის ძე და მარიამ ვახტანგის ასულ ორბელიანების მამულში აგრონომად და მეურნეობის ხელმძღვანელად. ეს მამული მდებარეობდა გორის მაზრის სოფელ ლამისყანაში.

ორბელიანების მამულში ამ დროს დასახლდა რუსეთიდან გადმოსახლებული დუხობორების რამდენიმე ასეული ოჯახი. იოსებმა შეიყვარა ეს ხალხი შრომისმოყვარეობისა და პატიოსნებისათვის, ყოველნაირად ეხმარებოდა მათ. მაგრამ მეფის მთავრობას არ შეუწყნებია დუხობორების დევნა და ისინი გადაასახლა კანადაში, სადაც მათ შექმნეს რამდენიმე დასახლება. ისინი კანადიდან ხშირად სწერდნენ წერილებს იოსებ ლიონიძეს და დაბეჭდვით სთხოვდნენ გადასულიყო საცხოვრებლად კანადაში და სათავეში ჩადგომოდა მათ სასოფლო-სამეურნეო მოღვაწეობას.

1896 წელს იოსებ დიმიტრის ძე ლიონიძემ ცოლად შეირთო გერმანელი ქალი მარია ოსპარის ასული გრეფი. იგი მეტად განვითარებული ქალი იყო, ფლობდა მრავალ ევროპულ ენას. მიღებული ჰქონდა პედაგოგიური განათლება ლონდონსა და პარიზში.

მარიამ ვახტანგის ასულმა ორბელიანმა მარია გრეფი პარიზში გაიცნო და მოიწვია საქართველოში თავისი დიშვილებისათვის ფრანგულის, გერმანულისა და ინგლისური ენების მასწავლებლად. დიშვილები, რომლებიც მარიამ ორბელიანმა აღზარდა, შემდეგში იყვნენ ცნობილი საზოგადო მოღვაწეების კიტა აბაშიძისა და პროფესორ ივანე ჯავახიშვილის მეუღლეები.



Լեհ. իճ. Եսեպոնեմ Կոլոնի Սեմբալոսեղլեռն Զեպլեմեան Քյոնի Ե. Զամեկ

პარიზიდან ლამისყანაში მოხვედრილმა მარია ვრეფმა იოსებ ლიონიძე, გათხოვდა მისზე და მთელი სიცოცხლის ზე დარჩა საქართველოში.

იოსებმა არ იცოდა უცხო ენები, არ ჰქონდა მიღებული უმაღლესი განათლება, მაგრამ მეუღლის დახმარებით შეძლო გაცნობოდა მსოფლიო ლიტერატურას სოფლის მეურნეობის დარგში. ის საზღვარგარეთიდან იწერდა სპეციალურ ლიტერატურას. ცოდნის შეესებების მიზნით იოსები მეუღლესთან ერთად იყო გერმანიაში — ბერნურგში, ბლონკენურგში, ვერნიგერში, დრეზდენში, სადაც დაჰყო 1901 წლამდე. აქ იგი მუშაობდა მეტაღებობის საკითხებზე.

სამშობლოში დაბრუნების შემდეგ იოსებმა მალე დატოვა ორბელიანების მამული და საცხოვრებლად გადავიდა ქ. ბათუმში. აქ იგი მუშაობდა 1902 — 1907 წლებში მთავარი მებაღე-აგრონომის თანამდებობაზე, განაგებდა ქალაქის ბაღებსა და პარკებს.

იმ დროს ბათუმის უმეტეს ნარგავებს აკაციები შეადგენდნენ, სუბტროპიკული და ციტრუსოვანი კულტურები თითქმის სულ არ იყო. იოსებმა ქალაქის თავის ივანე ზაქარაიას ძე ანდრონიკაშვილის (სპეციალობით აგრონომი იყო) მხარდაჭერითა და დახმარებით ფართოდ გაშალა მუშაობა ბათუმში სუბტროპიკული მცენარეების გასაშენებლად, ძირითადად „აღუქსანდრეს ბაღსა“ (ამჟამად პიონერთა პარკია) და „ბულვარში“ (ამჟამად ზღვისპირა პარკია). მისი ხელმძღვანელობით ქალაქის ქუჩებში აიღეს აკაციები და მის ნაცვლად გააშენეს კალიფორნიის დაფნის ფოთოლი, პალმები და სხვ.

იოსებ ლიონიძე პარალელურად მუშაობდა დეკორატიულ, ციტრუსოვან და ხილის კულტურების სანერგეებში. აქ მან საქმე წაღალ დონეზე დააყენა. იგი ყოველწლიურად 150 ათას ცალ ციტრუსოვან ნამყენს ახარებდა. გააშენა 57 სახის საუკეთესო ჰიშის ვარდი (კატალოგის მიხედვით) და გაავრცელა დიდი რაოდენობით. სანერგეების შექმნამ ქალაქის სხვადასხვა ადგილას დიდი ბიძგი მისცა აქარაში სუბტროპიკული და დეკორატიული კულტურების განვითარებას.

იოსები აქტიურად მონაწილეობდა ბათუმის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების ჟურნალ „სუბტროპიკების“ გამოცემაში.

პროფესორი კრასნოვი (ბათუმის ბოტანიკური ბაღის შემქმნელი და ორგანიზატორი) და პროფესორი კოჩუნოვი იოსების ოქახის




Fig. 17. Mikoyan's botanical garden

ხშირი სტუმრები იყვნენ. ისინი ხშირად მიმართავდნენ რჩევებსა და
იოსებს, როგორც მებაღე-პრაქტიკოსს.

1913 წელს პეტერბურგში მოეწყო გამოფენა „რუსული მებაღეობა“, რომელშიც მონაწილეობა უნდა მიეღო შავი ზღვის პირა მეურნეობებს; მათ შორის, რა თქმა უნდა,—ქალაქ ბათუმსაც.

ზემოაღნიშნულ გამოფენაზე უმაღლესი ჯილდო ხვდა ქ. ბათუმს, პერსონალურად—იოსებ ლიონიძეს, დეკორატიული და ცენტრუსოვანი კულტურების გამოყვანისათვის.

სხვათა შორის ამ გამოფენაში მონაწილეობდა პრინცი ოლდენბურგელი. ქუთრის გადაწყვეტილი პქონდა უმაღლესი ჯილდო მიეკუთვნებია მისი მეურნეობისათვის, მაგრამ იოსებ ლიონიძემ დაამტკიცა, რომ პრინცის ექსპონატების უმეტესობა ჩამოტანილი იყო საფრანგეთიდან და არ იყო გამოყვანილი შავი ზღვის სანაპიროზე. ამიტომ პრინცი ოლდენბურგელის მეურნეობას მიაკუთვნეს მხოლოდ მეორე პრემია.

1917 წელს იოსებმა ავადმყოფობის გამო თავი დაანება სამსახურს ბათუმში და ოჯახით საცხოვრებლად გადავიდა კახეთში, სოფელ კანდოლში. ბათუმის ქალაქის მმართველობამ იოსებ ლიონიძეს დაუნიშნა მუდმივი პენსია 200 მანეთის რაოდენობით (ოქროთი).

1918 — 1919 წლებში იოსები ხელმძღვანელობდა ბორჯომის მიწა-წყლის მებაღეობის განყოფილებას, 1920 — 1921 წლებში კა ქალაქ თბილისის ბაღებსა და მინდვრებს.

1921 — 1924 წლებში იგი მუშაობდა კოოპერატიულ ორგანიზაციებში. პირველად იყო მეღვინეობის კოოპერატივის „კახეთის“ მმართველობის წევრი, შემდეგ კი ხელმძღვანელობდა ამერიკული ვაზის სანერგეების ამხანაგობას სოფელ მუკუხანში.

1924 წელს იოსებ ლიონიძე სამუშაოდ გადადის აჭარის ასსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატში სსსოფლო-სამეურნეო განყოფილების გამგედ. მისი ინიციატივით აჭარაში საზღვარგარეთიდან შემოყვანილ იქნა ჯიშიანი საქონელი, მოშენებულ იქნა ფრინველი, მოეწყო საფუტკრეები და სხვ.

ი. ლიონიძემ შეადგინა ნაყოფის მომცემი სუბტროპიკული მკენარეულობის სია, რაც დიდად სასარგებლო იყო აჭარის ზონალური კულტივირებისათვის.

საბჭოთა კავშირის თურქეთთან კარგი ურთიერთობის პერიოდში (როდესაც თურქეთს ვენმარებოდით ფაბრიკების მშენებლობაში და სხვ.) ბათუმში ჩამოსული თურქეთის რესპუბლიკის მიწათმოქმე-

დების დეპარტამენტის წარმომადგენლები დაეინებით მოითხოვდნენ, რომ იოსებ ლიონიძეს (საბჭოთა კავშირის მთავრობის ნებართვით) მათთან ემუშავა, რათა დახმარებოდა თურქეთს შავი ზღვის სანაპიროს როს კულტივირებაში — საზღვრიდან ტრაპიზონამდე. სხვადასხვა მიზეზის გამო იოსებმა უარი განაცხადა თურქეთში წასვლაზე.

1925 წელს იოსებს იწვევენ ბაქოში. აქ იგი მუშაობდა ქალაქის საბჭოს სიქციის გამგედ სამი წლის განმავლობაში. ამ ხნის მანძილზე სრულიად შეეცვალა ქალაქს სახე. ბაქო დამშვენდა დეკორატიული ბაღებით. მწკანე ნარგავების ფართობი 34,1 ჰექტარიდან გაიზარდა 180 ჰექტარამდე, ე. ი. 5-ჯერ გადიდდა. გრუნტში დაირგა 900 ათასი ცალი მცენარე. ამავე დროს ქალაქში მოეწყო პარკი-მოედანი, რომელსაც 18 ჰექტარი ეკავა. გაშენდა ბაღები 19,3 ჰექტარზე და სხვ. პარკების და ბაღების მშენებლობასთან ერთად იოსებმა გააფართოვა სანერგე 1,5 ჰექტრიდან 18 ჰექტრამდე. მან კულტურულ მცენარეებად აქცია გვალვაგამძლე, მარადმწვანე და წიწვოვანი მცენარეები.

ზემოთ დასახელებული სამუშაოების პარალელურად იოსები მუშაობდა მთელი აფშერონის ნახევარკუნძულის გამწვანების საკითხებზე: საფუძველი ჩაუყარა ქარსაცაე ზონებს, მოამზადა მასალები ბოტანიკური ბაღის გასაშენებლად, შეიმუშავა ნიადაგის დამუშავების ახალი, უფრო სრულყოფილი მეთოდები, დაამუშავა ადგილობრივი პირობების შესაბამისად მცენარეულობის ასორტიმენტი ქალაქ ბაქოსა და მისი განაპირა უბნებისათვის, მისი ინიციატივით დაარსდა საბაღოსნო სკოლები.

იოსებ ლიონიძის მიერ შესრულებული ყველა სამუშაო მოწონებულ იქნა ბაქოს გაფართოებულ სამეცნიერო თათბირზე 1924 წლის 6 — 10 მაისს, რომელიც მიეძღვნა ბაქოსა და აფშერონის ნახევარკუნძულის გამწვანების საკითხებს.

ავადმყოფობის გამო იოსებ ლიონიძე სამუშაოდ გადავიდა თბილისში: ჯერ მუშაობდა ქალაქის საბჭოს გამწვანების ტრესტის კონსულტანტად, ხოლო შემდეგ სახელმწიფო უნივერსიტეტში. მან გააშენა ბაღი უნივერსიტეტის ეზოში.

ამავე დროს ძველი, უვარგისი ნარგავები ციხისძირში შეეცვალა ახლით და გააშენა ბაღები.

ბოლო წლებში ი. ლიონიძე მუშაობდა აგარის ქარხნის ტერიტორიაზე მდებარე დიდი დეკორატიული პარკის კეთილმოწყობაზე. სადაც დაჰყო 1938 წლის პირველ აგვისტომდე.

იოსებ ლიონიძე გარდაიცვალა 1938 წლის ოქტომბერში.

ცნობილი ქართველი აგრონომი აპოლონი ივანეს ძე წულაძის ქართულში მეფუტკრეობის განვითარებისათვის დაუღალავი მებრძოლი იყო. მის კალამს ეკუთვნის წერილები და კორესპონდენციები, სადაც გამათრახებელია თვითმპყრობელობის მოხელეება. აღწერილია ჩვენი გლეხობის დუხჭირი ცხოვრება.

იგი რამდენიმე ნაშრომის ავტორია. 1912 წელს მან გამოისყა „ფუტკარი და მეფუტკრეობა“, რომელსაც დღესაც არ დაუკარგავს თავისი ღირსება. ამ წიგნზე წლების მანძილზე იზრდებოდნენ ჩვენი მეფუტკრეები. ა. წულაძის სახით ჩვენ გვყავდა ნიჭიერი მეფუტკრე, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა და ხელი შეუწყო საქართველოში მეფუტკრეობის განვითარების საქმეს.

აპოლონი წულაძე დაიბადა 1871 წელს სოფელ ქანჭათში (ქანჭხეთის რაიონი). მამამისი სოფლის ღარიბი მღვდელი იყო. იგი საკმაოდ განათლებული კაცი იყო და ყოველნაირად ცდილობდა შვილებისათვის მიეცა განათლება და ჩაენერგა შრომისადმი სიყვარული. როგორც ა. წულაძის მოგონებიდან ჩანს, მამამისი შედარებით პროგრესულად მოაზროვნე მღვდელი ყოფილა. მას პირველს უჩვენებია გლეხობისათვის საკუთრივ სასაფლაოზე არ გამოეტანათ გლეხობას უკითხავდა ისეთ ნაწარმოებებს, რომლებიც იმდროისათვის საღმრთო სჯულის საწინააღმდეგოდ ითვლებოდა.

წერა-კითხვა პატარა აპოლონს ოჯახში უფროსმა ძმებმა შეასწავლეს და 1880 წელს ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელში მიაბარეს. იგი აქ, სასულიერო წიგნების გარდა, ფარულად სისტემატურად კითხულობს გარეშე ლიტერატურას. წირვა-ლოცვაზე სიარული აუცილებელი იყო სასულიერო სასწავლებლისათვის. მაგრამ აპოლონი წულაძე არღვევს ამ განაწესს და სისტემატურად იბარება ლოცვიდან. ამიტომ, როგორც არამორწმუნე, იგი 1885 წელს სასწავლებლიდან გარიცხეს.

1886 წელს ა. წულაძე ისიღორე რამიშვილის რჩევით წინამძღვრიანთკარის სასოფლო-სამეურნეო სკოლაში შედის. აქ მან თავი გამოიჩინა მეფუტკრეობისა და დურგლობის შესწავლაში.

როგორც ცნობილია, ამ სკოლას იმ დროისათვის საკმაოდ მდიდარი ბიბლიოთეკა ჰქონდა. ეს ბიბლიოთეკა წულაძეს ორ წელს ებარა. „ამ ბიბლიოთეკაში არც ერთი ქართული წიგნი, რომელიც ორსამჯერ არ წამეკითხოს. ყაზბეგის ნაწერებს ზამთრის გრძელ ღამე-



სურ. 18. აბოლონ წელაძე



ებში გლესებს ვუკითხავდი გომურებში და ორ გლესს ვიღვინავდი. ვიღვინავდი და ლალაზაშვილს წერა-კითხვაც კი შეეასწავლე. — წერს ა. წულაძე¹.

1890 წელს ა. წულაძე ამთავრებს წინამძღვრიათქარის სასოფლო-სამეურნეო სკოლას და ოჯახში ბრუნდება. აქ იგი ასწავლიდა ქანჭათის, წყალწმინდისა და სუფსის სამრევლო სკოლებში. შემდეგ მუშაობდა მეფუტკრედ და მებაღედ ნიგოითში, ჩაქვსა და რაქვში.

1894 წელს ა. წულაძე მიიწვიეს ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო სკოლაში, სადაც მეფუტკრეობასა და მებაღეობას ასწავლიდა. ამავე დროს განაგრძობდა ამავე სკოლის ეკონომიურ და სამეურნეო ნაწილს. ა. წულაძის თაოსნობით სკოლის მოსწავლეებმა დააარსა ჟურნალი „ნორჩი მეურნე“, მოაწყვეს საკუთარი სამკითხველო-ბიბლიოთეკა. ბიბლიოთეკისათვის იწერდნენ ჟურნალ-გაზეთებს.

1891 წლიდან ა. წულაძე თანამშრომლობს „ემშაკის მათაბში“, „ჯეჯილში“, „ივერიაში“, „კვბლში“, „ცნობის ფურცელში“ და სხვ. წერილებსა და კორესპონდენციებში იგი მოხეობებულად ამშაკარეობდა მეფის რუსეთის თვითმპყრობელურ პოლიტიკას და ჩვენი გლესობის უაღრესად ცუდ ეკონომიურ მდგომარეობას. ა. წულაძე წერდა გურულ სცენებს „პიტნის“ ფსევდონიმით და კითხულობდა კიდევ სცენაზე. ამას მკაცრი ცენზურის დროს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

ა. წულაძეს მკიდრო ურთიერთობა ჰქონდა ეგნატე ნინოშვილთან და სხვა გამოჩენილ მწერლებთან.

1896 წელს წულაძე დაქორწინდა და ორ წელს ცხოვრობდა სიმამრის ოჯახში ხიდისთავში. შემდეგ გადადის ოზურგეთში. ხიდისთავში ყოფნის დროს კალანდარიშვილის მეშვეობით იგი გაეცნო სოციალ-დემოკრატიული პარტიის წრეს. იგი ამ წრის აქტიური წევრი ხდება. ა. წულაძე ეკუთვნოდა „მესამე დასის“ პროგრესულ ნაწილს.

ქართველ ხალხს, გარდა საკუთარი მებატონეებისა, მძიმე ულად დააწვა მეფის მოხელეთა და რუს მებატონეთა ჩაგვრა. ქართველმა ხალხმა დაუძინებელი ბრძოლა გააჩაღა ამ ორმაგი—სოციალური და ეროვნული — ჩაგვრის წინააღმდეგ. ა. წულაძე აქტიური წევრია ამ ბრძოლისა.

¹ ა. წულაძის პირადი არქივი (ინახება მის ვაჟთან ბ. წულაძესთან).

ა. წულაძე აქტიური წევრი იყო გურიის გლეხთა 1904 აჯანყებისა. მან ამ აჯანყებას მიუძღვნა საკუთარი ლექსი („წულაძის ლექსი“):

„გურია აბუნტებულა
აღარ მოსწონთ ძველი წესი,
არც თავაღუნაურობა,
არც ბერი და არც ხუცესი“.

ამ ლექსს მღეროდა აჯანყებული გურია.

ა. წულაძის ვინაობა და საქმიანობა ადვილად შეიტყო პოლიციამ და იგი ხუთი წლით გადაასახლეს ორენბურგის გუბერნიაში. ცხრა თვის პატიმრობის შემდეგ ა. წულაძე გამოიპარა ორენბურგიდან და არალეგალური ცხოვრება და მოღვაწეობა დაიწყო. იგი 1905 წლის გურიის აჯანყების ერთ-ერთი ხელმძღვანელი და აქტიური მონაწილეა ამის გამო 1905 წელს პლასტუნებმა ა. წულაძეს დაუწვა სახლ-კარი და მთელი ქონება. პოლიციამ იგი ისევ გადაასახლა ასტრახანის გუბერნიაში, მაგრამ კვლავ გამოიპარა და განაგრძობდა ფარულ მუშაობას. იგი გურიის რევოლუციური მოძრაობის კომიტეტის მდივანი იყო რვა წლის განმავლობაში. ახლა მან უფრო ფართოდ გაშალა მუშაობა, რადგან იმ ხანად ოზურგეთში მოღიბერალო მაზრის უფროსი იყო. მას აპოლონ წულაძე „შერიგებია“. მაგრამ მაზრის უფროსის გამოცვლის შემდეგ 1911 წელს ა. წულაძეს კვლავ აპატიმრებენ, როგორც „მთავრობის სახელის პრესის საშუალებით დამამცირებელს“ და სამი თვის ციხეს უსჯიან. ეს სამი თვე მან ქუთაისის ციხეში გაატარა, სადაც დაწერა წიგნი „ფუტკარი და მეფუტკრეობა“. 1911 წელს თბილისის სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე ხელნაწერი დაჯილდოებულ იქნა ოქროს მედლით. 1912 წელს იგი პირველად გამოიცა კავკასიის მეფუტკრეთა საზოგადოების მიერ. მეორე გამოცემა ეკუთვნის საქართველოს მიწსახკომს, მესამე და მეოთხე — სახელგამს. როგორც ვხედავთ, ამ წიგნის ღირსება და მნიშვნელობა მაშინდელ მთავრობასაც კი ვერ დაუგმია, მიუხედავად იმისა, რომ ამ წიგნის ავტორი „პოლიტიკური პატიმარი იყო“.

ამ წიგნის შესახებ 1911 წელს ეჟრნალი „განათლება“ წერდა: „ფუტკარი და მეფუტკრეობა, მდგენილი აპოლონ წულაძის მიერ.

ფასი 80 კაპ... ხალხი სულიერადაც ღონიერია მაშინ, როცა მონღო-რივადაც წელში გამართულია და არ იტანჯება დღიური ღუპა-პოვებისათვის. მაშასადამე, ჩვენი გადატაკებული ხალხია ერთადერთი ხსნა უნდა ეძიოთ ხალხის განათლებაში და მათ შორის საშუალო სკოლის გავრცელებაში. მართალია, ცოტათი წიგნაკები ჩვენც მოგვეპოვება მეტურნობის სხვადასხვა დარგიდან, მაგრამ ასეთი სრული, ასეთი კარგად შედგენილი და მრავალი საჭირო ცნობებით სავსე წიგნი როგორც არის ბ. ა. წულაძის „ფუტკარი და მეფუტკრეობა“ ზოგს ჩვენზე უფრო დაწინაურებულ ხალხსაც კი არ მოეპოვება და ჩვენში ხომ ხსენებაც კი არ იყო დღემდის ამისთანა წიგნისა. წიგნი დიდი ტანისაა, შეიცავს 300-ზე მეტ გვერდს, ჩართული აქვს შიგ მრავალი სურათი, დაკერილია ყველასათვის აღვილად გასაგები ენით, მოყვანილია შიგადაშიგ მრავალი საბუნებისმეტყველო ცნობა და საზოგადოდ როგორც გარეგნობით, ისე შინაარსის მხრივაც მეტად კარგს შთაბეჭდილებას გვრის მკითხველს. ამიტომ ამ წიგნის გავრცელება, რასაც, უეჭველია, მეფუტკრეობის, ამ საუკეთესო სამეურნეო დარგის გავრცელება მოჰყვება, ფრიად სასურველია. წიგნი დაჯილდოებულია ოქროს მედლით... აღსანიშნავია ისიც, რომ ამ სერიოზულ ნაშრომის ავტორს უსწავლია მხოლოდ წინამძღვრიანთკარის სამეურნეო სკოლაში, ამ სკოლას ჩაუწერავს ავტორის გულში სიყვარული სამეურნეო საგნებისა და უფრო მეფუტკრეობისადმი და დღეს თუ გნებავთ, ერთი საუკეთესო ნაყოფთაგანი წინამძღვრიანთკარის სკოლისა ეს ჩინებული წიგნი გახლავთ, რასაც მაღლიერი ავტორი მოკრძალებით უძღვნის თავის აღმზრდელს მოჭირნახულე მამას და უანგარო საზოგადო მოღვაწეს ღრმად პატივცემულს ილია ივანეს ძე წინამძღვრიშვილს, რომლის სკოლასაც ვუსურვებთ კვლავაც მრავალი გონიერა მეურნე აღზარდოს ჩვენი ცოდნით გადატაკებული ხალხის საბედნიეროდ“².

წიგნი „ფუტკარი და მეფუტკრეობა“ ყოველი ახალი გამოცემისას ავტორის მიერ გადამუშავებული და შეცვლებული სახით გამოდიოდა 1931 წლის გამოცემა კი სავსებით აკმაყოფილებს საშუალო და უმაღლესი სასწავლებლების მოსწავლეებს, ყველა მეფუტკრეს. წიგნი დამტკიცებულია დამხმარე სახელმძღვანელოდ. წიგნის წინასიტყვაობაში ავტორი წერს: „წინამძღვრიანთკარის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელი დავასრულე 1890 წელს; სასოფლო მეურნე-

² ეჭრნალო „განათლება“, 1911, გვ. 576.

³ ბ. წულაძე, ფუტკარი და მეფუტკრეობა, 1931, გვ. 1.



ობა ამ სასწავლებელმა შემაყვარა და დღესაც ახალგაზრდული ტა-
ტაცებით მიყვარს იგი. მეურნეობის მრავალფეროვან დარგში ფუტყარი
კარია ჩემი მიწნური, მიყვარს და ვცდილობ სხვებმაც შეიყვარონ
იგი, შეისწავლოს ფუტყარის ცხოვრება და იცოდეს მისი ყადრი. მისი
გონიერული მოვლა“⁴.

წინასიტყვაობის შემდეგ წიგნი იწყება ფუტყარის აგებულების
ანუ ანატომიის აღწერით. აქ ჩანს ფუტყარის ანატომიის ღრმა ცოდნა.
ილუსტრაციები ნათელ წარმოდგენას იძლევა ფუტყარის აგებულებ-
აზე ავტორი ფართოდ ჩერდება დედა ფუტყარის არსზე, მის მნიშ-
ვნელობაზე სკაში. ა. წულაძე ისე წარმტაცად აღწერს ამ სურათებს,
რომ მკითხველი მეფუტყარეობისადმი სიყვარულით იმსვენება.
დაწვრილებით არის აღწერილი ფუტყარის გამოჩენა, ფუტყარის აღზ-
რდა, დედა ფუტყარის განაყოფიერება, კვერცხის დების პროცესი,
საინტერესოა სადედე ფუტყარისათვის პირობების შექმნა და „დე-
დის“ აღზრდა ფუტყარის მიერ. ეს ისე დამაჯერებლად და საინტე-
რესოდ არის აღწერილი, რომ მკითხველი ადვილად გრძნობს დედა
ფუტყარის დიდ მნიშვნელობას, რომელზედაც არის დამოკიდებული
ფუტყარის მომავალი.

შემდეგ ავტორი ეხება მუშა ფუტყარს. დაწვრილებით აღწერს
მას. ჩაზს უსვამს მის მნიშვნელობას სკაში და ამბობს: „მუშა ფუტყ-
კარი ოჯახის სრულყოფილი „დიასახლისებია“, რომელთა გნ-
კარგულებას ემორჩილებიან როგორც დედა, ისე მამალი ფუტყარე-
ბი... მუშა ფუტყარზე თამამად ითქმის, რომ ის ყველაფერია, —
მუშა ფუტყარი თვით ოჯახია!...

...ბუზი ბევრი ბზუისო, ფუტყართან ყველა სტყუისო“, — ჩა-
ურთავს ავტორი⁵.

საინტერესოდ არის აღნიშნული მუშა ფუტყარის განსაცვიფრე-
ბელი შრომისუნარიანობა და წესრიგი, მისი საქმიანობა სკის შიგნით
და სკის გარეთ: ბინის ყოველდღიური დასუფთავება, ფიჭის შენება,
დედის კვება, უკრების დაწმენდა, კვერცხის მოვლა, კიის გადია-
ძიძიანობა, მათთვის საკვების შემზადება და ჭმევა, პარკების თავის
გადაბეჭდვა, ახლადგაჩენილი ფუტყარების პირველი ჭმევა, სადედეს
გაკეთება და დედის სათუთი აღზრდა, მამლების აღზრდა და რჩენა,
სკაში ფრთების ქნევით ჰაერის გასუფთავება, სკის ქუჭრუტანების
დაგლეხა და მით ბინის სიცივისაგან და მტერისაგან დაფარვა, სკის
საფრენთან მორიგეობითი დარაჯობა და მრავალი სხვა... „მუშა

⁴ ა. წულაძე, ფუტყარი და მეფუტყარეობა, 1931, გვ. 46.



ფუტკრის მრწამსია შრომა, შრომა და მხოლოდ შრომა

ა. წულაძე

მუშა ფუტკარი აგროვებს თაფლს, რომელიც მიაქვს სკაში და უჯრედებში ასხამს, მოზუცი მუშა ფუტკარი კი გამოდის სკიდან და მოშორებით კვდება, ცდილობს არ შეაწუხოს სკის მობინადრენი. ყოველივე ამაზე მრავალი მაგალითის მოტანით გვესაუბრება ავტორი, რაც განსაკუთრებით მიმზიდველს ხდის ამ შესანიშნავ ნაშრომს.

წიგნის მეორე ნაწილი შეიცავს მეფუტკრეობის პრაქტიკულ საკითხებს. ავტორი აქაც შესანიშნავად აშუქებს ყოველ დეტალს. ამ წიგნის საშუალებით ყოველ დაინტერესებულ პირს შეუძლია მეფუტკრეობას დაეუფლოს. მეორე ნაწილი წარმოადგენს რეცეპტს, რომლის მიხედვით მეფუტკრეს შეუძლია მოაწყოს საფუტკრე. ამ წიგნის მეშვეობით იცით, როგორ უნდა მოუარო ფუტკარს განჯახულზე, ზაფხულზე, შემოდგომასა და ზამთარში. ბოლო თავში განხილულია ფუტკრის დაავადებანი და მასთან ბრძოლის საშუალებანი.

წიგნი დაწერილია გასაგებად და სასიამოვნოდ იკითხება. მას დიდ სამსახური გაუწევია ჩვენი ხალხისათვის და დღესაც არ კარგავს თავის მნიშვნელობას.

ა. წულაძე ავტორია აგრეთვე რიგი წიგნებისა: „თაფლი და მისი სამკურნალო მნიშვნელობა“, „დედა ფუტკრის ნაამბობი“, „ფუტკრის ცხოვრება“, „ძმური სიტყვა ქართველ მუსულმანებს“ და სხვა.

ა. წულაძემ მთელი თავისი შინაარსიანი სიცოცხლე მოანდომა ხალხში გონივრული მეფუტკრეობის გავრცელების საქმეს. იგი იყო დიდი პრაქტიკოსი, რომელიც გლეხობას დაუზარებლად ასწავლიდა ფუტკრის მოვლას, მეფუტკრეობაში სახმარი ინვენტარის გაკეთებას, და, რაც მთავარია, უნერგავდა ამ დარგისადმი სიყვარულსა და პატივისცემას.

საქართველოში არ დარჩენილა არც ერთი კუთხე, სადაც ახლონ წულაძეს არ ჰქონდეს მოწყობილი საფუტკრე. იგი სისტემატურად აწყობდა კურსებს საქართველოს დაბა-სოფლებში და ხალხით უკითხავდა ლექციებს მსურველთ მეფუტკრეობის შესახებ.

ა. წულაძეს სურდა საქართველოს ერთ-ერთ კუთხეში მოეწყო სანიმუშო საფუტკრე. ამის გამო იგი მთავრობას წერდა: „არც თვითმპყრობელობის დროს და არც მენშევიკების დროს ჩვენში მეფუტკრეობას არ ჰქონია სათანადო ყურადღება მიქცეული. თვითმპყრობელობის დროს თბილისში არსებობდა ისიც მთელი კავკასიის მასშტაბით მეფუტკრეობის სადგური, სადაც წელიწადში ერთხელ და



ისიც მხოლოდ რუსული ენის მცოდნეთათვის იმართებოდა კურსები. ერთადერთ მიღწევად ჩაითვლება იმ დროინდელი გამომცემ-ქართულ ენაზე „ფუტკარი და მეფუტკრეობა“, მაგრამ ისიც გამოს-ცა კავკასიის მეფუტკრეთა საზოგადოებამ და არა მთავრობამ. ძენ-შევიკების დროს გამოიცა მხოლოდ ერთადერთი წიგნი ბერტპონის „მეფუტკრის კალენდარი“, ისიც სამხედრო უწყების მიერ... დღეს კი საბედნიეროდ სახალხო მთავრობა ამ უაღრესად სახალხო საქმეს დიდ ყურადღებას აქცევს და ეს სრულიად სამართლიანიც არის... ფუტკრისათვის საქართველოს ყველა კუთხე საუკეთესოა... ეს საბ-ქოთა ხელისუფლების მესვეურებს კარგად შეუგნიათ და მისთვის სათანადო ყურადღება მიუქცევიან. უკვე გადაღებულია რამდენიმე ათასი მანეთი გრძელვადიანი სესხი, რომლითაც გლახობას მიაწო-დებენ მეფუტკრეობაში სახმარ ინვენტარს, დაარსებულია 12 მე-ფუტკრეთა კოოპერატიული ამხანაგობა, რომელთაც სესხით აღმო-ჩენილი აქვს დახმარება, მუშაობენ ცენტრისა და მაზრის ინსტრუქ-ტორები, აწყობენ პრაქტიკულ კურსებს, განზრახულია ინსტრუქ-ტორ-სპეციალისტების შტატის გადიდება, მეფუტკრეთა თათბიოის მოწვევა, მეფუტკრეობის ნაწარმოების გამოფენა, ბაზრობის მოწყო-ბა და სხვა, რაც კი ხელს შეუწყობს ამ დარგის განვითარებას და ხალხში გავრცელებას...

...სხვადასხვა დროს მიღებული მაქვს ორი ოქროს მედალი, ერთი ვერცხლისა და ერთი ბრინჯაოსი, ხალხში რაციონალური მეფუტკ-რეობის გავრცელებისათვის... მე მინდა თქვენი დახმარებით მოვაწ-ყო სამრეწველო საფუტკრე ზემო ქართლში. მე მოვაწყო ისეთ სა-ფუტკრეს, რომელიც ერთდღიამვე დროს იქნება სამრეწველოც და სა-მოსწავლოც, მექნება ყოველგვარი სკების პარკი, მეყოლება საჯიშეთ და დედების გასავრცელებლად სვანეთის ჭიშის ფუტკარი, რომელ-საც გავავრცელებთ, როგორც ჩვენში, ისე უცხოეთში. იქვე გავაშე-ნებ ყოველგვარ თაფლოვან მცენარეებს, მექნება თაფლოვან მცენა-რეთა ნერგები და თესლეულობა, აქვე იქნება სკების საკეთებელი სახელოსნო... ეს საფუტკრე უნდა იყოს ყოველ მხრივ სამაგალათო და მისაბაძი. მეფუტკრეობის შესწავლის მსურველს უნდა შეეძლოს მეფუტკრეობის შესწავლა“⁵.

როგორც ვიცი, ა. წულაძეს დამთავრებული ჰქონდა წინამძღე-რიანთკარის სასოფლო-სამეურნეო სკოლა. იგი ყოველთვის კმაყო-ფილებითა და სიყვარულით იგონებს თავის საყვარელ სკოლასა და

⁵ ა. წულაძის დასახ. არქივი, ფურც. № 10.

მის მოამაგეს ილია წინამძღვრიშვილს. ა. წულაძემ კარგად იცოდა, რომ წინამძღვრიანთკარის სკოლამ დიდი როლი ითამაშა საქართველოს სოფლის მეურნეობის კადრთა აღზრდისა და დახელოვნების საქმეში. ამიტომ, ბუნებრივია, ა. წულაძეს ყოველთვის აინტერესებდა და აღელვებდა სკოლის აწმყო და მომავალი. ეს კარგად ჩანს ა. წულაძის საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარისადმი მიწერილ წერილში. იგი კომისარს წერს: „...მომავონდა ჩვენი ქვეყნის მოამაგე, მეურნეობის პირველი მერცხალი, აწ გასწავნებული და კეთილშობილურად ვალმოხდილი, ჩემი და მრავალ ჩემისთანების აღზრდელი, მოსიყვარულე მამა, ილია წინამძღვრიშვილი: „სიკეთილო სად არის საწრეტელი შენი“... რა ბედნიერი იქნებოდა სახალხო მოღვაწე მოსწრებოდა სახალხო მთავრობას. მოსწრებოდა მისი მოღვაწეობის დაფასებას... დღეს ის, ვალმოხდილი/განისვენებს და თავის საუკუნო საგანიდან მისი უკვდავი სული ზევიდან დასტრიალებს მის ნაწირონახულებს საქართველოში პირველს, როგორც სააკით, ისე ღირსებით სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელს. დიახ, დიდათ პატივცემულო კომისარო, ილიას უკვდავი სული დასტრიალებს მის მიერ შექმნილ სასწავლებელს, მაგრამ ვაგლახ, მისი სული არ არის მოსვენებული, არ არის კმაყოფილი... მე რომ სპირიტუში მწამდეს მოკრძალებით გამოვიძახებდი მის სულს და დარწმუნებული ვარ ის საყვედურით შემდეგს მიბრძანებდა:

„ვერა ვარ შეილო საიქიოს მოსვენებული, ჩემი პირმშო შეილო. ჩემი სასწავლებელი ისე ვერა გაქვთ მოვლილი, როგორც ეს საუკუნე ვაჩი იყო... ვინ იცის მარტო ის რამდენ შრომით დამიჯდა, რომ ნება დაერთოთ სწავლა მშობლიურ ენაზე ყოფილიყო... მამაბაბუელი ყოველივე სკოლას გადავაგე... თვით მშვიერ-ტიტველი დაედიოდი, შამის ერთა, დედის ნებიერი, საყვარულ დედასაც კი ვამშვიებდი, სკოლას და სხვათა შეილებს არას ვაკლებდი... ასე ქაბანწყვეტათ გაეუძელ 38 წელს. ვინ გინდა რომ ჩემს სკოლაში არ აღიზარდა ქართველი, სომეხი, თათარი, ოსი, რუსი; ჩემი სკოლა ინტერნაციონალური იყო, ნამდვილად შრომის სკოლა — ფუნზარათავის. ის თავის ქერქვეშ ივრდომებდა საქართველოს ეროვნებით ჭრელ მოსახლეობის შეილებს, სპობდა მათ შორის ეროვნულ შუღლსა და ქიშპს, ის აერთიანებდა საქართველოს სხვადასხვა კუთხის მცხოვრებთ. მოზარდ ახალგაზრდობას აჩვევდა გონივრულ შრომას, ხდიდა ქართველ მოქალაქედ. ჩემი სკოლის ძიძა-ლალად საუკეთესო, რჩეულ ოსტატებსა და მწვრთნელებს ვეძებდი, ყველაზე უკეთესა



მოდეაწე მასწავლებლები ჩემ სკოლას ჰყავდა, ნაყოფიც დაურჩაო, — მე ვამაყობ ჩემი აღზრდილებით: მაგრამ დღეს მაინც არა ვარ დამ-
 შეიღებულო, სული მტკივა შეილო, გული მიცვენისის... როცა ამე-
 ქვეყნით გაველ, მაშინ არეული დრო იყო, სკოლის საპატრონოთ
 არავის ეცალა... დრო დაწყნარდა და ჩემს სკოლას ჩემს მაგიეო ძი-
 ძათ მიწათმოქმედების კომისარიატი გამოუჩნდა, სულს ვერ დავიშ-
 ძიმებ: ერთხანს დიდი კმაყოფილი ვიყავ მომაცვდაც სკოლას სული
 ჩაბერეს, გამოაცოცხლეს, ჩემი სკოლის ქირისუფალის, ილია ტავე-
 ვაძის, სკოლის კურთხევის დღეს ციკერონისებური, ისტორიული
 სიტყვა რომ წარმოსთქვა, — იმისი ქონების ნაწილი ჩემს სკოლაში
 გადმოიტანეს, ჩემს სულსაც ესიამოვნა და ვიცი ჩემი სეზნიას
 სულსაც გაეხარდებოდა. ერთხანს სული ჩემი იხარებდა... მეც არ
 ვიცი რა მოხდა... სამეურნეო სკოლა არ ვიცი რა მოსაზრებით ჩამო-
 ერთვა მის ნამდვილ ქირისუფალს და გადაეცა განათლების კომისა-
 რიატს. განათლების კომისარიატს ევალემა ზოგადი განათლების
 სკოლების გახსნა და მოვლა, მე რომ ასეთი სკოლა მწამებოდა, მა-
 შინ ხომ სამეურნეოს არ გავხსნიდი... ვერ გამოდგა კარგი ძიძა, მა-
 გრამ როგორც იყო სკოლა მთლად არ გაუქრიათ, დაქვეითდა კი.
 აიღეს მერედა დუშეთის აღმასკომს გადასცეს — შენ მოუარეო...
 დღეს სკოლა ძიძების ცვლაში დიდი გაჭირვებულია და სულს ეს-
 მიმძიმებს.

რას აკეთებთ ჩემო სულიერო შეილებო, რატომ არ მიხედავთ
 თქვენს აკვანს, უმადურები ყოფილხართ, შესთხოვეთ მიწათმოქმე-
 დების კომისარს მიიღოს თავის თავზე ამ სკოლის მზრუნველობა,
 ეს მთლად მისი საქმეა. განა ამ სკოლამ არ გამოუხარდა მას თანამ-
 შრომლები... ნუ დააყოვნებთ, თვითეული წუთი ძვირფასია — მი-
 დით, იჩქარეთ, სთხოვეთ ინახულოს აქაურობა, უჩვენეთ ყოველივე,
 უამბეთ თუ რამდენი სიკეთე მიქნია სკოლისა და გლეხობისათვის.
 სკოლას 50 დესეტინა ტყე და მამული დავუტოვე, 7 სოფელი ჩემი
 იყო ხიზან გლეხებს მამული უფასოდ გადავეცი, ესეც არ იქმარეს
 და სკოლას მამული ჩამოაჭრეს, ქონორა ტყე გაუნადგურეს, ნახ-
 შირად აქციეს... ტყის პირად ვარ დასაფლავებული, თითო ცულის
 კაკუნზე ასე მგონია საკუთარ ძვალს მჭრიან ეს უმადურები მეთქი.
 აბა თქვენ იცით თუ იმ ლამპარს, მე რომ დაგიტოვეთ, ზეთს არ მოაკ-
 ლებთ და ჩემს სულს გაანათლებთ“⁶.

⁶ ა. წულაძის დასახ. არქივი, ფურც. № 3, გვ. 1, 2.

წერილის დასასრულს ა. წულაძე თხოვს კომისარს — ალექსანდრე გეგეჭკორს — დახმარება აღმოუჩინოს სკოლას. „მე კი, წერა ა. წულაძე, — შემინდეთ ეგზომ კადნიერება, რომელსაც მამბედნიერებს სასოფლო სამეურნეო პატრიოტობა და დიდებული ილიას დიდებული ანდერძი“.

უდავოდ დიდი დამსახურება მიუძღვის აპოლონ წულაძეს გური-
აში მეფუტკრეობის რაციონალურად განვითარებაში. პირველ ხა-
ნებში გურულები უნდობლობით ეკიდებოდნენ ა. წულაძის წიგნს
„ფუტკარი და მეფუტკრეობა“. მათ უფუტკრო კაცის ნაშრომი აბუ-
ჩად აიგდეს, ამბობდნენ: ის თუ კაი მცოდნე იყოს, თვითონ ეყოლე-
ბოდაო ფუტკარი. ამიტომ ა. წულაძემ თავის ოჯახში გაიჩინა სკა-
1921 წელს მას მხოლოდ 4 ძირი ფუტკარი ჰყავდა და, მიუხედავად
ამისა, ხუთი ფუთი თავლი მიიღო.

ა. წულაძემ პირველმა შემოიღო ჩარჩოიანი სკები და ციბრუტის
ხმარება (ფუტკარს ფიჭი არ წაართვა). ამის შემდეგ ოთქქნის ყველამ
ირწმუნა, რომ ჩარჩოიანი სკების შემოღებით მეფუტკრეობას საგ-
რძნობი შემოსავლის მოტანა შეეძლო. „ჩემდა საბედნიეროდ, — წერ-
და ა. წულაძე, — მოვესწარ იმას, რაც ოთხი ათეული წლის კანმაე-
ლობაში ჩემს ოცნებას შეადგენდა — მეფუტკრეობამ უკვე მოიპოვა
საბატიო ადგილი. კოლმეურნეობაც და კერძო პირებიც დარწმუნდ-
ნენ, რომ მეფუტკრეობა სარგებლიანია...“⁷

ა. წულაძე დიდ მნიშვნელობას აძლევდა ტყეების ვაშენებას,
როგორც ფუტკრის საუკეთესო მასაზრდოებელ საშუალებას. ამის
შესახებ იგი წერდა, რომ ტყე ყველაფერია, რომ იგი ჩვენი მთავარი
ძარღვია. მისი აზრით, ტყეში უნდა მოვაშენოთ ჭიშიანი მცენარეები:
წაბლი, წყავი, ხართუთა, შავი და თეთრი შინდი, ლუკუსმა, ცაცხვი,
აკაცია, იაპონური სოფორა, ხურმა, იაპონური სურო და სხვ. იგი
უპირატესობას აძლევს ხართუთას და იაპონურ სოფორას, რომლე-
ბიც თავლს ბლომად იძლევიან.

ა. წულაძე ფხიზლად დარაჯობდა მეფუტკრეობას. ოდნავი შე-
ფერხების შემთხვევაშიაც კი იგი დაუყოვნებლივ მიმართავდა რეს-
პუბლიკის თუ რაიონის ხელმძღვანელობას. ერთ-ერთი ასეთი მიმარ-
თვის შედეგად ლანჩხუთის რაიკომის მდივანმა ა. რამიშვილმა ვაპო-
აქვეყნა წერილი, სადაც წერდა: „...როგორც ყველა დარგში ჩვენი
სოც-შენებლობისა მეფუტკრეობის წინსვლის საკითხსაც სწყვეტს
კადრები. ამ მიმართულებით დიდი მუშაობა ჩატარდა ჩვენში ა. წულ-
აძის ხელმძღვანელობით... ყველა პარტიულმა საბჭოთა და საკოლ-

⁷ გაზეთი „დაამკვრელი კოლმეურნი“, 1934, № 13, გვ. 2.

მეურნეო ორგანიზაციებმა უაღრესად უნდა დაეხმარონ მეფუტკრეობის ერთუზიასტებს... მათი სამართლიანი მოთხოვნებიანი ყოველმიზეზგარეშე უნდა იქნას დაკმაყოფილებული... ყველა ორგანიზაციებმა მიზნად უნდა დაისახონ ყოველმხრივ ხელი შეუწყონ აგრეთვე ინდივიდუალურ მეფუტკრეობას, რადგანაც გლეხის მეურნეობაში და ბიუჯეტში მათ შეუძლიათ სერიოზული როლი ითამაშონ... მეფუტკრეობის განვითარების ინტერესები მოითხოვენ, რათა მიღებულ იქნას ყველა ზომები ტყეების დასაცავად, რაც დღეს ულმობლად ნადგურდება. ტყეს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მეფუტკრეობისა და ყოველგვარი მეურნეობის განვითარებისათვის.

...არც ერთი კოლმეურნეობა, არც ერთი სკოლა, არც ერთი სამეურნეო ორგანიზაცია კულტურულად მოწყობილი საფუტკრე ფერმის გარეშე არ უნდა იყოს. გადავაქციოთ ლანჩხუთის რაიონი მოწინავე რაიონად მეფუტკრეობის საქმეში“².

აპოლონ წულაძე ორი წლის მანძილზე ხელმძღვანელობდა ჟურნალ „სასოფლო გაზეთს“, რომელიც 1912 წლიდან გამოდიოდა ქუთაისში. აქ იგი სისტემატურად ათავსებდა წერილებს მეფუტკრეობის საკითხებზე.

ა. წულაძე პროფ. სიმ. ხუნდაძის დავალებით მთელი ექვსი თვე მუშაობდა ეგნატე ნინოშვილის ბიოგრაფიული მასალების შესავრთველად. მან დაიარა მთელი გურია, აფხაზეთი, რაჭა-ლეჩხუმში და ბევრი ახალი და საინტერესო მასალა შეაგროვა. პროფ. ს. ხუნდაძე ა. წულაძის მიერ ჩატარებული ამ სამუშაოების შესახებ პრესაშიაც წერდა.

ა. წულაძე წლების მანძილზე მუშაობდა შრომებზე: „ეთნოგრაფიული გურია“ და „ეთნოგრაფიული აქარა“, რომლებიც სისტემატურად იბეჭდებოდა ჟურნალ „მნათობში“ 1941 წლამდე.

აპოლონ ივანეს ძე წულაძე მთელი 50 წლის მანძილზე ემსახურება საქართველოში მეფუტკრეობის განვითარების საქმეს. იგი თვლიდა, რომ მეფუტკრეობა, ფუტკრის ცხოვრების მაგალითი აღამიანს აჩვენებს შრომას, გარჯას, კოლექტიურ ცხოვრებას და აკეთილშობილებს მას.

აპოლონ ივანეს ძე წულაძე გარდაიცვალა 1942 წელს.

² გაზეთი „დამკერელი კოლმეურნე“, 1934, № 13, გვ. 1.

ვასილ მიხეილის ძე ჯაფარიძე ნახევარ საუკუნეზე მეტად მუშაობდა სახურა დასავლეთ საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების საქმეს.

იგი დაიბადა 1872 წლის ნოემბერში სოფელ საკაოში (ონის რაიონი). მამამისი მიხეილ ჯაფარიძე ღარიბი აზნაური იყო, რომელსაც ექვსი შვილი ჰყავდა. ვასილის მამა მისდევდა ხვნა-თესვას, მევენახეობას. ვასილი თავის ძმებთან და მამასთან ერთად შრომობდა და ბავშვობიდანვე კარგად ეცნობოდა სოფლის მეურნეობას.

პირველდაწყებითი განათლება ვასილმა ორკლასიან სასწავლებელში მიიღო, რომელიც ერთადერთი იყო იმ დროს ონის რაიონში. ონის ორკლასიანი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, 1883 წელს ვასილი გადაჰყავთ გორის ოთხკლასიან სასწავლებელში, რომელსაც 1887 წელს ამთავრებს. გორის სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ვასილი მშობლებს თბილისში მიჰყავთ სწავლის გასაგრძელებლად. გადაწყდა, რომ ვასილი თბილისის სამეურნეო სასწავლებელში შეეყვანათ, მაგრამ უბინაობა აბრკოლებდა საქმეს; ამას ემატებოდა სწავლის ფულის გადასახადიც. საქმეში ვასილის ბიძა ჩაერთა, რომელმაც იკისრა ფულადი დახმარება. მანვე მოაწყო იგი პანსიონში და ბინაზე.

1887 წელს ვასილ ჯაფარიძე შედის თბილისის საბაღოსნო სასწავლებელში. აქ სწავლა ხუთ წელს გრძელდებოდა, მაგრამ ვასილს ექვსი წელი დასჭირდა: იგი მზიმე ავად გახდა და ერთი წლით აკადემიური შევებულება აიღო.

1893 წელს ვასილ ჯაფარიძემ დაამთავრა თბილისის საბაღოსნო სასწავლებელი. ეს ის პერიოდიცაა, როდესაც დასავლეთ საქართველოში ფილოქსერა მძვინვარებდა და მის წინააღმდეგ ბრძოლა მიმდინარეობდა. 1892 წელს საქარაში გაიხსნა ამერიკული ვაზის სანერგე, რომლის გამგედაც დაინიშნა ვლადიმერ ალექსანდრეს ძე სტაროსელსკი. ვ. სტაროსელსკი პირველ ხანებში ფილოქსერას ებრძოდა ნიადაგში შხამების შემგებით. ეს მეთოდი შემდეგში უარყოფილი იქნა რუსი და ქართველი სწავლული აგრონომების მიერ. ამერიკულ მწარეზე მყნობა ერთადერთ სწორ საშუალებად მიიჩნდათ იოსებ გუნცაძეს, ს. ქვარიანსა და სხვებს.

ვასილ ჯაფარიძე იწყებს მუშაობას ვლადიმერ სტაროსელსკისთან, რომელსაც დიდი ღვაწლი მიუძღვის ვაზის მავნებლებთან ბრძო-

ლისა და საერთოდ დასავლეთ საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების საქმეში. ვასილის აქ მოსვლისთანავე სტაროსელსკის განკარგულებით ჩააბარეს სანერგეები და საწყობი.

ამ პერიოდში საქარის საცდელ სადგურში მიმდინარეობდა მაწის სამუშაოები: აბრუნებდნენ მიწას ამერიკული ვაზის სადგდეების გასაშენებლად. ამ სამუშაოებს მთლიანად ხელმძღვანელობდა ვასილ ჯაფარიძე.

საქარაში ჯერ კიდევ არ იყო საქმარისი ნაგებობანი, საცხოვრებელი ბინები, მომუშავე პერსონალი ზესტაფონიდან დადიოდა საცდელ სადგურში. 1896 წელს საცდელმა სადგურმა საქარაში ლაბორატორიისათვის შეიძინა სახლი. ამ დღიდან ამ სახლში ცხოვრობდა ვასილ ჯაფარიძე.

მეურნეობაში გაცხოველებული მუშაობა მიმდინარეობდა: მთელი ფართობი დაყოფილ იქნა ნაკვეთებად, რგავდნენ ვაზს. იმ დროს ვაზის მყნობა გახლეჩის წესით წარმოებდა, 1895 წლიდან კი რიბტერის წესით. ამავე წელს სტაროსელსკი დაბრუნდა საფრანგეთიდან, სადაც წასული იყო სოფლის მეურნეობის ახალი მიღწევების გასაცნობად. მან იქიდან ჩამოიტანა სანამყენე დანები და დამყნალი ვაზის სახვევი რაფია. საცდელ სადგურში მყნობას პირველი დეჟუფლა ვასილ ჯაფარიძე. მას სტაროსელსკიმ დააეცა, რომ მყნობის კარგი უნარის მქონე პირი სანამყენე დანებით დაესაჩუქრებინა. სანამყენე დანას მაშინ ძნელად თუ იშოვნიდა კაცი.

ვასილ ჯაფარიძე საცდელ სადგურში იწვევს გლეხობას რიბტერის წესით მყნობის შესასწავლად. აქ მყნობა შეისწავლეს სოფლის გლეხებმა: ქათამაძეებმა, ლაბაძეებმა და სხვებმა. განსაკუთრებით ისახელა თავი მყნობაში მოსე ნებიერიძემ. ვასილმა ის ვაზით (შაშლა დორეთი) დაასაჩუქრა. ნებიერიძემ ეს ვაზი თავის ეზოში გზის პირას დარგო. ვაზმა ძალიან იხეირა. მოსახლეობა დაინტერესდა ამ ვაზით და ნებიერიძეც სისტემატურად ყიდდა ნერგს ერთ მანეთად. მოსახლეობამ ამ ჯიშს მანეთიანი შეარქვა. ეს ვაზი ამ სახელით დღესაც ცნობილია იმერეთში.

საქარის მეურნეობაში დაარსებულ იქნა ორწლიანი სკოლა მყნობის შესასწავლად. მყნობას ასწავლიდა ვასილ ჯაფარიძე, დანარჩენ საგნებს კი გორაევი. სკოლაში სწავლობდა 20 კაცი. პირველად სოფლის გლეხობა მყნობას მტრულად უყურებდა, მაგრამ ვასილმა სოფლებში მოაწყო საჩვენებელი ნაკვეთები. ამან დიდი გავლენა იქონია გლეხობაზე, რადგან ეკვს აღარ იწვევდა ნამყენი ვაზის უპირატესობა. მას ფილოქსერა ვერაფერს აკლებდა.

ვასილ ჯაფარიძე იგონებს: „საფილოქსერო კომიტეტმა ნამყენის ფასი დაადგინა ხუთი კაპიკი და მწარე ერთი კაპიკი, მაგრამ შემდეგ საფილოქსერო კომიტეტმა გადაწყვიტა უფასოდ გადაეცა ვაზი და მწარეც, მაგრამ სტაროსელსკი წავიდა ამის წინააღმდეგ, რადგან იგი ფიქრობდა, რომ უფასოდ გაცემულ ვაზსა და მწარეს შეიძლება გლეხობა მტრულად მოეკიდოს, დასწვას ან გადაყაროს იგიო. ამიტომ მან მოითხოვა ვაზისა და მწარე ლერწის ფასით გაცემა“¹ ამის შემდეგ საფილოქსერო კომიტეტმა ვაზსა და მწარე ლერწს დაადო სათანადო ფასი.

„საქარის საცდელი სადგურის ნამყენი ვაზის საწყობი ებარა ბარნაბ ჯაფარიძეს, — იგონებს ვასილ ჯაფარიძე, — სტაროსელსკის თბილისში ყოფნის დროს საწყობი გატეხეს. დაიკარგა დიდძალი ნერგი. როდესაც ვ. სტაროსელსკი თბილისიდან დაბრუნდა, ჩვენ მას ცუდი ამბავი დავახვედრეთ, რომ გატყდა საწყობი და დაიკარგა ნამყენი. მან ხელი გამომიწოდა და მითხრა: „აი ჩვენი გამარჯვება, ის გლეხი იმ ნამყენს მიწაში დარგავს და ეს არის ჩვენი მიზანიაო“². დღითი დღე იზრდებოდა ნამყენ ვაზზე მოთხოვნილება. ვაზის ასეთივე სადედეები გახსნილ იქნა კონდოლში (კახეთში) და გურიაში ქორისუბანში. ეს სადედეები ვასილის მიერ იქნა გახსნილი, ქორის უბანში სისტემატურად ჩადიოდა ვ. ჯაფარიძე. აქ მას დატოვებული ჰყავდა ერთი მუშა. ვასილმა ქორის უბანში გააშენა 90 ჰექტარი სანერგე. აქ გაშენებული იყო რიპარია რუპესტრის ჰიბრიდი, 101 — 14 ბერნელდიერი, რიპარია პორტარისი, რიპარია გლუჯი და სხვ.

ქორისუბანშიც გატეხეს სანერგის საწყობი, დაიკარგა მილიონამდე ვაზის ნერგი. ეს ფაქტიც მოწმობს, რომ გლეხობა უკვე ცდილობს ფილოქსერიტ დაავადებული ვაზი ნამყენით შეცვალოს.

იმჯამად ჩრდილოეთ კავკასიასა და აღმოსავლეთ საქართველოში ფილოქსერამ მთლიანად გაანადგურა ვაზი. ამიტომ საქირო იყო ქართლშიაც გახსნილიყო ვაზის სანერგე. გადაწყდა, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში, აჩიკულაკში (სტავროპოლის რაიონი) უნდა მომხდარიყო დაფესვიანება, ე. ი. მწარე ლერწის მიღება, შემდეგ ეს ლერწი უნდა გადაეტანათ ალაიანში (კასპის რაიონი). ჩრდილოეთ კავკასიაში დაფესვიანებას ახდენდა ვასილ ჯაფარიძე. მუყაითი და ნაყოფიერი მუშაობისათვის ვასილი დაჯილდოებულ იქნა ფასიანი საჩუქრებითა და გამოეცხადა მადლობა.

¹ ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ბუჩქთა-ბუნების პერიოდის განყოფილების ფონდი, ვ. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე ს ჰ ი ბ რ ი დ ი მ ო ვ ო ნ ე ბ ა.
² ი ქ ე ე.



სურ. 19. ვახტანგ ჯაფარიძე

1909 წელს ვასილ ჯაფარიძე ალაიანში აწყო ვაზის სანერგეს აქედან ვაზი ვრცელდებოდა მთელს აღმოსავლეთ საქართველოში. საქარის საცდელი სადგურის დაარსებიდან ვასილ ჯაფარიძე სისტემატურად დადიოდა სოფლებში და გლეხობას ასწავლიდა ვაზის მყნობასა და მოვლას. ვასილს გლეხი წინასწარ ჰყავდა გაფრთხილებული, რომ მოემზადებინა სანამყენე მასალა. ხშირად გლეხი ვერ ასრულებდა იმ წესს, რასაც სანამყენე ვაზის მომზადება მოითხოვდა. ამის შედეგად ვაზი ხმებოდა ხოლმე. გლეხობას რომ ეს მყნობისათვის არ დაებრალეებინა, ვასილი მათ უხსნიდა ვაზის გახმობის ნამდვილ მიზეზს.

როგორც ცნობილია, 1887 წელს იოსებ გუნცაძემ სოფელ კვალითში აღმოაჩინა ვაზის ავადმყოფობა მილდიუ ანუ ქრაქი. მანვე შემოიღო ამ დაავადების წინააღმდეგ შაბიამნის ხსნარის შესხურება. საქირო იყო ამ წესის პრაქტიკულად განხორციელება, მაგრამ გლეხობა თავისი ვენახების შაბიამნით შეწამვლის სასტიკი წინააღმდეგი იყო. „შაბიამნით შეწამლული ვენახებიდან დაწურულ ღვინოს ჩვენ არ დავლევთო“. — აცხადებდნენ ისინი. ამიტომ ვასილ ჯაფარიძე ცდილობდა სოფელში აღმოეჩინა ისეთი გლეხი, რომელიც დათანხმდებოდა თავისი ვენახის შაბიამნის ხსნარით შეწამვლაზე. ასეთ გლეხს აძლევდნენ 100 მანეთს. ვასილი თავისი მუშით ასრულებდა ამ სამუშაოს. სოფელ სვირში (ზესტაფონის რაიონი) მცხოვრები მასწავლებელი ბესარიონ ჯუღელი სიამოვნებით დათანხმდა ამ წინადადებაზე. ვასილმა ჯუღელის ვაზი ოთხჯერ შეწამლა, რამაც კარგი შედეგი გამოიღო. შეწამლული ვაზი ბევრად სჯობდა მეზობელი გლეხების ვაზს. ამან დიდი გავლენა იქონია გლეხებზე, რომლებიც ადრე წინააღმდეგი იყვნენ ვაზის შეწამვლისა.

ადრე ასეთივე გულგრილობას იჩენდნენ ნამყენი ვაზის მიმართაც. ნამყენი ვაზის რაქვაში გავრცელების მიზნით ვ. ჯაფარიძემ სოფელ ბუგეულში მცხოვრებ მღვდელს გიორგობიანს საქარის მეურნეობიდან უფასოდ მისცა 300 ძირი ნამყენი ვაზი. გიორგი ციციშვილს კი (სოფელი ვერტყვიქალა, ძირულის ხეობა) ვ. ჯაფარიძის დახმარებით მოწყობილი ჰქონდა ნამყენი ვაზის სანერგე, საიდანაც გლეხობას მიჰქონდა ნერგები. უფასოდ ნამყენი ვაზის ნერგს აძლევდნენ იმ გლეხს, რომელსაც მიწა გადაბრუნებული ექნებოდა ორი ბარის პირზე და შეასრულებდა ვასილის მიერ მიცემულ ყველა მითითებასა და წესს. ეს ვენახები ითვლებოდა საცდელ-საჩვენებ-



Եղև. 20. Ենդեզեի կենդանի կղզու գյուղ.

ნებელ ნაკვეთებად. საჩვენებელი ვენახები ჰქონდათ: საქარაში მოსე ნებერიძეს, ძვერში — კვინიკაძეს, საჩხერეში — ესაიაშვილს, ვერტყვიჭალაში — გიორგი ციციშვილს. ესენი ვენახების სანიმუშო მოვლისათვის დაჯილდოებული იყვნენ მედლებით საფილოქსერო კომიტეტის მიერ.

ვლადიმერ სტაროსელსკისთან ერთად ვასილ ჯაფარიძეს დიდი ღვაწლი მიუძღვის დასავლეთ საქართველოს ფილოქსერისაგან განადგურებული ვენახების აღდგენაში.

1901 წლიდან ვასილი პარალელურად აწარმოებს მიწათმოქმედების გაუმჯობესებელი მანქანა-იარაღების გამოცდას.

1914 წლიდან ვ. ჯაფარიძე გადაჰყავთ ვანის რაიონის აგრონომ-ინსტრუქტორად. 1914 — 1921 წლებში იგი მუშაობს შორაპნის მაზრის ერობის აგრონომად და აგრეთვე ხელმძღვანელობს ერობის საჩვენებელ მიწდორს. 1921 წლიდან ვასილ ჯაფარიძე ზესტაფონის მიწგანის აგრონომია. ამავე დროს მიწგანის დეპარტამენტით რაქაში ხსნის და ხელმძღვანელობს ამერიკული ვაზის სანერგეებს. 1927 წელს ვასილ ჯაფარიძე მიიწვიეს არგვეთის საბჭოთა მეურნეობაში აგრონომად. აქ ის მუშაობდა 1933 წლამდე.

ვასილ ჯაფარიძე თავისი ცოდნითა და გამოცდილებით დახმარებას უწევდა ოძისის სასოფლო-სამეურნეო სკოლას. იგი მთავრობის დეპარტამენტით მიდიოდა საქართველოს სხვადასხვა რაიონში მევენახეობის საკითხების შესასწავლად.

ვასილ მიხეილის ძე ჯაფარიძემ თავისი ენერგიული შრომითა და საქმისადმი დიდი სიყვარულით გარკვეული წვლილი შეიტანა საქართველოს სოფლის მეურნეობის აღდგენისა და განვითარების საქმეში.

ამჟამად ღრმად მოხუცებული და ღვაწლმოსილი ვასილ მიხეილის ძე ჯაფარიძე ხანგრძლივი მოღვაწეობიდან დასასვენებლად წასული ადამიანის დამსახურებული უფლებებით სარგებლობს.

იორამ თარხნიშვილი

იორამ ზაალის ძე თარხნიშვილის მთელი ცხოვრება დიდი და თავდადებული შრომის, განუწყვეტელი შემოქმედებითი ძიების, გასაოცარი მიზანსწრაფვის მკაფიო მაგალითია. მისი საქმიანობა უშუალოდ დაკავშირებულია ქართული ღვინის გაუმჯობესების საქმეს-



სურ. 21. იორამ თარხნიშვილი

თან. ი. თარხნიშვილი იყო დიდი სპეციალისტი, რაციონალიზატორი. იგი გამოირჩეოდა გულისხმიერებით და ყოველთვის თქმრატულად ეხმაურებოდა დროის მიერ წამოყენებულ პრაქტიკულ მნიშვნელობის ამოცანებს.

იორამ ზაალის ძე თარხნიშვილი დაიბადა კასპის რაიონის საფელ წითელქალაქში 1874 წელს, იმ დროისათვის საკმაოდ განათლებული თავადის ოჯახში. იორამი სწავლობდა წინამძღვრიანთკარის სასოფლო-სამეურნეო სკოლაში. ამ სასწავლებლის დასრულების შემდეგ, 1895 წელს, სწავლა განაგრძო ნიკიტის სასწავლებელში. რომელიც 1897 წელს დაამთავრა.

1899 წელს იორამი პრაქტიკანტად მუშაობდა კახეთის საუფლისწულო სარდაფში. ერთი წლის შემდეგ იგი გადაჰყავთ მოსკოვის საუფლისწულო სარდაფის მთავარი მეღვინის თანაშემწედ. 1901 წელს ი. თარხნიშვილს ნიშნავენ პეტერბურგის საუფლისწულო სარდაფის მეღვინედ. აქედან იგი ომსკის საუფლისწულო სარდაფის მთავარ მეღვინედ გადაიყვანეს. 1908 წელს იორამ თარხნიშვილი ინიშნება თბილისის საუფლისწულო სარდაფის (ამჟამად თბილისის № 1 ლეინის ქარხანა) მთავარ მეღვინედ. აქ მან იმუშავა მთელ სიცოცხლის მანძილზე.

ი. თარხნიშვილის შესახებ საინტერესო მოგონება აქვს სამტრედიის № 1 ლეინის ქარხნის ძველ მუშაკს, ქარხნის ბუღალტერს დ. ჩადუნელს.

1921 წლის აგვისტოში დ. ჩადუნელი მონაწილეობდა მიწსახკომის მიერ მოწყობილი ქართული ლეინოების დეგუსტაციაზე თბილისის ლეინის პირველ ქარხანაში. აქ ცნობილ რუს და ქართველ პროფესორებთან ერთად მონაწილეობდნენ სოფლის მეურნეობის მაღალკვალიფიციური ქართველი სპეციალისტებიც. მათ შორის იყო ი. თარხნიშვილიც.

დ. ჩადუნელი მოგვითხრობს: „დეგუსტაციაზე შეკრებილთა შორის იყვნენ: ს. თოდრაი და დოლიძე (მთავრობიდან), მეღვინე-სპეციალისტები ვალ. კანდელაკი, იორ. თარხნიშვილი, თ. მეგრელიშვილი, ს. ხუნდაძე, ა. თუშმალიშვილი, ტრ. ბააკაშვილი, ალ. ეგროვი, პროფესორები: კ. მოდებაძე, ს. ჩოლოყაშვილი, ა. ფროლოვი, დ. გედევანიშვილი, სტ. ტიმოფეევი, მ. ა. ხოვრენკო და სხვები. ლეინოების უშუალო დაქაშნიეების გარდა, სპეციალისტები შეეხებნ საკითხს მეღვინეობის მომავალი მიმართულებების შესახებ საქართველოს რესპუბლიკაში. სხდომას თავმჯდომარეობდა ი. ანდრონიკაშვილი, მდიენობდა დ. ჩადუნელი.

დამსწრენი ერთხმად აღიარებდნენ მეღვინეობის დიდ მნიშვნელობას საქართველოს სოფლის მეურნეობაში და მოითხოვდნენ მის განვითარება-გაფართოებას, მეღვინეობის აგროტექნიკის მაღალ დონეზე დაყენებას, მეურნეობის ახალი მანქანა-იარაღებით აღჭურვას და სამარკო (ევროპული ტიპის) ღვინოებთან ერთად ადგილობრივი ტიპის მასობრივი მოთხოვნის ღვინოების ფართოდ წარმოებას. დასაქვანიკებლად წარმოდგენილი ღვინოები შეფასებულ იქნა ათბალიანი სისტემით. ყველაზე მეტი შეფასება (10) თელიანის კაბერნემ მიიღო, შემდეგ № 47 ნაფარეულმა (9). თეთრი ღვინოებიდან ძალიან მოიწონეს სამარკო № 64 და გლეხური თეთრი (რქაწითელი). ჩემი ყურადღება მიიქცია იმ გარემოებამ, რომ დამსწრე სპეციალისტები საკმაოდ ქარბად მეტყველებდნენ ღვინოებისა და ქაშნიკების გასინჯვამდეც და ამ მიდრეკილებამ უფრო მეტად იჩინა თავი დაქვანიკების პროცესში. განსაკუთრებით ენაწყლიანობდა ხანდაზმული პროფესორი ხოვრენკო, რომელიც ღვინის სიმაგრისა, შეფერიანებისა, ბუკეტისა და გემოსთან იმასაც კი არ იფიქსებდა, თუ რომელ ნომერ ღვინოს რა ხასიათის საქმელი მოუხდებოდა.

...ღვინოების შეფასებაში ყველაზე სწორი და საფუძვლიანი დასკვნები გამოჰქონდა მეღვინე ი. ზ. თარხნიშვილს. აშკარად ემჩნეოდა, რომ ყველა განსაკუთრებული ყურადღებითა და ცნობისმოყვარეობით ისმენდა მის შეფასებას, რომელიც დახურული წესით სწარმოებდა. აქ, ამ დეგუსტაციაზე პირველად მომეცა შემთხვევა გავცნობოდი ამ უაღრესად კეთილშობილ ადამიანს, მეღვინეობის მგზნებარე პატრიოტს, შეუდარებელ დეგუსტატორს ღვინოებისას ი. თარხნიშვილს, რომელმაც ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა. მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე თარხნიშვილი თავგამოდებია მუშაობდა მეღვინეობის უმაღლეს დონეზე დაყენებისათვის, ზედმიწევნითა და ყოველთვის დიდი გადაჭარბებით ასრულებდა მიცემულ საწარმოო გეგმებს როგორც რაოდენობით, ისე ხარისხობრივი მაჩვენებლებით¹.

წინანდლის, ნაფარეულისა და მუკუზნის მეურნეობები, თბილისის № 1 ღვინის ქარხანა და სხვები მეფის რუსეთის სასახლის სამინისტროს უწყებაში შედიოდა და უშუალოდ ექვემდებარებოდა ე. წ. საუფლისწულო მამულების მთავარ სამმართველოს პეტერბურგში. თუ რა მიზნებს ისახავდა ეს უკანასკნელი თავის საქმიანობაში,

1. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მეზეუმის ბურჟუაზული პერიოდის დოკუმენტების ფონდი, დავით ჩადუნელის მოგონება „იორამ ზაალის ძე თარხნიშვილი“, 1960.

ამის ნათელსაყოფად მოვიყვანთ სამმართველოს უფროსი აგრონომის ი. კლინგენის სიტყვებს: „ჩვენ უმდიდრესი განაპირა მხარეები გვაქვს: კავკასია, შუა აზია და ამ მხარეთა ბუნებრივი სიმდიდრეების მეთაუდიც არა გვაქვს გამოყენებული. იქ მეფობს ძილი, რუტინა და ერთ წერტილზე გაყინვა! საჭიროა ამ ქვეყნებს კაპიტალიზმის ჯადოსნური ჰაგლი შევეშხაპუნოთ, საჭიროა ქარხნებისა და ფაბრიკების შენება, რათა შეძლებისდაგვარად შინ აწარმოოთ ყველაფერი ის, რაც შორეული ქვეყნებიდან მოგვაქვს, რაშიც უამრავი ფული გვეხარჯება და რასაც იაფ ნედლეულში გვიცვლიან. უნდა დავამზადოთ კარგი ლენო, თამბაქო, დავამუშაოთ სამხრეთის ხილი, სამხრეთის ბოსტნეული, ბამბა, ჩაი და შორეული სუბტროპიკული სამყაროს სხვა დანარჩენი პროდუქტი. რუსეთი იმდენად თვალუწვდენელია, ისე გამოუღეველი და სხვადასხვაგვარია მისი ბუნებრივი სიმდიდრეები, რომ თუკი მოინდომებს, თავად შეუძლია აწარმოოს ყველაფერი ის, რასაც დასავლეთი აწარმოებს, მაგრამ დასავლეთს არ შეუძლია არსებობა გასაღების ახალ-ახალი ბაზრების დაპყრობის გარეშე, ჩვენ კი შეგვიძლია სრულიად დამოუკიდებელ მდგომარეობაში ყოფნა“².

აქ აღნიშნული განაპირა ქვეყნების შეუზღუდველად გაყვლეფის პრინციპებზე იყო აგებული საქართველოში დაარსებული (1888 წლიდან) საუფლისწულო მამულებიც. ცხადია, თვითმპყრობილობის დამხობასთან ერთად ძირითადად უნდა შეცვლილიყო მამულების სამეურნეო და სოციალური გეგმებიც. საბჭოთა ხელისუფლებამ საბჭოთა მეურნეობები ხალხის სამსახურში ჩააყენა. ვიწრო საწარმოო მიზნების გარდა, საბჭოთა მამულები უნდა გარდაქმნილიყო მოწინავე საბჭოთა მეურნეობებად და კოლმეურნეობებად. საბჭოთა ხელისუფლებამ დასახა გრანდიოზული ამოცანები საბჭოთა მეურნეობების განვითარებისათვის. მეურნეობების ფართობები ერთიორად უნდა გაზრდილიყო. მათ უნდა ეწარმოებინათ მაღალი ხარისხის პროდუქცია. საწარმოები უნდა აღჭურვილიყო ახალი სამანქანო ტექნიკით. მეურნეობაში უნდა ყოფილიყო მაღალკვალიფიციური კადრები და სხვ. ამ გრანდიოზული ამოცანების შესასრულებლად საჭირო იყო თავდადებული ენთუზიასტები, რომლებიც აღნიშნული მიზნისათვის მშრომელთა ფართო მასებს დარაზმავდნენ. ასეთ ენთუზიასტ მოღვაწედ გვესახება ჩვენ ეს ჩუმი და უაღრესად კეთილშობილი ადამიანი იორამ თარხნიშვილი.

² С-Хоз. Сборник Удельного Ведомства, вып. I, 1905.

თბილისის № 1 ღვინის ქარხანაში 1921 წლისათვის არც ერთი გაუმჯობესებული მანქანა არ მუშაობდა. კასრებისა და ბოთლების რეცხვა წარმოებდა ხელით. ღვინოების გადაღება და ჩამოსხმა ბრომიანი მითითებული წესით ხდებოდა. ქარხნის მეღვინემ ი. თარხნიშვილმა ადმინისტრაციის (დირექტორი ვ. კანდელაკი) წინაშე დააყენა საკითხი, რომ მანქანა-იარაღების გამოუყენებლად გადიდებული ნორმების შესრულება და ნამუშევრის ხარისხიანად შესრულება შეუძლებელია. დირექტორი მხარს უჭერს ამ უაღრესად საჭირო და დროულ წინადადებას. მოკლე დროში მთავრობის დახმარებით ქარხანას ეწვია მეღვინეობის მანქანების ცნობილი ქარხნის „ზეიცის“ ინჟინერი. მან ჩამოიტანა ღვინოების გასაფილტრავი მანქანები, ღვინოების გადასაღები ელექტროპომპები, ბოთლების სარეცხი მანქანები და სხვ.

მანქანების აღნაგობას, მათ დაშლა-აწყობის რთულ პროცესებს მექანიკოსმონტიორთან ერთად გულმოდგინებით სწავლობდა ი. თარხნიშვილი. რამდენიმე დღის მანძილზე ის სავესებით ეუფლება ყველა მანქანის მუშაობის პროცესებს. მოკლე ხანში ყველა ახალი მანქანა დაინერგა წარმოებაში. ამან რადიკალურად შეცვალა შრომის ორგანიზაცია და გაზარდა შრომის ნაყოფიერება. № 1 ღვინის ქარხანა ერთგვარ სკოლად გადაიქცა. ახლა აქ მეურნეობებიდან ხშირად მოდიოდნენ ახალი მანქანების ასათვისებლად. ი. თარხნიშვილი ყოველთვის პოულობდა მათთვის დროს და ყოველ მხრივ ეხმარებოდა მანქანების შესწავლის საქმეში.

მაშინ მფილტრავ მანქანებზე იხმარებოდა აზბესტი, რომელიც პირველ ხანებში ძნელი საშოვნელი იყო. ი. თარხნიშვილმა საკმაოდ დიდხანს შემდეგ დაადგინა, რომ შესაძლებელია ერთხელ ნახმარი აზბესტის კვლავ გამოყენება. ამისათვის საჭირო იყო აზბესტის სათანადო წესების დაცვით გარეცხვა და გაშრობა. ეს ღონისძიება მალე დაინერგა წარმოებაში და მნიშვნელოვანი ეკონომია მისცა ქარხანას.

ღვინოებზე სხვადასხვა პროცესის ჩასატარებლად საჭირო ხდებოდა (ჩამოსხმის დროს) ღვინიანი კასრების ერთი სართულიდან მეორეზე ატანა ან პირიქით. ამ პროცესზე სამუშაო დროის შემცირების მიზნით ი. თარხნიშვილის წინადადებით სართულებს შორის სათანადო ადგილებში გაყვანილ იქნა შლანგები. ელექტროპომპის დახმარებით შლანგის საშუალებით ღვინო გადასაღებად ან ჩასასხმელად მიდიოდა ერთი სართულიდან მეორეში. თავიდან აცილებულ იქნა ღვინით კასრების ლავრებიდან ჩამოღება. განყოფილებიდან გატანა, ამწევ მანქანაზე დადება. ყველა ამ მარტივ პროცესს დიდძალი სამუშაო დრო და მუშახელი სჭირდებოდა. გამჭრიახმა და საქმისად-

მი ერთგულებით გამსჭვალულმა მეღვინემ ი. თარხნიშვილმა მთელი რიგი დანაკარგები მინიმუმამდე დაიყვანა და წარმოებას სობით მანეთის ეკონომია მისცა.

საბჭოთა მომხმარებლის მოთხოვნა ყოველდღიურად იზრდება და მეღვინეობის მაღალი ხარისხის პროდუქციისადმი. მომხმარებელი მოითხოვდა ადგილობრივი ქართული წესით (ჭაჭაზე დაყენებით) დამზადებულ ღვინოებს. გადაწყდა დამზადებულიყო მასობრივი მოთხოვნისათვის კახური ტიპის სუფრის თეთრი და წითელი ღვინოები და აგრეთვე სადესერტო ღვინოების რამდენიმე ნომერი. ღვინოების სათანადო ტიპის დადგენა-შემუშავება დაიკისრა ი. თარხნიშვილმა. მიღებული საკუბაყე მასალების შეზავება-შეხამებით მან შეიმუშავა და წარმოებაში დანერგა კახური თეთრი № 2 და № 2 სუფრის ღვინოები. პირველი მათგანი იმ ხანად სათანადო ავტორიტეტით სარგებლობდა. № 2-ის დამზადება რამდენიმე წლის შემდეგ შეწყდა, რადგან საჭირო მაღალხარისხოვანი მასალა მასობრივი გამოშვებისათვის ქარხანამ ვერ მიიღო დიდი სამამულო ომით გამოწვეული მიზეზების გამო. როცა № 2 მარკის ღვინის მასობრივად გამოშვების პირობები შეიქმნა, მისი დამზადების ტექნოლოგიის აღდგენა და დადგენა ვერ მოხერხდა ი. თარხნიშვილის გარდაცვალების გამო.

სადესერტო ხასიათის ღვინოების ტიპების დადგენა ადგილობრივ პირობებთან შეხამებით იკისრა მეღვინე ინსპექტორმა ვალერიან კანდელაკმა. მის მიერ დამზადებული სადესერტო ღვინოები: ხიხვი, სალხინო, საამო დიდად მოსწონს მომხმარებელს.

იორამ თარხნიშვილმა და ვ. კანდელაკმა დავით ჩადუნელს ნათლიის როლი მიაკუთვნეს. ლიტერატურული წყაროებიდან ქართულენაზე ხმარებული ღვინოების სახელების ამოკრება თხოვეს. დავით ჩადუნელმა აღნუსხა დაახლოებით 100 სახელწოდებამდე. ამ სახელების სია მოგვიანებით გური კანდელაკს გადაეცა. დავით ჩადუნელის მიერ ამოკრებილი სახელებიდან ხმარებაში დაინერგა „საამო“ და „სალხინო“.

ღვინოების მასობრივ გამოშვებასთან დაკავშირებით დაისვა დიდი მოცულობის (200 დლ) საკუბაყე ბუტების დადგმის საკითხი. საჭირო იყო ანალიზისა და სხვა დაკვირვებათა ჩატარებით დადგენა იმისა, თუ რა გავლენას მოახდენდა ცემენტისაგან აგებული ბუტი ღვინის ხასიათსა და ხარისხზე. ეს მეტად საპასუხისმგებლო დავალება იკისრა ი. თარხნიშვილმა. მისი დაკვეთით ცემენტისაგან დამზადებულ იქნა მცირე ტევადობის (20 ლიტრის) ცემენტის სათავ-

სო. რამდენიმე თვის განმავლობაში აწარმოებდა მეღვინე ამ სათავ-
სოში ჩასხმულ ღვინოზე ყოველმხრივ დაკვირვებას. ჩატარებულმა
ცდებმა სასურველი შედეგი გამოიღო და იორამ თარხნიშვილი ენერ-
გიულად შეუდგა დიდი მოცულობის ცემენტის ბუტების დადგმას
თბილისის № 1 ღვინის ქარხანაში. ამ წამოწყების განხორციელებამ
შესაძლებელი გახადა სუფრის ღვინოების მასობრივად გამოშვება
და დიდი ეკონომია მისცა ქარხანას.

პორტეინისა და მადერის ტიპის ღვინოების გამოშვებისათვის
საჭირო გახდა ღვინოების მოკლე ვადაში დამწიფება. ამ მიზნით სა-
ჭირო იყო სადესერტო ღვინოების მასობრივად გატარება ხელოვ-
ნურ სათბურებში, სადაც ღვინოების დასაძველებლად ტემპერატურა
აპყავდათ 65 — 70 გრადუსამდე. ამავე დროს საჭირო იყო ღვინო-
ნიანი კასრების სისტემატური შემოწმება. რომ კასრები არ გამსყდ-
რიყო, სალტეები არ დაწყვეტოდათ და სხვ. მუშების ერთი ნაწილი
კატეგორიულ უარს აცხადებდა ამ გავარვარებულ სათბურში სამუ-
შაოდ შესვლაზე, მეორე ნაწილი კი მერყეობდა, თითქოს სანიმუშო
მაგალითს ელოდებო. „ყველას თვალწინ, — იგონებს დავით ჩადუ-
ნელი, — ი. თარხნიშვილმა ხელად გაიძრო ზედა ტანსაცმელი, შელ-
ზე სპეციალური ტანსაცმელი შემოირტყა, აღიქურვა ჩაქუჩით, ხე-
ლეჩოთი, „ლივერით“ (ხელტუმბო) და ნიმუშების ამოსაღებად
სათბურში დინჯად შეაბიჯა, სადაც 40 წუთამდე დაჰყო და მშვიდო-
ბით, ოფლში მტურავი, გამოვიდა მომღიმარი სახით და განაცხადა:
ყველაფერი რიგზეაო. იქვე შედგა 15 მუშისაგან სია. მუშებმა თეი-
თონ გაინაწილეს მორიგეობით მომსახურება ღვინოებისა სათბურ-
ში. ასეთი შთამბეჭდავი და დამაჯერებელი აღმოჩნდა ერთი თვალ-
საჩინო მაგალითის ძალა, რაც ზედმიწევნით გაითვალისწინა მეღ-
ვინე ენთუზიასტმა და სათანადო შედეგსაც მიაღწია. რომელი ერ-
თი დავასახელო ამ უბადლო, უანგარო და უმწიკვლო კეთილშობი-
ლი მუშაკის მოღვაწეობის სანიმუშო ნამოქმედარიდან.

მთელი 25 წლის განმავლობაში (სანამ ქარხანაში ვმუშაობდი
და იქვე ვცხოვრობდი) ჩემ თვალწინ მიმდინარეობდა ამ აღამიანის
სიცოცხლე და ცხოვრება. მეძნელება ერთი დღე მაინც დავასახელო
ისეთი, როდესაც ი. თარხნიშვილი მეღვინეობის საქმიანობისაგან
მოსვენებული, მოწყვეტილი წარმოვიდგინო. ვფიქრობ, ამას ყველა
მის ახლოს მომუშავენი უყოყმანოდ დაადასტურებენ. ჯერ კარგად
გათენებული არ იყო და ი. თარხნიშვილი უკვე დინჯად, ამაყად თა-
ვაწეული, ვაჟკაცური, მკვრივი ტანით მიაბიჯებდა ქარხნის
გრძელ დერეფანში. ის ამოწმებდა ყველაფერი რიგზე იყო თუ არა

ქარხანაში. ჩაათვლიერებდა შესასვლელ კარებზე ბოქლომს, საღამოთი მოტანილ ღვინიან კასრებს (ღვინო ხომ არ გასდითო).³ სავე-შაგო ელნათურებს გამოერთავდა, ბალში გავიდოდა და წიწვიან მცენარეთა და ყვავილების დამათრობელ სურნელებით ხარბად სტკებოდა. თუ გამხმარ შტოებს ან ფოთლებს შეამჩნევდა, შეაეცილა, ასე შემოვიღოდა მთელ ბაღს ქარხნის ირგვლივ. ამ დროს ის მეოცნებე, შეყვარებულ პოეტს მოგაგონებდათ. ბოლოს ქარხნის მთავარ შესავალთან გაჩერდებოდა და ხელზე მთელი აცმა დიდი და პატარა გასაღებების რხევით ნაადრევათ მოსულ მუშების ბაასს უვდებდა ყურს.

საყვირის ხმასთან ერთად კარები იღებოდა და მუშები განრიკის მიხედვით თავიანთ საამქროებში მიდიოდნენ. თარხნიშვილი თვითონ საამქროს შეამოწმებდა მუშაობისათვის მზადყოფნის მიზნით. ბრიგადირებს საჭირო მითითებებს მისცემდა ქარხნის სამივე სართულში. ბოლოს სავე კასრებით ავსებულ განყოფილებას შეამოწმებდა და შეუდგებოდა ღვინოების მოვლაზე და წარმოებისათვის გადაცემაზე ზრუნვას. თუ სადმე საექვო ღვინოები ეგულებოდა, მათ კიდევ ვულდასმით გასინჯავდა და სათანადო სამუშაოს ჩაატარებდა. იწყებოდა ყოველდღიური ზრუნვა-ტრიალი, სართულებს შორის სიარული, ღვინოების მიღება, მათი დაბინავება, შევსება, გადაღება, კუბაჟი, ჩამოსხმა და ვინ მოთვლის კიდევ რამდენი რამ ცალკე პროცესი. ი. თარხნიშვილს ყველგან და ყოველთვის მზრუნველად მომუშავეს შეხვდებოდათ. განცვიფრებაში მოვდიოდით როგორ ახერხებდა ეს კაცი ამდენ საქმიანობას. უკვე ხანში შესული, 60—67 წლისა, ის ჭაბუკის მძლე ნაბიჯით 30-ჯერ მაინც ავიდ-ჩავიდოდა ქარხნის სამსართულიან ბურღივით დაგრეხილი კიბეების დაუსრულებელ საფეხურებზე ყოველდღე⁴. დ. ჩადუნელის ეს მოგონება შესანიშნავად ხატავს ი. თარხნიშვილის დაუვიწყარ სახეს. ამიტომაც მოვიყვანეთ იგი ჩვენ აქ ასე ვრცლად.

ი. თარხნიშვილი იყო იშვიათი მასწავლებელი. მან ბევრ ახალგაზრდას შეასწავლა და გადასცა თავისი მდიდარი ცოდნა და გამოცდილება მეღვინეობის რთული საგანძურიდან. მასთან ერთ წელიწადს მომუშავე უკვე რიგითი მეღვინე ხდებოდა. მის მიერ აღზრდილი ახალგაზრდა კადრი ამჟამად საქართველოში და მის გარეგან სახელმწიფოებში მეღვინე-სპეციალისტები არიან, მაგალითად: ვუჩიკანიძე, კანდელაკი, პავლე კიკვიძე, კოტე მგალობლიშვილი, სირაძე და მრავალი სხვ.

³ დ. ჩადუნელის დასახელებული მოგონება.

ი. თარხნიშვილი დაინტერესებული იყო ძველი ღვინოების უნიკალური საკოლექციო განყოფილებით, რომელიც ქარხნის პირველ და მეორე სართულებში იყო მოთავსებული და რომელსაც „ბიბლიოთეკას“ ეძახდნენ. მართალია, ამ „ბიბლიოთეკაში“ სქელკანანი წიგნები არ ეწყობო მეღვინეობის სპეციალობის შესახებ, მაგრამ ამ ღვინოების მყუდრო საგანეში იმ დროს ინახებოდა 70 ათასი ცალი ძველი ღვინოების იშვიათი ნიმუშები. თვითელი ბოთლისათვის განკუთვნილი იყო მავთულისაგან დაწნული ბუდე, რომელშიდაც დაწოლილი ეწყობო ბოთლები. „ბიბლიოთეკაში“ შესვლისას ი. თარხნიშვილი ქურუმს ემსგავსებოდა.

სარდაფში ინახებოდა ღვინოების იშვიათი ნიმუშები, რომელთაგან ზოგი ასეული წლის ხნოვანებისა იყო. მაგ., ნაპალეონ პირველის კონიაკი 1815 წელს ჩამოსხმული, პოლონური თაფლი, სადესერტო ღვინო „ქრისტეს ცრემლები“ (ლაკრიმა კრისტი) და მრავალი სხვა. „როდესაც სხვა მნახველებთან ერთად მეც მოვხედი ამ „ბიბლიოთეკაში“, — იგონებს დ. ჩაღუნელი, — შევამჩნიე, რომ ზოგიერთ ბოთლს გარედან ობი ჰქონდა საკმაო სქლად მოკიდებული. თავი ვერ შევიკავე და იორამს შევეკითხე: ამ ობს რატომ არ მოაშორებთ ბოთლებს-მეთქი. მან გაიღიმა და მითხრა: „ყმაწვილო, ეს ობი ამ ბოთლისა საუკეთესო დიპლომია, ეს ობი უდაოდ მოწმობს ამ ღვინის ხანდაზმულობას“⁴.

ამ „ბიბლიოთეკიდან“ საზეიმო დეგუსტაციაზე გატანილი ღვინოები ყოველთვის მაღალ შეფასებას იმსახურებოდა. ამაში დიდი ღვაწლი მიუძღვის მეღვინე იორამ ზაალის ძე თარხნიშვილს. პროფესორ კ. მოდებაძეს ი. თარხნიშვილისათვის საქართველოს მეღვინეთუხუცესი უწოდებოია. ეს სახელი მოხდენილად ასახავს ამ უანგარო ადამიანის ხანგრძლივ, თავდადებულ საქმიანობას მეღვინეობის დარგში.

უდავოდ დიდი სულიერი და ფიზიკური ღონით იყო დაჯილდოებული იორამ ზაალის ძე თარხნიშვილი. მის სიღინჯესა და შრომისუნარიანობას კვებავდა საქმის უსაზღვრო სიყვარული და ერთგულება.

საბჭოთა ხელისუფლებამ, პარტიამ და პროფკავშირულმა ორგანიზაციამ სათანადოდ შეაფასა ამ სამაგალითო, უანგარო მოღვაწის შრომა და საქმიანობა. ი. თარხნიშვილი მთავრობისაგან დაჯილდოებული იყო ორდენით. სამეურნეო წლის ბუშაობის შეჯამებისას „სამტრესტის“ დირექცია და ქარხნის ადმინისტრაცია ი. თარხნიშვილს

⁴ დ. ჩაღუნელის დასახელებული მოგონება.

წარმოებაში თვალსაჩინო მიღწევებისათვის აჯილდოებდა ფასიანი საჩუქრებით და უცხადებდა მადლობას.

ი. თარხნიშვილს 1930 წელს დიდი ზემოთ გადაუხადეს ამ ქარხანაში მუშაობის 30 წლის იუბილე, რაც მან ქეშმარიტად დაიმსახურა.

ღვაწლმოსილი მეღვინე იორამ ზაალის ძე თარხნიშვილი გარდაიცვალა 1942 წელს.

ალექსანდრე თუშმალიშვილი

ალექსანდრე თომას ძე თუშმალიშვილი მთელი 43 წლის მანძილზე მოღვაწეობდა სოფლის მეურნეობის მნიშვნელოვანი დარგების — მეღვინეობისა და მევენახეობის — განვითარებისათვის. მან საშრობლოსადმი უანგარო სამსახურით თანამედროვეთა სიყვარული დაიმსახურა. იგი იყო არა მარტო გამოჩენილი სპეციალისტი, არამედ ღირსეული აღმზრდელი, უადრესად კეთილშობილი აღამიანი და დიდი პატრიოტი.

ალექსანდრე თომას ძე თუშმალიშვილი დაიბადა 1876 წელს ქ. თბილისში, სამხედრო მოსამსახურის ოჯახში. სწავლობდა თბილისის ყოფილ მეორე ვაჟთა გიმნაზიაში. პატარაობიდანვე იჩენდა მეურნეობისადმი განსაკუთრებულ სიყვარულს. მშობლებმა მის მისწრაფებას ხელი შეუწყვეს და თბილისის სამეურნეო სასწავლებელში შეიყვანეს. სასწავლებელი თავისი ინტერნატით მოთავსებული იყო ახლანდელი დინამოს სტადიონის ტერიტორიაზე. სკოლის გამგედ იმზანად მუშაობდა ჩინებული პედაგოგი და აღმზრდელი ვ. ასტაპოვიჩი. ვ. ასტაპოვიჩმა ჩვენს ქვეყანას გამოუზარდა შესანიშნავი სპეციალისტები: ა. თუშმალიშვილი, ფიცხელაური, ს. მზეიძე, გორდუზიანი, ლეონიძე, ვარაყევი და მრავალი სხვ.

ა. თუშმალიშვილმა 1894 წელს დაამთავრა სასწავლებელი და იმავე წლის პირველი ნოემბრიდან დაიწყო მუშაობა პრაქტიკანტად მუკუზნის ყოფილ საუფლისწულო მამულში. მისმა ენერგიულობამ და საქმისადმი იშვიათმა სიყვარულმა მიიპყრო. ამ მამულის გამგის,

ცნობილი აგრონომის ვასილ ნიკოლოზის ძე ჭაფარიძის ყურადღე-
ბა¹.

ვ. ჭაფარიძემ დიდი როლი ითამაშა ა. თუშმალიშვილის აღზრდა-
განათლების საქმეში. პრაქტიკული სამუშაოს დამთავრების შემდეგ
ალექსანდრე სისტემატურად მიდიოდა ვ. ჭაფარიძესთან და უმაღ-
ლესი სამეურნეო ინსტიტუტების პროგრამათა მიხედვით სწავლობ-
და საპირო თეორიულ საგნებს. ალექსანდრე თუშმალიშვილი ყო-
ველთვის დიდი კმაყოფილებით იხსენებდა საყვარელ მასწავლებელს.

მეცადინეობას უშედეგოდ არ ჩაუვლია. ა. თუშმალიშვილი შესა-
ნიშნავად დაეუფლა მევენახეობა-მელენეობის მეცნიერებას. სამი-
ოდე წლის შემდეგ ყოფილ საუფლისწულო მამულთა მმართველო-
ბამ იგი ქალაქ ნოვოროსიისკის ახლოს მდებარე აბრაუ-დიურსოს
შამპანურის დამზადების საუფლისწულო მამულში გაგზავნა. ა.
თუშმალიშვილს, როგორც გამოცდილ მევენახეს, იქაური მოუსავ-
ლიანი მეურნეობა სათანადო სიმაღლეზე დაუყენებია. მას თან წა-
უყვანია ვაზის საუკეთესო მსხელელები კახეთიდან. მათ შეასწავ-
ლეს იქაურ გლეხობას ვაზის გასხვლის ტრადიციული ქართული
წესები.

1897—1898 წლებში ალექსანდრე დაუმეგობრდა ა. ეგოროვს
(შემდეგ ყირიმის მასანდარის მთავარი მეღვინე), რომელიც იმ ხანად
პრაქტიკანტად მუშაობდა აბრაუ-დიურსოში. ა. ეგოროვმა 25 წელი
იმსახურა საქართველოში სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობაზე.
ბოლო წლებში ის საქართველოს საუფლისწულო მამულების მეღ-
ვინეობა-მევენახეობის ინსპექტორი იყო. ა. ეგოროვისა და ა. თუშ-
მალიშვილის სამსახურთან დაკავშირებული ურთიერთობა მათი ოჯა-
ხების მეგობრობაში გადაიზარდა.

1900 წელს ა. თუშმალიშვილი აბრაუ-დიურსოს საუფლისწუ-
ლო მამულიდან დაბრუნდა და ისევ კახეთის წინანდლის საუფლის-
წულო მამულში დაიწყო მუშაობა.

წლების მანძილზე თანდათან გაღრმავდა ა. თუშმალიშვილის
ცოდნა-გამოცდილება. კახეთის საუფლისწულო მამულების მეღვი-
ნე-მევენახეობის გამგე (შემდეგში ტიმირიაზევის სახელობის
სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მეღვინეობა-მევენახეობის კა-

¹ ვასილ ნიკოლოზის ძე ჭაფარიძეს აგრონომიული განათლება მიღებული
ქონდა საფრანგეთში და იმ დროისთვის დიდად განათლებული სპეციალისტი
იყო. წერილებს საქართველოზე ის ათავსებდა ფრანგულ ჟურნალში. „Agriculture
et siliculture“.

თედრის გამგე) პროფესორი გ. გოგოლ-იანოვსკი² წერდა: „ამაჟი პატივი ვიშუამდგომლო გამოეყოს ცალკე ჯგუფად ვენახები...³ სარდაფისა, მეგრელიანთეული, წინანდლის ნაზერევი, ფირსანთეული და რევაზაანთეული მევენახე ა. თუშმალიშვილს, რომელმაც აღნიშნული ვენახების უნარიანი და განსაკუთრებით გულმოდგინე და ბეჯითი მოვლის შედეგად მოსავალი ერთიორად გაზარდა და ვაზებს სანახაობაც საოცრად შეუცვალა... იმის გამო, რომ უკანასკნელ წლებში ის ვენახები, რომლებიც წარსულ წლებში გვალვასაგან შეწუხებულნი იყო, — ეხლა იძლევა არა საშუალოს, უფრო სწორად რომ ითქვას, — მაღალ მოსავალს. თუ შევადარებთ მთლიან საშუალო მისავალიანობას, რაც უკანასკნელ წლებში მივიღეთ, უნდა უმაღლიდეთ ა. თუშმალიშვილს... მის პრაქტიკულ დანიშნულ იქნეს ნიკოლინი, რომლისგანაც ა. თუშმალიშვილის ხელმძღვანელობით გამოვა მეტად საქმიანი და კეთილსინდისიერი მევენახე“.

შემდეგ გრიგოლ-იანოვსკი წერს: „მე დიდ იმედებს ვამყარებდი ა. თუშმალიშვილზე, რომელიც შესძლებს გააღვიძოს მუშების უპრაველესობაში ენერჯია და აამაღლოს. მათში მოვალეობის გრძნობა და ამის წყალობით ისინი გახდებიან შექების ღირსნი. ჩემი იმედები ყოველმხრივ გამართლდა და მუშების მიერ საქმისადმი დამოკიდებულება განვიღო წელს ყოველგვარ შექებას იმსახურებს. ამ მიზნით, რომ არ დამემდაბლებინა მუშაობის ხარისხი, აქამდე მე არ ვშუამდგომლობდი ამავე მუშებისათვის რაიმე მნიშვნელოვანი ხელფასის მომატებას. მაგრამ ახლა, როდესაც ვენახებს სათავეში ჩაუდგა ისეთი ენერჯიული და მუყაითი ადამიანი, როგორცაა ა. თუშმალიშვილი, მე დაბეჯითებით მოვითხოვ მუშებისათვის ხელფასის მომატებას დაახლოებით 15%-ით და სავსებით დარწმუნებული ვარ, რომ ამ მომატებასთან დაკავშირებით ისინი ბევრად გადააჭარბებენ თავიანთ წინანდელ შედეგებს... და რაც შეეხება ალექსანდრე თუშმალიშვილს, მე მოვითხოვ ჯამაგირის გაზარდას 1500 მანეთამდე, მისთვის დაკისრებული საქმისადმი უაღრესად კეთილსინდისიერი მოპყრობისათვის. საქმეს იგი ასრულებს დიდი ცოდნითა და მონღობებით, იჩენს აუცილებელ სიმტკიცეს თავისი მიზნების განხორციელებისათვის. თავისი არაჩვეულებრივი ენერჯიითა და მომჭირნე, ყაიროთიანი გამგებლობით ა. თუშმალიშვილმა მიადწია იმას, რომ მისდამი ჩაბარებული ვენახების მდგომარეობა უმჯობესდება წლი-

² გ. გოგოლ-იანოვსკი იყო გამოჩენილი რუსი კლასიკოსის გოგოლის შთამომავალი.

³ თბილისის სამტრეხტის საარქივო მასალები, წიგნი, I, 1904, გვ. 22.



სურ. 22. ალექსანდრე თუმბალიშვილი

დან წლამდე. ის აღწევდა ამ შედეგებს არა მარტო მიწის დაშლამდისათვის გამოყოფილი თანხების გაზრდით, არამედ ხარჯების მატებით, სამუშაოთა მსვლელობის მუდმივი მეთვალყურეობით. ა. თუშმალიშვილი 14 წელია რაც მსახურობს და ამ ხნის მანძილზედ დაიმსახურა სიყვარული და პატივისცემა“⁴.

ა. თუშმალიშვილის ნაყოფიერ მუშაობას აღნიშნავდა აგრეთვე წინანდლის მთავარი მეღვინე ფ. ჟოფრიო. „ფრიად სასურველია, — წერდა იგი, — მოემატოს ჯამაგირი უფრ. მევენახე ა. თუშმალიშვილს მუდმივი სიბეჯითისათვის, შრომისმოყვარეობისათვის, რომელმაც გაზარდა მოსავლიანობა“⁵.

ქვემოთ მოგვყავს ცხრილი, რომელიც გვიჩვენებს მოსავლიანობის ყოველწლიურ ზრდას წინანდლის მეურნეობაში: 1901 წელს მოყვანილ იქნა 20 243 ფუთი ყურძენი, 1902 წელს—29 032, 1903 წ.—29 865, 1904 წ. — 37 189, 1905 წ. 33 617, 1906 წ. — 33 886. 1907 წ.—53 018, 1908 წ. — 53 018, 1909 წ. — 53 007, 1910 წ.—53 128 ფუთი⁶.

საუფლისწულო მამულების მმართველად მხოლოდ ცნობილ და საუკეთესო მეღვინე-სპეციალისტებს ნიშნავდნენ. ცნობილია ისიც, რომ ცარიზმის დროს საუფლისწულო მამულების მმართველი არ შეიძლებოდა ქართველი ყოფილიყო. მიუხედავად ამისა. ა. თუშმალიშვილი თავისი იშვიათი მონაცემების წყალობით 1911 წლის დეკემბერში მთავარი სამმართველოს განკარგულებით მეუუზნის ყოფილი საუფლისწულო მამულის მმართველად დაინიშნა. ა. თუშმალიშვილის დაწინაურებას კმაყოფილებით შეხვდა საზოგადოება. საქართველოსა და რუსეთის სხვადასხვა კუთხიდან მან მრავალი მოლოცვის დეპეშა მიიღო. ალექსანდრე მისთვის დამახასიათებელი მონღოებით შეუდგა მუშაობას ახალ თანამდებობაზე.

იმ პერიოდში ფილოქსერა მუსრს ავლებდა საქართველოს ვენახებს. ა. თუშმალიშვილმა ერთმა პირველთაგანმა ჩაუყარა საძირკველი ამერიკული ვაზის სადედეს კახეთში. მისი ინიციატივით სოფელ ჩუმლაყში აშენდა ამერიკული ვაზის სათბური (გამგედ დაინიშნა კოტე ნაკაშიძე). მანვე კისისხევზე ააშენებინა ჯებირები, რათა ვენახები დაეცვა გაზაფხულზე აღიდებული ხევის წყლისაგან.

მამულში იყო საკასრე, საზეინკლო, სამჭედლო და საღურგლო

⁴ თბილისის სამტრესტის საარქივო მასალები, წიგნი I, 1904, გვ. 22.

⁵ იქვე, წიგნი IV, 1910, გვ. 14.

⁶ იქვე.



სახელოსნოები. ამ სახელოსნოებს საქირო მასალით ამარაგებდა მამულის მალაზია, რომელიც არ ჩამოუვარდებოდა მამინდელი ტბის რკინეულობის საუკეთესო საწყობს. მეურნეობის განკარგულებაში იყო სანიმუშოდ მოვლილი ცხენები, ხარ-კამეჩი, ეტლი, ურემი, ფურგონი, საქონლისათვის ზეგნის ვაკეზე ითვისებოდა იონჯა. ალაზნის ველზე თიბავდნენ ბალახს, რათა მომავალი წლის მოსავლამდე მეურნეობა მომარაგებული ყოფილიყო საქონლის საკვებით. მეურნეობას ჰქონდა კარგად მოწყობილი და მოვლილი დეინის სარდაფი.

მეურნეობა თესავდა ხორბალს, ქერს, სიმინდს. აქედან დიდი ნაწილი თვითღირებულების ფასში ურიგდებოდა მუშა-მოსამსახურეთ, დანარჩენით კი მუშა საქონელს კვებავდნენ.

ა. თუშმალიშვილმა ცალკე ნაკვეთზე დარგო სხვადასხვა სადესერტო ვაზის ევროპული ჯიშები; გააშენა საუკეთესო ხილის ბაღი; ბულგარელებს გააკეთებინა ბოსტანი. გზების ორივე მხარეზე ჩაყარა ცაცხვისა და აკაციის ნერგები, რომელსაც შემდეგ თუშმალიშვილის ხეივანს უწოდებდნენ. მეურნეობის ტერიტორიას ამშვენებდა ყვავილნარი, ფიჭვნები და სხვა დეკორატიული მცენარეები. მეურნეობაში გზის მარცხენა მხარეს გადაკიშული იყო ამერიკული ვაზის სადედე, მარჯვენა მხარეს კი გლედიჩის ხშირი ცოცხალი ღობე ამშვენებდა.

მეურნეობას მეღვინის შტატი არ ჰქონდა და ამიტომ მეღვინის მოვალეობასაც ა. თუშმალიშვილი ასრულებდა.

ა. თუშმალიშვილმა მუშა-მოსამსახურეთა შვილებისათვის დააარსა დაწყებითი სკოლა. სკოლის ბავშვებისათვის ეწყობოდა საღამოები, საახალწლო ნაძვის ხე და სხვ. მეურნეობაში გაიხსნა სამკითხველო, რომელიც ღებულობდა ადგილობრივ და რუსულ ჟურნალებს.

გარდა საგანმანათლებლო კულტურული მუშაობისა, ა. თუშმალიშვილი ხალხის ჯანმრთელობაზედაც ზრუნავდა. მისი თაოსნობით აშენდა ქსენონი, სადაც გამოცდილი ექთანი ნოე ჯიბლაძე მუშაობდა. იგი დიდ დახმარებას უწევდა მეურნეობის თანამშრომლებს. ქსენონში მოთავსებული იყო ყოველნაირი მედიკამენტებით აღჭურვილი აფთიაქი. ნოე ჯიბლაძე თვითონვე ამზადებდა წამლებს ავადმყოფებისათვის. ეს დიდი შეღავათი იყო სამედიცინო პერსონალის სიმცირის პირობებში. ქსენონის მთავარი მკურნალი ექიმი იყო მედიცინის დოქტორი ე. ანტენი, რომელიც ძირითადად წინანდალში მუშაობდა. ის დიდი პოპულარობით სარგებლობდა მთელს კახეთ-

ში. ანტენი წინანდლიდან მუკუზნის მეურნეობაში ყოველ შაბათს ჩამოდიოდა. ამიტომ შაბათობით ქსენონის ეზო და ახლო მდებარე მუხიანის ტყე საესე იყო სოფლებიდან ჩამოსული ავადმყოფებითა და მათი ურმებით, ეტლებითა და ცხენებით.

მუკუზნის მეურნეობას არ აკლდა სტუმრებიც. თბილისიდან ჩამოდიოდა დიდი მეცნიერი პეტრე მელიქიშვილი, რომელიც სტუდენტებს ლექციებს უყიობავდა ღვინის ქიმიასზე. პეტრე მელიქიშვილი დიდ კმაყოფილებას გამოთქვამდა სანიმუშოდ მოწყობილ მეურნეობაზე. მან მეურნეობას ბევრი წიგნი უსახსოვრა გულთბილი წარწერებით.

ყოველ წელს პეტროვსკო-რაზუმოვსკის სასოფლო-სამეურნეო აკადემიიდან გ. ვოგოლ-იანოვსკი თავის სტუდენტებს პრაქტიკაზე, ა. თუშმალიშვილთან გზავნიდა. მან კარგად იცოდა, რომ ა. თუშმალიშვილის ენერგიული, მცოდნე და მომთხოვნი ხელმძღვანელობით სტუდენტები კარგად დაეუფლებოდნენ მეღვინეობასა და მევენახეობას. რუს პრაქტიკანტებთან ერთად იყო ერთი ქართველი ახალგაზრდაც, შემდეგში ცნობილი აგრონომი იონა მაჭავარიანი.

სოფელ ვაზისუბანში ა. თუშმალიშვილს მოწყობილი ჰქონდა სანიმუშო-საჩვენებელი ვენახი, რომლის დასათვალისწინებლად სპეციალური ექსკურსიები და სპეციალისტები ჩამოდიოდნენ. იმ დროისათვის ჩვენში ნიადაგის ანალიზი არ კეთდებოდა. მიუხედავად ამისა, ამ ნაკვეთის ნიადაგი საანალიზოდ საფრანგეთში იქნა გაგზავნილი. მხოლოდ პასუხის მიღების შემდეგ მოხდა ამ ნაკვეთისათვის ჯიშების შერჩევა და ვაზების ჩაყრა.

1914 წელს ა. თუშმალიშვილი დანიშნეს სტავროპოლის გუბერნიის ყოფილი საუფლისწულო მამულის ტემპელჰოფშის (ამჟამად სუვოროვის სახელობის საბჭოთა მეურნეობა) მმართველად. ეს მეურნეობა განთქმული იყო თავისი კონიაკით როგორც რუსეთში, ისე საზღვარგარეთაც. ამ მეურნეობის ვენახების ფართობი კახეთის საუფლისწულო მამულების ფართობს სჭარბობდა. ტემპელჰოფში კონიაკისა და ღვინის დიდი ქარხნები იყო. აქ საფრანგეთიდან ჰყავდათ მოწვეული კონიაკის დამზადების სპეციალისტი მ. სოვიონი. მეურნეობას ჰქონდა სახანავ-სათესი მიწები, რამდენიმე წისქვილი, ბაღბოსტნები; ჰყავდათ დიდძალი წვრილფეხა და რქოსანი საქონელი, სეზონური მუშაობის დროს მუშახელის რიცხვი 500 კაცს აღწევდა. ა. თუშმალიშვილი დიდ ყურადღებას აქცევდა მუშახელის უზრუნველყოფას მეურნეობის სურსათით.



ՀԱՅԿԵՐԱՆ
ՄԱՅԻՍ 1930

Երև. 22. և այնպիսիներս որտե՛ր Բաղկում

ტემპელჰოფში ყინვები 20°-ს აღწევდა. ამიტომ იქ ვაზის მოყვანის სხვა მეთოდი იყო დანერგული. ყოველ შემოდგომაზე დაწვენიდან სპეციალურად გაზაფხულზე თხრილებში, შემოდან წაყრიდნენ მიწას, ხოლო გაზაფხულზე ისევ ფეხზე წამოაყენებდნენ. ეს პროცესი დიდ ხარჯებს მოითხოვდა და მეტად აწუხებდა ა. თუშმალიშვილს. ხარჯების შემცირების მიზნით მან ცდაც ჩაატარა და ვენახის ერთი ნაკვეთი ზეზე დატოვა. ვენახი უვნებლად გადაურჩა ყინვას და კარგი მოსავალი მისცა მეურნეობას. შემდეგ ეს ხერხი მან ვენახების დიდ ფართობზე გამოიყენა და კვლავ კარგი შედეგი მიიღო. თანხების დაზოგვისათვის ა. თუშმალიშვილმა მადლობა და ჭილდო დაიმსახურა. შესაძლოა მის მიერ წლების მანძილზე ჩატარებული ამ ცდების ნაყოფიერი შედეგები გამოიყენოდა იყო მაშინდელი ზამთრის უფრო ზომიერი ტემპერატურით, მაგრამ ექსპერიმენტების ჩატარების ფაქტი ა. თუშმალიშვილის კვლევით ინტერესებზე მეტყველებს.

მეურნეობის ახლოს გაშენებული იყო კოლონიები, სადაც გერმანელები და იტალიელები სახლობდნენ. აქ იტალიელებს დიდი ვენახები ჰქონდათ გაშენებული. მათ საკუთრებას შეადგენდა რამდენიმე რესტორანი, მათ შორის მ. ა. რაჯის განოქმული რესტორანიც. ზაფხულობით დროს გასატარებლად აქ ჩამოდოდა აუარებული დამსვენებელი კურორტკისლოვოდსკიდან, ყელეჯნოვოდსკიდან, პიატიგორსკიდან. სწორედ ამ რაჯის რესტორანში დაქორწინდა თუშმალიშვილი 1916 წელს თამარ კონსტანტინეს ასულ ნაცელიშვილზე. აქ ბევრი თბილი სიტყვა და სასიამოვნო ქართული სიმღერა ითქვა. ამ სანახაობას დიდძალი ხალხი მოეზიდა. ისინი ტანსა და ვაშას გრიალით გამოხატავდნენ თურმე თავიანთ მადლობასა და კმაყოფილებას ა. თუშმალიშვილისადმი.

ა. თუშმალიშვილის გული მაინც სამშობლოსაკენ მიაღწევდა. თანახმად მისი თხოვნისა, 1917 წლის გაზაფხულზე ის ისევ მუქუზნის მმართველად დააბრუნეს. მუშა-მოსამსახურეები დიდი საყვარულით შეგებებიან თავიანთ მმართველს.

მუქუზნის მამულში ა. თუშმალიშვილმა დასჯო საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებამდე. ამ დროისათვის წინანდლის მეურნეობას მმართველი აღარ ჰყავდა და მმართველის პოსტზე სწორედ ა. თუშმალიშვილის კანდიდატურა წამოიყენებიათ. ამრიგად, საქართველოს მთავრობის ბრძანებულებით წინანდლის საბჭოთა მამულის პირველ მმართველად ა. თუშმალიშვილი დაინიშნა.



1921 წელს საბჭოთა საქართველომ წინანდალში 70 ჰა დაავადებული ვენახი ჩაიბარა. დადგა წინანდლის ჩამორჩენილი და პრემიული მამულის განვითარებულ ტექნიკაზე დაფუძნებულ საბჭოთა მეურნეობად გარდაქმნის საკითხი; დაიწყო წინანდლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქცია. პირველი დღეებიდანვე მოჰკიდეს ხელი გაპარტახებული ვენახების აღდგენა-განახლებას. საჭირო იყო დაავადებული ვაზის გაკაფვა, ნამყენი ვაზის ჩაყრა და მთელი რიგი აგროკულტურული ღონისძიებების ჩატარება. კონდოლის აგროუბანსა და იყალთოს მეურნეობებში სათბურ-სანერგეები და ამერიკული მწარე ვაზის სადედეები მოეწყო. 1925 წელს სანერგედან ამოიღეს 150 ათასი, ხოლო 1927 წელს 558 ათასი ცალი ნამყენი. წინანდლის საბჭოთა მეურნეობაში ყოველწლიურად აშენებდნენ ახალ ზვრებს. შვიდი წლის მანძილზე საქართველოს მძიმე ეკონომიურ პირობებში ა. თუშმალიშვილმა შეძლო 43 პექტარი ახალი ვენახის გაშენება.

მეურნეობა განიცდიდა ვენახების გაშენებისათვის საჭირო ნამყენის ნაკლებობას. კისისხევის სათბურის გარდა, ა. თუშმალიშვილი განაგებდა იყალთოს საბჭოთა მეურნეობასაც. მან აქაც მოაწყო სათბური და გახსნა ვაზის მყნობის კურსები. ამის შესახებ 1926 წლის 23 ივლისს გაზეთი „კომუნისტი“ წერდა: „იყალთოს სახალხო მამულის სანერგესთან ამ სამი კვირის წინად მოწყობილი იქნა კურსები ვაზის მყნობის წესების შესასწავლად. კურსებზე ჩაწერილია 25 ქალი, რომელთაც მალე შეითვისეს მყნობის ტექნიკა და წესები. მალე დაიწყებს მუშაობას რისტერის სისტემის სათბური, სადაც მოწვეული იქნებიან კურსდამთავრებული გლეხი ქალები“.

ყოველივე ამასთან ერთად ა. თუშმალიშვილი ხელმძღვანელობდა გომბორის უდიდეს ხილის ბაღს. აქ გამგე იყო შაქრო ჯავახიშვილი, რომელსაც სამეურნეო განათლება საფრანგეთში ჰქონდა მიღებული.

პირველად ა. თუშმალიშვილის ინიციატივით წინანდლის მეურნეობაში აშენდა ელექტროსადგური⁷. ელექტროქსელი გამოიყვანეს

⁷ ელექტროსადგური ააშენა ინიციატივით პრერევირა, პირველი მსოფლიო ომის ტყვემ. მან აღარ ისურვა სამშობლოში დაბრუნება და საქართველოში დარჩა სხვათა შორის პირველად საქართველოში ინიციატივით პრერევირა მოაწყო ინჟინერ-ბატონი. სოფლას გლეხობა დიდი ინტერესით ათვლიდებდა ხელისუფლებას და მოიხილავდნენ წიწილებს. მანვე თბილისში დაამზადა ახალი აპარატი. ამის შესახებ გაზეთი კომუნისტი 1927 წელს წერდა: „ფსიქოლოგიური შემოწმების აპარატი დაამზადა ინიციატივით პრერევირა ვატმანების სიმტყიცისა და ჯანმრთელობის შესამოწმებლად“.

სარდაფებში, განათდა მუშა-მოსამსახურეთა ბინები, საჯინიზობები და ბოსლები. რიგი სამუშაო სრულდებოდა ელექტრომანქანებით. მოეწყო ელექტროსახერხი.

თუშმალიშვილი ხელს უწყობდა სოფლის მეურნეობაში მექანიზაციის დანერგვასა და განვითარებას. იგი რუსეთიდან და საზღვარგარეთიდან იწერდა მიწათმოქმედების მანქანა-იარაღებს. 1911 წელს მან პირველმა შეიძინა და კახეთში ჩამოიტანა ფორდის სისტემის ავტომანქანა. მოკლე ხანში თვითონვე შეისწავლა მანქანის ტარება.

ა. თუშმალიშვილმა სუვოროვის სახელობის საბჭოთა მეურნეობის გამოცდილებით წინანდალში მოაწყო კონიაკის ქარხანა, სადაც მზადდებოდა მაღალი ხარისხის კონიაკი. მეურნეობაში ახალგაზრდა მუშებისათვის მან 1925 წელს დააარსა კვალიფიკაციის ასამაღლებელი (2-წლიანი) კურსები. კურსებზე ასწავლიდნენ: მთავარი მეღვინე ა. ჭელიძე, მეღვინე გ. კანდელაკი, აგრონომი ნ. მაჭარაშვილი, ჰუმანიტალურ საგნებს ასწავლიდა ა. თუშმალიშვილის მეუღლე თამარა. ამ შრომას ყველანი დიდი მონდომებითა და სიყვარულით ეწეოდა, თანაც სრულიად უანგაროდ. ა. თუშმალიშვილის მეურნეობიდან წასვლასთან ერთად ამ კურსებმაც შესწყვიტა არსებობა.

ა. თუშმალიშვილმა წინანდლის საბჭოთა მეურნეობაში მოაწყო კარგი სამკითხველო, რომელიც მუშა-მოსამსახურეებს უზრუნველყოფდა მათთვის საჭირო ლიტერატურით. მეურნეობაში გაიხსნა კლუბი. კლუბში ადგილობრივი ძალებით იღვმებოდა წარმოდგენები, იმართებოდა კონცერტები. აქ თბილისიდან ჩამოდიოდნენ: ოპერის მომღერალი ალექსო, მსახიობები ნუნუ მაჭავარიანი, მიშა გელოვანი და სხვ.

ა. თუშმალიშვილი კარგად იცნობდა ალაზნის ორივე მხარეზე მცხოვრები გლეხობის მეურნეობებს. იგი მუდამ გლეხობასთან ტრიალებდა, ეცნობოდა მათ მუშაობას; იცოდა ვინ იყო გამრჩე, მშრომელი, ვინ უკეთეს ღვინოს აყენებდა, ვის უკეთ ჰქონდა დამუშავებული ვენახი. ალექსანდრე მუდმივ კავშირში იყო მათთან, აძლევდა მათ რჩევა-დარიგებას, ხშირად ეხმარებოდა საჭირო ინვენტარითა და ვაზის შესაწამლი ნივთიერებებით. იგი აწყობდა საუბრებს მევენახეობისა და მეღვინეობის საკითხებზე. ასე ცდილობდა იგი სამეურნეო ცოდნის გავრცელებას გლეხობაში. თავის მხრივ გლეხობას სჯეროდა ა. თუშმალიშვილისა და პატივისცემით ეპყრობოდა მას.

1912 წელს ა. თუმშალიშვილმა პირველმა ჩაუყარა საძირკველი ფილოქსერისგამძლე ამერიკული ვაზის საძირეს კახეთში⁸.

საქართველოში სტუმრად ჩამოსულ რუსეთის მიწათმოქმედების მინისტრ სმირნოვს დაუთვალა იერებია წინანდლის მეურნეობა თავისი სარდაფებითა და ზვრებით. მას ძლიერ მოსწონებია მეურნეობა.

„შეუყავებელი სიამოვნებით, უსაზღვროდ მოხარული ვარ აღვნიშნო წინანდლის სარდაფის საუკეთესო მდგომარეობაში მოყვანა და მასში ღვინის დაყენება-შენახვის ღირსეულ სიმაღლეზე დაყენება. მივესალმები ფილოქსერისაგან დაღუპული ვენახების აღდგენასა და, აყვავდეს კახეთის საუკეთესო ვაზის ახალი ნაშენები და მასთან ერთად აღსდგეს მეღვინეობის აკვანის — კახეთის დიდება“. — წერდა ტიმირიაზევის სახელობის სასოფლო-სამეურნეო აკადემიის მევენახეობა-მეღვინეობის კათედრის გამგე პროფ. გ. გოგოლ-იანოვსკი⁹.

„...კახეთის მიღწევათა შორის წინანდლის სარდაფს უდავოდ პირველი ადგილი უკავია. იგი წარმოადგენს მეღვინეობის ტექნიკის სათავეს, რომელიც ასულდგმულებს მეღვინეთა მუშაობას კახეთის საზღვრებს გარეთაც“ — წერდა ხარკოვის მევენახეობა-მეღვინეობის ინსტიტუტის პროფესორი მოგილიანსკი¹⁰.

„...მეღვინეობის ყველა რაიონს შორის კახეთმა ყველაზე მეტად განმაცვიფრა. ალაზნის ველი გაჯადოებს თავისი სილამაზითა და სიმდიდრით. წინანდლის, თელიანის, მუკუზნის ღვინოებმა მომხიბლეს თავისი სიწმინდითა და დახვეწილობით; მშვენიერია რქაწითელი, რომელიც იძლევა ტონების ფართო გამას. არანაკლებ ლამაზია საფერავი და გასაოცარია კაბერნე, ისინი დაძველების შემდეგ იძლევიან ისეთ ღვინოებს, რომლებიც საფრანგეთის ღვინოებს არ ჩამოუვარდებიან“, — აღნიშნავდა პროფ. ფროლოვ-ბაგრეევი¹¹.

„კვლავ აქ ვარ... წინანდალს ვესტუმრე ჩემი მსმენელებით ტიმირიაზევის სახელობის სამეურნეო აკადემიის სტუდენტებით და აგრონომებით. მოხარული ვარ, რომ მათ ვაჩვენე სანიმუშო სარდაფი, რომელშიც დაცულია კულტურული მეღვინეობის უმაღლესი ტრადიციები და გამდიდრებულია ახალი მიღწევებით“¹², — აღნიშნავდა პროფ. გ. გოგოლ-იანოვსკი. ასეთ შეფასებას აძლევდნენ წი-

⁸ თბილისის სამტრეხტის საარქივო მასალები, წიგნი 1, 1925, № 3147, გვ. 105.

⁹ ი. ხ მ ა ი ძ ე, წინანდლის ბაღი, 1946, გვ. 26—27.

¹⁰ ი ქ ვ ე, გვ. 27.

¹¹ ი ქ ვ ე, გვ. 28.

¹² ი ქ ვ ე, გვ. 35.



ԼՊՆ 21. Ընկերակի կողմից կազմակերպված արևմտյան հեղափոխության 25-ամյակի նշանակությամբ հավաքումը 1914 թվականին

ნანდლის მეურნეობას, რომელსაც ხელმძღვანელობდა ალექსანდრე
ტომას ძე თუშმალიშვილი.

1927 წელს სოფლის კავშირის გამგეობის თავმჯდომარე სახალ-
ხო კომისარს ა. გეგეჭკორს სწერდა: „სოფლის ერთ-ერთ მტკივნე-
ულსა და მზრუნველობის საკითხს წარმოდგენს გამოინახოს გამგის
თანამდებობაზე შესაფერი ცოდნითა და გამოცდილებით აღჭურვი-
ლი პირი „სოფლის კავშირის“ გამგებლობაში არსებული მუკუზნი-
სა და გურჯაანის სანერგეებში, რომლებსაც, როგორც მოგეხსენებათ,
უღარესად დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნის მეურნეობის
კულტურულად აღორძინებისა და განვითარების საქმეში.

სამწუხაროდ, დღემდე არ აღმოჩნდა შესაფერი კანდიდატი, რო-
მელიც შესძლებდა ჩვენი სანერგეების მესვეურობასა და ხელმძღვა-
ნელობას. საპასუხისმგებლო სამუშაოზე ზედმიწევნით გამოსადეგი
იქნება თქვენდამი რწმუნებულ უწყებაში მომუშავე ამხ. თუშმალი-
შვილი... გამგეობა სავსებით დარწმუნებულია, რომ კომისარიატი
ჯეროვან ანგარიშს გაუწევს ჩვენი სანერგეების მდგომარეობას და
ყოველმხრივ ხელს შეუწყობს ამხ. თუშმალიშვილის „სოფლის კავ-
შირის“ სამსახურში გადმოსვლას. გამგეობა იმედოვნებს აგრეთვე,
რომ პირადად თქვენ მისცემთ ამხანაგურ რჩევა-დარიგებას დასახე-
ლებულ თუშმალიშვილს, რომელსაც შესაძლოა ეძნელებოდეს შეჩ-
ვეული უწყებისათვის თავის დანებება და „სოფლის კავშირში“
გადმოსვლა“¹³.

ა. თუშმალიშვილი მიწათმოქმედების კომისარიატმა დაუთმო
„სოფლის კავშირს“, რათა ხელი შეეწყოს ჩვენი ქვეყნის მეურნეო-
ბის კულტურულად განვითარებისა და აღორძინებისათვის.

წინანდლის მამულიდან წამოსვლისას კახეთის მეურნეობების მუ-
შა-მოსამსახურეებმა ალექსანდრეს გაუმართეს გამოსათხოვარი სა-
ღამო. სასახლის აივანი ხალხს ვეღარ იტევდა: ბევრი გულთბილი
სიტყვა წარმოითქვა მის დამსახურებაზე.

ა. თუშმალიშვილი ჩვეული ენერგიითა და მონდომებით შეუდგა
„სოფლის კავშირის“ (მუკუზნის, გურჯაანისა და ციხისძირის სანერ-
გეს მუხრანში) უღარესად დაქვეითებული მეურნეობის აღდგე-
ნას: ააშენა სათბური, ამერიკული ვაზის სადღედე, ჩაყარა ვაზი და გა-
აშენა დიდძალი ვენახი; მეურნეობაში გამოიყვანა წყალი. ამზადებ-
და და გლეხობას ურიგებდა ნამყენს. მოთხოვნილება ნამყენზე დი-

¹³ თბილისის სამტრესტის არქივი, წიგნი 3, 1927, გვ. 55.

დი იყო და მისი გავრცელება კარგ სამსახურს უწევდა გლეხობას ფილოქსერიისაგან განადგურებული ვენახების აღდგენაში. გურჯაანში სათბურის ვრცელ ტერიტორიაზე მთის კალთებზე დაღესტნის მემამულე შალიკაშვილის დროს სანიმუშო ხილის ბაღი იყო გაშენებული. ბაღის შემდეგ იწყებოდა ტყე, სადაც მრავლად ყოფილა ხოხბები. ა. თუშმალიშვილს აქ მხოლოდ ჯაგნარი და ტყე დახვედრია. ბუჩქებსა და მაცვლის ბარდებს მთლად დაეთვარა ეს ძვირფასი ხეხილი.

ა. თუშმალიშვილმა გააკაფევინა და ამოაძირკვინა მცენე ხეები და ბუჩქები; დაამარვინა მიწა და ნაკელი შეიტანა ნიადაგში. გაზაფხულზე დაგეგმილად დარგული მრავალნაირი ჯიშის ხეხილი აყვავდა ბაღში. მინახველს აოცებდა ბაღის აღდგენა. ერთი წლის შემდეგ ბაღმა მოსავალი მისცა მეურნეობას. როდესაც მეურნეობაში სათბური აშენდა, აღექსანდრემ გადაწყვიტა მონარჩენი სქელი მინა მზის სხივების საშუალებით წყლის გასათბობად გამოეყენებია და აბანო მოეწყო. ასეთი მზის აბანოები ამჟამად მთელ საბჭოთა კავშირშია მოწყობილი, მაგრამ 32 წლის წინათ ამ იდეის განხორციელება კახეთში ა. თუშმალიშვილის დიდი დამსახურებაა. სათბურის მინის ქვეშ საჩირედ ხმებოდა ხილი.

გურჯაანში ა. თუშმალიშვილის თაოსნობით მოეწყო სარაიონო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა. გამოფენისათვის მან მოაშინა რამდენიმე ათეული მსხმოიარე ვაზი და კასრებში გადაიტანა. გამოფენის შესასვლელში დეკორატიული ხეივანი მოაწყო. მეურნეობის ექსპონატები ცალკეულ პავილიონებში იყო წარმოდგენილი. მოეწყო ღვინოების დეგუსტაცია; გამოფენაზე წარმოდგენილი სოფლის მეურნეობის საუკეთესო პროდუქტებისათვის გლეხობას დაურჯდა ჯილდოები.

„სოფლის კავშირმა“ თუშმალიშვილს შესთავაზა მუხრანის მამულის ახლოს მდებარე ციხისძირის ხეხილის სანერგის ხელმძღვანელობა. ა. თუშმალიშვილი გაეცნო სანერგეს და ჯეროვან სიმაღლეზე დააყენა იგი.

„ვისაც შრომა უყვარს, მას სხვისი შრომის დაფასებაც ეცოდინებაო“,—იტყოდა ხოლმე ა. თუშმალიშვილი. მას ზარმაცი, უქნარა ხალხი არ უყვარდა. არდადეგებზე ჩამოსულ თავის შვილებს გლეხებთან ერთად ამუშავებდა ხეხილისა და ვენახის ბაღებში.

„სოფლის კავშირის“ სისტემაში ა. თუშმალიშვილმა დაჰყო 1932 წლამდე, რის შემდეგ ეს სანერგეები და მამული მუქუზნის სახალხო მამულს შეუერთეს.

1932 წელს იგი დაინიშნა მუკუზნის მეურნეობის უფროს სპეციალისტად. მან მოიწვია გამოცდილი ბულგარელი მეზოსტნეები და შესანიშნავი ბოსტანი მოაწყო მუკუზანში. ამავე 1932 წელს ა. თუშმალიშვილი გადაყვანილ იქნა წინანდლის მეურნეობის თელიანის განყოფილების გამგედ. ამ დღიდან აქ საგრძობლად გაიზარდა მოსავლიანი ვენახების ფართობი.

ალექსანდრეს შრომასთან ერთად გართობაც უყვარდა, მაგრამ ქართულ ზღვა ვენახებსა და ღვინოში გაზრდილი მთვრალი არასოდეს არ უნახავთ. ისე როგორც შრომაში, ასევე ღვინოშიაც მუდამ ფხიზელი იყო და თუ მეურნეობაში ზომაზე მეტად ნასვამს შეხედებოდა, უქველად გაკიცხავდა. ის თვლიდა, რომ ეს მანვე ჩვეულება ჯანმრთელობისათვისაც საზიანოა და თვით ადამიანისათვის დიდად დამამცირებელი.

1937 წლის გაზაფხულზე ა. თუშმალიშვილი ჯანმრთელობას უჩიოდა. მეუღლე თხოვდა სამსახურისათვის თავი დაენებებია და დაესვენა. „შენ იცი, რომ მე ძალიან მიყვარს მეურნეობა. უნდა ვხედავდე ზღვა ვენახებს, თორემ უიმისოდ სიცოცხლე ვერ წარმომიდგენია“, — იყო ალექსანდრეს პასუხი.

ალექსანდრე თომას ძე თუშმალიშვილი, როგორც მეურნე, ყურადღებას იქცევდა განსაკუთრებული ორგანიზაციული ნიჭითაც. კარგი მომზადება, დიდი გამოცდილება და პრაქტიკა მას საშუალებას აძლევდა საუკეთესოდ გადაეწყვიტა ურთულესი სამეურნეო და ორგანიზაციული საკითხები. ალექსანდრე თომას ძეს პქონდა იშვიათი უნარი მუშებთან საერთო ენის გამონახვისა. მის დამახასიათებელ თვისებას შეადგენდა შესაფერი თანამშრომლების კარგი შერჩევა.

მისთვის მინდობილი ვენახები ყოველთვის საუკეთესო მდგომარეობაში იყო. მის მიერ დამზადებული ღვინოები გამოირჩეოდნენ მაღალი ხარისხით. მუკუზნის მეურნეობაში განთქმული იყო მის მიერ დაყენებული ვაზისუბნის ღვინოები. კარგი იყო აგრეთვე წინანდლის სუფრის თეთრი ღვინოები, ხოლო თელიანის წითელმა ბორდოსის ჯიშის კაბერნემ მსოფლიო სახელი მოიხვეჭა. როგორც კახეთის ყველა რაიონის კარგი მცოდნე, ის ისეთი ვაზის ჯიშებს შეარჩევდა ხოლმე, რომლებიც საუკეთესო ღვინოებს იძლეოდა.

ა. თუშმალიშვილი იყო დიდი პატრიოტი თავისი სამშობლოსი და თავისი საქმისა, პუშანური და გულშემატკივარი, თავმდაბალი და გულისხმიერი, მზრუნველი და მოყვარული თავისი ქვეყნისა — არა

უქმი სიტყვებით, არამედ დაუღალავი სასარგებლო შრომითა და საქმით.

43 წლის მანძილზე ალექსანდრე თომას ძე თუშმალიშვილი დაუღალავად, დიდი მონდომებით, ერთგულად ემსახურებოდა თავის საყვარელ საქმეს. უდავოდ დიდია მისი დამსახურება საქართველოს სოფლის მეურნეობის, კერძოდ კი მევენახეობა-მეღვინეობის, განვითარებაში.

ალექსანდრე თომას ძე თუშმალიშვილი 1938 წელს გარდაიცვალა.

გიორგი თაქთაქიშვილი

ცნობილი მიწურინელი გიორგი მიხეილის ძე თაქთაქიშვილი სამოცი წლის მანძილზე ემსახურა საქართველოში მეხილეობისა და მებოსტნეობის განვითარების საქმეს.

გიორგი თაქთაქიშვილი დაიბადა 1876 წელს სოფელ ქვემოხვითში (კასპის რაიონი). თბილისის კლასიკური გიმნაზიის დამთავრების შემდეგ ერთ წელიწადს ისმენდა ლექციებს ტიმირიაზევის სასოფლო-სამეურნეო აკადემიაში.

გიორგი თაქთაქიშვილს ყრმობიდანვე უყვარდა ბუნება. „თბილისის გიმნაზიაში ვსწავლობდი და ბოსტანზე და ხეხილზე ვფიქრობდი, — იგონებს გ. თაქთაქიშვილი. — გული ხალისობდა, როცა არდადეგებზე, ზაფხულობით, ჩემს სოფელში ჩამოვიდოდი... მოლი, ტყე, მდინარე, ნაკადულები ამდერებს გულს, სიცოცხლეს გმატებს... მიყვარდა და მაოცებდა ბუნება... ბალღი ვიყავი, როცა ხეხილის ნარგავებს დაეტრიალებდი! მამაჩემს არც ისე ეპიტნავენოდა ჩემი ასეთი საქციელი, მამაჩემი უფრო ქალაქური ცხოვრებისაკენ მომიწოდებდა: გიმნაზია, თბილისი, სამსახური! მე კი ვოცნებობდი: წამოვიზარდები, მივიჩნევ ჩემთვის მიწის ნაკვეთს, შემოვაკავებ, გადავბარავ, გავმართავ შესანიშნავ ბოსტანს და გავაშენებ ხეხილის ბაღს, ამ ბაღშივე დავდგამ სახლს, ვიცხოვრებ ბუნების წიაღში“¹.

მამის გარდაცვალების შემდეგ გიორგის თავის სოფელში გული აღარ უდგებია. მას იზიდავს ბორჯომის ხეობა. იგი ბორჯომის აღმოსავლეთით ექვს კილომეტრზე, მტკვრის მარცხენა ნაპირზე მდებარე პატარა და ლამაზ სოფელ რველში სახლდება.

¹ ა. აღაშიანი, მებაღე, 1949, გვ. 39, 40.

1901 — 1902 წლებში გ. თაქთაქიშვილმა სოფელ რველში გააშენა ხეხილის ბაღი. ეზოში გამოყო საცდელი ნაკვეთი ბოსტნისა და ხეხილისათვის. მოსკოვის, როსტოვისა და პარიზის მეთესლეობის სადგურებიდან გამოიწერა თესლი. მაგრამ როცა ნაყოფის გამოღების დრო დადგა, მსხლისა და ვაშლის ბევრი ჭიში უვარგისი აღმოჩნდა, მაგალითად: რენეტი, ნაცრისფერი ფრანგული, ორლენური, ბელფლერი, თეთრი საზამთრო კალვილი. გ. თაქთაქიშვილმა ისინი რაიონისათვის სამრეწველო მნიშვნელობის მქონე უფრო გამძლე ჭიშებზე დაამყნო. როდესაც გიორგი დარწმუნდა ახლად მიღებული ჭიშების ვარგისიანობაში, მხოლოდ ამის შემდეგ ურჩია მოსახლეობას თავიანთ საკარმიდამო ნაკვეთებზე გაეშენებინათ ეს ჭიშები.

ამავე დროს გ. თაქთაქიშვილი მოსახლეობას პრესის საშუალებით უმარტავდა ხეხილის მოვლა-გაშენების წესებს. იგი სისტემატურად თანამშრომლობდა ჟურნალ „მოსავალში“. ერთგან იგი წერს: „მონილიათი ხდება ავად ვაშლი, კომში, ქლიავი, ბალი, ალუბალი. დაავადებული ნაყოფი აღარ იზრდება, ღებება და გარედან თეთრი ობივით სოკო ეკიდება. ასეთი ნაყოფი ან ცვივა ძირს ან ხმება და მეორე გაზაფხულამდე რჩება ხეზე“². შემდეგ წერილში დაწვრილებითაა მოთხრობილი ამ დაავადების წინააღმდეგ წამლობა.

გ. თაქთაქიშვილმა პირველმა მთელს ბორჯომის რაიონში საფუძველი ჩაუყარა კულტურულ მეურნეობას. მისმა მუშაობამ ბრწყინვალე შედეგები გამოიღო. ბორჯომის რაიონის მკაცრი ჰავისათვის შესაფერი ჭიშები გამოიყვანა და გამოსადეგი სამრეწველო ასორტიმენტის მასალები დაამუშავა. მან პირველმა შექმნა კულტურული სახის კურკოვანი ჭიშები: შავი თათრული ბალი და დროვანა, ფრანგული ქლიავი და რენკლოდი. მის მეურნეობაში აკლიმატიზებული ატმები საუკეთესო გორული ჭიშის ატმებს უტოლდება.

გიორგი თაქთაქიშვილი თავის ვაჟიშვილ მიხეილთან ერთად ატარებდა ზონალურ ცდებსა და დაკვირვებებს. ამიტომ ბორჯომის რაიონიწვანმა ავარაკების ტბისა და მზეთამზეს კოლმეურნეობებს მისცა ორ-ორი ჰექტარი ხეხილის ბაღების გაშენების გეგმა. ამ გეგმის საფუძველზე უნდა გაეშენებინათ მსხლები: სერუენმენი, ანუეული, მზეთუნახავი, ივლისის დეკანკა, კეხურას ჭიშის ზამთრისა და ზაფხულის ვაშლები.

გ. თაქთაქიშვილი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ დაინიშნა თბილისის საგარეუბნო მეურნეობათა

² ჟურნალი „მოსავალი“, 1910, № 7, გვ. 13, 14.



მრჩეველ-აგრონომად. მან თავისი მდიდარი გამოცდილების საფუძველზე სამაგალითოდ მოაწყო სოღანლუღის, საგურამოსა და არტელ „მუზიანის“ მეურნეობები.

გ. თაქთაქიშვილის მუშაობით დაინტერესებულმა გლეხობამ ხეხილის დარგვას ენერგიულად მოჰკიდეს ხელი. 1926 წლიდან მთელმა რიგმა კოლმეურნეობებმა დიდძალი სამრეწველო ხასიათის ხეხილი გააშენა; აქედან ვაშლი: დანსბერგი, ბაუმანის რენეტები, შამპანური რენეტი, გერმანული Türstnapfel grünet, კეხურა, წითელი ასტრახანული; მსხლები: სენყერმენი, ივლისის დეკანჯა, ანუჟელი, მზეთუნახავი; ბლები: შავი თათრული და ყვითელი დროგანა. გაზეთი „მუშა“ 1927 წელს წერდა: „გიორგი თაქთაქიშვილს ბორჯომის თემის გლეხობაში დიდი ნღობა და პატივისცემა აქვს დამსახურებული. ეს აიხსნება იმით, რომ იგი ჭირში და ლხინში გლეხებთანაა. მათთან ერთად მუშაობს სოფლის საკეთილდღეოდ.

იგი 30 წელიწადია, რაც სოფ. რველში აწარმოებს კულტურულ მეურნეობას. გლეხებმა მისგან შეისწავლეს ხეხილისა და ბოსტნეულის მოვლა-მოყვანა. სოფლები: რველი, ზნავი, ქანისხევი, ყვიბისი, ვაშლოვანი, ვარდგინეთი, ზედა და ქვედა ბეშეთი, კორტანეთი მისგან იძენენ თესლეულობას და ნერგს.

ხეობაში გიორგიმ პირველად შემოიღო ჭიშიანი პამიდორის მოყვანაც; გასხვლა და მოვლა. გლეხობამ ესეც შეისწავლა.

გიორგი თაქთაქიშვილი უანგარო და ფრიად პატიოსანი მუშაკია. ადგილობრივი ორგანიზაციებიც ღირსეულად აფასებენ მის შრომას..


კამო გიორგი თაქთაქიშვილის პირადი მეგობარი იყო. მონარქიზმის დროს მის სახლში სოფ. რველში მრავალ ცნობილ რევოლუციონერს და მათ შორის კამოს მთელი კვირაობით ჰქონდა ბინა.

თვით გიორგიც იღებდა მონაწილეობას 1905 წლის რევოლუციის ში³.

ბორჯომის რაიონში მეხილეობის განვითარებამ დღის წესრიგში დააყენა ხეხილის სანერგეების მოწყობის საკითხი. საქართველოს სსრ მეხილეობა-მებოსტნეობის სამმართველომ სანერგეები სანამყენე მასალის მისაღებად თაქთაქიშვილის მეურნეობას მიამაგრა.

გ. თაქთაქიშვილი თავის მეურნეობაში განსაკუთრებულ ყურადღებას ხეხილის ბაღების განოყიერებას აქცევდა. ამ მიზნით გამოიყენა სასუქი მწიფე კომპოსტი, რომელიც საქონლის, ფრინველისა და დაფხვნილი ძვლების ნარევეს წარმოადგენს.

³ გაზეთი „მუშა“, 1927, 16 ოქტომბერი, გვ. 6.



სურ. 25. გიორგი თაქთაქიშვილი

ვაშლის ძვირფას ჯიშებს შამპანურსა და კანადურ რენეტებს იგნისის თვეში ნაყოფის ბუტკოები ცვივოდათ. ამიტომ გ. თაქთაქიშვილი ვილმა წლების განმავლობაში მათზე ყვავილობის დროს განსაკუთრებული აგროტექნიკური ღონისძიებანი ჩაატარა, როგორცაა შემოფისვა, მავთულით მოჭიმვა და ტოტების დაღუნვა. ამავე დროს გ. თაქთაქიშვილი ენერგიულად ებრძვის ხეხილის მავნებელ მწერებსა და სოკოვან დაავადებებს. აწარმოებდა ხეხილის გასხვლასა და სხვ.

გ. თაქთაქიშვილის მიერ ჩატარებული აგროღონისძიებების საფუძველზე მეურნეობიდან სამი წლის მანძილზე მიღებულ იქნა 77 ტონა, ე. ი. საშუალოდ 26,6 ტონა ჰექტარზე (1938 წელს კი 40 ტონა), მაღალხარისხოვანი თესლოვანი და კურკოვანი ხილი. ეს სარეკორდო მოსავალია.

1930 — 1935 წლებიდან სოფლის-მეურნეობის გარდაქმნასთან დაკავშირებით დიდმის, წეროვნის, სოღანლუდის, ყარაიას, გორის, ხაშურის, ვანის, სამტრედიისა და სხვა რაიონების მეურნეობებში ვრცელდებოდა გ. თაქთაქიშვილის მიერ გამოყვანილი ბოსტნეული კულტურის ჯიშები: პამიდორი „რველი“, „მუზარადი“, ხანვი „რეკორდი“, საადრეო კომბოსტო „იდიალი“, სტაფილო „ფეონი“, ლობიო „კუტი“ (გ. თაქთაქიშვილი № 1 და № 2).

ყოფილ ყარაიას რაიონის კოლმეურნეობებში 1930 წლიდან (მანისის თვეში) მოჰყავთ ადრეულა კომბოსტო „იდიალი“. ამ ჯიშმა კოლმეურნეობებს ჰექტარზე საშუალოდ 30 ტონა მაღალხარისხოვანი პროდუქცია მისცა. ამ რაიონებში გავრცელებული ხახვი „რეკორდის“ ერთი თავი 400 — 500 და ზოგჯერ 700 — 800 — 900 გრამსაც კი იწონის ხოლმე. იგი აგრეთვე ფართოდ არის გავრცელებული ბორჯომის, გორის, ხაშურისა და სხვა რაიონებში. ხახვი „რეკორდი“ გადარგვის სისტემით ჰექტარზე 30 — 35 ტონა მოსავალს იძლევა.

ბორჯომის რაიონის კოლმეურნეობებში (ყვიბისი, ახალდაბა, პატარა ახალდაბა, რველი, ვარდგინეთი, ჭობისხევი, ვაშლოვანი და ზანავი) გავრცელებულია პამიდორი „მუზარადი“, „იმპერიალი“ და „რველი“. აღნიშნული ჯიშები მაღალპროდუქტიულია. იგი გამოირჩევა როგორც სიუხვით, ასევე ხარისხით. სამმა კოლმეურნეობამ ყვიბისმა, რველმა და ახალდაბამ მარტო 1938 წელს 200 ათასი მანეთის პროდუქცია ჩააბარეს ბორჯომისა და წაღვერის სანატორიუმებს. თესლი კოლმეურნეობებმა უსასყიდლოდ მიიღეს გ. თაქთაქიშვილისაგან.



სოფელ ყვიბისის საშუალო სკოლამ თავთაქიშვილის უშუალო დახმარებით და მის მიერვე მიცემული თესლით გააშენა ბოსტანი ბოსტანმა სკოლას დიდი სარგებლობა მისცა.

ბორჯომის რაიონში არ ხარობდა ნესვი და საზამთრო. ამის შესახებ გ. თავთაქიშვილი გადმოგვცემს: „არავის მოსწრებია რველში ნესვი და საზამთრო... უკვე მერამდენედ დავთესე ნესვის ორი ჯიში — „დედოფალა“ უკრაინული და „კანტალუპი“ ფრანგული. „დედოფალა“ მომცრო ტანისა იყო და ერთობ ტკბილი. მაგრამ მცირე ავდარსაც ვერ უძლებდა. მწიფობის ხანაში საკმარისი იყო ოდნავი წვიმა და „დედოფალა“ სკდებადა. „კანტალუპი“ კი დიდი მოცულობისაა, კუთხოვანი, ავდრიანობას უძლებს, ოღონდ სიტკბო ნაკლები აქვს!“. ამ ორი ჯიშის შეჯვარების შედეგად გამოყვანილმა თესლმა პირველსავე წელს გაიხარა. ამრიგად გ. თავთაქიშვილმა მიიღო ნესვის ახალი ჯიში, რომელმაც სიტკბო შეინარჩუნა „დედოფალასი“, ხოლო გამძლეობა და სიდიდე — „კანტალუპისა“.

გ. თავთაქიშვილის მიერ ჩატარებული ხანგრძლივი სელექციის შედეგად მიღებულია 8 — 10-კილოგრამიანი საზამთრო, რომელიც ფართოდ არის გავრცელებული ჩვენში.

გ. თავთაქიშვილის მეურნეობის პროდუქცია წარდგენილი იყო სასოფლო-სამეურნეო გამოფენებზე: გორში — 1925 წ., ბორჯომში — 1929 — 1934 წწ., თბილისში — 1930 და 1933 წლებში. ამ გამოფენებზე გ. თავთაქიშვილის მიერ წარმოდგენილი ხილი და ბოსტნეული მაღალ შეფასებას იმსახურებდა.

გ. თავთაქიშვილი დიდ ყურადღებას აქცევდა პროდუქციის ხარისხსა და გემოს. ამ მიზნით იგი თბილისის სანიტარიულ-პიგიენტური ინსტიტუტის ლაბორატორიაში სისტემატურად გზავნიდა ხილს ზუსტი ანალიზისათვის. თვალყურს ადევნებდა ხილის შაქრიანობასა და სიმჟავეს.

დღეს ყველასათვის ცნობილია: „რველი № 1“, „რველი № 2“, ხახვი „ბორჯომის რეკორდი“, თეთრთავიანი კომბოსტო „ბორჯომის იდეალი“, ნესვი „თავთაქიშვილი“, ჭარხალი „ქართლი“, სტაფილო „მესხეთი“. ესენი ფართოდაა გავრცელებული ჩვენს რესპუბლიკაში და მის გარეთაც.

მამა-შვილ გიორგი და მიხეილ თავთაქიშვილებს ჩვენი რესპუბლიკის გარეთაც იცნობენ. საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე აღტაცებული იყვნენ თავთაქიშვილების

4 ა. ადამია, მებაღე, 1949, გვ. 45.

მიერ გამოყვანილი ხილისა და ბოსტნეულის ნიმუშებით. გ. თაქთა-
ქიშვილი უამრავ წერილს იღებს ჩვენი ქვეყნის ყოველი კუთხიდან.
პასუხად იგი სოფელ რველიდან თბილისში, სარატოვში, კრასნო-
დარში, ჩკალოვსა და სხვაგან გზავნის ამანათებს თესლებითა და
სანამყენე მასალით.

ცენტრალური შავნიადაგიანი ზოლის მიწათმოქმედების ინსტი-
ტუტიდან ა. იუღინი გიორგის წერს: „განსაკუთრებით მოგვეწონა
თქვენი ხახვი. ის დიდი და შესანიშნავი გემოსია“⁵.

„ძვირფასო გიორგი მიხეილის ძე! ნება მიბოძეთ მადლობა გა-
დაგიხადოთ თესლისა და კომბოსტოს ახალი ჯიშისათვის, — იწე-
რება ორენბურგის ოლქის დაბა შაპოშნიკოვოდან მიჩურინელი
ნ. ვოტენკოვიჩი. — კომბოსტო, კიტრი ჩვენი ორენბურგის ოლქის
პირობებში ყველაზე აღრეული და საუკეთესო აღმოჩნდა. კომბოს-
ტოსა და კიტრის სანახავად ჩვენი კოლმეურნეობის ყველა წევრი
მოვიდა“⁶.

ქართველი მიჩურინელი მიღწეულით არ კმაყოფილდება და ყო-
ველდღიური მუშაობით ახალ-ახალ წარმატებებს აღწევს. ბოლო ხა-
ნებში მან გამოიყვანა გოგრა „თაქთაქიშვილი“, რომელსაც ავტორის
მოხდენილი გამოთქმით დედა ესპანელი ჰყავს, მამა ფრანგი და
შვილი ქართველი.

გიორგი თაქთაქიშვილმა მოწოდებით მიმართა მთელი ჩვენი
ქვეყნის მიჩურინელებს, რომ მათ ფართოდ გაეცრცელებინათ თა-
ვიანთი გამოცდილება და ყველაფერი გაეკეთებინათ მებოსტნეობის
აღმავლობისათვის. გიორგის კრასნოდარის მხრიდან სოფლის მეურ-
ნეობის მეცნიერებათა დოქტორმა ა. კუზნეცოვმა უპასუხა: „ღრმად
პატივცემულო და ძვირფასო გიორგი მიხეილის ძე! თქვენ წერილს
კმაყოფილებით გადავიკითხავ ხოლმე და მიხარია თქვენი ხმის ვა-
გონება. მიხარია, რომ თქვენ კვლავ შეძელით გემოგზაურათ რუ-
სეთში, გასცნობოდით ხალხსა და გენახეთ რა დღეშია ჩვენი მებოს-
ტნეობა. წარმომიდგენია, როგორი გულისტკივილით უყურებდით
მებოსტნეობის ჩამორჩენას, მის დაბალ ხარისხს. მერედა ეს ყველა-
ფერი ზომ ჩვენი საბჭოთა ადამიანის კვებას ხმარდება, ადამიანისა,
რომელიც ბევრსაც შრომობს და კარგადაც. ეს ადამიანი ისე არ
შრომობს, როგორც შრომობდა თქვენს ახალგაზრდობაში. დღეს ჩვენ

⁵ Г. Давиташвили, Под небом Грузии, 1960, гл. 212.

⁶ იქვე, გვ. 12.

ადამიანს კვებაც უკეთესი უნდა, ვიდრე უწინ. მაგრამ, ჩვენ, მებოს-
ტნეები ამ დიდ საბჭოთა ადამიანს დაუმსახურებლად ცოტას და
უხარისხოს ვაწვდით. მე კარგად მესმის, რამაც გაიძულათ თქვენ
ხმა ამოგეღოთ. მე მიხარია, რომ თქვენი გული ვერ ითმენს. მიხა-
რია და მადლობელი ვარ თქვენი წინადადებისა და თქვენი კარგი
აზრებისათვის...“⁶

გიორგი თაქთაქიშვილი დღეს 83 წლისაა. ჩვენი ქვეყნის ყოვე-
ლი კუთხიდან მოსული მადლობისა და მისალმების სიტყვები მისი
ღვაწლმოსილების შესანიშნავი დადასტურებაა. მისი ცხოვრება სავ-
სეა ხალხის კეთილდღეობისათვის გაწეული თავდადებული და უან-
გარო შრომით.

ვასილ ბესტავაშვილი

ცნობილი ქართველი მიხურინელი ვასილ გიორგის ძე ბესტავაშ-
ვილი დაიბადა 1982 წლის 15 მაისს გორის მაზრის სოფელ ატენში,
გლეხის ოჯახში.

ვასილს პატარაობიდანვე იტაცებდა ბუნება. როგორც მისი მო-
გონებიდან ჩანს, იგი თავის ტოლებთან ერთად დიდიდან საღამომ-
დე დადიოდა ტყეში, მინდორში, მდინარეზე; იჭერდა თევზებს,
კრეფდა ყვავილებს, აგროვებდა სხვადასხვა მცენარის თესლს, რომ
შემდეგ თესლი თავის მიერ მოწყობილ პატარა „ბაღში“ დათესა.

ატენის ხეობა ეკუთვნოდათ თავად ორბელიანებს, კერძოდ ვახ-
ტანგ ორბელიანის ქალს მარიამ ორბელიანს, რომელიც დიდად ვა-
ნათლებული ყოფილა. მარიამმა თავიდანვე მიაქცია ყურადღება
ბუნებით მოუსვენარ პატარა ვასოს და სთხოვა ილია წინამძღვრიშ-
ვილს, რომ თავისთან წაეყვანა იგი. მართლაც, 1890 წელს ილია წი-
ნამძღვრიშვილმა წაიყვანა პატარა ვასო წინამძღვრიანთკარის სა-
სოფლო სამეურნეო სასწავლებელში. აქ იგი სწავლობდა 1892
წლამდე. ამ სასწავლებელში დაუმეგობრდა იგი მომავალ მწერალს
მიხეილ ჭავჭავიშვილს, რომელიც ადამაშვილის გვარით იყო მაშინ
ცნობილი.

1892 წელს ვასილმა სწავლა განაგრძო გორის სამოქალაქო სას-
წავლებელში, რომელიც 1898 წელს დაამთავრა. ვასილს დიდი სურ-
ვილი ჰქონდა სწავლა უმაღლეს სასოფლო-სამეურნეო სასწავლე-

⁶ Г. Давиташвили, Под небом Грузии, 1960, гл. 212.

ბელში გაეგრძელებინა, მაგრამ უსახსრობის გამო ეს ვერ შეძლო. 1898 წელს იგი შევიდა თბილისის საბაღოსნო სასწავლებელში, სადაც სოფლის მეურნეობის ყველა ძირითად დარგს ასწავლიდნენ გარდა მეღვინეობისა. სასწავლებელში ვასილი გამოირჩეოდა მუყაოთი სწავლითა და შრომით. აქ მასთან ერთად სწავლობდა ს. ჩოლოყაშვილი — შემდგომი მევენახეობის პროფესორი.

ვასილმა თბილისის საბაღოსნო სასწავლებელი 1910 წელს დაასრულა და იმავე წელს გაემგზავრა იალტაში ნიკიტის მეზაღვინეობის სასწავლებელში მაგარაში. იქ თბილისელი ამხანაგებიდან სწავლობდნენ: ს. ჩოლოყაშვილი, ზ. ჯორჯაძე, გ. თარხნიშვილი და სხვები.

სასწავლებელში ვასილი თავიდანვე იპყრობს მასწავლებელთა ყურადღებას. მას, როგორც დაუზარებელსა და ბეჯით ახალგაზრდას, ავალევენ ქართული ღვინის ნიმუშების შეგროვებას ნიკიტის სასწავლებლის კოლექციისათვის. ეს დავალება მას პირნათლად შეუსრულებია და წარუდგენია საკუთარი ღვინის ორი ნიმუშიც ატენიდან, რომლებსაც დეგუსტაციის დროს ენოქიმიის პროფესორმა ა. ხოგენკომ მაღალი შეფასება მისცა, როგორც საუკეთესო საშამპანურე მასალას.

„როგორც ხელმოკლე კაცს, — მოგვითხრობს ვასილი, — დიდათ გვიჭირდა ცხოვრება და მიძინელებოდა ვენახის კულტურულად გაშენება. სავენახე ადგილები ჩვენთან იმყოფებოდა გაშლილ, ტრიულ მინდორზე. აუცილებელი იყო ცოცხალი ღობის შემოვლება მრავალი წლების მანძილზე ექსპლოატაციის შედეგად მამული საჭიროებდა სასუქს და ნიადაგის გადაბრუნებას, ამის შესრულება კი ეკონომიურად არ შემეძლო და ამიტომ გადავწყვიტე, როგორც მოსახლეობისათვის, ისე პირადად ჩემთვის სასარგებლო საქმის დაწყება... იმ ხანებში ატენის ვენახებში თავი იჩინა ფილოქსერამ, საჭირო გახდა თანდათანობით ვენახების გადაახლება ნამყენი ვაზის საშუალებით. მე კი ამ საქმეს ვიყავი დაუფლებული და ჩემი ნაკვეთის 0,25 ჰექტარზე მოვაწყე ამერიკული ვაზის სადედე. ადგილობრივი მოსახლეობიდან მსურველებს შევასწავლე ნამყენის კეთება და ამ გზით გავეუწიე მოსახლეობას დახმარება ვენახების გადაახლების საქმეში. ამავე დროს მომეცა შესაძლებლობა ვენახის წესიერად გაშენებისა“¹.

¹ ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ბუჩქეზილ-ლი განყოფილების დოკუმენტების ფონდი. ვ. ბ ე ს ტ ა ე ა შ ვ ი ლ ი ს მ ო გ ო ნ ე ბ ა.



სურ. 26. ვასილ ბესტავაშვილი.

ქუჩა

ვასილ ბესტავაშვილის მუშაობა მოსახლეობისათვის სანიმუშო და სამაგალითო გახდა. მანამდე ვენახის გაშენება მხოლოდ დაბარულ ან გუთნით მოხნულ ფართობში ვახის რქის უბრალოდ და არეულად დარგვით ხდებოდა, ვასილის რჩევით შემოიღეს ნიადაგის გადაბრუნება და ვახის მწკრივში გაშენება. იმხანად მოსახლეობის დიდმა ნაწილმა არ იცოდა ვენახის სამკურნალოდ ბორდოსის ხსნარის შეზავება, წამლობის ვადები და შესხურების წესები. იყო შემთხვევები, როცა გლეხებს უკოდინარობის გამო ვენახებში დაჰქონდათ ქვაბები და შაბიამნის გასადნობად წყალს აცხელებდნენ. ვახის მავნებლებთან ბრძოლის საქმეს მეფის მთავრობაც გულგრილად ეკიდებოდა და სოკოვან დაავადებათა გამრავლებით მოსავლიანობაც საგრძნობლად მცირდებოდა. ეს გარემოება დიდად აწუხებდა ვასილ ბესტავაშვილს და ამიტომ იყო, რომ იგი უანგაროდ ეხმარებოდა ჩვენს გლეხობას. ხშირად იგი თვითონ მიდიოდა გლეხთან და პრაქტიკულად უჩვენებდა, თუ როგორ უნდა ვახის მოვლა, წამლის შეზავება და წამლობა.

მეფის რეჟიმის დროს სოფლის მეურნეობის განვითარებასა და წინსვლას ადგილი არ ჰქონია. მნიშვნელოვნად მცირდებოდა ფილოქსერისადმი ნაკლებად გამძლე ჯიშები: ბუდეშური, გორული მწვანე, თავკვერი და სხვ. ვახის სხვა ჯიშები ატენის მიდამოებში თითქმის არ იყო გავრცელებული.

ეს გარემოება უარყოფით გავლენას ახდენდა ქართლის მევენახეობა-მელენეობაზე, რამაც აფიქრებინა ვასილ ბესტავაშვილს შემოეტანა ვახის სხვა ჯიშები, გამოეცადა და თანაც შეჭვარების გზით გამოეყვანა ახალი ჯიშები, რომლებიც ქართლის პირობებში ადრე დამწიფდებოდნენ, უხვმოსავლიანნი იქნებოდნენ და გაუძლებდნენ სოკოვან დაავადებებს. ამ მიზნით ვასილმა შემოიტანა და აღვილობრივ არსებულ ჯიშებთან ერთად გააშენა კახური საფერავი, ალიგოტე, რქაწითელი, ქალთითა, თეთრი თავრიზი, განჯური, შაუში, შასლა თეთრი. მან შემოიტანა აგრეთვე სხვადასხვა ჯიშის ამერიკული ვახის საძირე და სხვ.

სულ სხვა მდგომარეობა იყო იქ ატმის კულტურის მხრივ. ძირითადად გაშენებული იყო ადგილობრივი ატმის ჯიშები როგორც სახრავეი, ისე საპობი. ატამი გემოვნებით თუ კარგი იყო, სამაგიეროდ ვერ იტანდა ტრანსპორტს და გარეგნულადაც არ იყო მიმზიდველი. ამ ნაკლის გამოსასწორებლად ვასილ ბესტავაშვილმა ატმის ადგილობრივი ჯიშები შეცვალა უკეთესი სანრეწველო ხასიათის ჯიშე-

ბით: ამჟამად ცნობილი ხიდისთაური ვარდისფერით, ხიდისთაური თეთრითა და ხიდისთაური ყვითელი საგვიანოთი.

1912 წლიდან კიდევ უფრო ინტენსიურ მუშაობას ეწევა ვასილი ახალი ჯიშების გამოყვანის მიზნით. ამ დროისათვის მას ჰქონდა საკუთარი ბაღი და სანერგეები, სადაც შესაძლებელი იყო მუშაობა.

პრაქტიკულ მუშაობასთან ერთად ვასილი სისტემატურად თანამშრომლობს ჟურნალ „ვესტნიკ ვინოდელიაში“, რომელიც გამოდიოდა ქალაქ ოდესაში ტაირივის რედაქტორობით. ვასილი ამ ჟურნალში ათავსებდა წერილებს ქართლის, კერძოდ გორის ახლომახლო სოფლების, მევენახეობისა და მეღვინეობის თაობაზე.

ვასილ ბესტავაშვილი მუშაობდა აგრეთვე გორისა და ხაშურის რაიონებში აგრონომ-ინსტრუქტორად. იგი სოფლის გლეხობას უტარებდა საუბრებს მეურნეობის აქტუალურ საკითხებზე, ასწავლიდა მათ მყნობის წესებს, ეხმარებოდა მიწათმოქმედების გაუმჯობესებელი მანქანა-იარაღების ათვისებაში და სხვ.

მიუხედავად იმასა, რომ ვასილს ეკონომიურად ძალზე უჭირდა, იგი 1911 წლიდან დროებით თავს ანებებს სამსახურს და თავის ნაკვეთზე იწყებს კვლევითი მუშაობის გაშლას.

ახალი ჯიშების გამოსაყვანად იგი იყენებს მცენარეთა შეჯვარების მეთოდს. მან კარგად იცოდა, რომ შეჯვარების გზით შეიძლებოდა მცენარის სისარგებლო სამეურნეო თვისებების გაძლიერება. ვასილი კარგად იყენებდა თავის თეორიულ ცოდნას იმ პრაქტიკულ საქმიანობაში, რომელსაც იგი თავის ნაკვეთში აწარმოებდა და რომელმაც მისი მოღვაწეობა ცნობილი გახადა ფართო საზოგადოებრიობისათვის.

საყურადღებოა ვასილის მუშაობა ადგილობრივი და უცხოური ვაზის ჯიშების შეჯვარების საქმეში. ამ გზით მან მიიღო პერსპექტიული ვაზის 24-მდე ახალი ჰიბრიდი, რომლებიც ხასიათდება მთელი რიგი დადებითი ნიშან-თვისებებით.

პირველ მსოფლიო ომში ვ. ბესტავაშვილმა სამი წელი დაჰყო. ომიდან დაბრუნებისთანავე შეუდგა დაწყებული საქმის გაგრძელებას ახალი ჯიშების შესაქმნელად.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე და მის შემდეგაც ვასილი ენერგიულად ეწევა თავის საყვარელ საქმიანობას.

1922 წლიდან 1935 წლამდე იგი მუშაობს დღუშეთის სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაცია-დაწესებულებაში: სოფლის მეურნეობის საოლქო განყოფილებაში, რაიკავშირში, ბულაჩაურის

სანერგეში, ბრეთის საბჭოთა მეურნეობაში, ატენის სამთო საბჭოთა მეურნეობაში, ქვემო ახალსოფლის ამერიკული ვაზის სადღეღმეურნეობაში.

ამ დროის განმავლობაში პარალელურად იგი ახერხებს საჭირო დროის გამოწინასწარმისა და ვაზის სხვადასხვა ჯიშის შეჯვარებას. 1930 — 1935 წლებში მან მიიღო ატმის ცნობილი ჯიშები: ბესტავაშვილის ატამი და წედისური. 1935 — 1938 წლებში იგი კვლავ თავის მეურნეობაში მუშაობს.

1938 წელს ვასილ ბესტავაშვილი მუშაობას იწყებს გორის რაიონის სოფელ წედისის ქდანოვის სახელობის კოლმეურნეობაში აგრონომად. იგი ამავე დროს პოულობს დროს თავის ნაკვეთში სამუშაოდაც.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ვ. ბესტავაშვილის თავდადებულ მუშაობას არავითარი ყურადღება არ ექცეოდა. თუ რაიმე შექმნა მან ცარიზმის პერიოდში მხოლოდ პირადი ინციტინითა და საკუთარი სახსრებით. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ფართო გასაქანი ეძლევა ვასილის მუშაობას. მან საბჭოთა პერიოდში ატმისა და ვაზის მრავალი ძვირფასი ჯიში და ჰიბრიდი გამოიყვანა.

ჩვენმა ხალხმა ღირსეულად დააფასა ვ. ბესტავაშვილის ნაყოფიერი მუშაობა. მას დაენიშნა პერსონალური პენსია. სოფელ წედისში მდებარე მისი ნაკვეთი დამტკიცებულია საცდელ-საჩვენებელ ნაკვეთად. მის მოსავლელად 1947 წელს მთავრობის მიერ გაცემულ იქნა 30 000 მანეთი, ხოლო 1948 წელს 45 000 მანეთი. კვლევითი მუშაობის გასაფართოებლად დამატებით იქნა გამოყოფილი 8 ჰექტარი მიწის ნაკვეთი. აქ 1948 წელს აიგო მარანი, ლაბორატორიის შენობა და გაშენდა კურკოვებისა და ვაზის 200-მდე ჯიში. ვ. ბესტავაშვილისადმი დახმარების მიზნით ეს ნაკვეთი გადასულია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მეხილეობა-მევენახეობისა და მეღვინეობის კვლევითი ინსტიტუტის განკარგულებაში და გამოცხადებულია ექსპერიმენტულ ბაზად.

ვასილ ბესტავაშვილმა ენერგიული და დაუღალავი მუშაობის შედეგად გამოიყვანა ატმის 80-მდე ახალი ძვირფასი ჯიში, სასუფრე და საღვინე ვაზის ჯიშების 100-ზე მეტი პერსპექტიული ჰიბრიდი.

ვასილი იყო 1940 — 1958 წლების საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენების აქტიური მონაწილე. იგი გამოფენებზე დააჩილდოეს ოქროსა და ვერცხლის მედლებით.

მიუხედავად ხანდაზმულობისა (იგი ამჟამად 78 წლისაა) ვასილი ახალგაზრდული ენერგიით განაგრძობს ახალგაზრდობის წლებში დაწყებულ საქმეს სოფლის მეურნეობის მნიშვნელოვანი დარგების—მეხილეობისა და მევენახეობის ჯიშთა ასორტიმენტის კიდევ უფრო გამრავალფეროვნებისა და გაუმჯობესებისათვის. ვ. ბესტავაშვილის მიერ გამოყვანილი ატმისა და ვაზის რამდენიმე ჯიში ფართოდ ინერგება ქართლის რიგ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

ქართველ მიჩურინელს ვასილ გიორგის ძე ბესტავაშვილს ნახევარი საუკუნის მანძილზე წარმოებული მუშაობით დიდი ღვაწლი მიუძღვის საქართველოს მეხილეობისა და მევენახეობის განვითარებაში.

მიხეილ გოგიბედაშვილი

ღვაწლმოსილი აგრონომი მიხეილ იოსების ძე გოგიბედაშვილი სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა იმ თაობას ეკუთვნის, რომელთაც თავიანთი ღრმა ცოდნა და ენერჯია უანგაროდ შესწირეს მშობელი მხარის მიწათმოქმედების განვითარებისათვის ბრძოლას.

მიხეილ გოგიბედაშვილი თითქმის 40 წლის მანძილზე ემსახურებოდა სოფლის მეურნეობის აღდგენა-განვითარებას, ახალი გაუმჯობესებული წესებისა და ხერხების დანერგვას კოლმეურნე გლეხობაში, სოფლის გარდაქმნას მეცნიერებისა და ტექნიკის უახლოესი მიღწევების დანერგვის გზით.

მ. გოგიბედაშვილი არის საკოლმეურნეო მშენებლობის ერთ-ერთი პიონერთაგანი, რომელსაც გადატანილი აქვს როგორც დიდი სიძნელეები სოფლად სოციალიზმის მშენებლობის გარიჟრაჟზე, ისე განცდილი აქვს აგრეთვე დიდი სიხარული, რასაც ჩვენი ხალხი აღწევდა ხუთწლეულების მანძილზე აგრაღური რევოლუციის ძლევა-მოსილად დამთავრების შედეგად.

მიხეილ იოსების ძე გოგიბედაშვილი დაიბადა 1884 წლის 15 იანვარს სოფელ ზემოხანდაკში (კასპის რაიონი).

მიხეილის მამა იოსები მიუხედავად იმისა, რომ წარმოშობით აზნაური იყო, არ თაკილობდა თავისი მრავალრიცხოვანი ოჯახის გამოსაკვებად კულაკებთან დღიურ სამუშაოზე სიარულს. მშობლებს უჭირდათ რვა სულის გამოკვება. ამიტომ 7 წლის მიხეილი იშვილა

დედის ძმამ ბეჟან ბეჟანიშვილმა, რომელიც ამ დროისათვის რკინიგზის კონტროლიორ-მექანიკოსად მუშაობდა და ცხოვრობდა ხანაში შურში.

ხაშურში კერძო მასწავლებელთა გაკვეთილების მოსმენის შემდეგ 9 — 10 წლის მიხეილი ბიძამ მიაბარა წინამძღვრიანთაჯარის სასოფლო-სამეურნეო სკოლაში. ეს სასწავლებელი მან წარმატებით დაამთავრა და 1901 წელს ნიკიტის მებაღე-მევენახეობის სასწავლებელში გაემგზავრა სწავლის გასაგრძელებლად.


900-იანი წლები რუსეთში მძაფრი კლასობრივი შეჯახებათა წლები იყო. ეს იყო რევოლუციის საბრძოლო ძალთა მოზღვაების წლები და ქაბუკი მიხეილ გოგიბედაშვილი აქტიურად ებმება რევოლუციურ მოძრაობაში. 1903 წელს სტუდენტთა გაფიცვებში აქტიური მონაწილეობის გამო მიხეილ გოგიბედაშვილს ჟანდარმერიამ დევნა დაუწყო. ამის გამო 19 — 20 წლის ახალგაზრდა იძულებული გახდა სწავლისათვის თავი მიენებებინა.

იგი ბრუნდება საქართველოში და სამსახურს იწყებს სოფელ სკრაში ძმები ფრიდონოვების ხეხილის სანერგეში გამგის თანაშემწედ. სანერგეში საქმე საუკეთესოდ იყო დაყენებული. მიხეილმა აქ განსაკუთრებით კარგად შეისწავლა მცნობის საქმე. ამავე დროს იგი აქტიურ რევოლუციურ საქმიანობას ეწევა გორის მაზრაში.

1905 წელს, ისე როგორც საქართველოს სხვა მაზრებში, გორის მაზრაშიც გლახობა აქტიურად გამოიღის არსებული წყობილების წინააღმდეგ. ამის შესახებ მიხეილი იგონებს: „1905 წლის ზაფხულში დაიწყო დიდი აგრარული მოძრაობა გლახობაში, რომელთაც რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის დადგენილებით თავადაზნაურებსა და მემამულეებს ღალა აღარ ჩააბარეს და ამის გამო თავადაზნაურობამ შეადგინა შავი რაზმი, რომელიც სოფელში დადიოდა და აწიოკებდა გლახობას. მე ამ დროს უღარიბესი ბოგანო გლახებისაგან შევადგინე წითელი რაზმი 30 კაცისაგან. ყოფილ ახალქალაქის რაიონში მტკვარ გამოიღმა თავადაზნაურობას მთლად აყვარეთ იარაღი და მშრომელი გლახობა დროებით ვიხსენით დარბევა-აწიოკებისაგან“¹.

გოგიბედაშვილების ოჯახი რბევა-თარეშის ობიექტი გახდა რეაქციის წლებში, რადგანაც ჟანდარმერია ყველგან დაეძებდა მიხეილ გოგიბედაშვილს.

¹ ს. ჭანაშვიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ბერძენული განყოფილების დოკუმენტების ფონდი, მ. გოგიბედაშვილის მოგონება.



სურ. 27. მიხეილ გოგიბეღაშვილი

1906 წლიდან იგი სამხედრო ვალდებულებას იხდიდა ქალაქ მოსკოვში გრენადერთა პოლკში, მაგრამ მალე გამოირკვა მისი პოლიტიკური საქმიანობა. იგი დააპატიმრეს და ბუტირკის ციხეში მოათავსეს.

რუსეთიდან იგი ეტაპით გამოაგზავნეს მეტეხის ციხეში, აქედან კი გორის ციხეში გადაიყვანეს. სასამართლომ მას სხვა წითელრაზმელებთან ერთად რვა წელი კატორღა მიუსაჯა. შემდეგ სასჯელი შეუცვალეს ორი წლის პატიმრობით. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ სტოლიპინმა განაჩენი არასაკმარისად სცნო და მ. გოგიბედაშვილი ორი წლით პერმის გუბერნიის ჩრდილოეთ რაიონში გადაასახლა. მას სასჯელის მოხდის შემდეგ საქართველოში დაბრუნება არ ეწერა, რადგან ამიერკავკასიის მეფის ნაცვალმა ვორონცოვ-დაშკოვმა სასურველად არ ჩათვალა მისი აქ დაბრუნება.

1910 წლიდან მ. გოგიბედაშვილი ქ. პოლტავაში დასახლდა. აქ იგი მალე მოეწყო ქალაქის მახლობლად მდებარე სოფ. კოვალიოვკაში გერმანული მემამულეების ძმები ტრებკეების მამულში მეურნეობის გამგედ და აგრონომად. „კოვალიოვკაში,—იგონებს გოგიბედაშვილი,—1917 წლამდე ვმუშაობდი. მეურნეობა 2 000 დესეტინიანი იყო. მეურნეობას გააჩნდა ცხენის საჯიშე, ძროხისა და ღორის ფერმები. მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა მეფრინველეობას და მემინდვრეობას. სწორედ აქ მივიღე სიმწიფის ატესტატი და ავითვისე რაც კი საჭირო იყო ინტენსიური მეურნეობის წარმოებისათვის“².

1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შემდეგ მ. გოგიბედაშვილს უფლება მიეცა სამშობლოში დაბრუნებულიყო, მაგრამ დროებით იგი ამაზე უარს ამბობს, რადგან პოლტავის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს დეპუტატთაგან იგი სოფლის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს თავმჯდომარედ იყო არჩეულა და 1917 წლის აგვისტომდე მემამულეთა მიწების კონფისკაციას ხელმძღვანელობდა.

1917 წლის ოქტომბრიდან იგი სამშობლოშია და გორის სამაზრო ერობის ხაზით მოშაობს აგრონომ-ინსტრუქტორად ტყვიავისა და ახალქალაქის რაიონებში.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების პირველსავე დღეებიდან მ. გოგიბედაშვილი აქტიურად კიდებს ხელს სოფლის მიწათმფლობელების თანერგვას და საერთოდ იგი აქტიურად ებმება იმ რეორგანიზაციაში, რასაც ადგილი ჰქონდა სოფ-

² მ. გოგიბედაშვილის დაახ. მოგონება.

ლად საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების პირველივე დღეებიდან. 1921 წლის მარტში იგი არჩეული იქნა სოფელ ზემოხანდაკის რევკომის წევრად, მის მდივნად და გლეხკომის თავმჯდომარედ, რათა — სოფლისა და რაიონული საბჭოს დეპუტატად.

შეიძლება ითქვას, რომ 1922—1929 წლები მ. გოგიბედაშვილისათვის იყო ყველაზე მძიმე და ხალისიანი სამუშაო წლები. იგი როგორც პატიოსანი და უანგარო მუშაკი უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობდა მოსახლეობაში. ამიტომ მას ირჩევენ საკრუდიტო-საწარმოო ამხანაგობაში ჯერ წევრად და შემდეგ გამგეობის თავმჯდომარედ.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო მისი მოღვაწეობა 1925 წლიდან, როდესაც იგი სათავეში ჩაუდგა სოფელ ზემოხანდაკეში სასოფლო-სამეურნეო კოოპერატიულ ამხანაგობა „ახალ ცხოვრებას“. ზემოხანდაკის კოოპერატიული ამხანაგობა იმდენად მნიშვნელოვან წარმატებებს აღწევს, რომ იგი რესპუბლიკაში სამაგალითო გახდა. მისი საქმიანობის შესახებ წერდა რესპუბლიკის ცენტრალური პრესა.

ამხანაგობამ გარს შემოიკრიბა სოფლის უღარიბესი მცირემიწიანი გლეხობა და იგი დაუპირისპირა სოფლად კულაკებსა და ათასი რჭულის ნებმანებს.

ძალიან მალე სასოფლო-სამეურნეო კოოპერატიულმა ამხანაგობამ მთავრობის დახმარებითა და წახალისებით გარკვეულ შედეგებს მიაღწია. იგი მკვიდრო კონტაქტს ამყარებს გორისა და თბილისის საკონსერვო ქარხნებთან, აწყობს დამხმარე მეურნეობასაც. ამხანაგობამ რესპუბლიკაში პირველმა მიიღო „პოლტის“ ტიპის ტრაქტორი და ამრიგად კონკურენცია გაუწია კულაკობას.

უღარიბეს გლეხებს, რომლებსაც ახალგაზრდა საბჭოთა ხელისუფლებამ მიწები დაურიგა, არ შეეძლო მისი ათვისება, რადგან ფართობის მოსახნავად გამწევი ძალა არ გააჩნდათ. კულაკები კი დღიური მიწის 0,5 ჰექტარის მოხვნაში შოითხოვდნენ 180 — 200 მანეთს. ახლა კი ამხანაგობას ტრაქტორი გააჩნდა. იგი ღარიბ გლეხობას მიწას უხნავდა რვა მანეთად და ხშირად უფასოდაც.

ამრიგად, გამოცდილმა აგრონომმა და კარგმა ორგანიზატორმა შეძლო მძლავრ მუშა ძალად შეეკრა სოფლის უღარიბესი გლეხობა, მიეცა მათთვის აგრონომიული ცოდნა და დაეგროვებინა მატერიული დოვლათი.

რა თქმა უნდა, კულაკებისა და შეძლებული გლეხებისაგან იგი ერთგვარ წინააღმდეგობას აწყდებოდა: მას ებრძოდნენ სხვადასხვა

მეთოდით, მაგრამ სარგებლობდა რა მშრომელთა ფართო მხარდა-
ჭერით, ახალი ცხოვრების მტრები ვერაფერს აკლებდნენ. 1925
წლის ერთ-ერთ გაზეთში ვინმე ორკონს ცილისმწამებლური კოლეს-
პონდენცია მოუთავსებია მ. გოგიბედაშვილზე. ამას ამხანაგების დი-
დი აღშფოთება გამოუწვევია. აი რას ვკითხულობთ ზემოხანდაკის
სასოფლო-სამეურნეო კოოპერატიული ამხანაგობის კრების ოქმში.
„მისი მიზა გოგიბედაშვილის გალანძღვა მთელი ამხანაგობის გალან-
ძღვაა, რისთვისაც ცილისმწამებელს ბატონ „ორკონს“ უნდა მართლ-
მსაჯულებამ სასტიკი სასჯელი მიანიჭოს. კრება ავალეებს სარევიზიო
კომისიას და გამგეობას სასამართლოს საშუალებით პასუხი აგები-
ნოს ცილისმწამებელს“³.

ზემო ხანდაკის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატიული ამხანაგო-
ბის მიღწევები ცნობრილი ხდება ახლომახლო სოფლებისათვის და
მ. გოგიბედაშვილს იწვევენ ყველგან კონსულტაციისათვის, გამოც-
დილებს გაზიარებისათვის.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატიულმა მეურნეობებმა საფუძვე-
ლი შეუქმნეს კოლმეურნეობების ჩამოყალიბებას. გოგიბედაშვილი
აქტიურ მონაწილეობას იღებს სოფლებში: ნოსტეში, ახალციხეში,
ხოვლეხა და ზემოხანდაკში კოლმეურნეობათა ჩამოყალიბებასა და
ორგანიზაციაში.

1929 წლიდან მ. გოგიბედაშვილი ახალციხეში მუშაობს მაზრის
აგრონომად, ხოლო 1930 წლიდან — ქარელში. ქარელში აწყობს
მებოსტნეობა-მეთესლეობის საბჭოთა მეურნეობას. აქ იგი ხუთი
წლის განმავლობაში აწარმოებდა ჯიშიანი ბოსტნეულის თესლის გა-
მოყენებას.

ქარელის საბჭოთა მეურნეობაში მუშაობისას მას ხელს უშლიდა
ზოგიერთი ნაძირალა, რომლებიც გამძვრალი იყვნენ დირექციაში
და დიდ ზიანს აყენებდნენ მეურნეობას. საზოგადოების ხორცმეტე-
ბის წინააღმდეგ ბრძოლაში იგი გამარჯვებული გამოვიდა. მ. გოგი-
ბედაშვილი ვერ გატეხა ვერც მუქარამ, ვერც ცილისწამებამ. მეურ-
ნეობის საქმიანობის გამომრკვევი კომისიის დადგენილებაში ნათქ-
ვამია: „ამრიგად, თუ გავითვალისწინებთ, როგორც ზემოთ იყო ნათ-
ქვამი, ერთის მხრივ მეურნეობის საწარმოო საშუალებათა და შე-
ნობათა უქონლობას და მეორე მხრივ გადმონაშთებისა და ნაძირა-

³ ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ბერძენული-
ლო პერიოდის განყოფილების დოკუმენტების ფონდი, მ. გოგიბედაშვი-
ლის პირადი არქივი.

ლების ხელშემშლელ მოქმედებას, ამასთან მეთესლეობის წარმოების დიდ სირთულეს, აგრონომი გოგიბედაშვილი არათუ მცოდნე სპეციალისტია, არამედ კარგი ორგანიზატორი და მომპირნე მეურნეა, რომლის გაშვება დაუშვებლად მიგვაჩნია“¹.

ქარელის მეთესლეობის საბჭოთა მეურნეობაში აგროინინმუმის ცოდნის პროპაგანდისათვის მ. გოგიბედაშვილის ხელმძღვანელობით ეწყობოდა ერთთვიანი კურსები. მ. გოგიბედაშვილი ყოველთვის აქტიურად იღვწოდა აგრონომიული ცოდნის გავრცელებისათვის. მაგალითად, ჯერ კიდევ 1929 წელს მან ახალციხის მაზრაში მოაწყო ერთთვიანი კურსები, რომელსაც 80 მსმენელი ჰყავდა. აქ იგი თვითონ კითხულობდა ლექციებს მეზოსტენობის შესახებ წინასწარ დამტკიცებული პროგრამით. ლექციების პარალელურად იგი ბევრ დროს უთმობდა პრაქტიკულ საქმიანობას, მსმენელებში პრაქტიკული ჩვევების განმტკიცებას. ასევე ქარელის მეურნეობაში იგი მიმართავდა არა მარტო პერიოდულ პროპაგანდას, არამედ ცდილობდა სოფლის მეურნეობის ამა თუ იმ დარგში კვალიფიციური მუშაკების აღზრდას. 1930 წლიდან 30 ქალი ხუთი წლის ვადით ხელშეკრულებით იყო მასთან მიმაგრებული მეთესლეობის შესასწავლად. ამავე პერიოდში მოეწყო სასოფლო-სამეურნეო გამოფენები ხაშურში, აგარასა და გორში. გოგიბედაშვილის მიერ გამოფენაზე გამოტანილმა თითქმის ყველა ექსპონატმა ყველგან პირველი ადგილი დაიკავა და ჯილდოები დაიმსახურა.

ქარელიდან მ. გოგიბედაშვილი გადავიდა კასპის ცემენტის ქარხნის დამხმარე მეურნეობის დირექტორად. 1939 წლიდან იგი მიიწვიეს საქართველოს ბოსტანკიშთესლის თელავის ბაზის უფროსად. აქ მიხეილი 1941 წლამდე მუშაობდა და დიდი შრომა გასწია თელავის რაიონის კოლმეურნეობებში მალალი ჯიშის თესლის გამოყვანისათვის.

დიდი სამამულო ომის პერიოდში მ. გოგიბედაშვილი მუშაობს ქ. თბილისში რამდენიმე ქარხნის მეურნეობათა დირექტორად და მთავარ აგრონომად. ღვაწლმოსილი აგრონომი მთელი კეთილსინდისიერებითა და მუყაითად ეკიდება საქნეს, რისთვისაც მან ხელმძღვანელობის არაერთი მადლობა დაიმსახურა.

სამამულო ომის დამთავრების შემდეგ მიხეილ გოგიბედაშვილი სხვადასხვა ადგილას მუშაობს. ბოლოს იგი დაუბრუნდა ნშობლიურ

¹ მ. გოგიბედაშვილის დასახ. პირადი არქივი.

კასპის რაიონს. აქ იგი ჯერ კოლმეურნეობის აგრონომად მუშაობდა, ხოლო შემდეგ მებოსტნე აგრონომად თემის მტს ზონაში. 1956 წელს მუშაობდა კი მოხუცი აგრონომი პენსიაში გავიდა.

მ. გოგიბედაშვილმა მშობლიური რესპუბლიკის მინდორ-ველეზე 40 წელზე მეტ ხანს იმუშავა და სოფლის მეურნეობის ათობით კვალიფიციური სპეციალისტი გამოზარდა. პენსიაში ყოფნისას მ. გოგიბედაშვილი აქტიურად ეხმარებოდა მშობლიური კუთხის სოფლის მეურნეობის ახალგაზრდა სპეციალისტებს რჩევა-დარიგებით. მიხეილ გოგიბედაშვილი გარდაიცვალა 1961 წელს.

რევაზ კედევანიშვილი

ახლა ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობა მთელს მსოფლიოში ცნობილია, როგორც მრავალდარგოვანი და მაღალპროდუქტული. მას გააჩნია შესანიშნავი ტექნიკა და ჰყავს ასობით მაღალკვალიფიციური სპეციალისტი. ჩვენი ქვეყანა კრიტიკულად ითვისებს ძველთაგან მიღებულ მემკვიდრეობას, სახალხო სამეურნეო გამოცდილებას და მნიშვნელოვან მიღწევებს, რომლებიც წარსულის მრავალწლიანმა დაკვირვებებმა გაამართლა, მასობრივად ნერგავს მეურნეობის სათანადო დარგებში.

სოფლის მეურნეობის დიდ ენთუზიასტებს ცარიზმის დროს მეტად მძიმე პირობებში უხდებოდათ მოღვაწეობა. მათ მეცნიერულ ექსპერიმენტებს ხელს უშლიდა არა მარტო ცარიზმის კონსერვატიული დამოკიდებულება ყოველგვარი სიახლისადმი, არამედ მოსახლეობის მატერიალური დონე, მათ არ შეეძლოთ ევროპულ ყაიდაზე გარდაექმნათ ჩამორჩენილი ნატურალური მეურნეობა. ამიტომაც მე-19 საუკუნის ქართველი აგრონომი პიონერები არა მარტო წმინდა მეცნიერული საქმის ენთუზიასტები იყვნენ, არამედ საზოგადო მოღვაწეებიც, რომლებიც სოფლის მეურნეობისათვის ყამირ ნაადაგზე ეროვნულ კადრებს ზრდიდნენ შეძლებისდაგვარად და ერს უღვიძებდნენ ნიადაგის მეცნიერულად დამუშავებისადმი მიდრეკილებას.

მრავალი მათგანი დღეს უყურებს იმ დიდ შესაძლებლობებს, რომლებიც ჩვენს რესპუბლიკაში შექმნა სოციალისტურმა რევოლუციამ, რაშიც მათაც მიუძღვით გარკვეული წვლილი. ერთ-ერთი ასეთი ღვაწლმოსილი პიროვნება არის სწავლული აგრონომი რევაზ ალექსანდრეს ძე გედევანიშვილი.



სურ. 28. რევას გალდანიშვილი

რევან ალექსანდრეს ძე გედევანიშვილი დაიბადა 1837 წლის იანვარს დუშეთის მაზრის სოფელ გოროვანში, საკმაოდ შეძლებულ ოჯახში. მისი მშობლები და ახლო ნათესავები ფიზიკური შრომის დიდი მოყვარულები იყვნენ და აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში.

მომავალი აგრონომის მამა ალექსანდრე ლუარსაბის ძე გედევანიშვილი ცდილობდა ბავშვობიდანვე ჩაენერგა შეილებსათვის შრომისადმი სიყვარული. „საკუთარი ოფლით მოწყვული ლუქმის-თანა გემრიელი ამა ქვეყნად არა არის რაო“, — უყვარდა ხოლმე თქმა ბავშვებისათვის.

პატარა რეზოს დედა ექვსი თვის ასაკში გარდაეცვალა და მისი და მისი უფროსი ძმის ლუარსაბის აღზრდა ბიცოლამ, ნატალია ალექსის ასულმა ცვაბრელმა იკისრა. ნატალიას ხელში პატარებს უდებოდა არ უგრძენიათ და მისი სიყვარული მათ ღრმა მოხუცობამდე გაჰყვათ.

1894 წელს ბიძამ დავით ლუარსაბის ძე გედევანიშვილმა, პატარა რეზო მიაბარა თბილისის სათავადაზნაურო სკოლაში (იგი შემდეგში გიმნაზიად გადაკეთდა). აქ სწავლის ხანგრძლიობა 12 წელი იყო: ოთხი განყოფილება და რვა კლასი. სკოლა დაკომფლექტებული იყო საუკეთესო პედაგოგებით. გიმნაზიის დირექტორი იყო ჯერ ზაქარია ჭიჭინაძე, შემდეგ — ექვთიმე თაყაიშვილი, ხოლო მასწავლებლები: შიო ჩიტაძე, ალექსანდრე მდივანი, ალექსანდრე ხათაძე, რაჟდენ ჯაჯანაშვილი, დავით ქადაგიძე, არისტო ქუთათელაძე, ნიკო ძთვარელიშვილი, იუსტინე აბულაძე, დავით კარიჭაშვილი, ვანო რატიშვილი, ნიკო ვოგიტიძე, ალექსანდრე მიქაბერიძე, იოსებ მკალობლიშვილი, ვლადიმერ ლორთქიფანიძე, სეით იაშვილი, ზაქარია ჩხიკვაძე, ზაქარია ალიაშვილი და სხვ.

პატარა რეზო გულდასმით ისმენდა დიდი მამულიშვილების საუბრებს სამშობლოს ბედზე, მის წარსულსა და მომავალზე. ჯერ კიდევ პატარა ბავშვი მოწმე იყო, როგორ ჩაუყარეს საფუძველი ქართული უნივერსიტეტის შენობას, რომელშიც 1907 წლის შემოდგომაზე გადმოვიდა კიდევ გიმნაზია.

1907 წელს რევან გედევანიშვილი წარმატებით ამთავრებს გიმნაზიას და აღმზრდელის ნატალიას სურვილის მიხედვით შედის ყაზანის უნივერსიტეტის საექიმო ფაკულტეტზე, მაგრამ პატარაობიდანვე სოფლის მეურნეობასთან შეზრდილ რევანს სამედიცინო ფაკულტეტი არ იზიდავს, ამიტომ იგი 1903 წლის შემოდგომაზე



ტოვებს ყაზანის უნივერსიტეტს და გერმანიაში ჩადის. აქ იგი ქალაქ მიუნხენის პოლიტექნიკური ინსტიტუტის აგრონომიულ ფაკულტეტზე შედის. ეს ინსტიტუტი ითვლებოდა პირველხარისხოვან ტექნიკურ უმაღლეს სასწავლებლად, სადაც მრავალი უცხო ქვეყნის ახალგაზრდობა სწავლობდა. ინსტიტუტში იყო ცხრა ფაკულტეტი: მექანიკური, სამშენებლო, არქიტექტურული, ქიმიური, აგრონომიული და სხვ. ინსტიტუტის რექტორი იყო თვალსაჩინო მეცნიერი პროფესორი ფეხლი, სპეციალობით მექანიკოსი. მისი სახელმძღვანელოები თარგმნილი იყო ფრანგულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე და იყენებდნენ საფრანგეთის, რუსეთის, აშშ-ის, ინგლისის ინსტიტუტებში.

ინსტიტუტის ეზოში დადგმული იყო ცნობილი პროფესორ ომის ძეგლი, რომელიც აქ მოღვაწეობდა. რ. გედევანიშვილს ფიზიკის კურსს უკითხავდა დიდი მეცნიერის ყოფილი ასისტენტი პროფესორი ებერტი, ფიზიკის შესანიშნავი მკოდნე და კარგი ორატორი.

პირველ ხანებში რევაზ გედევანიშვილს სწავლა უჭირდა გერმანული ენის სათანადოდ უცოდინარობის გამო. რა თქმა უნდა, ენის კარგად ცოდნის გარეშე ლექციების მოსმენა და სახელმძღვანელოებით სარგებლობა დიდ სიძნელეს წარმოადგენს. მას იმდენად გაუჭირდა პირველ ხანებში მიუნხენში მუშაობა, რომ იგი უკან დაბრუნებას აპირებდა. რ. გედევანიშვილი იგონებს: „მრცხვეროდა ჩემი დადებული ფიცისა, რომელიც დავდე თბილისიდან გამგზავრების წინ: მიუდივარ გერმანიაში ბაქოს მიმართულებით, ვარშავის გავლით და, თუ ცოცხალი დავრჩი, დავბრუნდები უმაღლესი განათლებით მიუნხენიდან ვენის გავლით ოდესის მიმართულებით — შავი ზღვით ბათუმ ქალაქით თბილისში. აი ამ აღთქმა-ფიცმა გამაყაყა და ენერგია შემმატა. ახლა გადავწყვიტე ყოველდღე 50 — 60 გერმანული სიტყვა მესწავლა. ლექციებზე გერმანულ-რუსულ სიტყვარს ვატარებდი“¹.

დიდმა მონდომებამ და შრომისმოყვარეობამ თავისი გაიტანამან წარჩინებით დაამთავრა ინსტიტუტი და მიიღო წარჩინების დიპლომი. სტუდენტობის პერიოდში ხელმოკლე რევაზს დიდი მორალური და მატერიალური დახმარება გაუწია ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ მრეწველმა დავით ზაქარაიას ძე სარაჯიშვილმა.

¹ ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ბუჩუქუაზიელი პერიოდის განყოფილების დოკუმენტების ფონდი, რ. გედევანიშვილის მოგონება.

მიუნხენში რევავ გედევანიშვილი ინტენსიურ-თეორიულ მეცნიერებათა დარგის დირექტორი და აქტიურ პრაქტიკულ საქმიანობასაც ეწევა. იგი არდადეგების დროს სამშობლოში არ ჩამოდის და ამ დროს იყენებს პრაქტიკული ცოდნის მისაღებად. მიუნხენიდან 70 კილომეტრზე დაშორებით ფრაიზინგის სოფლის მეურნეობის აკადემია ყოველ წელს არდადეგების დროს აწყობდა თვენახევრიან პრაქტიკულ კურსებს. კურსები ტარდებოდა სოფლის მეურნეობის თითქმის ყველა დარგში. აი აქ გამოიწრთო რევავ გედევანიშვილი. იგი აქ ეცნობა სპეცტრონარო საქმეს, მეფუტკრეობას, რძის გადამუშავებას, მსხვილფეხა საქონლის მოვლა-მოშენებას, საკონსერვო საქმეს, შაქრის ექსპლუატაციას, ლუდის გამოხდას და სხვ.

ინსტიტუტის აგრონომიული ფაკულტეტის წამყვანი დარგის პროფესორები იყვნენ მემინდვრეობაში — პროფესორი კრაუსი, მეცხოველეობაში — პროფესორი პოტი, სოფლის მეურნეობის ტექნოლოგიაში — პროფესორი სოქსლეთი და სხვ.

მიუნხენში რევავ გედევანიშვილი ინსტიტუტის საზოგადოებას აცნობს ქართულ სასოფლო-სამეურნეო იარაღებს. 1911 წელს პროფესორი კრაუსის დაავლებით დაამზადა ქართული გუთნის, ფარცხის, კევრისა და ურმის მაკეტები, რამაც ალტაცებაში მოიყვანა ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტობა აღნიშნული იარაღები ამშვენებდნენ მანქანა-იარაღების მაკეტების დარბაზს.

1912 წლის აპრილს იგი სამშობლოში მოემგზავრება. გამომგზავრების წინა დღეებში, სწავლული აგრონომი გამოემშვიდობა ამავდარ პროფესორებს: კრაუსს, პოტს, სოქსლეთსა და სხვებს. ალტქმის თანახმად, ქალაქ ვენისა და ოდესის გამოვლით თბილისში ჩამოვიდა. ოთხი წლის უნახავი მოულოდნელად გამოეცხადა აღმზრდელს ნატალია ცაგარელს.

ცოდნითა და ახალგაზრდული ენერგიით აღსავსე რევავ გედევანიშვილი 1912 წლის მაისში იწყებს მუშაობას თბილისის ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებაში, რომელიც ის-ის იყო ფეხს იდგამდა და ასრულებდა აგროდახმარების ფუნქციებს აღმოსავლეთ საქართველოს გლეხურ მეურნეობაში.

თბილისის რძით მომარაგება კერძო პირთა ხელში იყო და უხარისხო რძე ვრცელდებოდა მოსახლეობაში. ამიტომ ახალგაზრდა სპეციალისტმა რ. გედევანიშვილმა დასვა თბილისის გარეუბნის სოფლებში მერძევეობის ამხანაგობის დაარსების საკითხი. ამის საფუძველზე სოფელ პატარა ლილოში მოაწყვეს ამხანაგობა, საიდანაც

ყოველდღიურად მოჰქონდათ თბილისში 35 — 50 ფუთამდე მოუხდელი რძე. რ. გედევანიშვილის ხელმძღვანელობით მოეწყო პირველი სოფელ პატარა ლილოს მიდამოებში ძროხების ხარისხობრივი გაუმჯობესებაც ხევისურული ჯიშის საქონლით.

1913 წლის თებერვლიდან იგი სამუშაოდ გადადის ქუთაისის გუბერნიასი ახალდაარსებულ საერო-აგრონომიულ ორგანიზაციაში. რ. გედევანიშვილის უშუალო მონაწილეობით ქუთაისში დაარსდა ორკვირეული ჟურნალი „სასოფლო გაზეთი“. გაზეთის რედაქტორი იყო პეტრე წულუკიძე. მასში ქვეყნდებოდა სტატიები სოფლის მეურნეობის სხვადასხვა საკითხზე. ჟურნალი ამუშავდა საქართველოს სოფლის მეურნეობის მდგომარეობას და პროპაგანდას უწევდა იმ დროისათვის მიწათმოქმედების მიღწევებს. ჟურნალში სისტემატურად იბეჭდებოდა რ. გედევანიშვილის სტატიები, რომლებშიც გაშუქებული იყო დასავლეთ საქართველოს სოფლის მეურნეობის მტკივნეული საკითხები.

1913—1918 წლებში პრაქტიკული გამოცდილების მქონე რ. გედევანიშვილი მუშაობს შორაპნის მაზრის სამაზრო საერო-აგრონომად. შორაპნის მაზრაში ამ დროისათვის ძირითადად მხოლოდ ადგილობრივი ჯიშის ხილი იყო გავრცელებული. ხეხელის ჯიშობრივი გაუმჯობესების მიზნით რ. გედევანიშვილის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით 1914 წლის გაზაფხულიდან სისტემატურად შემოჰქონდათ მაზრაში სკრის საცდელ-საჯიშე სადგურიდან ჯიშინი ნაყენები: ატმის, მსხლის, ვაშლის, ბლის, ქლიავის, გარგარისა და სხვ. ამავე წლებში რ. გედევანიშვილის ხელმძღვანელობით ეწყობოდა ამერიკულ ვაზზე მყნობის შემსწავლელთა ერთთვიანი კურსები. კურსებზე, გარდა მყნობისა, ეცნობოდნენ ვაზის მოვლისა და წამლობის გაუმჯობესებულ მეთოდებს. ამავე დროს იგი ცდილობს მოსახლეობაში დაინერგოს მოწინავე ტექნიკა: გაავრცელოს რკინის გუთნები, ფარცხები, სათესი მანქანები, სიმინდის საფშენელი, ჩალის საჭრელი და ვენახის შესაწამლი აპარატები.

რ. გედევანიშვილის საქმიანობა არ მოწონდა იმდროინდელ ხელისუფლებას და 1915 წელს იგი შემთხვევით გადაურჩა დაპატიმრებას. ამას მას უპირებდა ქუთაისის გუბერნატორი სლავჩინსკი.

აგრონომიული მოღვაწეობის გარდა, რ. გედევანიშვილი შორაპნის მაზრაში უხელფასოდ ხელმძღვანელობდა სამაზრო სამომხმარებ-

რებლო კოოპერაციას. იყო აგრეთვე მაზრის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის წევრი.

1918 წელს შორაპნის მაზრის მოსახლეობა გულისტყვივით ეთხოვება რ. გედევანიშვილს და გზას უღოცავს მშობლიური დუშეთის მაზრისაკენ.

1918 წლის აპრილიდან 1924 წლამდე იგი დუშეთის მაზრას აგრონომად მუშაობდა. ამ დროის განმავლობაში რ. გედევანიშვილის ინიციატივით გაყვანილ იქნა ორი სარწყავი არხი: პირველი — მდინარე ქსნიდან 13 კილომეტრის მანძილზე, რომლითაც ირწყვებოდა სოფელი დამბალო. ძალოსი და წილკანი; მეორე — მდინარე აოგვიდან 15 კილომეტრის მანძილზე. ამ არხით ირწყვებოდა სოფლები: წითელი სოფელი, ნაოზა, მისაქციელი, ლამი, ნატახტარი და ნაწილობრივ წილკანი.

1921 — 1923 წლებში რ. გედევანიშვილმა მცხეთის მოსახლეობას გამოუყვანა სასმელი წყალი. ამ წყლის გამოყვანამდე მცხეთის მოსახლეობა სარგებლობდა არაგვისა და მტკვრის წყლით.

1920 — 1923 წლებში რ. გედევანიშვილმა დუშეთის მაზრის 13 სოფელში მოაწყო ნამყენი ვაზებისა და ხეხილის ბაღების საჩვენებელი ნაკვეთები. ითვალისწინებდა რა დუშეთის მაზრის სოფლის მეურნეობისა და გეოგრაფიული მდებარეობის თავისებურებებს, რ. გედევანიშვილი ყურადღებას აქცევდა მეხილეობის, მევენახეობისა და მებოსტნეობის ორგანიზებულად განვითარების საქმეს.

რ. გედევანიშვილის ინიციატივით 1924 წლის გაზაფხულზე მოეწყო მეცხვარეობის ორი ამხანაგობა თერგხევის სახელწოდებით. მათში 18 ათას ცხვარს ითვლიდნენ. ამავე პერიოდში მოეწყო თვენახევრიანი მესაქონლეობა-მერძევეობის კურსები აღნიშნული ამხანაგობის წევრთა მოსამზადებლად. ერთი მოეწყო ფსანაურში 35 კაცისათვის, ხოლო მეორე — კობში 30 კაცისათვის. ეს კურსები გაიარეს და აითვისეს 95 კაცმა: ხევსურებმა, მოხევეებმა და სხვ.

გარდა ამ კურსებისა, რ. გედევანიშვილის ხელმძღვანელობით 1928 წელს ტყვიავის ხილის სახმობ ქარხანასთან მოეწყო თვენახევრიანი კურსები. აქ მომზადდა 25 კაცი ახლად დაარსებული მეკვრისხევის, შინდისის, ახალციხისა და ოკრიბის ხილის სახმობი ქარხნებისათვის.

ამავე წელს, ახალი საკონსერვო ქარხნების ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით, მან აწარმოვა ამჟამად არსებული გორისა და ქუთა-



ისის საკონსერვო ქარხნების წინასწარი გამოკვლევა და ეკონომიური დასაბუთება.

1931 — 1934 წლებში რ. გედევანიშვილი ხელმძღვანელობდა სოღანლუღის, დიდმის, წეროვნის, შილდისა და სხვა საგარეუბნო დამხმარე მეურნეობებს, რომელთა მიზანი იყო წარმოება-დაწესებულებების მუშებას მომარაგება რძითა და ახალი ბოსტნეულით. მებოსტნეობის მეურნეობის ფართობი შეადგენდა 1505 ჰექტარს, ხოლო ძროხების რაოდენობა — 4800 სულს.

1937 წლიდან 1941 წლის ივნისამდე რ. გედევანიშვილი მუშაობდა საქართველოს სოფლის მეურნეობის საგამოფენო კომიტეტში მთავარი აგრონომის თანამდებობაზე. მისი ხელმძღვანელობით ხდებოდა თბილისის მაკიეარში სხვადასხვა ექსპონატების შენახვა. აქედან იგზავნებოდა ისინი მოსკოვის საკავშირო გამოფენაზე. ექსპონატები საქართველოს პავილიონში სისტემატურად მოწმდებოდა სპეციალური კომისიების მიერ.

პრაქტიკულ საქმიანობასთან ერთად რ. გედევანიშვილი აქტიურ პუბლიცისტურ მოღვაწეობასაც ეწეოდა. მის მიერ სხვადასხვა დროს გამოშვებულია ბროშურები სოფლის მეურნეობის საკითხებზე. იგი არის მრავალი საგაზეთო სტატიის ავტორი. მას დაბეჭდილი აქვს 260-გვერდიანი პირველი ქართული სახელმძღვანელო მესაქონლეობაში „მსხვილფეხა რქიანი საქონელი“. ეს წიგნი ორჯერ გამოიცა: 1918 და 1931 წლებში. 1958 წელს გამოსცა მონოგრაფია: „ილია წინამძღვრიშვილი“.

ღუშეთის მაზრაში რ. გედევანიშვილი დიდ კულტურულ საქმიანობასაც ეწეოდა. მისი ხელმძღვანელობით 1919 წელს საფუძველი ჩაეყარა სოფელ გოროვანში ოთხწლიან სკოლას. იგი ემსახურებოდა სოფლებს: გოროვანს, წეროვანს, ჩარდახსა და სხალტას. რევან გედევანიშვილის ინიციატივითა და უშუალო ხელმძღვანელობით 1922 წელს ხევსურეთში, სოფელ ბარისახოში გაიხსნა პირველი სკოლა. მანვე იზრუნა სკოლისათვის მასწავლებლების მოყვანასა და საპირო ინვენტარის შექმნაზე.

სახალხო განათლების საქმისადმი მენშევიკ დიქტატორთა უღარდებლობაზე მეტყველებს რევან გედევანიშვილის მოგონება: „1919 წელს ღუშეთის სამაზრო აგრონომად ყოფნის დროს, მე მივმართე ერობის თავმჯდომარეს დავით ჭონიშვილს (მენშევიკების მთავრობის დროს), რომ გაეხსნათ სოფელ გოროვანში ოთხწლიანი სკოლა.“

რომელიც მოემსახურებოდა ოთხ სოფელს: გოროვანს, წეროვანს, სხალტბასა და ჩარდახს (ამჟამად მცხეთის რაიონის სოფლებია). დაეით ჰონიშვილმა გამგეობის წევრებთან ერთად მიიხრა: „ღია-ტერესებულებმა ააშენოს სკოლის შენობა და მასწავლებლებისათვის ბინა, შეიძინონ ინვენტარი და სასწავლო წიგნები, გამოიტანონ სასოფლო ყრილობის დადგენილება, როცა ყველაფერ ამას მოაწყობენ მერე ერობა დანიშნავს იქ მასწავლებლებსო“. ასე პასუხი, რა თქმა უნდა, ძალიან მეწყინა და ვუთხარი: ერთი მიიხარით, რა განსხვავებაა მენშევიკურ მთავრობასა და ნიკოლოზის მთავრობას შორის-მეთქი, რით გინდათ მოიგოთ თქვენ გლეხთა გული, როდესაც სკოლაც კი არ გინდათ გაუხსნათ-მეთქი და ამ საკითხის მოგვარებას უმეცარ მოსახლეობას ულტიმატუმად უყენებთ-მეთქი.

ამ ამბის შემდეგ წავედი სოფელ გოროვანში, მამიჩემის ოჯახში. წინასწარ მოველაპარაკე მამაჩემს და ჩემს უფროს ძმას ლუარსაბს. სანამ სასოფლო კრებას მოვაწყობდით, წინასწარ დაეიბარე აღნიშნული სოფლებიდან 12 გლეხი, გაუშალეთ კარგი პურ-მარილი და მოწვევის მიზანიც გავაცანით. მათ შორის ერთმა გლეხმა, რომელსაც შეძლება ჰქონდა და შეიდი შეილიც ჰყავდა, აღელვებული კილოთი თქვა: „ჩვენმა გოგო-ბიჭებმა, რომ წერა-კითხვა ისწავლონ, მაშინ ხომ ერთიმეორეში მიწერას დაიწყებენ და უფრო გაიჩვენებიანო“. ამის გამო არც დანარჩენმა გლეხებმა გამოთქვეს სურვილი და სასოფლო კრების მოწვევას მიზანი აღარ ჰქონდა. გავისტუმრე გლეხები და ერთი მათგანი შიო ირემაშვილი დავიტოვე, რომელსაც ეხერხებოდა სადურგლო საქმე. დავრჩით ოთხნი: მამაჩემი, ჩემი ძმა ლუარსაბი, შიო ირემაშვილი და მე. ახლა უკვე გადაწყვეტილად გამოუცხადე მათ, რომ სკოლის გახსნის საქმე არ უნდა ჩაშლილიყო. მამას მივმართე: შენ სახლის პირველ სართულზე ხვალვე ერთი დიდი ოთახი უნდა გაანთავისუფლო, გაასუფთაო, კირით შეათეთრო და წესრიგში მოიყვანო-მეთქი, რის თანხმობაც მომცა მამაჩემმა. შემდეგ მივმართე შიო ირემაშვილს, ხვალ დილით ურმით წამომყვები მცხეთაში, იქ შევიძინებ ხე-ტყის მასალას გრძელი, ოთხსაჯდომიანი მერხებისა და სკამების გასაკეთებლად, ამოიტან სოფელში და შენი ხელით გააკეთებ-მეთქი. შიოსაგანაც მივიღე თანხმობა. ახლა მივმართე ჩემს ძმას ლუარსაბს; შენ ამ საქმეს ორგანიზაციის ვუცხადებ, მოაწყობ საკლასო ოთახს და შენვე იქნები უხელფასო მასწავლებელი მანამ, სანამ მენშევიკური მთავრობა ჰკუთხება არ სოფელი და ჯამაგირს დაგინიშნავს-მეთქი..

1919 წლის სექტემბრის 15-დან გავხსენით ჩვენი სახსრებით სკოლა².

ასეთ პირობებში უხდებოდა ამ თავდადებულ და უნაგარო საზოგადო მოღვაწეს მუშაობა მშობელი ერის საკეთილდღეოდ. *

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ უდიდესი ყურადღება მიექცა სახალხო განათლების საქმეს მთაში. კერძოდ, 1922 წელს დუშეთის მაზრის სოფელ ბარისახოში გაიხსნა სკოლები. ერთ-ერთი მათგანი შემდეგში სკოლა-ინტერნატად გადაკეთდა. შემდეგ დაბა დუშეთში რ. გედევანიშვილის ინიციატივით მოექწყო დასასვენებელი პარკი ერთ ჰექტარზე, რომელიც კიდევ უფრო გაიზარდა და ახლა დუშეთის მშვენიერს წარმოადგენს.

მშობლიური ერის წინაშე ვალმოხდილი აგრონომი რევაზ ალექსანდრეს ძე გედევანიშვილი მოხუცებულობის გამო თავს ანებებს სამსახურს. იგი თავის დიდ გამოცდილებას კვლავ უზიარებს ახალგაზრდობასა და ყველა დაინტერესებულ პირს. იგი უბედნიერესად თვლის თავს, რადგან მოესწრო ჩვენი რესპუბლიკის მსოფლიოში ერთ-ერთ მოწინავე მსხვილდარგოვან სასოფლო-სამეურნეო ქვეყნად გადაქცევას. მის ბედნიერებას აასკეციებს იმის განცდაც, რომ ჩატარებულ უდიდეს სახალხო საქმეში გარკვეული წვლილი მასაც მიუძღვის.

ნიკოლოზ ავალიშვილი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის დამსახურებული აგრონომი ნიკოლოზ გიორგის ძე ავალიშვილი სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის თავდადებულ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნის. თავისი ცხოვრების მანძილზე ნიკოლოზ ავალიშვილს მუდამ ამოქრავებდა ხალხისათვის სამსახურის სურვილი და სოფლის მეურნეობის დარგში ენერგიული მუშაობით ცდილობდა სარგებლობა მოეტანა საზოგადოებისათვის.

ნიკოლოზ გიორგის ძე ავალიშვილი დაიბადა 1893 წლის 4 იანვარს (ძველი სტილით) ხარაგოულის რაიონის სოფელ ხიდარში. ბავშვობა მან მშობლიურ სოფელში გაატარა, შემდეგ კი ქალაქ ქუთაისში თავის დასთან ცხოვრობდა პოლკოვნიკ არდაზიანის ოჯახში. ეს ოჯახი ქუთაისის კულტურულ ოჯახთა რიცხვს ეკუთვნოდა. რვა წლის ნიკოლოზი ზესტაფონში გადმოჰყავთ და საშუალო სასწავლე-

² რ. გედევანიშვილის დასახ. მოგონება.



ბელში შესასვლელად ამეცადინებენ ცნობილ პედაგოგ ბესარიონ კელენჯერიძესთან.

1904 წელს გამოცდების ჩაბარების შემდეგ ნიკოლოზი ჩაირიცხა ქუთაისის რეალურ სასწავლებელში. სოფლის მეურნეობით დაინტერესებული ნიკოლოზი არდადეგების პერიოდში მიდიოდა სოფელ ხიდარში და მშობლებთან ერთად მუშაობდა ბაღ-ვენახებში.

1912 წელს რეალური სასწავლებლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ ნიკოლოზ ავალიშვილი შედის მოსკოვის ტიმირიაზევის სახელობის სასოფლო-სამეურნეო აკადემიაში. 1923 წელს იგი ამთავრებს აკადემიის სასოფლო-სამეურნეო ფაკულტეტის კურსს. ეს აკადემია, რომელსაც წინათ პეტროვსკო-რაზუმიშვილის აკადემიას უწოდებდნენ, რევოლუციამდე სხვა უმაღლეს სასწავლებელთა შორის გამოირჩეოდა პროგრესულად მოაზროვნე პროფესორებითა და მოწინავე სტუდენტებით.

ტიმირიაზევის სახელობის აკადემიის სტუდენტები ყოველ ზაფხულს მიდიოდა პრაქტიკის მისაღებად სხვადასხვა მხარეში. ნიკოლოზი 1916 წელს გაემგზავრა უკრაინაში ეკატერინოსლავის გუბერნიაში, სლავიანოსკრბიის საცდელ მინდორზე. აქ იგი კარგი ხელმძღვანელის მეშვეობით დაეუფლა საცდელი საქმის მეთოდოკას.

1918 წელს ნიკოლოზ ავალიშვილი ბრუნდება სამშობლოში. მას განზრახული ჰქონდა საცდელ დაწესებულებებში მუშაობა. მართლაც, 1919 წლიდან სოფლის მეურნეობის სამინისტრომ იგი მიავლინა ოზურგეთის ჩაისა და თამბაქოს საცდელ პლანტაციებზე სამუშაოდ. იგი აქ ატარებდა ცდებს ჩაისა და სხვა სუბტროპიკულ კულტურებზე.

1919 წლის დამდეგიდან 1925 წლამდე იგი მუშაობდა ქუთაისისა და აჯამეთის საცდელი მინდორების გამგის თანაშემწედ, ხოლო 1925 წლიდან 1927 წლამდე — აჯამეთის საცდელი მინდორის გამგედ. ქუთაისის საცდელი მინდორი მდებარეობდა სამტრედიის რაიონის სოფელ კულაშში. აქ საცდელ მინდორს სრულებით არ ჰქონდა გაფართოების საშუალება. ამიტომ იგი აჯამეთში იქნა გადატანილი. ანანოვის ყოფილ მამულში მას 300 ჰექტარი მიწა გამოეყო.

1927 წლის მაისში ნიკოლოზი საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტმა მიიწვია მუხრანის სასწავლო-საცდელი მეურნეობის დირექტორად. აღნიშნული მეურნეობა ექვემდებარებოდა უნივერსიტეტის აგრონომიულ ფაკულტეტს (ამჟამად საქართველოს სასოფ-



სურ. 29. ნიკოლოზ ავალიშვილი

ლო-სამეურნეო ინსტიტუტს ეკუთვნის). ამ მეურნეობაში ნ. ავალიშვილი ათი წელი იმუშავა.

მუხრანის სასწავლო-საცდელ მეურნეობაში 1927 წლიდან დაიწყო მუხრანის ჰიდრომოდულის საცდელი კვლევითი სადგური. ამ სადგურის ორგანიზაცია და კვლევითი საქმიანობა ნ. ავალიშვილს დაეკისრა. სადგური იკვლევდა მინდვრის კულტურებს, სიმინდის, საშემოდგომო ხორბლის, შაქრის ჭარხლისა და სხვა კულტურათა მორწყვის რეჟიმს. სადგურში მოწყობილი იყო აგროფიზიკური ლაბორატორია, რომელიც იკვლევდა წყლის, ჰაერისა და საკვებ ნივთიერებათა რეჟიმს.

მუხრანის სასწავლო-საცდელ მეურნეობაში ნიკოლოზმა მოაწყო მარცვლულ კულტურათა აგროტექნიკის შემსწავლელი პუნქტი, რომელსაც თვითონ ხელმძღვანელობდა. იგი ეწეოდა აგრეთვე პედაგოგიურ მუშაობას მუხრანის საცდელ-სასწავლო მეურნეობასთან არსებულ სასოფლო-სამეურნეო სკოლაში და მეურნეობაში საწარმოო პრაქტიკაზე მივლინებულ სტუდენტებთან.

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მიწვევით ნ. ავალიშვილი კითხულობდა ლექციებს თესლბრუნვის საკითხებზე რაიონების აგრონომებისათვის.

ნ. ავალიშვილი საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიწვევით 1937 წლის 20 იანვრიდან გადავიდა ქალაქ თბილისში სამინისტროს უფროსი აგრონომის თანამდებობაზე. სოფლის მეურნეობის სამინისტროში სასოფლო-სამეურნეო პროპაგანდისა და მეცნიერების სამმართველოს ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით ნ. ავალიშვილი დანიშნულ იქნა ამავე სამმართველოს სამეცნიერო კვლევითი სადგურების უფროსად. აღნიშნულ სექტორს ევალებოდა საქართველოს სსრ ყველა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტისა და საცდელი სადგურის მეთოდური ხელმძღვანელობა და კადრების შერჩევა. კოლმეურნეობებში თესლბრუნვის შემოღებასთან დაკავშირებით ნ. ავალიშვილი გამოყოფილი იყო თესლბრუნვის განყოფილების უფროსად და მთავარ აგრონომად. ამ თანამდებობაზე მუშაობდა 1959 წლის 19 მარტამდე.

1958 წელს ნ. ავალიშვილი მონაწილეობას იღებდა საგარეჯოს რაიონის სოფელ საგარეჯოს კოლმეურნეობა „საქართველოს“ სანიმუშო პერსპექტიული გეგმის შედგენაში. მან შეადგინა ამ გეგმის შემინდვრეობის ნაწილი. ეს გეგმა ვანიხილა და მოიწონა სა-



სურ. 30. ქეტილესკო-ჩახვინესკოეს მოსკოვის საზოგადო-სამეცნიერო ინსტიტუტის ქართველი სტუდენტები (1914 წ.) მარჯვნიდან ფანაში ამილხატე ანაძე, შიტო ცოცხარაშვილი, კოხჩო რცხილაძე, ტაჩისი თურქია; მარცხნიდან სეფან; ფანა ცეცხარაშვილი, შალვა სენფანძე, იფლიან ღობოვანი, თანა მუხარაძანი, ვალერი კიბინაძე; წინ: შალვა მკვათაძე, ნიკოლოზ ავალიშვილი

ქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ.

ბ. ავალიშვილი დანიშნული იყო სამინისტროს სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციისა და დარგთა შერწყმის კომისიის მდივნად აღნიშნულმა კომისიამ დაამუშავა საქართველოს სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციისა და დარგთა შერწყმის საკითხი. ეს საკითხი მინისტრთა საბჭომ განიხილა და დაამტკიცა. დამუშავებული საკითხი საფუძვლად დაედო საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის შვიდწლიან გეგმას.

კოლმეურნეობებში თესლობრუნვის შემოღების გეგმის გადაჭარბებით და კარგი ხარისხით შესრულებისათვის ა. ავალიშვილი 1947 წლიდან შვიდი წლის მანძილზე ყოველწლიურად დებულობდა უფლად ჯილდოს.

სოციალისტური მშენებლობისა და სსრ კავშირის თავდაცვით საქმეში განსაკუთრებული დამსახურებისათვის ნ. ავალიშვილი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დააჯილდოვა საპატიო ნიშნის ორდენით და მედლით 1941 — 1945 წწ. სამამულო ომში მამაცობისათვის. საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენებზე მონაწილეობისათვის 1940 და 1954 წწ. დაჯილდოებულია გამოფენის მედლით.

სოფლის მეურნეობაში განსაკუთრებული დამსახურებისათვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით 1954 წელს მიენიჭა საპატიო წოდება — „საქართველოს სსრ დამსახურებული აგრონომი“.

ნ. ავალიშვილი 1945 წლიდან არჩეული იყო საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიწათმოქმედების კვლევითი ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წევრად.

ნ. ავალიშვილი მრავალი საინტერესო შრომის ავტორია, ბევრი მათგანი დაბეჭდილია ჩვენს პრესაში, მაგ., „მინდვრის ცდების მეთოდისა“, „ფართოდ დავნერგოთ სასოფლო-სამეურნეო კულტურის მიღწევები“, „საშემოდგომო ხორბლის საგაზაფხულო გამოყვება“ და სხვ.

ნიკოლოზ გიორგის ძე ავალიშვილი გარდაიცვალა 1960 წლის 10 თებერვალს; დაკრძალულია ქ. თბილისში.

ცნობილმა საბჭოთა მეცნიერმა, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორმა სიმონ ალექსანდრეს ძე ქარუმიძემ თავისი დაუღალავი შრომით დიდი ამაგი დასდო საქართველოში აგრონომიული ტოქსიკოლოგიის განვითარების საქმეს. ს. ქარუმიძის სახელთან დაკავშირებულია მთელი რიგი აღმოჩენები აგრონომიულ ტოქსიკოლოგიაში. მის კალამს ეკუთვნის მრავალი სამეცნიერო ნაშრომი და სახელმძღვანელო, რომელნიც დიდ წვლილს წარმოადგენენ შრობიერი მეცნიერების საგანძურში.

სიმონ ალექსანდრეს ძე ქარუმიძე დაიბადა 1900 წელს სოფ. თორტიზაში (გორის რაიონი). მან საშუალო განათლება მიიღო თბილისის ქართულ გიმნაზიაში (შემდგეში მე-7 შრომის სკოლა), რომელიც დაამთავრა 1920 წელს. 1921 წელს შევიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიულ ფაკულტეტზე და დაამთავრა 1926 წელს.

ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს 1923 წლის მარტში დაიწყო მუშაობა ცნობილ მეცნიერთან პ. ნაგორნისთან საქართველოს მიწ-სახკომის მცენარეთა დაცვის ბიუროში. ამ დროიდან მუშაობს სასოფლო-სამეურნეო შხამებზე საქართველოს სხვადასხვა რაიონში მცენარეთა და მათი პროდუქტების დასაცავად მავნებლებისა და ავადმყოფობათაგან. ეს პერიოდი წარმოადგენდა საქართველოში ქიმიურ საშუალებათა გამოყენების დასაწყისს. ამ დროს პირველად ტარდებოდა საჩვენებელი მუშაობა მავნებლებისა და ავადმყოფობათა წინააღმდეგ. აგრეთვე ბრძოლა მიმდინარეობდა ზოგიერთი მასობრივი მავნებლის წინააღმდეგ: კალიის, მღრღნელებისა და სხვ.

1927 წელს ს. ქარუმიძე ხელმძღვანელობდა ექსპედიციას რაჭა-ლეჩხუმში ფილოქსერის გავრცელების ადგილების გამოსარკვევად.

1928 — 1929 წლებში ს. ქარუმიძის ხელმძღვანელობით საქართველოში პირველად გორისა და ახალციხის რაიონებში ჩატარდა ხენილის ბაღების მასობრივი წამლობა წლის ყველა პერიოდში. ამ მიზნით მან წინასწარ ქ. გორში მოამზადა ტექნიკოსები და ინსტრუქტორები, სულ 90 კაცი.

1929 წელს ს. ქარუმიძე ერთი წლით გაიგზავნა საბჭოთა კავშირის სამეცნიერო ცენტრებში—ლენინგრადსა და მოსკოვში (მომწივე უზამავ ნივთიერებათა ცენტრალურ ლაბორატორიაში) და უკრაინაში მალევეის საცდელ სადგურში).

1930 წელს სამეცნიერო მივლინებიდან დაბრუნებისას დაინიშნა საქართველოს მიწსახკომის ახლად დაარსებული გამოყენებითი ენტომოლოგიის ინსტიტუტის ქიმიური ბრძოლის მეთოდების სექტორის გამგედ, 1931 წელს კი ამიერკავკასიის მცენარეთა დაცვის კვლევითი ინსტიტუტის (ასე იქნა გადაკეთებული ენტომოლოგიის ინსტიტუტი) ქიმიური ტოქსიკოლოგიური სექტორის გამგედ. 1932 წლიდან არის საქართველოს მცენარეთა დაცვის კვლევითი ინსტიტუტის (ასე გადაერქვა სახელი ამიერკავკასიის ინსტიტუტს) ქიმიკოლოგიური განყოფილების გამგე. ამავე თანამდებობაზე იმყოფებოდა 1961 წლამდე. ამავე წლიდან მუშაობს საქართველოს წითელი დროშის ორდენისა და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ციტობათოლოგიის კათედრის პროფესორად.

სიმონ ქარუმიძე აღნიშნული კვლევითი ინსტიტუტის გარდა, უწყვეტლევ მუშაობდა და მუშაობს შეთავსებით უმაღლეს სასწავლებლებში: 1931 — 1932 სასწავლო წლიდან მიწვეული იყო ახლად ჩამოყალიბებულ უმაღლეს სასწავლო ინსტიტუტში „იუვენბოვში“ ლექტორად (საქართველოს მავნებელთა ბრძოლის სამხრეთ ინსტიტუტში) ინსექტოფუნგიციდების ქიმიაში (იგივე მცენარეთა დაცვა).

„იუვენბოვის“ გაუქმების შემდეგ სიმონ ქარუმიძე დოცენტად ირიცხებოდა საკავშირო სუბტროპიკული ინსტიტუტის მცენარეთა დაცვის ფაკულტეტზე, 1934 წლიდან კი საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში.

კვლევით ინსტიტუტსა და უმაღლეს სასწავლებლებში მუშაობის გარდა, ს. ქარუმიძე აგრეთვე ადგილებზედაც აგრძელებს კადრების მომზადებას. 1936 წელს საკავშირო მიწსახკომის დავალებით მან პირველად საბჭოთა კავშირში მასობრივი მუშაობისათვის ბათუმში მოამზადა ფუმეგატორთა კადრი ციანწყალბადით ციტრუსების (კარვის მეთოდი) ფიმიგაციის ჩასატარებლად. აგრეთვე 1938 წელს საქართველოში პირველად მოამზადა კადრი ნავთობის ზეთების მასობრივად გამოყენებისათვის კონტინენტალური ხეხილისა და სხვა კულტურული მცენარეების შესასხურებლად.

საქართველოს მცენარეთა დაცვის ინსტიტუტში ჩატარებული გამოკვლევების გარდა, სიმონ ქარუმიძე თემებს ამუშავებდა აგრეთვე



სურ. 31. სიმონ ჭარუშიძე

საკავშირო მიწსახკომის, საკავშირო მცენარეთა დაცვის კვლევითი ინსტიტუტის, ამიერკავკასიისა და საქართველოს მიწსახკომისა და სხვა ორგანიზაციების დავალებით. იგი ხშირად მონაწილეობდა პუბლიკურ, ამიერკავკასიისა და საკავშირო ყრილობებზე. ს. ქარუმძის დიდი დამსახურება მიუძღვის საქართველოს მიწსახკომის ზეხილის, ციტრუსების, ტექნიკური კულტურების, ვაზისა და სხვათა მავნებლების ავადმყოფობათა წინააღმდეგ ქიმიურ ღონისძიებათა დამუშავებაში. იგი კონსულტაციას უწევდა მავნებლებთან ბრძოლის სახელმწიფო ორგანიზაციას (ობგ), საკავშირო ჩინისა და სუბტროპიკული კულტურების ინსტიტუტს, მსუბუქი და კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატებს, სამოქალაქო-საპაერთო ფლოტის ინსტიტუტსა და სხვ.

ხანგრძლივი კვლევითი მუშაობის შედეგად ს. ქარუმძის მიერ შედგენილია და გადაცემულია წარმოებისათვის მრავალი ინსტრუქცია სხვადასხვა სახეობის მავნებლებისა და ავადმყოფობათა წინააღმდეგ ქიმიური მეთოდით ბრძოლისათვის.

ს. ქარუმძის ხელმძღვანელობითა და უშუალო მონაწილეობით დანერგილია მრავალი ქიმიური საშუალება. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია: გოგირდ-კირნახარშის დანერგვა, (1939 წ.) ციტრუსებზე ახლად გამოავლებული ვერცხლისფერი ტყიპის წინააღმდეგ. ეს მავნებელი ციტრუსების ნაყოფს მთლიანად უვარგისს ხდიდა. ამის შესახებ პირველი ინსტრუქცია ს. ქარუმძის ავტორობით 1939 წელს დაიბეჭდა. აღნიშნულ საკითხზე ს. ქარუმძის ხელმძღვანელობით 1941 წელს დისერტაცია დაიცვა ქიმტოქსიკოლოგიის განყოფილების თანამშრომელმა ტ. ნოვიცკაიამ. ამჟამად გოგირდ-კირნახარში მზადდება ქარხნული წესით (ბათუმსა და სოხუმში) და ფართოდ გამოიყენება ციტრუსების შესასხურებლად.

ს. ქარუმძე მრავალი წლის მანძილზე იკვლევდა ნავთობის პროდუქტებს (1931 წლიდან). მან დეტალური ანალიზი გაუკეთა ბაქოს ნავთობის პროდუქტებს — საცხებ ზეთებს, შეამოწმა კოსტანარების მნიშვნელობა მცენარეთა შესხურებისათვის, გამოარკვია სხვადასხვა სახის ემულსიების ბუნება მავნებლებზე მოქმედების, მცენარეთა და ზიანებისა და სტაბილობის მხრივ.

1938 წლიდან ს. ქარუმძის გამოკვლევის შედეგად კონტინენტური ხეხილისათვის ფართოდ ინერგება ნავთობის ზეთის ემულსიები. ს. ქარუმძემ შეისწავლა ემულსიების მეტაასფიქსიური თვისებები (ეს სახელი თვით ს. ქარუმძემ უწოდა და მთელი რიგი საკითხი თეორიულად დაასაბუთა).

სიმონ ქარუმიძემ პირველმა საბჭოთა კავშირში გამოსცა და გამოიყენა კონცენტრირებული ემულსიები თვითმფრინავებით. ეს საფუძვლად დაედო მისივე სადოქტორო შრომას, რომელშიდაც სხვა საკითხებთან ერთად წამოჭრილი იყო კონცეფცია ინჰიბიტორების (დაქანგვის შემაფერხებელ ნივთიერებათა) შესახებ. ეს საკითხი შემდეგში საფუძვლად დაედო ს. ქარუმიძის ასპირანტის რ. ყიფიანის საკანდიდატო შრომას (1948 წელს).

ს. ქარუმიძემ შეისწავლა საქართველოს თიხები, ემულგატორები ნავთობის ზეთის ემულსიების დასამზადებლად, კერძოდ ბენტონიტისა და ასკანის თიხები. მათი პრაქტიკულად გამოყენების მიზანშეწონილობა.

ს. ქარუმიძის თანაავტორობით 1953 წლიდან შესწავლილ იქნა სხვა ემულგატორი, კერძოდ ქაღალდის მრეწველობის თანაპროდუქტი სულფიტ-ცელოლოზის იქსტრაქტი, რომელიც აგრეთვე ცნობილია სულფიტ-სპირტის დურდოს სახელწოდებით. ამ ემულგატორმა შეცვალა საპონი, რომელიც იხმარებოდა ქარხნული წესით ემულსიების დამზადებისას ბათუმში. ადვილი და ხელმისაწვდომი გახდა ემულსიების გამოყენება მათი ბევრად უფრო სტაბილურობისა (საპონით დამზადებულთან შედარებით) და პრაქტიკაში გამოყენებულ სხვადასხვა ნაზავთან კომბინირების შესაძლებლობის გამო. ამასთან სულფიტ-სპირტის დურდოთი ემულსიების დამზადება ყოველწლიურად ხარჯების დიდ ეკონომიას იძლევა.

ს. ქარუმიძემ ახალი კონცეფცია წამოაყენა აგრეთვე ვაზის ფქვილისებრი ცრუფარიანას წინააღმდეგ ბრძოლისათვის. ამ მავნებლის წინააღმდეგ წამლობა მიღებული იყო მცენარის შესვენების პერიოდში (ზამთარში), რაც ემყარებოდა მავნებლის ბიოლოგიურ თავისებურებას. მაგრამ აღმოჩნდა, რომ გამოყენებულ ნაზავებს მცენარის შესვენების პერიოდში აღნიშნული მავნებლის წინააღმდეგ არა აქვს პრაქტიკული მნიშვნელობა. ამიტომ ეს ღონისძიება უარყოფილ იქნა. ამ მავნებლის წინააღმდეგ ს. ქარუმიძის მითითებით გამოყენებულ იქნა ფოსფორორგანული შენაერთები, კერძოდ თიოთოსი, მცენარის ვეგეტაციის პერიოდში აღნიშნული საკითხი საფუძვლად დაედო ქიმიტოქსიკოლოგიური განყოფილების თანამშრომლის თ. კუპრაშვილის საკანდიდატო შრომას (1955 წ.).

უკანასკნელ წლებში ს. ქარუმიძემ შეისწავლა ვაშლის მინაფრთიანას წინააღმდეგ ბრძოლის საკითხები. ეს მავნებელი ქერქის ქვეშ ცხოვრობს. ამიტომ აქტუალურ ამოცანას წარმოადგენდა მის წინააღმდეგ ბრძოლა. ამასთან იგი ძლიერ არის გავრცელებული ხეი-

ლის ნარგავებში. ლიტერატურული მონაცემების თანახმად, ქიმიური საშუალებანი პალიატურ ღონისძიებებს წარმოადგენენ, ზოგიერთს კი უარყოფითი შედეგიც მოაქვს (მაგ., დდტ-ს ოთხჯერ გამოყენებას პეპლების ფრენის დროს).

ს. ქარუმიძემ წამოაყენა ახალი კონცეფცია: ქერქის ქვეშ მატლები დაეზოცათ ისეთი ნივთიერებებით, რომელთაც კარგი დასველების ანუ შეღწევალობის თვისება ექნებოდა. ეს შეხედულება გამართლდა კონტაქტური ფოსფორორგანული შენაერთების გამოყენების დროს (თიოფოსის, კარბოფოსის), რომლებიც დიდი რაოდენობით შეიცავდნ განმწვეთელ ნივთიერებას. ამ შემთხვევაში სითხის დინამიკური ზედაპირული დაჭიმულობა, გამოხატული ძალის აბსოლუტურ ერთეულებში (დინებში), და ეფექტიანობა სრულ კორელაციაში არიან. ეს დებულება პრაქტიკულად გამართლებულია ქერქის ქვეშ მცხოვრებ სხვა მავნებლების მიმართაც. ამასთან აღმოჩნდა, რომ თიოფოსი მცენარის შესვენების პერიოდში არ მოქმედებს მინაფრთიანას ბუნებრივ მტრებზე ჭუპრის ფაზაში. ასეთი სელექციური თვისებები (ეკოლოგიურად სელექციური) დიდ უპირატესობას აძლევს თიოფოსს, რადგან ცოცხლად დარჩენილ მავნებლებს ბუნებრივი მტრები სპობენ. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ თიოფოსი დადებითად მოქმედებს მცენარეზე, რადგან მისი ჰიდროლიზის შემდეგ მიიღება მცენარის საკვები ნივთიერებანი. მთავარი კიდევ ის არის, რომ მისი გამოყენება მექანიზებულად ხდება. შეიძლება მცენარის როგორც ქვედა ნაწილის, ისე მთელი ვარჯის დამუშავება მძლავრი მანქანებით. ამიტომ მის გამოყენებას ტექნიკურადაც დიდი უპირატესობა ეძლევა. თიოფოსის გამოყენების შესახებ ცნობა სათანადო ორგანიზაციების მოთხოვნის თანახმად გაიგზავნა საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებშიც.

1937 წელს ს. ქარუმიძემ დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. ხოლო 1941 წელს სადოქტორო. ეს იყო საბჭოთა კავშირში პირველი სადოქტორო დისერტაცია აგრონომიულ ტოქსიკოლოგიაში. 1943 წელს ს. ქარუმიძე ინიშნება თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში კათედრის გამგედ.

საქართველოს მცენარეთა დაცვის ინსტიტუტის ქიმიკოლოგიური განყოფილება თანდათანობით ძლიერდება. ეს ზრდა უშუალოდ დაკავშირებულია საქართველოში მცენარეთა ქიმიური დაცვის განვითარებასთან, რაშიაც დიდი ღვაწლი მიუძღვის პროფ. ს. ქარუმიძეს. ამ დარგში შეიქმნა მთელი სკოლა. აღნიშნულ განყოფილებაში მუშაობის შედეგად სადოქტორო ხარისხი დაიცვა ორმა, სოფლის

მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატისა ცხრა მეცნიერ თანამშრომელმა ამჟამად განყოფილებაში მუშაობს რვა მეცნიერებათა კანდიდატი. განყოფილებაში არის აგრონომიული ტოქსიკოლოგიის ყველა ძირითადი დარგი: ენტომოტოქსიკოლოგია, ფიტოტოქსიკოლოგია, ჰერბიციდები (სარეველა მცენარეების საწინააღმდეგო შხამები), ბიოქიმია, მცენარეთა დაცვის მექანიზაცია და ეკონომიკა. მეცნიერ მუშაკებს გამოქვეყნებული აქვთ მრავალი ორიგინალური შრომა აგრონომიულ ტოქსიკოლოგიაში ოგორც რესპუბლიკურ, ისე საკავშირო სამეცნიერო ჟურნალებში. პროფ. ს. ქარუმიძე სისტემატურად ამზადებს როგორც კვლევითი ინსტიტუტების, ისე უმაღლესი სასწავლებლების ასპირანტებს.

პროფ. ს. ქარუმიძე ამჟამად წარმატებით კითხულობს ლექციებს საქართველოს წითელი დროშის ორდენოსან სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში. იგი არის წევრი ლენინის სახელობის მოსკოვის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მცენარეთა დაცვის სექციისა. მას დაწერილი აქვს 60-მდე ნაშრომი, მათ შორის ორი სახელმძღვანელო უმაღლესი სასწავლებლებისათვის. პირველი სახელმძღვანელო „სოფლის მეურნეობისა და ავადმყოფობათა წინააღმდეგ ბრძოლის ქიმიური მეთოდები“ გამოვიდა 1950 წ. აღნიშნული სახელმძღვანელო რუსულად გამოიცა 1960 წელს.

პროფ. ს. ქარუმიძე დღესაც ჩვეული ენერჯითა და მონდომებით განაგრძობს მუშაობას ჩვენი მეცნიერების წინსვლისა და განვითარებისათვის.

— — — — —

შ ი ნ ა ბ რ ს ი

| | | |
|-------------------------|-----------|-----|
| წინასიტყვაობა | | 3 |
| ილია წინამძღვრიშვილი | | 5 |
| იაკობ შარი | | 23 |
| — გიორგი ჩიჩუა | | 31 |
| — პეტრე წულუკიძე | | 39 |
| ვასილ რცხილაძე | | 46 |
| იოსებ გუნცაძე | | 72 |
| მიხეილ შაალიშვილი | | 94 |
| ნიკოლოზ ყაფრიშვილი | | 101 |
| იოსებ ლიონიძე | | 109 |
| აპოლონ წულაძე | | 116 |
| ვასილ ჯაფარიძე | | 128 |
| ივრამ თარხნიშვილი | | 134 |
| ალექსანდრე თუშმალიშვილი | | 144 |
| გიორგი თაჭთაქიშვილი | | 160 |
| ვასილ ბესტაგაშვილი | | 167 |
| მიხეილ გოგიბედაშვილი | | 173 |
| რევაზ გედევანიშვილი | | 180 |
| ნიკოლოზ ავალიშვილი | | 189 |
| სიმონ ქარუმიძე | | 195 |

ТЕНГИЗ БАРНАБОВИЧ ЧХЕИДZE

ГРУЗИНСКИЕ АГРОНОМЫ

книга первая

(на грузинском языке)

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედ.-საგამომც. საბჭოს დადგენილებით

*

რედაქტორი ა. ჯაფარიძე

გამომცემლობის რედაქტორი გ. ლლონტი

კორექტორი ლ. ჩხაიძე

მხატვარი გ. ნადირაძე

გადაეცა წარმოებას 6.7.1962; ანაწეობის ზომა 6×10 ; ხელმოწერილია

დასაბეჭდად 10.11.1962; ქალაქის ზომა $60 \times 92\frac{1}{16}$;

ქალაქის ფურცელი 6,4; საბეჭდი ფურცელი 12,8; საეკორო
ფურცელი 10,8; სააღრიცხვო-საგამომცემლო ფურცელი 11,0;

შეკვეთა 909; უე 03366; ტირაჟი 1000

ფასი 88 კაპ.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობის სტამბა
თბილისი, გ. ტაბიძის ქ. № 3/5

შემჩნეული შეცდომების გასწორება

| პპ. | სტრიქონი | | არის | უნდა იყოს |
|-----|----------|-----|--|---|
| | ზევ. | ქვ. | | |
| 3 | | 4 | ბურჯუაზიული... | ბურჯუაზიული ხანის |
| 27 | | 4 | ЦГИА | ЦГИАГ |
| 40 | | 8 | ნ. ნიკოლაზე | ნ. ნიკოლაძე |
| 76 | | 12 | დოვბაში. გახეთი „მეურნე“ ამ მოხსენების გამო წერდა: „14-ან- | საქართველოში მყოფ რუს აგრონომებსაც (გუეესკის, ტიმოფე- |
| 80 | 16 | | აზრით | აზრი |
| 83 | | 2 | 2 | 21 |
| 127 | | 6—7 | ემსახურება | ემსახურა |
| 167 | | 15 | დათესა | დაეთესა |

თ. ჩხეიძე, ქართველი აგრონომები

2.39/1

